

ბ ი ვ ი 0 6 9 3 0 6 3 0 0

სახელმწიფოსა
და სამართლის
ზოგადი თეორია



წინამდებარე ნაშრომი მომზადებულია ავტორის მიერ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის შექმნილი და წინა წლებში მრავალჯერ გამოცემული სახელმძღვანელოების საფუძველზე. თითოეულ მათგანში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებებისა და სამეცნიერო პრობლემებისადმი ახალი მიდგომების გათვალისწინებით, თანამედროვე სრულყოფილი პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შემუშავებამდე. მისი გამოყენება სასარგებლო იქნება არაიურიდიულ სპეციალობათა სტუდენტებისთვისაც, აგრეთვე საშუალო სპეციალური და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების საგნის მასწავლებლებისათვის. მკითხველი, ალბათ, მიხვდება, რომ წიგნში პრიორიტეტი მიეცა „სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის“ სახელწოდებას „სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის“ წინაშე, რამაც განაპირობა ცვლილება მის სათურში. სანამ რომელიმე მოსაზრება მყარად არ დაპკვიდრდება მეცნიერებაში, ყველას შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს ერთ-ერთი მათგანი, ასევე სავალდებულო არ არის ყველამ გაიზიაროს ავტორის მოსაზრებები მეცნიერებაში ჯერ კიდევ სადავო ზოგიერთი პრობლემის მიმართ.

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003

© გ. ინწკირველი, 203

1202000000
 608 (06) -03

ISBN 99940-20-85-4



შ ე ს ა ვ ა ლ ი

სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის საგანი და მეთოდი

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიას, როგორც ყველა სხვა მეცნიერულ დარგს, აქვს თავისი საგანი.

ამა თუ იმ მეცნიერების საგნის გარკვევისა და განსაზღვრისათვის საჭიროა დავადგინოთ — რას სწავლობს იგი, ე.ი. რა არის მისი გამოკვლევის ობიექტი, რომელი საკითხები და მოვლენები აინტერესებს მას და როგორია ამ დარგის ადგილი სხვა მეცნიერებათა შორის.

სწორედ შესწავლისა და გამოკვლევის საგნის მიხედვით ხდება მეცნიერებათა კლასიფიკაცია დარგებად, განისაზღვრება ამა თუ იმ დარგის ხასიათი, როლი და დანიშნულება, მისი ურთიერთდამოკიდებულება მეცნიერების სხვა დარგებთან. თითოეული დარგი კი მიეკუთვნება საბუნებისმეტყველო ან საზოგადოებრივ მეცნიერებათა რიცხვს იმის შესაბამისად, თუ რეალური სამყაროს, სინამდვილის რომელ მოვლენებს შეისწავლის იგი — ბუნებისა თუ საზოგადოებისა.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია საზოგადოებრივი მეცნიერებაა, ვინაიდან მისი საგანი, მისი შესწავლის ობიექტებია გარკვეული საზოგადოებრივი მოვლენები — სახელმწიფო და სამართალი, რომლებიც წარმოიშვნენ ადამიანთა საზოგადოების განვითარების მხოლოდ განსაზღვრულ ეტაპზე, პირველყოფილ-თემური წესწყობილების რღვევის შედეგად.

სახელმწიფო განსაკუთრებული წესით მოწყობილი პოლიტიკური ორგანიზაციაა, ხოლო სამართალს შეადგენენ ის სავალდებულო ქცევის წესები, რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ.

სახელმწიფოსა და სამართლის შესწავლა თითქმის მათი წარმოშობისთანავე დაიწყო. მომდევნო ეპოქებში, თანამედროვე პერიოდის

ჩათვლით, სხვადასხვა ქვეყნებში შეიქმნა უამრავი ურთიერთ-დაპირისპირებული შეხედულებები, წარმოდგენები და თეორიები სახელმწიფოსა და სამართლის, ამ რთული საზოგადოებრივი მოვლენების არსისა და დანიშნულების შესახებ.

ამრიგად, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია შეისწავლის მხოლოდ განსაზღვრულ საზოგადოებრივ მოვლენებს — სახელმწიფოსა და სამართალს, რითაც იგი განსხვავდება სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებებისაგან, რომელთა შესწავლის საგანია სხვა საზოგადოებრივი მოვლენები. მაგალითად: ეკონომიკური მეცნიერების საგანია ეკონომიკური ურთიერთობანი ადამიანთა საზოგადოებაში, ეთიკისა — ზნეობა, ენათმეცნიერებისა — ენის განვითარების კანონზომიერებანი და ა.შ.

მიუხედავად ამ განსხვავებისა, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიას გარკვეული კ ა ვ შ ი რ ი ა ქ ვ ს ფილოსოფიურ, ეკონომიკურ და ისტორიულ მეცნიერებებთან, ეთიკასთან და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებთან, რომელთა მონაცემებისა და დასკვნების გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოსა და სამართლის მთელი რიგი საკითხების გარკვევა.

საკმაოდ მჭიდრო ურთიერთკავშირი აქვს სახელმწიფოსა და სამართლის თეორიას ისეთ საზოგადოებრივ, იურიდიულ დისციპლინებთან, როგორცაა სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, აგრეთვე პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია.

ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა და ს ა მ ა რ თ ლ ი ს ი ს ტ ო რ ი ა სწავლობს სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობისა და განვითარების კონკრეტულ პროცესებს ცალკეულ ქვეყანაში, ქვეყნების გარკვეულ ჯგუფში ან ყველა ქვეყანაში. ამისათვის კი საჭიროა სახელმწიფოსა და სამართლის არსის სწორი გაგება და მათი საერთო კანონზომიერებების ცოდნა, რასაც სახელმწიფოსა და სამართლის თეორია იძლევა. მეორე მხრივ, ამ საერთო კანონზომიერებების დადგენისათვის სახელმწიფოსა და სამართლის თეორია სარგებლობს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის მეცნიერების მიერ ცალკეული ეპოქის იურიდიული ძეგლებისა და სხვა ფაქტების შესწავლისა და შეფასების შედეგებით.

პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია კი სწავლობს სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ უმთავრესი იდეების, შეხედულებების, თეორიების არსებობას და განვითარებას უძველესი დროიდან თანამედროვე პერიოდამდე. ხოლო იმისათვის, რომ ამ მეცნიერებამ სწორი შეფასება მისცეს ამა თუ იმ პოლიტიკურ მიმდინარეობას, მოძღვრებას, პოლიტიკური მოაზროვნის შეხედულებებს, მან უნდა გამოიყენოს სახელმწიფოსა და სამართლის არსის ის გაგება, რასაც იძლევა სახელმწიფოსა და სამართლის თეორია.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის საგნის დადგენისათვის სპეციალურ დარგობრივ-იურიდიულ დისციპლინებთან მისი ურთიერთკავშირის გარკვევას. იურიდიული მეცნიერების ცალკეული დარგის (სახელმწიფო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალი და ა.შ.) შესწავლის საგანიც ხომ სახელმწიფო და სამართალია. მაშ, რა განსხვავებაა ამ დარგებსა და სახელმწიფოსა და სამართლის თეორიას შორის, რით განსხვავდება ერთმანეთისაგან მათი კვლევის ობიექტები, მათი საგანი?

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია ზოგადი ხასიათის იურიდიული მეცნიერებაა, რომლის შესწავლის საგანია სახელმწიფო და სამართალი მთლიანად, საერთოდ. იგი არკვევს სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობისა და განვითარების საერთო კანონზომიერებებს, იხილავს და წყვეტს ისეთ პრობლემებს, რომლებიც საერთოა იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში შემავალ ყველა სხვა ან მთელი რიგი დარგებისათვის; იძლევა პასუხს სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ ყველაზე არსებით, ძირეულ საკითხებზე. სწორედ ამიტომაც ამ მეცნიერებას ხშირად უწოდებენ სახელმწიფოსა და სამართლის ზოგად თეორიას, რომელსაც გარკვეული მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს იურიდიული მეცნიერების სხვა დარგებისათვის. მას უწოდებენ აგრეთვე სამართალმცოდნეობის ფუნდამენტურ მეცნიერებას, რამდენადაც მისი დანიშნულებაა სახელმწიფოსა და სამართლისათვის დამახასიათებელი ძირითადი არსებითი ნიშნების, შინაგანი კავშირებისა და კანონზომიერებების შესწავლა,

განმარტოვებული და დასაყრდენი თეორიული დასკვნების შემუშავება.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის მიერ ჩამოყალიბებული ამ ზოგადი პრინციპების, დასკვნებისა და ცნებების საფუძველზე სპეციალური ე.წ. დარგობრივი იურიდიული მეცნიერებანი შეისწავლიან მხოლოდ სამართლებრივ მოვლენათა კონკრეტულ ნაწილს, გარკვეულ ჯგუფს, სახელმწიფოს საქმიანობის ერთ რომელიმე მხარეს. მაგალითად, თუ სახელმწიფოსა და სამართლის თეორია ადგენს სამართლის ნორმის ზოგად ცნებას, — ამ ცნების საფუძველზე კონსტიტუციური სამართალი შეისწავლის კონსტიტუციური სამართლის ნორმებს, სამოქალაქო სამართალი — სამოქალაქო სამართლის ნორმებს, ადმინისტრაციული სამართალი — ადმინისტრაციული სამართლის ნორმებს, სისხლის სამართალი — სისხლის სამართლის ნორმებს, შრომის სამართალი — შრომის სამართლის ნორმებს და ა.შ.; თუ სახელმწიფოსა და სამართლის თეორია ამუშავებს საერთოდ სამართლებრივი ურთიერთობის პრობლემას და ადგენს მის ზოგად ცნებას, — ამ ცნების საფუძველზე ზემოთ დასახელებული დარგები შეისწავლიან, შესაბამისად, კონსტიტუციურ-სამართლებრივ ურთიერთობას, სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობას, შრომის-სამართლებრივ ურთიერთობას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას სამართლის წყაროს ზოგად ცნებასა და სამართლის სხვა კონკრეტული დარგების წყაროს ცნებების თანაფარდობაზე.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისა და დარგობრივ-იურიდიულ მეცნიერებათა ურთიერთკავშირს როცა ვეხებით, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს დამოკიდებულება ცალმხრივი არ არის, პირიქით, სამართლის ცალკეული დარგების მიღწევებს და მათ მიერ საკუთარი კვლევის საგნის შესწავლასაც დიდი მნიშვნელობა აქვს თვით სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისათვის, მის მიერ თეორიული დებულებებისა და ზოგადი ცნებების შემუშავებისათვის, თუმცა, მართლაც ეს მასალა მისთვის, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის.

„სახელმწიფოსა და სამართლის თეორია“, როგორც მეცნიერების დარგი, ასეთი სახელწოდებით შემოდის იურიდიულ ლიტერატურაში გასული საუკუნის პირველ ათწლეულებიდან, განსაკუთრებით, საბჭოთა კავშირსა და სხვა ე.წ. სოციალისტურ ქვეყნებში — სპეციალური მონოგრაფიებისა და სასწავლო გამოცემების ავტორთა ნაშრომებში. მანამდე, უფრო მეტად სამართლის თეორიაზე იყო გამახვილებული ყურადღება და შედარებით

ნაკლებად იკვლევდნენ და შეისწავლიდნენ უშუალოდ სახელმწიფოსთან დაკავშირებულ პრობლემებს, ვიდრე სამართლისას, სახელმწიფოს წინაშე სამართალს უფრო პრიორიტეტულ როლსა და მნიშვნელობას ანიჭებდნენ საზოგადოების განვითარებაში. ასეთმა ტენდენციებმა თანამედროვე პერიოდშიც იჩინა თავი სამართლისმცოდნეთა წრეებში, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს ბოლომდე დასაბუთებულად, და, მით უმეტეს, უდავოდ.

როგორც ცნობილია და უკვე აღვნიშნეთ, თანამედროვე მეცნიერება მიიჩნევს, რომ სახელმწიფო და სამართალი ერთდროულად წარმოიშობიან ადამიანთა საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე, რომ ეს პროცესი ერთი და იგივე კანონზომიერებითაა განპირობებული, ხოლო მათი შემდგომი განვითარება და არსებობა ერთმანეთთანაა დაკავშირებული. სახელმწიფოსა და სამართალს შორის ამ ურთიერთკავშირში რომელიმე ერთისათვის უპირატესობის მინიჭება, ადამიანთა ცხოვრებაში რომელიმე მათგანის მეტი ან ნაკლები როლის ხაზგასმა აშკარად არ იქნებოდა სწორი, ვინაიდან ეს ურთიერთკავშირი მათი ურთიერთზემოქმედებისა და ურთიერთუკუზემოქმედების პროცესში ხორციელდება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი შემსწავლელი მეცნიერების – სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის მიერ ცალკეული პრობლემების დაბუთება, კონკრეტულ მოვლენათა სპეციფიკური ნიშნებისა და თავისებურებების დადგენა, მათი ცნებებისა და განსაზღვრებების ჩამოყალიბება არ შეიძლება ერთად ხდებოდეს და ზუსტად ერთდროულად განიხილებოდეს? არც ზეპირად და არც წერილობით შეიძლება ერთდროულად ორი მოვლენის შესახებ ერთ ხმაში მსჯელობა. ჯერ, ერთი რიგის მოვლენათა განხილვა და მსჯელობაა საჭირო მეორე რიგის მოვლენათა მონაცემების გათვალისწინებით, შემდეგ კი – მეორე რიგის მოვლენათა შესწავლა და მსჯელობა პირველი რიგის მოვლენათა მონაცემების გათვალისწინებით.

ამიტომ, საკვებით მართებულია, რომ სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის მეცნიერება ამ მოვლენათა კვლევისა და შედეგების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად უნდა მიჯნავდეს და გამოყოფდეს თავის ორ ნაწილს – სამართლის თეორიას და სახელმწიფოს თეორიას. ხოლო, ვინაიდან სამართლის თეორიის არსებობა უკვე რეალობაა, აუცილებლად უნდა არსებობდეს სახელმწიფოს თეორიაც; ერთობლიობაში კი ისინი შეადგენენ სახელმწიფოსა და სამართლის თეორიას, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგად თეორიას.

უფრო მეტიც, ასეთი დაყოფა და გაერთიანება არ უნდა ჩაითვალოს რაღაც შეუვალ და სტატიკურ სისტემად მკვეთრად შემოფარგლული ჩარჩოებით, იგი მეტ-ნაკლებად პირობითია და სუბიექტურ ფაქტორებზეც არის დამოკიდებული მეცნიერული კვლევისა და ჭეშმარიტების დადგენის პროცესში. ასე მაგალითად, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის დაყოფა შეიძლება მოხდეს არა მარტო სამართლის თეორიად და სახელმწიფოს თეორიად, არამედ კიდევ უფრო ვიწრო სამეცნიერო თუ სასწავლო დისციპლინებად, როგორცაა, ვთქვათ, სახელმწიფოს ფუნქციების თეორია, სახელმწიფო მმართველობის თეორია, სახელმწიფო სუვერენიტეტის თეორია და ა.შ. ასევე – სამართლებრივი ნორმების თეორია, სამართლებრივი ურთიერთობის თეორია, სამართლის წყაროების თეორია, სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის თეორია და ა.შ.

რაც შეეხება სიტყვას „ზოგადი“ ამ მეცნიერების სახელწოდებაში, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, სწორედ იურიდიული მეცნიერების ამ დარგის შინაარსიდან და მისი კვლევის საგნის შინაარსიდან გამომდინარე, მეცნიერთა დიდი ნაწილი თანდათან იზრება იქითკენ, რომ დარგის სახელწოდებაში მონაწილეობდეს სიტყვა „ზოგადი“; თუმცა პირდაპირაც რომ არ იყოს ნახსენები – ისედაც იგულისხმება. ამასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა მოვიყვანოთ ერთი მეტად საინტერესო და საგულისხმო მოსაზრება ამ დარგისა და სასწავლო დისციპლინის სახელწოდების შესახებ, რომელიც თავიდანვე იკითხებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

1926 წელს თბილისის უნივერსიტეტმა გამოსცა ამ ახლად შექმნილი უმაღლესი სასწავლებლის ერთ-ერთი პირველი პედაგოგის-იურისტის, შემდგომში ცნობილი პროფესორის და სისხლის სამართლის კათედრის გამგის ალექსანდრე ვაჩეიშვილის წიგნი „სამართლის ზოგადი თეორია“. მას ოფიციალურად არ ჰქონდა მინიჭებული სახელმძღვანელოს გრიფი, მაგრამ თავისი შინაარსით სავსებით შეეძლო ამ ფუნქციის შესრულება იმ თემებთან დაკავშირებით, რომლებიც ავტორმა მასში შეიტანა. საბჭოთა პერიოდში, რბილად რომ ვთქვათ, ამ წიგნს რეკომენდაციას არ უწევდნენ, როგორც სრულფასოვან სახელმძღვანელოს იმის გამო, რომ იგი არ იყო დაფუძნებული მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის პრინციპებზე“ და, აგრეთვე, მასში „კრიტიკულად არ განიხილებოდა“ ის ბურჟუაზიული თეორიები სამართლის არსის

შესახებ, რომლებიც დასახსიანებული იყო წიგნში. ეს თეორიებია: ბუგე-
ბითი სამართლის თეორია, საერთო ნების თეორია, თავისუფლების თეორ-
ია, იძულების თეორია, ინტერესთა დაცვის თეორია, კორკუნოვის თეორია,
მურომცევის თეორია, პეტრაჟიციკის თეორია, იურიინგის თეორია, სამართ-
ლის ისტორიული სკოლა. სინამდვილეში, დასახვლებული თეორიების
შინაარსი გადმოცემული იყო უცხო ენების მცოდნე მეცნიერის მიერ
პირველწყაროების გამოყენების საფუძველზე და იმსახურებს მაღალ
შეფასებას ისევე, როგორც წიგნში განხილული სხვა საკითხები. აქვე
უნდა აღვნიშნოთ, რომ ამჟამად ამ ნაშრომის ტექსტი ბიბლიოგრაფიულ
იშვიათობას წარმოადგენს და მეტად მიზანშეწონილი იქნება მისი ახლად
გამოცემა სათანადო რედაქტირებით და კომენტარებით.

მანამდე, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის, ცალკე კი სა-
მართლის თეორიის საგნის საკითხიდან გამომდინარე, ყურადღებას გა-
კამახვილებ ხსენებული ქართველი მეცნიერის მოსაზრებაზე, რომ იუ-
რიდიული მეცნიერების ამ დარგს უნდა ეწოდებოდეს არა სამართლის
თეორია, არამედ „სამართლის ზოგადი თეორია“. ეს პოზიცია მას
დასაბუთებული აქვს წიგნის წინასიტყვაობაში. იგი მიუთითებს: „სა-
მართლის ზოგად თეორიას, როგორც იურიდიულ მეცნიერებას, უცილ-
ობლად დიდი მნიშვნელობა აქვს. მას შეჰყავს მოსწავლე იურიდიულ
მეცნიერებათა სისტემაში; იგი აძლევს მოსწავლეს სამართლის ძირითა-
დი საფუძვლების ცოდნას... ამ წიგნს მიზნად აქვს დასახული გაუწიოს
სტრუქტურას დასმარება სამართლის ზოგადი ცნებების შესწავლაში
და შეთვისებაში, მისცეს მას სახელმძღვანელო პრინციპები, რომლების
საშუალებითაც ის შემდგომში უფრო ადვილად გაერკვევა ცალკე იუ-
რიდიულ დისციპლინებში“¹. ამასთან დაკავშირებით პროფ. ვაჩეიშვილი
ეყრდნობა და იზიარებს რევოლუციამდელ რუს მეცნიერთა შეხედულე-
ბებს, რომლებიც გამოთქმულია მათ ნაშრომებში.

გარდა ამისა, თავის წიგნში პროფესორი ვაჩეიშვილი ეხება სამართ-
ლის ზოგადი თეორიისა და სამართლის ფილოსოფიის, აგრეთვე, სა-
მართლის ენციკლოპედიის თანაფარდობის საკითხებს. იგი მიმოიხილავს
ზოგიერთი ავტორის შეხედულებებს, რიქელთა მიხედვით სამართლის
ზოგადი თეორია გაიგივებულია სამართლის ფილოსოფიასთან, ზოგიერ-

¹ აღ. ვაჩეიშვილი „სამართლის ზოგადი თეორია“. ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა,
ტფილისი, 1926.

თის მიხედვით კი სამართლის ფილოსოფია არის ფილოსოფია პოზიტი-
ურ სამართალში და იკვლევს სამართლის საფუძვლებს იმ სფეროში
(სოციალურსა და კულტურულში), სადაც სამართალი შეადგენს მს-
ოლოდ ნაწილს. ამ შემთხვევაში პროფესორი ვაჩიშვილი არც ერთ
განხილულ შეხედულებას არ აძლევს უპირატესობას და შემოიფარ-
გლება მხოლოდ მათი არსის გადმოცემით.

თანამედროვე იურიდიული მეცნიერება, ცხადია, გვრდს ვერ აუკ-
ლის სამართლის ფილოსოფიასთან ურთიერთმიმართების საკითხს. პირვ-
ელ ყოვლისა კი, ეს ეხება სახელმწიფოსა და სამართლის ზოგად
თეორიას, რომელსაც, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, მეთოდოლოგიური
მნიშვნელობა აქვს იურიდიული მეცნიერების სხვა დარგებისათვის. თუ
გავითვალისწინებთ აზრთა სხვადასხვაობას ფილოსოფოსებსა და
იურისტებს შორის, ასევე ცალ-ცალკე თვით იურისტებს შორის და
თვით ფილოსოფოსებს შორის, — მეტი საფუძველი ექნება იმ დასკვნას,
რომ სამართლის ფილოსოფია უფრო ფილოსოფიაა, ვიდრე სამართალი;
მარტივად კი, ეს არის ფილოსოფია სამართლის შესახებ და მეცნიერე-
ბა, რომელიც იკვლევს სამართლის სოციალურ საფუძვლებს. სწორედ
ამ დებულებიდან უნდა გამოვდიოდეთ, როდესაც ვმსჯელობთ სახელმ-
წიფოსა და სამართლის ზოგად თეორიასა და სამართლის ფილოსოფიას
შორის განსხვავებისა და მათი ურთიერთმიმართების საკითხებზე.

აღნიშნულ პრობლემებზე მომუშავე თანამედროვე რუსეთის უკვე
ცნობილი სამართალმცოდნეებიდან სამართლის ფილოსოფიის საკითხ-
ებს მიუძღვნეს სპეციალური ნაშრომები ს. ალექსეევმა, ჯ. ქერიმოვმა,
ვ. ნერსესიანცმა, ი. ტიხომიროვმა და სხვებმა. მათი საერთო აღიარე-
ბით, სამართლის ფილოსოფია ისეთი მეცნიერებაა, რომლის დანიშ-
ნულებაა მსოფლმხედველობითი პოზიციებიდან სამართლის ახსნა-გაგება
მისი სოციალური განპირობებულობიდან და ადამიანის ყოფიერების
არსიდან გამომდინარე. სხვა სიტყვებითაა გამოთქმული, მაგრამ თითქ-
მის იგივე შინაარსისაა სამართლის ფილოსოფიის საგნად მიჩნევა
სამართლებრივი ყოფიერების შემეცნების ლოგიკის დიალექტიკისა და
თეორიის პრობლემების დამუშავება. ეს გასაგებიც უნდა იყოს, ვი-
ნაიდან საერთოდ ფილოსოფიას იმიტომ მიეწერება მსოფლმხედველო-
ბითი ფუნქცია, რომ იგი შეიმუშავებს ზოგად შეხედულებებს გარე
სამყაროსა და მასში ადამიანთა ყოფიერების შესახებ. ამასთან, როგორც

ს. ალექსეევი აღნიშნავს, სამართალმცოდნეობის მიერ ფილოსოფიური კატეგორიების გამოყენება კი არ ზღვება, არამედ — სამართალმცოდნეობის მჭიდრო ინტეგრირება ფილოსოფიურ იდეებთან.¹

სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის სხვა მეცნიერებებთან კავშირის არსებობის განსაზღვრისას პროფესორი ა. ვაჩეიშვილი ზემოთ დასახელებულ ნაშრომში მიუთითებს სამართლის ენციკლოპედიის ცნებაზე, რომელიც გავრცელდა რევოლუციამდელ რუსულ ლიტერატურაში /ნ. კორკუნოვი, ვ. ტრუბეცკოი, გ. შერშენევიჩი, ს. რენეკამპი/. თუმცა, ენციკლოპედიური ხასიათის იურიდიული ლიტერატურა მანამდეც არსებობდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. პროფ. ვაჩეიშვილი მიუთითებს, რომ ენციკლოპედია, საერთოდ აღებული, არ ნიშნავს ცალკე მოძღვრებას, რომ იგი წარმოადგენს ამა თუ იმ წესის მიხედვით მეცნიერებათა რომელიმე ჯგუფის ანდა ყველა მეცნიერებათა შინაარსის მიმოხილვას და წმინდა თეორიული თვალსაზრისით არ შეაქვს მეცნიერებაში ახალი ცოდნა. თუკი სამართლის ენციკლოპედია ამ სახით გვაწვდის სამართლის საფუძვლების, მისი ძირითადი თვისებების ცოდნას, სინამდვილეში ის წარმოადგენს სამართლის ზოგად თეორიას. რევოლუციამდელი რუსი მეცნიერი — შერშენევიჩიც იგივეს გულისხმობს, როცა ამბობს, რომ სამართლის ენციკლოპედია იწყებს დაახლოებას სამართლის ფილოსოფიასთან.

სამართლის ფილოსოფიის გარდა სახელმწიფოსა და სამართლის თეორიას მეტ-ნაკლები კავშირი აქვს სხვა საზოგადოებრივ, განსაკუთრებით, ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან, რომელთაგან თითოეულს თავისი კვლევის საგანი გააჩნია, მაგრამ საქმე აქვთ სახელმწიფო-სამართლებრივ მოვლენებთან. მათ შორის აღსანიშნავია კავშირი ეკონომიკურ მეცნიერებებთან და პოლიტოლოგიასთან. მაგრამ ამ შემთხვევაში ყურადღებას შევაჩერებთ სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის ურთიერთობაზე სხვა იურიდიულ მეცნიერებებთან. თავიდანვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ურთიერთობა არ არის ცალმხრივი, ზოგად თეორიას თავისი კვლევისათვის ესაჭიროება და სარგებლობს სამართლის ცალკეული დარგის მონაცემებით, ხოლო დარგობრივი მეცნიერებანი სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიისაგან ღებულობენ ზოგად ცნებებსა

¹ ქართველი მკითხველებისათვის საინტერესო იქნება პროფესორ გიორგი სუბუას ამ საკითხებზე მუშაობის პირველი შედეგები, რაც ჩამოყალიბებულია თბილისის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შემოღებული სამართლის ფილოსოფიის სალექციო კურსში და მის მიერ ბოლო წლებში გამოქვეყნებულ სხვა ნაშრომებში.

და დებულებებს თავისი კვლევის საგნების არსში გარკვევისათვის.

დავიწყოთ ურთიერთობით სახელმწიფოსა და სამართლის ის ისტორიასთან, რომელიც სამართლებრივ-ისტორიულ მეცნიერებას წარმოადგენს და სწავლობს სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობისა და განვითარების კონკრეტულ პროცესებს ცალკეულ ქვეყანაში, ქვეყნების გარკვეულ ჯგუფში ან ყველა ქვეყანაში. ამისათვის კი საჭიროა სახელმწიფოსა და სამართლის არსის სწორი გაგება და მათი განვითარების საერთო კანონზომიერების ცოდნა, რასაც სახელმწიფოსა და სამართლის თეორია იძლევა. ამ საერთო კანონზომიერების დადგენისათვის, თავის მხრივ, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია სარგებლობს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის მეცნიერების მიერ ცალკეული ეპოქის იურიდიული ძეგლებისა და სხვა ფაქტების შესწავლისა და შეფასების შედეგებით.

ასევე მჭიდრო კავშირი აქვს სახელმწიფოსა და სამართლის თეორიას ისეთ სამართლებრივ-ისტორიულ მეცნიერებასთან, როგორცაა პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია, ანუ მოძღვრებათა ისტორია სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ. იგი სწავლობს სახელმწიფოსა და სამართლის არსის შესახებ უძველესი იდეების, შეხედულებების, თეორიების არსებობას და განვითარებას უძველესი დროიდან თანამედროვე პერიოდამდე. ხოლო იმისათვის, რომ ამ მეცნიერებამ სწორი შეფასება მისცეს ამა თუ იმ პოლიტიკურ მოძღვრებას, პოლიტიკურ მიმდინარეობას და პოლიტიკური მოაზროვნის შეხედულებებს, — მან უნდა გამოიყენოს, ამოსავალი დებულებების სახით, სახელმწიფოსა და სამართლის ისეთი გაგება, როგორსაც იძლევა სახელმწიფოსა და სამართლის თეორია. ამრიგად, პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიაც იურიდიული მეცნიერების ერთ-ერთი დარგია. იგი განსხვავდება პოლიტოლოგიისაგან, რომელიც ბოლო ხანებში ჩამოყალიბდა, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგი, რომლის შესწავლის ობიექტია პოლიტიკის ფართო სპექტრი, საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის მთელი სისტემა, რომლის მხოლოდ ერთი ელემენტია სახელმწიფო. ამიტომ მის მიერ თავის კვლევის საგნის მასალად გამოიყენება ისტორიის, ეკონომიკის, კულტურის, საერთაშორისო ურთიერთობის, მშვიდობისათვის ბრძოლის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და ბევრი სხვა სფერო.

კანსაკუთრებითაა გამოხატული სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი

თეორიის წამყვანი და წარმმართველი როლი ე.წ. დარგობრივ-იურიდიულ მეცნიერებათა მიმართ, რომლებიც თავისთავად იურიდიული მეცნიერების მთელი სისტემის შემადგენელ ელემენტებს შეადგენენ, — დარის შესახებაც უკვე ზემოთ აღინიშნა. ზოგადი თეორიის მიერ შემუშავებული ცნებებისა და დებულებების გამოყენების გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტული სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების ფორმულირება და მათი შესწავლა კონკრეტული დარგის იურიდიულ მეცნიერებათა მიერ. ამიტომ მხოლოდ სახელმწიფოსა და სამართლის თეორიას შეუძლია შეიმუშავოს და ჩამოაყალიბოს განმაზოგადებელი ცნებები, რომელთა საფუძველზე ეს დარგობრივ-სამართლებრივი მეცნიერებანი და შესაბამისი სამართლებრივი დისციპლინები ურთიერთგაგების დამყარებით გადაწყვეტენ მათ კომპლექტენციაში შემავალ პრობლემებს და საზოგადოებისათვის მისაწვდომს გახდიან თავისი კვლევის შედეგებს.

ამიტომ სწორია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსახზრება, რომ სახელმწიფოსა და სამართლის თეორია არ შთანთქავს სხვა იურიდიულ მეცნიერებებს და არ განასახიერებს მთელ იურისპრუდენციას, არამედ იგი მაინც იურიდიული მეცნიერების მხოლოდ ერთ-ერთი დარგია, რომელიც სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების ზოგად კანონზომიერებებს იკვლევს.¹ ამავე დროს, ბუნებრივია, რომ დასახელებული ორი საზოგადოებრივი მოვლენის — სახელმწიფოსა და სამართლის შემსწავლელი მეცნიერების ერთ დარგად ჩამოყალიბების გამო, შესაბამის სასწავლო კურსში და სასწავლო დისციპლინაში გაერთიანებულია როგორც სახელმწიფოს, ასევე სამართლის პრობლემები. მისი შესწავლის საგანია წმინდა თეორიული მასალა, მაშინ როდესაც დარგობრივ-იურიდიული დისციპლინების შესწავლის ობიექტია, უმთავრესად ნორმატიული მასალა.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის საგნის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით უნდა ვიცოდეთ აგრეთვე, რატომ არის გაერთიანებული ორი სხვადასხვა საზოგადოებრივი მოვლენის შესწავლა იურიდიული მეცნიერების ერთ დარგში, ერთ სასწავლო დისციპლინაში.

¹ იხ. Н е д б а й л о, П. Е., Введение в общую теорию государства и права, Киев, 1971, გვ. 32.

ეს გარემოება იმითაა გამოწვეული, რომ სახელმწიფოსა და სამართალს შორის განუყოფელი კავშირი არსებობს. ისინი ერთდროულად წარმოიშვნენ და ვითარდებიან. სახელმწიფოს არსებობა წარმოდგენელია სამართლის გარეშე, ვინაიდან გაბატონებული კლასი ან სხვა სოციალური ფენა და მისი სახელმწიფო სწორედ სამართლის მეშვეობით, სამართლებრივი ნორმების დადგენით კარნახობენ და აცნობენ საზოგადოების წევრებს თავიანთ ნება-სურვილს. ხოლო სამართლის არსებობაც წარმოდგენელია სახელმწიფოს გარეშე, ვინაიდან სამართლებრივი ნორმების შესრულება განუხორციელებელი იქნებოდა სახელმწიფოებრივი იძულების შესაძლებლობის, სათანადო სახელმწიფო აპარატის გარეშე.

სახელმწიფოსა და სამართალს შორის ამგვარი მჭიდრო კავშირის არსებობის გამო სახელმწიფოს საკითხების ღრმად და ამომწურავად შესწავლა შეუძლებელია სამართლის უმთავრესი საკითხების ცოდნის გარეშე ისევე, როგორც სამართლის პრობლემების გაგება არ შეიძლება სახელმწიფოს ცალკეული საკითხების მეცნიერული ანალიზის გარეშე. ის პრობლემები და საკითხები, რომლებიც სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის მეცნიერების საგანს შეადგენენ, იმავე დროს, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის კურსის, ამ მეცნიერული დისციპლინის შესწავლის ობიექტებსაც წარმოადგენენ.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის საგნის დადგენის შემდეგ, ე.ი. როდესაც უკვე გარკვეულია რას სწავლობს ეს მეცნიერება, რა არის მისი კვლევის ობიექტები, საჭიროა ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ იმაზე, თუ როგორ ხდება ეს შესწავლა, რ ა მ ე თ ო დ ი თ წარმოებს იგი.

მეცნიერების ყოველ დარგს გააჩნია კვლევის მეთოდი, რაც გულისხმობს განსაზღვრულ მიდგომას თავისი საგნის, კვლევის ობიექტების შესწავლისადმი, შეცნობის გარკვეულ წესსა და ხერხებს, კვლევის შედეგების ახსნასა და გაგებას, იმ ამოსავალ პოზიციებსა და პრინციპებს, რაც დამახასიათებელია მეცნიერების ამ დარგისათვის. ამასთან, ყოველი მეცნიერული დარგის კვლევის მეთოდის დასახასიათებლად მის სხვადასხვა მიმდინარეობათა მსოფლმხედველობითი, ფილოსოფიური საფუძვლის გათვალისწინებით, გამოიყენება ტერმინი მ ე თ ო დ ო ლ ო გ ი ა. ასე რომ, სახელმწიფოსა და სამართლის

თეორიას, როგორც საზოგადოებრივი მეცნიერების ერთ-ერთ დარგს, აქვს თავისი მეთოდი, მისთვის დამახასიათებელი მეთოდოლოგია.

თუ გავითვალისწინებთ, რომ შეხედულებები, მოძღვრებები და თეორიები სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა ქვეყანაში დიდი მრავალფეროვნებით გამოიჩინება, მათი მეთოდოლოგიაც მნიშვნელოვნად განსხვავებულია. მისი ფილოსოფიური საფუძველი შეიძლება იყოს იდეალისტური ან მატერიალისტური, დიალექტიკური ან მეტაფიზიკური. რომელიმე ფილოსოფიური სისტემის და შესაბამისი მეთოდოლოგიის იძულებით დანერგვა და ერთადერთ ჭეშმარიტ მეცნიერებად აღიარება, რასაც საბჭოთა წყობილების პირობებში ჰქონდა ადგილი, კატეგორიულად უნდა იქნეს უარყოფილი, ვინაიდან იგი ხელს არ უწყობს ობიექტურ მეცნიერულ კვლევას, ჭეშმარიტების მიგნებას. უნდა ვივარაუდოთ, რომ ყოველ მეთოდოლოგიას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და მხოლოდ მეცნიერული კვლევის შედეგები, მათი გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში გამოაჩენს მათ რეალურ ღირებულებას საზოგადოებისათვის.

ამავე დროს, ამკარა შეცდომა იქნება ყველა იმ დებულების ხელაღებით უარყოფა, რასაც მარქსისტული დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ უ რ ი მეთოდი აღიარებდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ დიალექტიკა, როგორც კვლევისა და მოვლენათა შეცნობის ხერხი, მარქსიზმის გამოგონილი არ არის და ძველი დროიდანვე იყო ცნობილი; მეორეც, იმიტომ, რომ ზოგიერთი მათგანის გამოყენების მიზანშეწონილობა უკვე დაადასტურა პრაქტიკამ. მაგალითად, ბუნებისა და საზოგადოების მოვლენათა ურთიერთკავშირისა და ურთიერთგანპირობებულობის შესახებ დიალექტიკის კანონის გამოყენების საფუძველზე, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია შეისწავლის სახელმწიფოსა და სამართალს არა როგორც იზოლირებულ, საზოგადოებრივი მოვლენებისაგან მოწყვეტილ კატეგორიებს, არამედ ამ მოვლენებთან და ფაქტებთან მჭიდრო კავშირში და ურთიერთობაში; სახელდობრ, ეკონომიკურ მოვლენებთან, კლასებისა და სხვა სოციალური ფენების არსებობასთან, იდეოლოგიურ მოვლენებთან – კულტურასთან, ხელოვნებასთან, მორალთან, ჩვეულებებთან.

სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი მოვლენების არსისა და სხვა მოვლენებთან მათი ურთიერთკავშირის დადგენისას მხედველობაში უნდა მივიღოთ აგრეთვე — განმსაზღვრელი და არაგანმსაზღვრელი ფაქტორები, მიზეზი და შედეგი, ფორმა და შინაარსი, არსი და მოვლენა, აუცილებელი და შემთხვევითი, შესაძლებლობა და სინამდვილე; სახელმწიფოსა და სამართლის სწორად შეცნობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებული იქნება ადგილი, დრო და პირობები, რომლებშიც წარმოიშვა და არსებობს ესა თუ ის სახელმწიფო ან მისი სამართალი.

მაგრამ სახელმწიფოსა და სამართლის შესწავლისას მ ე ტ ა ფ ი ზ ი კ უ რ მ ა კვლევაშიც შეიძლება იქონიოს გარკვეული დადებითი შედეგი, ვინაიდან მათი განხილვა დამოუკიდებლად, სხვა მოვლენებთან დაუკავშირებლად საშუალებას მისცემს მეცნიერებს უფრო ღრმად ჩასწვდნენ სახელმწიფოსა და სამართლის კონკრეტულ მხარეებს, დეტალებს, სპეციფიკურ თავისებურებებს.

იურიდიულ მეცნიერებას და მის ცალკეულ დარგებს, კერძოდ, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიას, თავისი კვლევის საგნის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, გარდა ზოგადი მეთოდოლოგიისა, გააჩნია შემეცნების კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი მ ე თ ო დ ე ბ ი, შესწავლის სპეციალური ხერხები და საშუალებები, რომლებიც გარკვეულ წესებად არის ჩამოყალიბებული. ასეთებად შეიძლება ჩაითვალოს ე.წ. სოციოლოგიური ან კონკრეტულ-სოციოლოგიური მეთოდი, სოციალური ექსპერიმენტის მეთოდი, შედარებითი გამოკვლევის მეთოდი, სტატისტიკური მეთოდი და სხვა. მათი კომპლექსურად და სწორად გამოყენება შესაძლებლობას იძლევა ავხსნათ და გავიგოთ ისეთი ურთულესი საზოგადოებრივი მოვლენების არსი და დამახასიათებელი ნიშნები, როგორიცაა სახელმწიფო და სამართალი. სწორედ ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია.

პ ი რ ვ ე ლ ი თ ა ვ ი

სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა


§1. პირველყოფილი თემური წესწყობილება და მისი რღვევა

პირველყოფილი თემური წესწყობილება იყო ადამიანთა საზოგადოების პირველი ფორმა კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობამდე. კაცობრიობის ამ შორეულ წარსულში არ არსებობდა კერძო საკუთრება, არ იყვნენ არც ექსპლუატატორები და არც ექსპლუატირებულნი.

საწარმოო ძალთა განვითარების უაღრესად დაბალი დონისა და იმის გამო, რომ ადამიანებს ჯერ არ შეეძლოთ რთული იარაღების შექმნა და მეტად პრიმიტიული იარაღებით სარგებლობდნენ (ქვის დანა, ქვის ცული, მშვილდ-ისარი და ა.შ.), ისინი იძულებულნი იყვნენ ერთად ეცხოვრათ. საერთო ძალებით მოეპოვებინათ და ეწარმოებინათ ყველაფერი. რაც აუცილებელი იყო ცხოვრებისათვის: საკვები, ტანსაცმელი, იარაღი, საცხოვრებელი ბინა.

პირველყოფილი ადამიანების ცხოვრების ამგვარი პირობები, განსაკუთრებით კი საერთო შრომა, განაპირობებდა შრომის იმ იარაღების საერთო მფლობელობას, რომლებითაც ისინი სარგებლობდნენ, აგრეთვე საერთო საკუთრებას მიწაზე და მოპოვებულ პროდუქტებზე.

ამრიგად, კოლექტიური საზოგადოებრივი საკუთრება შეადგენდა პირველყოფილი თემური წესწყობილების ეკონომიკურ საფუძველს. მაგრამ ასეთი კოლექტიური წარმოება, შედეგი იყო არა საწარმოო საშუალებათა განსაზოგადოებისა, არამედ ცალკეული პიროვნების სისუსტისა, როდესაც ადამიანებს მხოლოდ საერთო ძალებით შეეძლოთ საცხოვრებელი



სახლის გაკეთება, მხეცებისაგან თავის დაცვა და ნადირობა.

კაცობრიობის განვითარების პირველ საფეხურზე, ათეული და ასეული ათასი წლების მანძილზე ადამიანები ცხოვრობდნენ ე.წ. პირველყოფილი ჯოგების სახით. ეს პირველყოფილი ჯოგი წარმოადგენდა ადამიანთა მცირერიცხოვან მოხეტიალე ჯგუფს, რომელიც თავს ირჩენდა პრიმიტიული ნადირობით და ღამეს ხეებზე ან გამოქვაბულებში ათევდა. შემდეგ კი, როდესაც მეთევზეობა განვითარდა და ნადირობა უფრო სრულყოფილი გახდა, ჩამოყალიბდა ადამიანთა უფრო მყარი და უფრო მრავალრიცხოვანი გაერთიანება — გ ვ ა რ ი.

გვარის წევრები ერთმანეთთან სისხლის ნათესაობით იყვნენ დაკავშირებულნი. თუ ადრე, პირველყოფილი ჯოგის შიგნით ადგილი ჰქონდა მამაკაცებსა და ქალებს შორის მოუწესრიგებელ სქესობრივ ურთიერთობას და სისხლის აღრევას, რაც უარყოფითად მოქმედებდა ადამიანების განვითარებაზე, გვარის წარმოშობის შემდეგ სქესობრივი კავშირი დაშვებული იყო მხოლოდ სხვადასხვა გვარის წევრებს შორის.

ამავე დროს გვარი, ანუ საგვარეულო თემი იყო საერთო მემურნეობის მწარმოებელი გარკვეული საზოგადოებრივი ერთეული, რომლის წევრთა რაოდენობა თანდათან იზრდებოდა და რამდენიმე ასეულ ადამიანს აღწევდა.

დასაწყისში, გვარის განვითარების პირველ საფეხურზე, წამყვან როლს ქალი ასრულებდა, რაც იმდროინდელი ცხოვრების პირობებით იყო ნაკარნახევი (ნაყოფის შეგროვება, პრიმიტიული მიწათმოქმედება და პრიმიტიული მეჯოგეობა უმთავრესად ქალის საქმე იყო). ნათესაობაც ქალის ხაზით ითვლებოდა და გვარი მ ა ტ რ ი ა რ ქ ა ლ უ რ ი. ანუ დედამთავრული იყო (ე.წ. მატრიარქატი). ხოლო შემდგომში, როდესაც ადამიანებმა დაიწყეს ლითონის გამოდნობა და იარაღის დამზადება, მიწათმოქმედება და მეჯოგეობა კი უფრო განვითარდა და მამაკაცის შრომას საჭიროებდა, მატრიარქალური გვარი შეიცვალა მ ა ტ რ ი ა რ ქ ა ლ უ რ ი ანუ მამამთავრული გვართ (ე.წ. პატრიარქატი). საგვარეულო თემის სათავეში მამაკაცი დგება და ნათესაობაც მამის ხაზით განისაზღვრებოდა.

გვარის წევრები თავისუფალი და თანასწორუფლებიანი ადამიანები იყვნენ. გვარის ყველა საქმე წყდებოდა მის სრულწლოვან წევრთა — მამაკაცებისა და ქალების საერთო კრებაზე, სადაც თითოეულს

შეეძლო თავისუფლად გამოეთქვა თავისი აზრი და წამოეყენებინა რაიმე წინადადება.

გვაროვნული წესწყობილებისათვის დამახასიათებელი იყო ის, რომ არ არსებობდა რაიმე საჯარო ხელისუფლება, სპეციალური აპარატი ან ორგანო სისტემატური ძალადობის, იძულების გამოყენებისა და ადამიანთა დამორჩილებისათვის. მართალია, გვარი საერთო კრებაზე ირჩევდა თავის მეთაურს — უხუცესს, ბელადს, წინამძღოლს, მაგრამ მათ ხელისუფლებას არაფერი ჰქონდა საერთო სახელმწიფო ხელისუფლებასთან. ისინი მხოლოდ პირველნი იყვნენ თანასწორთა შორის თავიანთი გამოცდილების ან ნიჭის წყალობით, მათ რჩევას ანგარიშს უწევდნენ და საერთო შეთანხმების საფუძველზე ასრულებდნენ. გვარის წევრთა კრებას ყოველთვის შეეძლო გადაეყენებინა ძველი და აერჩია ახალი უხუცესი, წინამძღოლი.

რამდენიმე მონათესავე გვარი შეადგენდა ტომს. თითოეულ ტომს ჰქონდა თავისი ტერიტორია, რომლის ფარგლებში ტომის წევრები ნადირობდნენ და თევზაობდნენ. ზოგჯერ ცალკეული ტომები ერთიანდებოდნენ ტომთა კავშირებად. ამ კავშირებს შორის ან ცალკეულ ტომებს შორის ხდებოდა ხოლმე შეიარაღებული შეტაკებები, ომები, მეტწილად უკეთესი ან სათევზაო ადგილებისათვის, ხოლო ტყვედ ჩავარდნილ მოწინააღმდეგეებს კლავდნენ ან ტომის წევრად იღებდნენ. მთელი ტომის საერთო საქმეები წყდებოდა ტომის საბჭოში, რომელშიც შედიოდნენ გვარის მეთაურები და წინამძღოლები.

ცნობილი ამერიკელი მეცნიერი და მკვლევარი ლუის მორგანი (1818-1881), რომელიც დაახლოებით 40 წლის განმავლობაში ცხოვრობდა ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელთა — იროკეზების ტომებს შორის და თავისი დაკვირვებების საფუძველზე დაასაბუთა საკუთრების განვითარება კოლექტიურიდან კერძო ფორმებად და ოჯახისა და ქორწინების ევოლუცია გუგუურიდან ინდივიდუალურ ფორმებად. იგი აღწერს, რომ პირველყოფილი საზოგადოების ძირითადი უჯრედი იყო გვარი, რომ თითოეული გვარის მეთაურს ე.წ. საჭემს და სხვა ბელადებს ირჩევდა გვარის სრულწლოვანი წევრების საერთო კრება — გვარის საბჭო, თავისუფალი კენჭისყრის საფუძველზე. საჭემს და დანარჩენ მეთაურებს იროკეზები თვლიდნენ ხალხის მრჩეველებად, რომელთა შეცვლაც გვარის საბჭოს შეეძლო.

იროკეზთა გვარები ერთიანდებოდნენ ე.წ. ფრატრიებად (თითოეულში სამი-ოთხი გვარი), ხოლო ორი ფრატრია შეადგენდა ტომს; მთელი ტომის საქმეებს ხელმძღვანელობდა ტომის საბჭო. რომელშიც შედიოდნენ ცალკეული გვარების მეთაურები; ისინი ტომის წევრთა თანდასწრებით, საჯაროდ იხილავდნენ საკითხებს, ხოლო გადაწყვეტილების მისაღებად საბჭოს წევრთა ერთხულოვნება იყო საჭირო.

მსგავსი ნიშნებით ხასიათდებოდა ძველი ბერძნების საზოგადოებრივი წესწყობილებაც: გვარის მეთაურებს, ე.წ. არქონტებს ირჩევდა და ცვლიდა გვარის წევრთა კრება, ხოლო გვართა გაერთიანების — ტომის ცხოვრებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს საკითხებს წყვეტდა სახალხო კრება, ე.წ. აგორა, რომელშიც ტომის მამაკაცები ღებულობდნენ მონაწილეობას. ტომის ყოველდღიურ საქმიანობას განაგებდა უხუცესთა საბჭო — ბულე, ხოლო სამხედრო წინამძღოლის მოვალეობას ასრულებდა ტომის მიერ არჩეული პირი — ბასილეუსი.

ძველი რომაელების ტომებსაც გააჩნდათ თავიანთი სახალხო კრებები, უხუცესთა საბჭოები და არჩევითი ბელადი — რექსი, რომელიც უმთავრესად სამხედრო წინამძღოლისა და ქურუმის მოვალეობას ასრულებდა. რაც შეეხება აღმოსავლეთის სლავთა ტომებს, მათ მეთაურს მთავარი (КНЯЗЬ) ეწოდებოდა, ხოლო სახალხო კრებას — ვეჩე.

ამრიგად, გვაროვნული წესწყობილების დროს არ არსებობდნენ ადამიანთა განსაკუთრებული ჯგუფები, რომლებსაც უფლება ჰქონდათ სხვა ადამიანების მიმართ მართვა-გამგეობა განეხორციელებინათ. ფ.ენგელსი წერდა, რომ იმ დროს არ არსებობდნენ ჯარისკაცები, ჟანდარმები და პოლიციელები, თავადაზნაურობა და მეფეები, პრეფექტები და მოსამართლეები, მაგრამ ყველაფერი სათანადო წესით იყო მოგვარებული. ყოველგვარი უთანხმოება და დავა წესრიგდებოდა იმ კოლექტივის მიერ, ვისაც იგი ეხებოდა.

გვაროვნულ საზოგადოებაში გვარის ან ტომის წევრთა ურთიერთ-დამოკიდებულება დამყარებული იყო ამხანაგურ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე. საზოგადოების წევრთა შორის ურთიერთობა არ იყო მოწესრიგებული რაიმე დაწერილი კანონებით ან სამართლის სხვა ნორმებით, მაგრამ ამ დროს არსებობდა სხვა ხასიათის ნორმები.

ქცევის წესები, რომლებიც დაუწერელი ჩვეულებების (აღათების) სახით მოქმედებდნენ.

ქცევის ამ წესების, ე.ი. პ ი რ ვ ე ლ ყ ო ფ ი ლ ი ა დ ა თ - ჩ ვ ე უ ლ ე ბ ე ბ ი ს შესრულება ხდებოდა არა სპეციალური იძულებითი აპარატის მეშვეობით, არამედ დამკვიდრებული ტრადიციების, გამომუშავებული ჩვევების გამო, გვარის უხუცესების და ბელადების ავტორიტეტის გავლენით. ხოლო ჩვეულების დამრღვევის მიმართ გამოყენებული იყო საზოგადოებრივი ზემოქმედების მკაცრი ზომები მთელი გვარის ან ტომის წევრთა მიერ (გვარიდან თუ ტომიდან გაძევება, გაკიცხვა ან სხვა).

დამკვიდრებული ჩვეულებების მიხედვით, გვარის წევრები ვალდებულნი იყვნენ ყოველმხრივ დახმარებოდნენ ერთიმეორეს, დაეცვათ ერთმანეთი მხეცებისაგან, აგრეთვე მეზობელ ტომთა წევრების თავდასხმებისაგან ან სხვა სახის საფრთხისაგან, შური ეძიათ გვარის წევრისათვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში და ა.შ.

ამგვარი შურისძიება სისხლის აღების ჩვეულების სახეს ატარებდა. თანამეგვარის მოკვლის ან მისთვის სხვა სახის ზნების მიყენების შემთხვევაში მთელი გვარი თვლიდა აუცილებლად შურისძიებას შეურაცხმყოფელის მიმართ. თუ ადრე მკვლელობის შემთხვევაში მხარეებს შორის მტრობა მთელ გვარებს შორის მტრობად იქცეოდა, — შემდგომ სისხლის აღება ევალებოდა მოკლულის უახლოეს ნათესავებს მკვლელისა ან მისი უახლოესი ნათესავების მიმართ.

თავიდან არ არსებობდა თანაზომიერება შურისძიების დროს, მაგალითად, ქურდი შეიძლებოდა აღგილზევე მოეკლათ; ხოლო შემდეგ დამკვიდრდა ე.წ. ტ ა ლ ი ო ნ ი ს პ რ ი ნ ც ი პ ი („თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ“), როდესაც საპასუხო მოქმედება ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორიც შეურაცხმყოფელმა ან ზიანის მიმყენებელმა ჩაიდინა. უფრო გვიან კი შესაძლებელი გახდა შურისძიებისაგან თავის დაღწევა დაზარალებულის ან მისი ახლობელი ნათესავების სასარგებლოდ რაიმე ქონებრივი სასყიდლის გადაცემით, შემდეგ კი საზღაურის გადახდით (ე.წ. კ ო მ პ ო ზ ი ც ი ი ს პ რ ი ნ ც ი პ ი).

ასეთი იყო პირველყოფილ-თემური ანუ გვაროვნული წეს-წყობილება, რომელიც სრულყოფილ სახეს აღწევს მატრიარქატის

დროს, ხოლო პატრიარქალური გვარის დამკვიდრება უკვე ამ წესწყობილების რღვევის დასაწყისს მოასწავებდა.

პატრიარქატის უკანასკნელ საფეხურზე საზოგადოების საწარმოო ძალების, ე.ი. წარმოების იარაღებისა და ადამიანთა შრომის ჩვევების განვითარება ისეთ ღონეს აღწევს, რომ ისინი აღარ შეესაბამებიან არსებულ წარმოებით ურთიერთობათა ხასიათს. პირველყოფილი ადამიანები თანდათან აუმჯობესებენ შრომის იარაღებს, ამდიდრებენ და ავითარებენ შრომის ჩვევებს, იწყებენ ლითონის იარაღისა და თიხის ჭურჭლის დამზადებას, მიწის დამუშავებას, ცხოველების მოშინაურებასა და მოშენებას.

საწარმოო ძალების განვითარებასთან ერთად გაჩნდა კერძო საკუთრება, რასაც ხელი შეუწყო შრომის საზოგადოებრივი მ ა დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა მ. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანთა ცალკეულმა ჯგუფებმა დაიწყეს უმთავრესად მხოლოდ გარკვეული საქმის შესრულება. მაგალითად, თუ ერთი გვარი მესაქონლეობას მისდევდა, მეორე – მიწათმოქმედებას ეწეოდა, მესამე კი მოხმარების რაიმე საგნებს ან იარაღებს ამზადებდა და ა.შ.

შრომის პირველი დიდი საზოგადოებრივი დანაწილება – ეს იყო მეჯვოგე ტომების გამოყოფა ადამიანთა დანარჩენი მასისაგან. ეს ტომები უფრო მეტი რაოდენობით აწარმოებდნენ ხორცს, რძის პროდუქტებს, ტყავს, მატყლს და ა.შ. თავის მხრივ, მიწათმოქმედი ტომებიც ზრდიდნენ შესაბამისი პროდუქტების წარმოებას.

შრომის მეორე დიდ საზოგადოებრივ დანაწილებას წარმოადგენდა ხელოსნობის გამოყოფა სოფლის მეურნეობისგან, როდესაც ადამიანები ეუფლებოდნენ ხელოსნობის სხვადასხვა სახეს (მჭედლობა, ღურგლობა, მეთუნეობა, საფეიქრო საქმე, იარაღებისა და ინსტრუმენტების დამზადება და სხვ.).

იმის გამო, რომ მეჯვოგე ტომები საჭიროებდნენ მიწათმოქმედების პროდუქტებს, აგრეთვე ხელოსნობის ნაწარმს, მიწათმოქმედი კი მესაქონლეობის პროდუქტებს და ა.შ., საზოგადოებაში იწყება გაცვლა-გამოცვლა. გაცვლა წარმოებდა საგვარეულო თემებს შორის, რომელთა წარმომადგენლები (უხუცესები, ბელადები) ასრულებდნენ ამ საქმეს, ხოლო გაცვლის შედეგად მიღებული საგნები მთლიანად თემს ეკუთვნოდა.

შრომის საზოგადოებრივ დანაწილებასთან ერთად ადამიანები თავს ანებებენ საერთო შრომას, საგვარეულო თემი იყოფა დიდ პ ა ტ რ ი - ა რ ქ ა ლ უ რ ო ჯ ა ხ ე ბ ა დ, რომელნიც დამოუკიდებელ მეურნეობას ეწევიან. ეს არის, ფაქტიურად, საოჯახო თემი, რომლის სათავეში დგას ოჯახის უფროსი — მამა, პატრიარქი და რომელიც აერთიანებს მის ვაჟიშვილებს და შვილიშვილებს თავიანთი ცოლ-შვილით. ოჯახი ერთად აწარმოებს დამოუკიდებელ მეურნეობას და მთელი ქონება ამ ოჯახის წევრთა საერთო საკუთრებას წარმოადგენს. ოჯახს უკვე საკუთრებაში ჰყავს შინაური ცხოველები და ფრინველები, აქვს საცხოვრებელი სახლი, სახელოსნო, წარმოების იარაღები და, ბოლოს, მიწის ნაკვეთიც ამ ოჯახის საკუთრებად იქცევა.

შრომის საზოგადოებრივმა დანაწილებამ და საწარმოო ძალების განვითარებამ მნიშვნელოვნად გაზარდეს შრომის ნაყოფიერება, ადამიანს შესაძლებლობა მიეცა იმაზე შედარებით მეტი ეწარმოებინა, რაც აუცილებელი იყო მისი ცხოვრებისათვის. თუ წინათ იგი მთლიანად მოიხმარდა იმას, რასაც მოიპოვებდა და აწარმოებდა, ახლა შეეძლო დაეგროვებინა ნამეტი პროდუქტი, შეექმნა გარკვეული სიმდიდრე. ამავე დროს, შესაძლებელი გახდა ერთ ადამიანს პირადი გამდიდრებისათვის გამოეყენებინა მეორე ადამიანის შრომა, ე.ი. შესაძლებელი გახდა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია და სხვისი შრომის ექსპლუატაციის შედეგად სიმდიდრის, კერძო საკუთრების დაგროვება.

თუ პირველად ნამეტი პროდუქტის გაცვლა საგვარეულო თემებს შორის ხდებოდა, შემდეგ უკვე ოჯახები აწარმოებდნენ ურთიერთშორის გაცვლას. ამავე დროს ის პირები, რომლებიც გაცვლის ოპერაციებში მხოლოდ მთელი კოლექტივის (ტომი, გვარი, ოჯახი) წარმომადგენლებად ითვლებოდნენ, თანდათან ხელთ იგდებენ სიმდიდრეს და პირადი გამორჩენის შედეგად აგროვებენ კერძო საკუთრებას.

კერძო საკუთრების გაჩენის პროცესთან ერთად ხდება შრომის მესამე დიდი საზოგადოებრივი დანაწილება, როდესაც გაცვლის ობიექტებისა და ტერიტორიული ფარგლების გაფართოებასთან ერთად ყალიბდება განსაკუთრებული ფენა ვაჭრებისა, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ წარმოების პროცესში და აღებ-მიცემობის

შედევად მდიდრებიან. ამ დროისათვის უკვე ჩნდება ფულიც, როგორც ისეთი განსაკუთრებული საქონელი, რომლითაც ხდება ყველა სხვა საქონლის შეფასება და რომელიც შუამავლის როლს ასრულებს გაცვლის დროს. იქმნება აგრეთვე ქალაქები, როგორც ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრები.

ოჯახებისა და ცალკეული პირების მიერ სიმდიდრის დაგროვების შესაძლებლობამ გაზარდა მისწრაფება გამოეყენებინათ სხვისი შრომა და ექსპლუატაცია გაეწიათ სხვა ადამიანებისათვის. პირველი ასეთი ადამიანები იყვნენ მონები. მონებად აქცევდნენ სამხედრო ტყვეებს. თუ წინათ მათ ხოცავდნენ, ან თემის თანასწორუფლებიან წევრებად იღებდნენ, ახლა მათ ექსპლუატაციას უწევენ, მათი შრომის ხარჯზე მდიდრებიან. მონებად ხდებოდნენ აგრეთვე თემის ღარიბი წევრები ვალის გადაუხდელობის გამო და ა.შ.

ამრიგად, გარკვეულმა ეკონომიკურმა პროცესებმა და სხვა საზოგადოებრივმა მოვლენებმა განაპირობეს პირველყოფილ-თემური ანუ გვაროვნული წესწყობილების რღვევა და საზოგადოების დაყოფა მკვეთრად დაპირისპირებულ ფენებად, რომლებსაც შემდგომში სხვადასხვა თეორიებსა და საზოგადოებრივ მეცნიერებაში კლასები დაარქვეს. პირველყოფილი საზოგადოების დახასიათება და სახელმწიფოს წარმოშობის ახსნა სწორედ ერთ-ერთი ასეთი თეორიის საფუძველზეა განხილული წინამდებარე სახელმძღვანელოში.

§2. სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა

სახელმწიფო და სამართალი ყოველთვის არ არსებობდა. პირველყოფილ-თემური წესწყობილებისათვის, როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, სრულიად უცხოა სახელმწიფოცა და სამართალიც. ისინი მხოლოდ კლასობრივ საზოგადოებაში ჩნდებიან, როდესაც კერძო საკუთრების წარმოშობასთან ერთად იქმნება შესაძლებლობა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციისა.

ამრიგად, სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის წინაპირობაა კლასები არსებობა. მაგრამ ამგვარი დაპირისპირებული ფენების წარმოშობა თავისთავად ჯერ კიდევ არ იძლევა საშუალებას

ავხსნათ სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის საკითხი. ს-ქმე უმთავრესად ისაა, რომ გვაროვნული წესწყობილების რღვევის პროცესში წარმოშობილი კლასები ურთიერთმოწინააღმდეგე საზოგადოებრივი ფენები და ჯგუფებია: მათ შორის არსებული შეურთებელი წინააღმდეგობის შედეგად ხდება სწორედ სახელმწიფოს წარმოშობა სამართალთან ერთად.

მოწინააღმდეგე კლასების გაჩენასთან დაკავშირებით, გვაროვნული წესწყობილების ორგანოები დრომოჭმულნი და შეუფერებელნი აღმოჩნდნენ, ვინაიდან ისინი გამოსადეგნი იყვნენ მხოლოდ თანასწორი უფლებების მქონე წევრებიან საზოგადოებაში, სადაც ყოველგვარი ხელისუფლება საზოგადოებრივი ხასიათისა იყო და მორალურ ავტორიტეტს ემყარებოდა. ისეთ საზოგადოებაში კი, რომელიც საწინააღმდეგო ინტერესების მქონე კლასებად – მდიდრებად და ღარიბებად, ექსპლუატატორებად და ექსპლუატირებულებად დაიყო, საჭირო გახდა სრულიად ახლებურად მოწყობილი ხელისუფლების ორგანოები.

პირველი მოწინააღმდეგე, ანტაგონისტური კლასები უმრავლეს ქვეყნებში მონათმფლობელები და მონები იყვნენ. მონათმფლობელები, ე.ი. მდიდრები, ექსპლუატატორები საზოგადოების უმცირესობას შეადგენდნენ, ხოლო ღარიბები, ექსპლუატირებულები – უდიდეს უმრავლესობას. მაშ, როგორ უნდა მოეხერხებინათ ექსპლუატატორებს ღარიბების დამორჩილება? ღარიბები და მონები, რომლებიც გაცილებით მეტი იყვნენ მონათმფლობელებზე, უთუოდ, მოისურვებდნენ გაეულიტათ ისინი და ხელში ჩაეგდოთ მათი სიმდიდრე.

ამიტომ ეკონომიკურად გაბატონებულ ფენას უნდა გამოენახა რაიმე განსაკუთრებული ძალა, რათა შეენარჩუნებინა თავისი პრივილეგიური მდგომარეობა, აეძულებინა ექსპლუატირებულები დამორჩილებოდნენ მას, შეესრულებინათ მისი ყველა განკარგულება და ემუშავნათ მის სასარგებლოდ.

სწორედ ასეთ ძალას წარმოადგენენ სახელმწიფო და სამართალი, რომელთა მემკვიდრით ეკონომიკურად გაბატონებული მდგომარეობის მქონე კლასი პოლიტიკურადაც გაბატონებული ხდება.

სახელმწიფოს წარმოშობის საკითხის მეცნიერულად გააზრებაში დიდი როლი შეასრულა ფ.ენგელსის ნაშრომმა „ოჯახის, კერძო

საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“, რომელიც 1884 წელს დაიწერა. მას საფუძვლად დაედო ის მდიდარი მასალა, რომელიც დააგროვა მანამდელმა მეცნიერებამ, განსაკუთრებით კი გერმანელი შკვლევერის ბახოფენის, ინგლისელი მაკ-ლენანის და ამერიკელი მორგანის ნაშრომები.

პირველყოფილი თემური წესწყობილების რღვევისა და სახელმწიფოს წარმოშობის ზოგადი კანონზომიერების დადგენასთან ერთად დასახელებულ წიგნში ფ.ენგელსი მიუთითებს იმ სამ ძირითად ფორმაზე და ზოგიერთ თავისებურებაზე, რაც დამახასიათებელია სახელმწიფოს წარმოშობის პროცესისათვის სხვადასხვა ქვეყანაში.

პირველი, ასე ვთქვათ, ყველაზე უფრო წმინდა კლასიკური ფორმის მაგალითია ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს წ ა რ მ ო შ ო ბ ა ა თ ე ნ შ ი. აქ სახელმწიფო შეიქმნა უშუალოდ იმ კლასობრივი ანტაგონიზმის, შეურიგებელი წინააღმდეგობის შედეგად, რასაც ადგილი ჰქონდა საზოგადოების შიგნით, ე.ი. არ ყოფილა რაიმე გარეშე მოვლენები, რომლებსაც შეეძლოთ დაეჩქარებინათ ან შეეფერხებინათ სახელმწიფოს წარმოშობის პროცესი.

სახელმწიფოს წარმოშობის მეორე ფორმად ითვლება რ ო მ ი ს მ ა გ ა ლ ი თ ი. აქ სახელმწიფოს წარმოშობა დააჩქარა ბრძოლამ გვაროვნულ არისტოკრატიასა და მოსახლეობის თავისუფალ ფენას — პლებეებს შორის. ამ ბრძოლის შედეგად სისხლითი ნათესაობის პრინციპზე დამყარებული საზოგადოება თანდათან დაიშალა და საზოგადოების ახლებურ ორგანიზაციას საფუძვლად დაედო მოსახლეობის ტერიტორიული და წოდებრივ-კლასობრივი დაყოფა.

რაც შეეხება მესამე ფორმას, მის მაგალითად ენგელსი ასახელებს სახელმწიფოს წარმოშობას გ ე რ მ ა ნ ე ლ ტ ო მ ე ბ შ ი. გერმანელთა სახელმწიფო წარმოიშვა მას შემდეგ, როდესაც ჯერ კიდევ გვაროვნული წესწყობილების პირობებში მყოფმა გერმანელმა ტომებმა დაამხეს რომის იმპერია და დაიპყრეს რომი. თუმცა გვაროვნული წესწყობილების რღვევის პროცესი მათში უკვე დაწყებული იყო, მაგრამ სხვა ქვეყნებზე და ხალხებზე ბატონობის საჭიროებამ დააჩქარა და ხელი შეუწყო ამ პროცესის დამთავრებას სახელმწიფოს წარმოშობით. სხვანაირად არც შეიძლებოდა, ვინაიდან გვაროვნული წესწყობილების ორგანოები ვერ გამოდგებოდნენ

ძალადობისა და ბატონობის განსახორციელებლად. ისინი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებით უნდა შეცვლილიყვნენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმრავლეს ქვეყნებში პირველყოფილ-თემური წესწყობილების რღვევის შედეგად საზოგადოება დაიყო მონებისა და მონათმფლობელთა კლასებად და ისტორიულად პირველი სახელმწიფოც მონათმფლობელური სახელმწიფო იყო. მაგრამ ზოგიერთ ხალხში, მაგალითად, გერმანელებში, არაბებში, აღმოსავლეთ სლავებში და ა.შ. მათი განვითარების გარკვეული თავისებურებების გამო, გვაროვნული წესწყობილების ნანგრევებზე აღმოცენდა არა მონათმფლობელური, არამედ უ შ უ ა ლ ო დ ფ ე ო დ ა ლ უ რ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო .

ეს თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ ამ ქვეყნებში გვაროვნული წესწყობილების რღვევის პერიოდში საწარმოო ძალები შედარებით სწრაფად ვითარდებოდნენ და სანამ მონათმფლობელური სახელმწიფო შეიქმნებოდა, უკვე ჩამოყალიბებას იწყებს ფეოდალური წესწყობილებისათვის დამახასიათებელი წარმოების წესი. საგვარეულო თემის ყოფილი მეთაურები მდიდრდებიან, ხელში იგდებენ საუკეთესო მიწების დიდ ნაკვეთებს და, თავიანთ გარშემო შემოკრებილი შეიარაღებული რაზმების მეშვეობით, მორჩილებაში ჰყავთ თემის ყოფილი რიგითი წევრები. ეს უკანასკნელები გადაიქცევიან ნახევრად თავისუფალ, მსხვილ მიწათმფლობელებზე ეკონომიკურად დამოკიდებულ გლეხებად, რომლებიც თავიანთი მცირე მიწის ნაკვეთებიდან მიღებული პროდუქტების ნაწილსაც მიწათმფლობელებს აბარებენ და ვალდებულნიც არიან მათ მამულებში იმუშაონ. ასეთ პირობებში მონათმფლობელობა აღარ მყარდება, წარმოიშობა ფეოდალთა და ყმა-გლეხთა კლასები, ხოლო სახელმწიფოც ფეოდალური ტიპისა იქმნება.

ასეთია სახელმწიფოს წარმოშობის პროცესი და მისი მთელი რიგი თავისებურებანი. როგორც უკვე ვიცით, სახელმწიფოსთან ერთად, იმავე მიზეზების წყალობით, ი ქ მ ნ ე ბ ა ს ა მ ა რ თ ა ლ ი ც . მაგრამ სამართლის, როგორც სახელმწიფოსაგან განსხვავებული საზოგადოებრივი მოვლენის წარმოშობას, საერთო ძირითად მიზეზებთან ერთად, გარკვეული სპეციფიკაც ახასიათებს.

პირველყოფილ-თემური წესწყობილების პირობებში, როდესაც არ იყო სახელმწიფო და სახელმწიფოებრივი იძულება, არ არსებობდა

არც სამართალი და სამართლის ნორმები, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარე რეგულირებული იყო დაუწერელი ჩვეულებებით — ადამიანთა ქცევის მრავალრიცხოვანი წესებით, რომლებსაც მტკიცედ იცავდნენ გვარის, ტომის წევრები. საზოგადოებაში მოქმედ ამ წესებს არავინ თვლიდა მისთვის თავზე მოხვეულად ან მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ. ამიტომ ადამიანები ასრულებდნენ მათ და არავითარი მოთხოვნა არ ჰქონდათ დაერღვიათ ისინი. ამასთან დაკავშირებით ფ.ენგელსი წერდა: „გვაროვნული წყობილების შიგნით ჯერ კიდევ არ არსებობს განსხვავება უფლებებსა და მოვალეობებს შორის, ინდივიდისათვის არ არსებობს საკითხი — საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობა, სისხლის აღება ან მისი გამოსყიდვა წარმოადგენს უფლებას თუ მოვალეობას; ასეთი საკითხი მას ისევე უაზროდ მოეჩვენებოდა, როგორც იმის კითხვა, რას წარმოადგენს ჭამა, ძილი, ნადირობა — უფლებას თუ მოვალეობას?“¹

პირველყოფილ-თემური წესწყობილების დროს არსებული ჩვეულებანი გამოხატავდა საზოგადოების ყველა წევრის, ადამიანთა ცალკეული ჯგუფების ინტერესებს და სრული თანასწორობის პრინციპზე იყო დამყარებული. ხოლო ახალ ისტორიულ ვითარებაში, ანტიგონისტური კლასების წარმოშობის შემდეგ, ეს წესები, ცხადია, ვეღარ მოაწესრიგებდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებას.

გაბატონებულ კლასს უნდა დაედგინა და ცხოვრებაში განეხორციელებინა ადამიანთა ქცევის ისეთი წესები, რომლებიც მხოლოდ მის ინტერესებს შეესაბამებოდნენ, მის ნება-სურვილს გამოხატავდნენ. მან სწორედ ქცევის ამგვარი წესები შექმნა სამართლის ნორმების სახით და სავალდებულოდ გამოაცხადა მათი შესრულება. ხოლო ვინც არ შეასრულებდა ქცევის ამ სავალდებულო წესებს, ე.ი. სამართლის ნორმებს, მის მიმართ გამოყენებული იქნებოდა მკაცრი იძულებითი ზომები სახელმწიფო აპარატის მეშვეობით.

ამ ამოცანის განსახორციელებლად სახელმწიფოს წარმოშობასთან ერთად იქმნება მისი სპეციალური ორგანო — სასამართლო და ინსპექციური სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი თანამდებობის პირები, რომლებიც პასუხისმგებაში აძლევენ და სხვადასხვა სახის

¹ ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, 1953, გვ. 217.

სასჯელებს უფარდებენ სამართლის ნორმების დამრღვევ პირებს. მაგრამ იბადება კითხვა, როგორ უნდა გაეგო საზოგადოების წევრებს გაბატონებული კლასის ნება-სურვილი და მის მიერ სავალდებულოდ მიჩნეული ქცევის წესები?

პირველ ხანებში, ამ მხრივ, გადამწყვეტ როლს სწორედ სასამართლო ასრულებდა, რომელიც ადამიანთა დასჯით და სასამართლო გადაწყვეტილებების გამოტანით ცნობილს ხდიდა, თუ როგორ ქცევას — მოქმედებას ან უმოქმედობას თვლიდა მმართველი ფენა სავალდებულოდ და როგორ ქცევას თვლიდა დაუშვებლად. წერილობითი სასამართლო გადაწყვეტილებები და სანქციონირებული ჩვეულებები შეადგენდნენ პირველ სამართლებრივ ნორმებს.

ჩვეულებანი, რომლებსაც ამ შემთხვევაში სავალდებულო ძალა ენიჭებოდათ, ე.წ. ჩვეულებით სამართალს შეადგენდნენ. ეს ისეთი ქცევის წესები იყო, რომლებიც ადათების, ანუ ჩვეულებების სახით გვაროვნული წესწყობილების დროსაც მოქმედებდნენ, მაგრამ მათში უკვე გარკვეული ცვლილებები შეიტანეს და ახალი, კლასობრივი შინაარსი ჩააქოვეს. ცხადია, გვაროვნული წესწყობილების ყველა ჩვეულება კი არ იქნა ასეთნაირად გამოყენებული და სახელმწიფოს მიერ სანქციონირებული, არამედ მხოლოდ ისეთები, რომლებიც ხელსაყრელი იყო მმართველი ფენისათვის ახალ ვითარებაში.

მაგალითისათვის დავასახელოთ სისხლის აღების ჩვეულება. სამაგიეროს მიზლვას ექნებოდა ადგილი ტალიონის პრინციპით, თუ რაიმე ფასეულობის გადახდას კომპოზიციის პრინციპით, გვაროვნული წესწყობილების დროს ეს ჩვეულება ყოველი ადამიანის მიმართ, ვისაც კი ეს ეხებოდა, თანაბრად და ერთნაირად ვრცელდებოდა, ყველას სიცოცხლეს ერთნაირად იცავდა. სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ ეს ჩვეულება გამოყენებულ იქნა, მაგრამ უკვე კლასობრივი საზოგადოების პირობებისაღმი შეგუებული სახით. სახელდობრ, თავისუფალი ადამიანის, მდიდრის, მაღალი მდგომარეობის მქონე პირის მოკვლისათვის უფრო მეტი გადასახადი იყო დაწესებული, ვიდრე მონის ან სხვა „მდაბიო“ ადამიანის მოკვლისათვის, ასევე რაიმე ზიანის მიყენებისათვის.

გვაროვნული წესწყობილების დროს მოქმედებდა აგრეთვე ჩვეულება, რომლის მიხედვით გვარის გარდაცვლილი წევრის

მფლობელობაში არსებული ნივთები (იარაღი, ტანსაცმელი და ა.შ.) გადადიოდა მისი ოჯახის ან მისივე გვარის წევრთა განკარგულებაში. ეს ჩვეულებაც ახლებური სახით იქნა გამოყენებული კლასობრივ საზოგადოებაში. სახელდობრ, მესაკუთრეთა, ე.ი.მდიდრების, ექსპლუატატორების ინტერესების დაცვის მიზნით, სახელმწიფომ დააწესა კერძო საკუთრების მემკვიდრეობის უფლება.

ამგვარად, რიგ ჩვეულებათა სანქციონირების შედეგად კლასობრივ საზოგადოებაში იქმნებოდა პირველი სამართლებრივი ნორმები, მაგრამ მხოლოდ მათი მეშვეობით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რა თქმა უნდა, არ მოხერხდებოდა სახელმწიფოებრივი ცხოვრების რეგულირება და გაბატონებული კლასის ინტერესების დაცვა. ქცევის წესების უმრავლესობა, რომლებიც მმართველ ფენებს აუცილებლობად მიაჩნდა და რომელთა შესრულებაც სახელმწიფოებრივი იძულებით უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი, — ახლად იქმნებოდა და გამოხატულებას პოულობდა სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოთა მიერ გამოცემულ კანონებში, ბრძანებულებებში, დადგენილებებში და ა.შ.

პირველი ამგვარი აქტები, რომლებშიც გამოხატულება პოვა მხოლოდ მმართველი კლასების, საზოგადოების უმცირესობის, ექსპლუატატორების ნება-სურვილმა, იყო, მაგალითად, სოლონის კანონები ათენის სახელმწიფოში, XII ტაბულის კანონები — რომში, „სალიკური სამართალი“ — ფრანკთა სახელმწიფოში და სხვ.

სამართლებრივი ნორმები, რომლებსაც გაბატონებული კლასი ქმნიდა, ამკარად გამოხატული კლასობრივი ხასიათისა იყო, აკანონებდა საზოგადოებაში არსებულ უთანასწორობას და განსაკუთრებით მკაცრად იცავდა კერძო საკუთრებას, როგორც ახალი წესწყობილების საფუძველს. ამა თუ იმ ქვეყანაში შექმნილი სავალდებულო ქცევის წესების, ანუ სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა კი შეადგენდა ამ სახელმწიფოში მოქმედ სამართალს.

§3. გურუშახინადელი და გურუშახინული თეორიები სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის შესახებ

იდეები და შეხედულებები სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის შესახებ კაცობრიობის ისტორიაში იქმნებიან და ვითარდებიან თვით სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობისთანავე.

სხვადასხვა შეხედულებები სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის მიზეზებზე გააჩნდათ როგორც გაბატონებული, ასევე არაგაბატონებული ფენების წარმომადგენლებს. მაგრამ, რა თქმა უნდა, საზოგადოებაში ყოველთვის გაბატონებული იყო პრივილეგიური კლასის იდეოლოგია, კერძოდ კი მისი იდეები და თეორიები სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობასა და არსზე.

იმ უმარავი შეხედულებებიდან და თეორიებიდან სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის შესახებ, რომლებიც იქმნებოდნენ, ჩვენ მოკლედ შევეხებით ზოგიერთ ტრადიციულს და ყველაზე უფრო დამახასიათებელს თავისი ეპოქისათვის.

თ ე ო ლ ო გ ი უ რ ი თ ე ო რ ი ა. სახელმწიფოს ღვთაებრივი წარმოშობის შესახებ თეოლოგიური, ანუ თეოკრატიული თეორიები ისტორიულად ერთ-ერთი უძველესია. ისინი გაბატონებული ფენების წარმომადგენელთა მიერ იქნა შეთხზული ჯერ კიდევ პირველი სახელმწიფოების ჩამოყალიბების შემდეგ ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში – ეგვიპტეში, ბაბილონში, ინდოეთში, ჩინეთში და სხვ., სადაც სახელმწიფო არსებობდა თავისებური მონარქიის – აღმოსავლური დესპოტიის ფორმით და სადაც ერთი პირის – დესპოტის ხელში იყო თავმოყრილი მთელი სახელმწიფოებრივი ძალაუფლება.

ამგვარი თეორიის მიხედვით, სახელმწიფოსა და სამართლის ნორმების შექმნის წყაროდ მიჩნეული იყო ღმერთი, ხოლო მონარქი, ღმერთის ნების შესაბამისად, აღიარებული იყო ქვეყნის გამგებლად, სახელმწიფოს მმართველად. ასე, მაგალითად, ძველ ეგვიპტეში გაბატონებული კლასის მიერ ქვეყანაში მომხდარი ყველა მოვლენა მიეწერებოდა ღმერთის ნებას, ხოლო ფარაონები გამოცხადებულნი იყვნენ მიწიერ ღმერთებად, რომლებსაც მფარველობენ ზეციური ღმერთები. ძველი ბაბილონის მეფე ჰამურაბის კანონების შესავალსა

და დასკვნაში ხაზგასმულია, რომ მისი სამეფო ხელისუფლება ღვთაებრივი წარმოშობისაა და ამიტომ ღმერთები მფარველობენ და ეხმარებიან მას სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში (XVII საუკ. ახ. წელთაღრიცხვამდე). მსგავსი იდეა არის გატარებული ე.წ. მანუსკანონებში (ძველი ინდოეთი, III საუკ. ახ. წელთაღრიცხვამდე).

განსაკუთრებით გავრცელებული იყო თეოკრატიული თეორიები აგრეთვე ფეოდალიზმის ეპოქაში მეფეების, ხელმწიფეების, იმპერატორებისა და ყველა სახის ფეოდალური მონარქების ავტორიტეტის ასამაღლებლად და მათი შეუზღუდველი ძალაუფლების დასასაბუთებლად. გაბატონებული კლასის იდეოლოგიები ხშირად მიმართავდნენ თეოლოგიურ თეორიას და ღმერთის მიერ დაწესებულად აცხადებდნენ არსებულ წესწყობილებას, სოციალურ უთანასწორობას. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღსანიშნავია XIII საუკუნის ცნობილი კათოლიკური მოღვაწის თომა აკინელის შეხედულებები, რომლებიც უმდაბლესის უმაღლესისადმი დამორჩილების ვითომდა ღვთაებრივი წესით ხსნიდა ფეოდალების ბატონობას ყმებზე.

ევროპის უმრავლეს ქვეყნებში ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ თეოკრატიული თეორიების მქადაგებლები გახდნენ ფეოდალური რეაქციის იდეოლოგები, რომლებიც გამსჭვალულნი იყვნენ სიძულვილით რევოლუციური გარდაქმნებისადმი და არ კარგავდნენ ფეოდალური წესწყობილების რესტავრაციის იმედს. თეოკრატიული თეორიის იმდროინდელი წარმომადგენლები იყვნენ ცნობილი ფრანგი რეაქციონერები **ჟოზეფ დე მესტრი და ბონალდი**, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის იდეიდან აკეთებდნენ დასკვნას იმის შესახებ, თითქოს მხოლოდ აბსოლუტური მონარქის ხელისუფლება არის კანონიერი ხელისუფლება. თეოკრატებს ეკუთვნით აგრეთვე შვეიცარიელი კათოლიკური მოღვაწე გალერი, რომელიც ქადაგებდა, რომ, ღვთაებრივი წესის მიხედვით, ძლიერი უნდა ბატონობდეს და მხოლოდ მონარქი, როგორც ყველაზე ძლიერი, უნდა მართავდეს სახელმწიფოს ღმერთის ნების შესაბამისად.

თეოლოგიურ თეორიას მიმდევრები გამოუჩნდა შემდგომ ეპოქაშიც კერძოდ, კათოლიკური ეკლესიის ზოგიერთ მოღვაწეთა სახით.

ამრიგად, სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის თეოლოგიური თეორიები არამეცნიერულ საფუძველზე იყო დამყარებული

და მიზნად ისახავდა ღმერთის ავტორიტეტით სახელმწიფოსადმი ფართო მასების დამორჩილების, არსებულ სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლის შეუძლებლობის დასაბუთებას.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ი ს თ ე ო რ ი ა. სახელმწიფოს წარმოშობის ახსნა ხელშეკრულების, ე.ი. ადამიანთა შორის შეთანხმების შედეგად დაკავშირებულია ბუნებითი სამართლის თეორიასთან, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოსა და სამართლის შექმნამდე ადამიანები იმყოფებოდნენ ე.წ. „ბუნებით მდგომარეობაში“. ამგვარი იდეა ელემენტარული სახით, როგორც ფორმალური ჩანასახი, განვითარებული იყო ძველი დროისა და შუა საუკუნეების მოაზროვნეთა შეხედულებებში. მაგრამ ყოველმხრივ დამუშავებული და მტკიცე პრინციპების საფუძველზე ჩამოყალიბებული ფორმით, მან ფართო გავრცელება მიიღო, როგორც ბურჟუაზიულმა თეორიამ ფეოდალიზმის რღვევისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის ბურჟუაზიის ბრძოლის პერიოდში.

XVII საუკუნის ჰოლანდიაში სახელმწიფოს წარმოშობის სახელშეკრულებო თეორიის წარმომადგენლები იყვნენ ცნობილი იურისტი ჰუგო გროციუსი და გამოჩენილი ფილოსოფოსი ბენედიქტე სპინოზა. გროციუსი წერდა, რომ სახელმწიფო ადამიანთა შორის შეთანხმების შედეგია, მათი წინასწარგამიზნული და შეგნებული მოღვაწეობის პროდუქტია.

ინგლისში ამ თეორიის მიმდევრები იყვნენ ამავე პერიოდის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე თომას ჰობსი და პოლიტიკური მოაზროვნე ჯონ ლოკი. მაგალითად, ჰობსი ასაბუთებდა, რომ საზოგადოებრივი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ყალიბდება სახელმწიფო, ორ მომენტს შეიცავს: პირველი — ეს არის ბუნებითი მდგომარეობის პირობებში მყოფი ადამიანების ურთიერთშეთანხმება და გაერთიანება საზოგადოებად („შეთანხმება თითოეულისა თითოეულთან“), ხოლო მეორე — ხელშეკრულების დადება ამა თუ იმ პირთან ან ორგანოსთან, რომელსაც ეკისრება სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელება. ლოკი აღნიშნავდა, რომ ადამიანთა თავისუფლება არ იყო უზრუნველყოფილი ბუნებითი მდგომარეობის პირობებში, რის გამოც მათ აუცილებლად ჩათვალეს ნაწილობრივ უარი ეთქვათ თანდაყოლილ თავისუფლებაზე და

ხელშეკრულების დადების გზით შეექმნათ სახელმწიფო ხელი სუფლება.

ხელშეკრულების გზით სახელმწიფოს წარმოშობას გარკვეული თავისებურებებით ასაბუთებდნენ აგრეთვე ბუნებითი სამართლის თეორიის წარმომადგენლები XVII-XVIII საუკუნეების გერმანიაში – სამუელ პუფენდორფი და ქრისტიან ვოლფი.

საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის წინა პერიოდში (XVII საუკ.) სახელშეკრულებო თეორიის მქადაგებლები იყვნენ ბუნებითი სამართლის სკოლის ფრანგი წარმომადგენლები, ცნობილი განმანათლებლები – ვოლტერი, მონტესკიე და ჟან-ჟაკ რუსო. ეს უკანასკნელი თავის ცნობილ ნაწარმოებში „უთანასწორობის მიზეზების შესახებ“ და „საზოგადოებრივი ხელშეკრულების შესახებ“ ეხებოდა რა სახელმწიფოს წარმოშობის საკითხს, წერდა, რომ ბუნებრივ მდგომარეობაში ადამიანები თავისუფალნი და ბედნიერნი იყვნენ; მაგრამ კერძო საკუთრების გაჩენის შემდეგ (ამის მიზეზი კი მას მცდარად აქვს განსაზღვრული) იწყება ბრძოლა მდიდრებსა და ღარიბებს შორის, არეულობა საზოგადოებაში; ამის გამო ადამიანებმა, საზოგადოებრივი ხელშეკრულების მეშვეობით, შექმნეს სახელმწიფო, რათა უზრუნველყოთ კერძო საკუთრების დაცვა და „ბუნებითი თავისუფლების“ ნაცვლად მოეპოვებინათ „სამოქალაქო თავისუფლება“. ხოლო იმავე პერიოდის გამოჩენილი ფილოსოფოსი-ათეისტი სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ სახელშეკრულებო თეორიის წარმომადგენელი პოლ გოლბახი /1723-1783/ მკაცრად აკრიტიკებდა მეფეთა ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის იდეის წარმომადგენლებს, რომელთა წყალობით „გონების ადგილს იკავებს მონარქის ნება, ნაცვლად ხალხის, ერის, ადამიანის ნებისა“.

როგორც დავინახეთ, ბუნებითი თეორიის წარმომადგენლები არასწორად ხსნიდნენ სახელმწიფოს წარმოშობას, ვინაიდან ეს პროცესი მათ გაგებულ იქონდათ მხოლოდ როგორც ადამიანის შემოქმედების შედეგი. მაგრამ ადამიანს ისინი იხილავდნენ მისი სოციალური მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე, სწორად არ ჰქონდათ წარმოდგენილი ის ეკონომიკური მიზეზები, რამაც სინამდვილეში განაპირობა კერძო საკუთრების გაჩენა, საზოგადოების დაყოფა კლასებად და სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა. მიუხედავად ამისა, იმ

დროისათვის არსებულ ისტორიულ პირობებში სახელმწიფოს წარმოშობის ახსნა, როგორც ხელშეკრულების შედეგი, პროგრესული იდეა იყო, ვინაიდან ამით ლახვარი ჩაეცა შუა საუკუნეებში გაბატონებულ იმდროინდელ რეაქციულ წარმოდგენებს სახელმწიფოს ღვთაებრივი წარმოშობის შესახებ. გარდა ამისა, ამ თეორიის მეშვეობით ბურჟუაზიას შესაძლებლობა ჰქონდა დაესაბუთებინა, რომ ფეოდალური სახელმწიფო საზოგადოებრივი ხელშეკრულების დარღვევას წარმოადგენს და ამიტომ საჭიროა ამ ხელშეკრულების გაუქმება, ე.ი. ფეოდალური სახელმწიფოსა და სამართლის დამხობა და კაპიტალისტური წესწყობილების დამკვიდრება.

კიდევ უფრო მეტი რევოლუციური სიმახვილე მიიღო ხელშეკრულების თეორიამ გამოჩენილი რუსი რევოლუციური დემოკრატის ალექსანდრე რადიშჩევიჩის (1749-1802) ნაშრომებში. დასავლეთ ევროპის მოაზროვნეებისაგან განსხვავებით, მან საზოგადოებრივი ხელშეკრულების იდეა გამოიყენა ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის დამხობისათვის, მშრომელი მასების, გლეხების აჯანყების მოწყობის დასასაბუთებლად. იგი ამბობდა, რომ საზოგადოებრივი ხელშეკრულება მომავალშიც, რევოლუციის გამარჯვების შემდეგ უნდა დაედოს საფუძვლად შეთანხმებას ხალხსა და სახელმწიფო ხელისუფლების განმახორციელებელ იმ მთავრობას შორის, რომელიც მშრომელთა ინტერესებს დაიცავს.

ძალმომრეობის თეორია. ძალმომრეობის, ანუ დაპყრობის თეორია ერთ-ერთი გავრცელებული ბურჟუაზიული თეორია იყო სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ. ამ თეორიის მიხედვით, ძალმომრეობის ესა თუ ის აქტი (საშინაო თუ საგარეო) არის უმთავრესი მიზეზი სახელმწიფოს წარმოშობისა.

ძალმომრეობის თეორიის ერთ-ერთი სახესხვაობის წარმომადგენელი იყო XIX საუკუნის მეორე ნახევარში გერმანელი ბურჟუაზიული ეკონომისტი და ფილოსოფოსი ევგენი დიურინგი, (1833-1921), რომელიც ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზია „უშუალო“ პოლიტიკური ძალმომრეობა, ადამიანთა ერთი ნაწილის ძალადობა სხვების მიმართ. სახელმწიფოს წარმოშობის პროცესის თავისი გაგების დასასაბუთებლად დიურინგი სარგებლობს იმდროინდელ ლიტერატურაში გავრცელებული მაგალითით რო-

ბინზონისა და პარასკევას შესახებ. მისი მტკიცებით, დაუსახლებელ კუნძულზე დაშნით შეიარაღებული რობინზონის მიერ პარასკევას დამორჩილება წარმოადგენს სახელმწიფოს წარმოშობის მარტივ სურათს, ამ პროცესის პროტოტიპს.

თავის შრომაში „ანტი-დიურინგი“ ფ.ენგელსმა მკაფიოდ გამოამკარავა დიურინგის კონცეფციის სრული უსუსურობა. ენგელსი აყენებს კითხვას – რისთვის დასჭირდა რობინზონს პარასკევას დამორჩილება და რატომ იყო ეს შესაძლებელი? დამორჩილება, დამონება, ამბობს ენგელსი, არასოდეს ყოფილა თვითმიზანი: რობინზონმა დაიმორჩილა პარასკევა და აიძულა ის ემუშავა თავის სასარგებლოდ, რაც შესაძლებელი იყო შესაბამისი ეკონომიკური პირობების არსებობისას. სახელდობრ, პარასკევას უნდა შესძლებოდა იმაზე მეტის წარმოება, რაც აუცილებელი იყო მისი საკუთარი სიცოცხლის შესანარჩუნებლად, ე.ი. რობინზონს უნდა ჰქონოდა არა მარტო დამორჩილების საშუალებები (დაშნა), არამედ დამონებული პარასკევას შრომის გამოყენების საშუალებებიც (შრომის სხვადასხვა იარაღი).

ძალმომრეობის თეორიის მეორე დიდ მქადაგებლად ითვლება პოლონელი პროფესორი, იურისტი და სოციოლოგი ლ უ დ ვ ი გ გ უ მ ჰ ლ ო ვ ი ჩ ი, რომელიც უმთავრესად ავსტრიაში მოღვაწეობდა XIX ს. დასასრულსა და XX ს. დასაწყისში. იგი ამტკიცებს, რომ ისტორიის მამოძრავებელი ძალაა რასებს შორის ბრძოლა, რომ კაცობრიობა თავიდან დაყოფილი იყო რასებად, ეთნიკურ ჯგუფებად, რომელთა შორის წარმოებდა ბრძოლა. ამ ბრძოლის პროცესში უფრო ძლიერი ეთნიკური ჯგუფები, ტომები იპყრობენ სუსტებს და ამის შედეგად იქმნება სახელმწიფო, როგორც გამარჯვებული ტომების ორგანო დამარცხებულთა მიმართ ძალაუფლების განსახორციელებლად.

აღსანიშნავია, რომ ძალმომრეობის, როგორც სახელმწიფოს წარმოშობის უშუალო მიზეზის, იდეის მიმდევრად თვლიან აგრეთვე გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთ ლიდერს კ ა რ ლ კ ა უ ც კ ი ს (1854-1938), რომელიც ამტკიცებდა, რომ სხვადასხვა ტომებს შორის ბრძოლა და ომი იწვევს გამარჯვებულის მიერ დამარცხებულის დამონებას და ამ უკანასკნელთა მიწების ხელში ჩაგდებას. ამის შემდეგ ხდება სწორედ საზოგადოების დაყოფა

გაბატონებულ და დამორჩილებულ კლასებად. კაუცკის შებრუნებულად აქვს წარმოდგენილი საზოგადოებრივი განვითარების პროცესი; მისი გაგებით, სახელმწიფო კლასების ბრძოლის შედეგად კი არ იქმნება, არამედ სახელმწიფო ქმნის კლასებს.

ამრიგად, ძალმომრეობის თეორიაც სწორად ვერ ხსნის პრობლემას. ძალმომრეობა, დაპყრობა ზოგიერთ შემთხვევაში ხელს უწყობს და აჩქარებს სახელმწიფოს წარმოშობას იმ ქვეყნებში, სადაც უკვე არსებობს საამისო შინაგანი პირობები ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. მაგრამ, თავისთავად, მხოლოდ ძალმომრეობით არ შეიძლება აიხსნას სახელმწიფოს წარმოშობის პროცესი საზოგადოების შინაგანი განვითარების მიზეზების გაუთვალისწინებლად. ამის მკაფიო დადასტურებაა ზემოთ მოყვანილი მაგალითი სახელმწიფოს წარმოშობისა გერმანულ ტომებში, სადაც ძალმომრეობამ დააჩქარა ეს პროცესი, ამ შემთხვევაში თვით დამპყრობლებში.

სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის შესახებ სხვა თეორიებიდან შეიძლება დავასახელოთ შემდეგი:

პ ა ტ რ ი ა რ ქ ა ლ უ რ ი თ ე ო რ ი ა, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო წარმოიშვა ოჯახის გაზრდისა და გაფართოების შედეგად, ხოლო სახელმწიფო ხელისუფლება განვითარდა მამის, პატრიარქის ხელისუფლებისაგან. მიზანი ამ თეორიისა, რომლის წარმომადგენელი XVII საუკუნეში იყო ინგლისის აბსოლუტიზმის იდეოლოგი ფილმერი, ხოლო უფრო გვიან გერმანიაში აბსოლუტიზმის მომხრეები ბონგაკი და ვოლტმანი, ისაა, რომ მონარქის ხელისუფლება წარმოედგინათ, როგორც ოჯახის წევრების მიმართ მამის უფლების სახესხვაობა და დაეფარათ იმდროინდელი სახელმწიფო ხელისუფლების მჩაგვრელური ხასიათი, მის მიერ ექსპლუატატორთა ინტერესების დაცვა;

პ ა ტ რ ი მ ო ნ ი უ ლ ი თ ე ო რ ი ა, რომლის შესაბამისად სახელმწიფო შეიქმნა მიწაზე, მამულზე საკუთრების უფლების გამო. (partimonium – ლათინური სიტყვაა და ნიშნავს მამულს, საკუთრებას). ამ თეორიის მიმდევარი იყო ფეოდალური რეაქციის წარმომადგენელი შვეიცარიელი გალერი. მისი მიზანი იყო პოლიტიკური ხელისუფლების შესახებ პატრიმონიული შეხედულებებით დაეცვა შუასაუკუნეობრივი წესები, რომელთა მიხედვით მემამულე ამავე დროს მეფე იყო თავის მიწაზე; ამ თეორიის წარმომადგენლებს სახელმწიფო გამოყვანილი ჰყავთ

მონარქის კერძო საკუთრებად. ისინი არ ითვალისწინებენ სახელმწიფო ხელისუფლების სპეციფიკურობას, როგორც საჯარო ხელისუფლებას, როგორც გაბატონებული კლასების დიქტატურის ორგანოს;

ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი უ რ ი თ ე ო რ ი ა, რომლის ფუძემდებელი და ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი იყო რევოლუციამდელ რუსეთში მოღვაწე პოლონელი მეცნიერი პ ე ტ რ ა ჟ ი ც კ ი. სახელმწიფო ხელისუფლებისა და სამართლებრივი ნორმების წარმოშობას იგი ხსნიდა ადამიანთა ფსიქიკაში მომხდარი მოვლენებით, განსაკუთრებული განცდებით, რაც ახასიათებს ადამიანებს. ასეთი ახსნა, რა თქმა უნდა, ფაქტობრივად, იდეალისტურ მსოფლმხედველობაზე დაყრდნობით და დამაჯერებლად არ ჩაითვლება.

ო რ გ ა ნ უ ლ ი თ ე ო რ ი ა, რომელიც „ბიოლოგიური“ მიზეზებით ხსნის სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობას. ასეთი შეხედულებებიდან გამომდინარე, XIX ს. მეორე ნახევრის შვეიცარიელი იურისტი ბ ლ უ ნ ჩ ლ ი და ინგლისელი ფილოსოფოსი ს პ ე ნ ს ე რ ი ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფო იქმნება ადამიანის გაჩენისთანავე, იარსებებს, მანამ არსებობს კაცობრიობა, ხოლო თვით სახელმწიფო და საზოგადოება თავისი სტრუქტურით ადამიანის ორგანიზმს ემსგავსება. სინამდვილეში კი ცნობილია, რომ სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა დაკავშირებულია კაცობრიობის განვითარების მხოლოდ გარკვეულ საფეხურთან – ათასეული წლების მანძილზე პირველყოფილი-გვაროვნული წყობილების პირობებში ადამიანთა საზოგადოების არსებობისა და მისი რღვევის შემდეგ.

სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის შესახებ ძველი დროისა და ზოგიერთი ბურჟუაზიული თეორიის განხილვის შედეგად ვასკვნით, რომ მათ სწორად არა აქვთ წარმოდგენილი სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის პროცესი. ისინი უგულებელყოფენ მატერიალური პირობების მნიშვნელობას საზოგადოების განვითარებაში და, ამავე დროს, არ აღიარებენ სახელმწიფოსა და სამართლის კლასობრივ ბუნებას და არ მიაჩნიათ, რომ სახელმწიფო და სამართალი წარმოიშვა როგორც ექსპლუატატორული კლასების ბატონობის იარაღი. მაგრამ ამ თეორიების ყველა დებულების ხელაღებით და კატეგორიულად უარყოფა, თავისი დროისათვის მათი არსებობის კანონზომიერების გაუთვალისწინებლობაც არ იქნებოდა სწორი.

მ ე ო რ მ თ ა ვ ი

სახელმწიფოს არსი

§1. სახელმწიფოს ცნება და მისი ღამახასიათებელი ნიშნები

სახელმწიფოს არსის, მისი ისტორიული როლისა და ამოცანების, სოციალური ბუნებისა და დანიშნულების საკითხი ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა სახელმწიფოს თეორიაში.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის მეცნიერებაში სახელმწიფოს განმარტავენ, როგორც ამა თუ იმ ქვეყანაში საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის განსაზღვრულ ისტორიულ ფორმას, მმართველობის განმახორციელებელ განსაკუთრებულ აპარატს, რომელიც დარწმუნებისა და იძულებითი ღონისძიებების გამოყენებით უზრუნველყოფს საშინაო და საგარეო ამოცანების განხორციელებას ხელისუფლების სათავეში მყოფი კლასისა თუ სხვა საზოგადოებრივი ფენის ინტერესების შესაბამისად.

სახელმწიფოს ბუნებისა და მისი, როგორც პოლიტიკური ბატონობის იარაღის, დანიშნულებიდან გამომდინარე, ფენგელსმა თავის ნაშრომში „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“ დაახასიათა სახელმწიფოს ორი ძირითადი ნიშანი, რაც განასხვავებს მას წინაკლასობრივი პირველყოფილ-თემური საზოგადოების ორგანიზაციისაგან.

სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია მოსახლეობის — მოქალაქეთა ან ქვეშევრდომთა დაყოფა ტერიტორიული პრინციპის მიხედვით, განსხვავებით გვაროვნული ორგანიზაციისაგან, რომლის დროს მოსახლეობა დანაწილებულია

სისხლით ნათესაური პრინციპის საფუძველზე. სახელმწიფოს ამ ნიშანს როცა ვეხებით, მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ აქ ლაპარაკია არა ტერიტორიაზე, არამედ ტერიტორიული პრინციპის მიხედვით ქვეყნის მოსახლეობის დაყოფა-დანაწილებაზე.

ტერიტორია, თავისთავად, როგორც ადამიანთა ცხოვრების ერთ-ერთი მატერიალური პირობა, არ შეადგენს სახელმწიფოსათვის სპეციფიკურ ელემენტს, მის განმასხვავებელ ნიშანს. ტერიტორია, როგორც ადამიანების ცხოვრების ბუნებრივი საფუძველი, პირველყოფილ-თემური საზოგადოებისათვისაც აუცილებელი იყო (ხომ არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ამ საზოგადოების წევრები სადღაც პაერში გამოკიდებულ არსებებად). მართალია, ესა თუ ის გვარი ან ტომი შესაძლებელია განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში ყოფილიყო დასახლებული, შეეძლო გარკვეული პირობების გამო შეეცვალა ადგილსამყოფელი და სხვა ტერიტორიაზე გადასულიყო, ან კიდევ სისტემატურად გამოეცვალა ხოლმე ტერიტორია და დასახლების ადგილი, მაგრამ ამ გარემოებას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა საზოგადოების წევრთა იმ დროს არსებული დაყოფისათვის გვარებად, ტომებად და ა.შ. რომელიმე ერთი გვარისადმი ან ტომისადმი ადამიანთა მიკუთვნება ხდებოდა მათ შორის არსებული ნათესაური ურთიერთობის შესაბამისად, სისხლით ნათესაური კავშირის პრინციპის მიხედვით.

პირველყოფილ-თემური წესწყობილების დაშლისა და სახელმწიფოებრიობის წარმოშობის შემდეგ კი, მათ შორის თანამედროვე პირობებშიც, სწორედ ტერიტორიული ნიშნისა და არა სისხლით ნათესაური ნიშნის მიხედვით მოსახლეობის დაყოფას აქვს მნიშვნელობა კონკრეტული ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფების მიკუთვნებისათვის ამა თუ იმ სახელმწიფოსადმი, ხოლო სახელმწიფოს შიგნით — ამა თუ იმ ოლქისადმი, გუბერნიისადმი, რაიონისადმი, ქალაქისადმი და ა.შ. ამ შემთხვევაში უკვე ნათესაურ კავშირს აღარა აქვს მნიშვნელობა მოსახლეობის დანაწილებისათვის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით. მოქალაქეობა და ქვეშევრდომობაც ამ პრინციპთანაა დაკავშირებული.

მეორე ძირითადი ნიშანი, რაც დამახასიათებელია სახელმწიფოსათვის, ესაა განსაკუთრებული ს ა ჯ ა რ ო ხ ე ლ ი ს უ ფ

ლ ე ბ ა, განსხვავებით იმ საზოგადოებრივი ხელისუფლებისაგან, რომელიც პირველყოფილ-თემურ წესწყობილებაში არსებობდა, რომელსაც უშუალოდ მთელი საზოგადოება ახორციელებდა და, ფაქტიურად, გაიგივებული იყო მოსახლეობასთან. თუ წინაკლასობრივი წესწყობილების დროს არ არსებობდა პოლიტიკური ხელისუფლება, სახელმწიფოს წარმოშობა ნიშნავს უკვე სწორედ პოლიტიკური ხელისუფლების არსებობას, რაც მხოლოდ მმართველი კლასის პოლიტიკური ბატონობის უზრუნველყოფის მთავარ საშუალებას წარმოადგენს.

ეს პოლიტიკური, ანუ საჯარო ხელისუფლება ხორციელდება ადამიანთა სპეციალური ფენის მიერ, რომლებიც გაბატონებული კლასის წრიდან გამოსულ ან მის მიერ დაქირავებულ პირებს წარმოადგენენ. საჯარო ხელისუფლება, ამავე დროს, გულისხმობს სპეციალური იძულებითი აპარატის არსებობას — ადამიანთა შეიარაღებულ რაზმებს (არმია, პოლიცია), საპყრობილებებს და სხვა სახის იძულებით დაწესებულებებს გაბატონებული კლასის მიერ დაკომპლექტებული მოსამსახურეებით. საჯარო ხელისუფლება ხშირ შემთხვევაში განცალკევებულია ხალხის მასებისაგან, ან უპირისპირდება მათ და, საჭირო შემთხვევაში, ძალოვანი ორგანოების მეშვეობით აიძულებს დაემორჩილონ არსებულ ხელისუფლებას. ასეთი იძულების უნარის გამო სახელმწიფოს შესაძლებლობა აქვს უზრუნველყოს მისი მოთხოვნების შესრულება ყველა ქვეშევრდომის (მოქალაქის) მიერ. სახელმწიფოს ეს მოთხოვნები, რომლებიც მმართველი ფენის ნებისყოფის შესაბამისად ყალიბდება, უმთავრესად სამართლებრივი ნორმების სახით არიან გაფორმებული და სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ნიშანი — საჯარო ხელისუფლება — სწორედ ასეთი იძულების განხორციელებაში გამოიხატება. თანაც, იძულების გამოყენების უნარი სახელმწიფოს მუდმივად აქვს. მაგრამ ქვეყნის შიგნით პოლიტიკური ბრძოლის სიმწვავის შესაბამისად, სხვადასხვა დროს იგი შესაძლებელია განსხვავებული ინტენსივობისა იყოს და სხვადასხვა ფორმით გამოვლინდეს.

ზემოთ განხილული მეორე ძირითად ნიშანთან, რაც სახელმწიფოს გააჩნია, დაკავშირებულია კიდევ ერთი თავისებურება —

ბ ა დ ა ს ა ხ ა დ ე ბ ი ს ს ი ს ტ ე მ ა. საქმე ისაა, რომ

დიდი და რთული სახელმწიფო აპარატის, ე.ი. საჯარო ხელისუფლების შესანახად სახელმწიფო აწესებს იძულებითი ხასიათის გადასახადებს, იღებს სესხებს, რაც, ჩვეულებრივ, მძიმე ტვირთად აწვება მოსახლეობას, მაგრამ იგი ყოველთვის აუცილებელია სახელმწიფოს არსებობისათვის.

როდესაც სახელმწიფოს ძირითად დამახასიათებელ ნიშნებზეა მსჯელობა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ფ.ენგელსი ლაპარაკობს ამ ნიშნებზე სახელმწიფოს წარმოშობასთან დაკავშირებით და უპირისპირებს ერთმანეთს გვაროვნულ-საზოგადოებრივ ხელისუფლებას და მის ნანგრევებზე აღმოცენებულ პოლიტიკურ ხელისუფლებას, თუმცა აღნიშნული ნიშნები, არსებითი თავისებურებებით, ნებისმიერ სახელმწიფოს გააჩნია შემდგომ ეპოქებშიც.

რაც შეეხება თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებს, მათ მიმართ ეს ნიშნები ერთგვარად ახლებურად უნდა იქნეს გაგებული. სახელდობრ, მოსახლეობის დანაწილების ტერიტორიული პრინციპი დამახასიათებელია ეროვნული შემადგენლობის გათვალისწინებითაც. საჯარო ხელისუფლების ნიშანი კი ისე უნდა გავიგოთ, რომ სახელმწიფო რჩება პოლიტიკურ ორგანიზაციად, მაგრამ უკვე არამოწყვეტილად მოსახლეობისაგან, არამედ სახელმწიფოსა და საზოგადოების მეტ-ნაკლები ერთიანობის ვითარებაში. ბოლოს, გადასახადების სისტემა ამ სახელმწიფოებშიც არსებობს, მაგრამ ამ გზით შემოსული სახსრები ხმარდება, სახელმწიფო აპარატის შენახვის გარდა, მოსახლეობის საერთო ინტერესების დაკმაყოფილებას.

სახელმწიფოს ცნებისა და მისი შინაარსის განხილვის სისრულისათვის საჭიროა შევხვით აგრეთვე მის ისეთ თვისებას, როგორცაა ს უ ვ ე რ ე ნ ი ტ ე ტ ი.

სახელმწიფო სუვერენიტეტი გულისხმობს მის შესაძლებლობას, ქვეყანაში მოქმედი სამართლისა და აღიარებული საერთაშორისო ნორმების ფარგლებში სრულუფლებიანად აწარმოოს საშინაო და საგარეო საქმეები და არ დაუშვას თავის საქმიანობაში სხვა სახელმწიფოების ან სახელმწიფოს შიგნით არსებული სხვა ძალების (ორგანიზაციების) ჩარევა. ე.ი. სუვერენიტეტი ნიშნავს სახელმწიფოს უზენაესობას ქვეყნის შიგნით და დამოუკიდებლობას სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში. ამასთან დაკავშირებით იურიდიულ და პოლიტიკურ

ლიტერატურაში ორ მთავარ ასპექტში არის განხილული სახელმწიფო სუვერენიტეტის საკითხი — ერთი მხრივ, საშინაო სუვერენიტეტი და, მეორე მხრივ, საგარეო სუვერენიტეტი.

ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ს უ ვ ე რ ე ნ ი ტ ე ტ ი ქ ვ ე ყ ნ ი ს შ ი გ ნ ი თ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლების შესაძლებლობას სრულუფლებიანად, მოცემულ ქვეყანაში არსებულ სხვა ორგანიზაციებისაგან დამოუკიდებლად, კონსტიტუციისა და სხვა კანონების საფუძველზე გადაწყვიტოს ყველა საკითხი, რაც კი ეხება ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ, იდეოლოგიურ ცხოვრებას და ა.შ. საშინაო სუვერენიტეტთან დაკავშირებულია კიდევ მეორე საკითხი, სახელდობრ, ვის ეკუთვნის სახელმწიფო ხელისუფლება, ვინ განახორციელებს მას, ვინაა სუვერენიტეტის მატარებელი?

ისტორიულად სწორედ ამ საკითხის გარშემო იქნა დაწყებული სუვერენიტეტის იურიდიული ცნების დამუშავება. პირველად, ამ გაგებით სუვერენიტეტის თეორია XVI საუკუნეში ჩამოაყალიბა ბურჟუაზიის ადრინდელმა იდეოლოგმა და, ამავე დროს, სამეფო აბსოლუტიზმის მომხრემ, ფრანგმა იურისტმა ჟ ა ნ ბ ო დ ე ნ მ ა. იგი ასაბუთებდა, რომ სუვერენიტეტი სახელმწიფოს არსებითი და აუცილებელი თვისებაა, რომ სუვერენიტეტი გულისხმობს ხელისუფლების ერთიანობასა და განუყოფლობას. ამგვარი ხელისუფლების, ე.ი. სუვერენული უფლებების მატარებლად იგი თვლიდა მეფეს, აბსოლუტურ მონარქს. XVIII საუკუნის ცნობილი ფრანგი მოაზროვნე, განმანათლებელი ჟ ა ნ — ჟ ა კ რ უ ს ო ასევე ამტკიცებდა, რომ სუვერენიტეტი ერთიანი, განუყოფელი და განუსხვავებელია, მაგრამ, განსხვავებით ბოდენისაგან, იგი თვლიდა, რომ მისი მატარებელი უნდა იყოს ხალხი.

ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ს უ ვ ე რ ე ნ ი ტ ე ტ ი ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა შ ი გ უ ლ ი ს ხ მ ო ბ ს სახელმწიფო ხელისუფლების შესაძლებლობას სხვა სახელმწიფოებისაგან დამოუკიდებლად, თავისი შესაძლებლობისამებრ განახორციელოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა და არ დაუშვას თავის საქმეებში სხვა სახელმწიფოების ჩარევა. ეს დებულება ისე

ლიტერატურაში ორ მთავარ ასპექტში არის განხილული სახელმწიფო სუვერენიტეტის საკითხი — ერთი მხრივ, საშინაო სუვერენიტეტი და, მეორე მხრივ, საგარეო სუვერენიტეტი.

ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ს უ ვ ე რ ე ნ ი ტ ე ტ ი ქ ვ ე ნ ი ს შ ი გ ნ ი თ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლების შესაძლებლობას სრულუფლებიანად, მოცემულ ქვეყანაში არსებულ სხვა ორგანიზაციებისაგან დამოუკიდებლად, კონსტიტუციისა და სხვა კანონების საფუძველზე გადაწყვიტოს ყველა საკითხი, რაც კი ეხება ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ, იდეოლოგიურ ცხოვრებას და ა.შ. საშინაო სუვერენიტეტთან დაკავშირებულია კიდევ მეორე საკითხი, სახელდობრ, ვის ეკუთვნის სახელმწიფო ხელისუფლება, ვინ განახორციელებს მას, ვინაა სუვერენიტეტის მატარებელი?

ისტორიულად სწორედ ამ საკითხის გარშემო იქნა დაწყებული სუვერენიტეტის იურიდიული ცნების დამუშავება. პირველად, ამ გაგებით სუვერენიტეტის თეორია XVI საუკუნეში ჩამოაყალიბა ბურჟუაზიის ადრინდელმა იდეოლოგმა და, ამავე დროს, სამეფო აბსოლუტიზმის მომხრემ, ფრანგმა იურისტმა ჟ ა ნ ბ ო დ ე ნ მ ა. იგი ასაბუთებდა, რომ სუვერენიტეტი სახელმწიფოს არსებითი და აუცილებელი თვისებაა, რომ სუვერენიტეტი გულისხმობს ხელისუფლების ერთიანობასა და განუყოფლობას. ამგვარი ხელისუფლების, ე.ი. სუვერენული უფლებების მატარებლად იგი თვლიდა მეფეს, აბსოლუტურ მონარქს. XVIII საუკუნის ცნობილი ფრანგი მოაზროვნე, განმანათლებელი ჟ ა ნ — ჟ ა კ რ უ ს ო ასევე ამტკიცებდა, რომ სუვერენიტეტი ერთიანი, განუყოფელი და განუსხვისებელია, მაგრამ, განსხვავებით ბოდენისაგან, იგი თვლიდა, რომ მისი მატარებელი უნდა იყოს ხალხი.

ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ს უ ვ ე რ ე ნ ი ტ ე ტ ი ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა შ ი გ უ ლ ი ს ხ მ ო ბ ს სახელმწიფო ხელისუფლების შესაძლებლობას სხვა სახელმწიფოებისაგან დამოუკიდებლად, თავისი შესედულებებისამებრ განახორციელოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა და არ დაუშვას თავის საქმეებში სხვა სახელმწიფოების ჩარევა. ეს დებულება ისე

კი - ცალკე სახელმწიფოდ გამოყოფამდე; ერთეოვან ქვეყნებში ეროვნული სუვერენიტეტი გაიგივებულია სახალხო სუვერენიტეტთან. მრავალეროვან დემოკრატიულ სახელმწიფოებში, რომლებიც შექმნილია ნებაყოფლობისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, სახელმწიფოს სუვერენიტეტი უზრუნველყოფს თითოეული ერის სუვერენული უფლებების დაცვას, ხოლო მრავალეროვან სახელმწიფოებში, რომლებიც ერთა არათანასწორუფლებიან, იძულებით გაერთიანებებს წარმოადგენენ, სახელმწიფოს სუვერენიტეტი ერების ამ იძულებითი კავშირის შენარჩუნებას ემსახურება და უზრუნველყოფს მმართველი, პრივილეგიური ერის ბატონობას ჩაგრულ ერებზე, ე.ი. მიმართულია მათი ეროვნული სუვერენიტეტის წინააღმდეგ.

სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი მათგანის სახელმწიფო სუვერენიტეტი, ნებაყოფლობით ან გარკვეული იძულების გამო, ნაწილობრივ შეზღუდულია. მაგრამ ჩვენ არა გვაქვს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ეს სახელმწიფოები სუვერენული აღარ არიან (განსაკუთრებით, როდესაც სუვერენიტეტს სახელმწიფო თავისი ნებით იზღუდავს), სუვერენიტეტის მთლიანად დაკარგვა კი სახელმწიფოს, როგორც დამოუკიდებელი ერთეულის, არსებობის შეწყვეტას ნიშნავს, ვინაიდან სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი თვისება სწორედ მისი სუვერენიტეტია.

§2. სახელმწიფოს ისტორიული ტიპი და სახელმწიფოს ფორმა

ერთისა და იმავე საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ფარგლებში არსებულ სახელმწიფოებს გააჩნიათ საერთო დამახასიათებელი ნიშნები, რითაც ისინი განსხვავდებიან სხვა ფორმაციებში არსებული სახელმწიფოებისაგან. ეს საერთო ნიშნები შემდეგია: ჯერ ერთი, საერთო ეკონომიკური საფუძველი, საკუთრების ერთი გარკვეული ტიპი, რომელიც საფუძველად უდევს ეკონომიკური ფორმაციისათვის დამახასიათებელ წარმოებით ურთიერთობებს; გარდა

ამისა, თითოეულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში არსებული სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელია ერთი და იგივე შინაარსი, ე.ი. წარმოადგენს ერთი და იმავე კლასის ან ფენის ბატონობის უზრუნველყოფის საშუალებას, საზოგადოების ხელმძღვა-ნელობის ორგანიზების უზრუნველყოფას.

აღმძინთა საზოგადოების განვითარებისათვის დამახასიათებელია სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის რამდენიმე კლასობრივი ტიპი (მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური და ე.წ. სოციალისტური); თითოეულ ამ ფორმაციაში საზოგადოებაზე ბატონობას ძირითადად ახორციელებს ერთი რომელიმე კლასი ან სხვა საზოგადოებრივი ფენა. სახელდობრ, მონათმფლობელურ წესწყობილებაში – მონათმფლობელთა კლასი, ფეოდალურ წესწყობი-ლებაში – ფეოდალთა კლასი, კაპიტალისტურ წესწყობილებაში – კაპიტალისტთა კლასი; ხოლო ე.წ. „სოციალისტურ“ წესწყობილებაში – ვითომდა მუშათა კლასისა და მშრომელთა სახელით – კომუ-ნისტური პარტია. ეს ფორმაციები თანმიმდევრობით ცვლიდნენ ერთ-მანეთს; ასეთივე თანმიმდევრობით იცვლებოდა კაცობრიობის ისტორიაში მმართველი კლასები და ამ კლასების ეკონომიკური და პოლიტიკური ბატონობის უზრუნველყოფელი იარაღი – სახელმწიფო.

სახელმწიფოს ისტორიული ტიპის ცნებაში იგულისხმება ერთსა და იმავე საზოგადოებრივ – ეკონომიკურ ფორმაციაში წარმოშობილი სა-ხელმწიფოები, რომლებიც ერთნაირი სოციალური შინაარსით ხასიათდებიან და გარკვეული კლასის ან ფენის ინტერესებს იცავენ.

სახელმწიფოს ასეთი ისტორიული ტიპებია: მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური და „სოციალისტური“. სახელმწიფოს ისტორიული ტიპის ცნება არკვევს იმ სპეციფიკურ თავისებურებებს, რომლითაც უნდა იქნეს განსხვავებული, მაგალითად, მონათმფლობელური სახელმწიფო ფეოდალურისაგან, ფეოდალური კაპიტალისტურისაგან. ამავე დროს, თითოეული ისტორიული ტიპის სახელმწიფო ინარჩუნებს იმ ზოგად თვისებებსაც, რომლებიც დამახასიათებელია სახელმ-წიფოსათვის საერთოდ და სახელმწიფოს ზოგად ცნებაში შედის. მამასადამე, სახელმწიფოს ზოგადი ცნება აბსტრაქციაა, რომლის

შინაარსი ყოველ კონკრეტულ სახელმწიფოში მქლავნდება.

სახელმწიფოს პირველი სამი ტიპი — მონათმფლობელური, ფეოდალური და კაპიტალისტური (მისი განვითარების პირველ ეტაპზე) სამართლიანად ითვლება ექსპლუატატორულ ტიპებად, ვინაიდან ისინი საზოგადოების უმცირესობის, ექსპლუატატორთა ინტერესებს გამოხატავდნენ და იცავდნენ, მშრომელთა ჩაგვრისა და დათრგუნვის იარაღს წარმოადგენდნენ. მაგრამ განვითარების ბოლო პერიოდის კაპიტალისტური სახელმწიფოს მიმართ ექსპლუატატორულობის შეფასება სინამდვილეს აღარ შეესაბამება. ამ ქვეყნებში მშრომელთა ხანგრძლივმა ბრძოლამ სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, პოლიტიკური უფლებების მოპოვებისათვის სათანადო შედეგი გამოიღო: აღარ შეიმჩნევა ის მკვეთრი დაპირისპირება საზოგადოების სხვადასხვა კლასებს შორის, რომელსაც ადრე ჰქონდა ადგილი, მმართველი წრეები გარკვეულ დათმობებზე წავიდნენ, განხორციელდა პროგრესული რეფორმები, პოლიტიკური რეჟიმების დემოკრატიზაცია, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების დანერგვა.

რაც შეეხება „სოციალისტურ“ სახელმწიფოს, რომელიც ვ.ი.ლენინის თეორიული დასაბუთების საფუძველზე 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შედეგად საბჭოების რესპუბლიკის ფორმით შეიქმნა ყოფილი მეფის რუსეთის თითქმის მთელ ტერიტორიაზე, როგორც განვლილი პერიოდის პრაქტიკამ დაგვანახა, მან ვერ გაამართლა და ვერ განახორციელა გამოცხადებული ლოზუნგები და პრინციპები. არც ეკონომიკურად, არც პოლიტიკურად, არც სოციალურად, არც სახელმწიფო ხელისუფლებაში ხალხის რეალური მონაწილეობისა და ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით საბჭოთა კავშირი, ისევე როგორც სხვა „სოციალისტური“ სახელმწიფოები, სოციალიზმის იდეას არ ასახავდნენ და არც შეიძლება ასეთებად ჩაითვალოს.

მაშ, რომელ ისტორიულ ტიპს უნდა მივაკუთვნოთ ზოგან უკვე გაუქმებული და ჯერ კიდევ არსებული ე.წ. „სოციალისტური სახელმწიფოები“, ანუ იგივე „სოციალიზმის ქვეყნები“? ამ კითხვაზე დამაჯერებელი და დასაბუთებული პასუხის გაცემა რთულია და ჯერ კიდევ ღრმა გააზრებას საჭიროებს. ერთი რამ კი მკაფიოდ გამოიხატა: დასახული მიზანი, სოციალიზმის იდეა განუხორციელებელი აღმოჩნდა და თვალ-

მისაწვდომ მომავალში მის აღორძინებაზე მსჯელობა ახალი უტოპია იქნება. მაგრამ ვინაიდან ათეული წლების მანძილზე ასეთი სახელმწიფოების რეალურად არსებობის გამო მათ შესახებ მსჯელობისა და მათი არსის დახასიათებისას, როგორც ჩანს, უნდა გამოვიყენოთ ტერმინი „ეგრეთწოდებული სოციალისტური სახელმწიფო“, ან „ფსევდოსოციალისტური სახელმწიფო“.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სახელმწიფოთა აშკარად გამოკვეთილი ისტორიული ტიპების გარდა, საზოგადოებრივი განვითარების პროცესში შეიძლება ჩამოყალიბდეს ხოლმე, ასე ვთქვათ, ერთი ისტორიული ტიპიდან მეორეზე „გარდამავალი“ სახელმწიფოებრიობის თავისებური სისტემები. ამ შემთხვევაში კი იმაზეცაა ფიქრი საჭირო და თეორიული დასკვნების გაკეთება – ეს გარდამავლობა თუ გადასვლა რომელი ტიპის სახელმწიფოსაკენ არის გამიზნული და განსახორციელებელი.

აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ სახელმწიფოთა ტიპოლოგიის საკითხისადმი ე.წ. კლასობრივი მიდგომა, რაც ყველაზე მკაფიოდ ახასიათებს მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობას და ბოლო დრომდე ერთადერთ „ჭეშმარიტად მეცნიერულ“ თეორიად ცხადდებოდა, – თანამედროვე პირობებში მიუღებლად, ან კიდევ არასრულყოფილად მიაჩნიათ მათივე მიმდევრებს პოლიტიკურ ლიტერატურაში და, კლასობრივ-ფორმაციულთან შედარებით, სხვა კრიტერიუმებს აძლევენ უპირატესობას. მართლაც, ერთგვარ ცალმხრივობას აქვს ადგილი, როდესაც სახელმწიფოთა არსში განსხვავებების წარმოსაჩენად და ისტორიული ტიპების მიხედვით მათი კლასიფიკაციის დროს მხოლოდ კლასობრიობას ექცევა ყურადღება და მხედველობაში არ მიიღება სხვა ფაქტორები, მაგალითად ის, რომ გარდა მკვეთრად დაპირისპირებული ორი ძირითადი კლასისა, ყურადღების გარეშე რჩებათ უფრო ვიწრო სოციალური ფენების მდგომარეობა, მათი ინტერესები და მათ წინაშე მდგარი მიზნები, აგრეთვე ის ერთგვაროვანი პროცესები და მოვლენები, რომლებსაც ადგილი აქვს სხვადასხვა ფორმაციებში და ა.შ.

ამიტომ, მარქსისტული თეორიის საპირისპიროდ, წარმოიშვა და მეტ-ნაკლები გავრცელება პოვა ახალმა შეხედულებებმა სახელმწიფოთა ტიპოლოგიის შესახებ, რასაც საფუძვლად აქვს დადებული განსაზღვრული დამახასიათებელი ნიშან-თვისებები და მათ

შესაბამისად ხდება სახელმწიფოთა დაჯგუფება და კლასიფიკაცია. მაგალითად, ცივილიზებული და არაცივილიზებული, დემოკრატიული და ავტოკრატიული, სამართლებრივი და არასამართლებრივი სახელმწიფოები. შეიძლება უფრო ეფექტურადაც ჩაითვალოს, თუ ტიპოლოგიის დროს მოხდება სხვადასხვა საკვალიფიკაციო საფუძვლების გარკვეული შეერთება იმის მიხედვით, თუ რომელი მხარე უფრო აინტერესებს პოლიტიკურ მოღვაწეს ან თეორეტიკოსს კონკრეტულ სახელმწიფოთა ჯგუფის არსის, მსგავსებისა და სპეციფიკურობის განსაზღვრისას.

ცალკეული ისტორიული ტიპის ყველა სახელმწიფო, თავისი არსის იგივეობის მიუხედავად, მაინც განსხვავდება ერთმანეთისაგან მთელი რიგი ნიშნებით, რაც პოითხოვს მათ კლასიფიკაციას თვით ისტორიული ტიპის შიგნითაც. ამ განსხვავებების გამო იურიდიულ ლიტერატურაში შემოღებულია სახელმწიფოს ფორმის ცნება, რომლის მიხედვითაც გარკვეული პრინციპებითა და ნიშნებით ხდება სახელმწიფოთა კლასიფიკაცია ერთი ტიპის საზოგადოებრივი ფორმაციის, ერთი ისტორიული ტიპის სახელმწიფოს შიგნით.

ისევე როგორც ყოველ მოვლენას აქვს თავისი შინაარსი და ფორმა, თანაც ერთი და იმავე შინაარსის მოვლენა შესაძლებელია სხვადასხვა ფორმით მოგვევლინოს, ასევე, ერთი და იმავე კლასობრივი არსის სახელმწიფო შეიძლება სხვადასხვა ფორმით არსებობდეს. მეორე მხრივ, შესაძლებელია გარეგნული ნიშნების მიხედვით სახელმწიფოები თავისი ფორმით ემსგავსებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ თავისი შინაარსით სულ სხვადასხვა ტიპს მიეკუთვნებოდნენ. მაშ, რის მიხედვით უნდა განისაზღვროს სახელმწიფოს ფორმა, რა ნიშნებით უნდა მოხდეს სახელმწიფოთა ფორმების კლასიფიკაცია, სახელმწიფოს როგორი ფორმები არსებობს და რომელი სახელმწიფო უნდა მიეკუთვნებოდეს ამა თუ იმ ფორმას?

ჩვეულებრივ, სახელმწიფოს ფორმის ცნებას უკავშირებენ ორ დამოუკიდებელ ცნებას: მართვა-გამგეობის ფორმას და სახელმწიფო წყობილების ფორმას.

მ ა რ თ ვ ა - გ ა მ გ ე ო ბ ი ს ფორმაში იგულისხმება სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სტრუქტურა, მათი შექმნის წესი და უფლებამოსილება. მართვა-გამგეობის ფორმის

მიხედვით სახელმწიფოებს ძირითადად ყოფენ მონარქიებად და რესპუბლიკებად.

მონარქიის დროს სახელმწიფოს მეთაური ერთი პიროვნებაა — მონარქი (იგი შეიძლება იწოდებოდეს ფარაონად, მეფედ, იმპერატორად, შაჰად და ა.შ.). ამასთან, მონარქის ხელისუფლება შესაძლებელია შეუზღუდველი იყოს, როგორც, მაგალითად, ძველი აღმოსავლეთის დესპოტიებში ან კიდევ ფეოდალიზმის ეპოქის აბსოლუტურ მონარქიებში. მაგრამ შესაძლებელია მონარქის ხელისუფლება შეზღუდული იყოს რომელიმე სხვა ორგანოს მიერ, როგორც მაგალითად, ფეოდალიზმის ეპოქის წოდებრივ-წარმომადგენლობით მონარქიებში (გენერალური შტატები საფრანგებში) და კაპიტალიზმის ეპოქის კონსტიტუციურ მონარქიებში (პარლამენტები ზოგიერთ ქვეყანაში).

რესპუბლიკის დროს უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება რომელიმე, გარკვეული ვადით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს ხელშია. მაგალითად, სენატი — ძველ რომში რესპუბლიკის პერიოდში, პარლამენტი — ბურჟუაზიულ წყობილებაში, ქალაქ-რესპუბლიკები — ფეოდალიზმის ეპოქაში, უზენაესი საბჭო — ყოფილ სსრ კავშირში, პარლამენტი — თანამედროვე საქართველოში.

ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ი ს ფორმაში იგულისხმება სახელმწიფოს შინაგანი აგებულების ტერიტორიულ-ორგანიზაციული თავისებურებანი, ის ურთიერთდამოკიდებულება, რაც არსებობს სახელმწიფოს, როგორც მთელსა და მის შემადგენელ ნაწილებს შორის, ხელისუფლების ცენტრალურსა და ადგილობრივ ორგანოებს შორის. სახელმწიფო წყობილების ფორმის მიხედვით, ქვეყნებს ძირითადად ყოფენ მარტივ და რთულ სახელმწიფოებად:

მარტივ ანუ უ ნ ი ტ ა რ უ ლ სახელმწიფოში არსებობენ ძირითადად მთელი ქვეყნისათვის საერთო, ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები; სახელმწიფო იყოფა პირობითად მინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად, რომლებსაც ცალ-ცალკე არა აქვთ სახელმწიფოებრიობის ძირითადი ნიშნები. თანამედროვე პირობებში ასეთი ცენტრალიზებული სახელმწიფოები არიან, მაგალითად: საფრანგეთი, იტალია, ბელგია, უნგრეთი, ბულგარეთი და სხვ.

რთული ანუ ფ ე დ ე რ ა ც ი უ ლ ი ა ე.წ. საკავშირო

სახელმწიფოები, რომლებიც დაყოფილნი არიან გარკვეული, მეტი თუ ნაკლები დამოუკიდებლობის მქონე სახელმწიფოებრივ ერთეულებად. ფედერაციაში შემავალ თითოეულ წევრ-სახელმწიფოს გააჩნია ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები, რომლებიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებენ შესაბამის ტერიტორიაზე, მაგრამ საბოლოოდ მაინც ემორჩილებიან მთელი ფედერაციისათვის საერთო, მმართველობისა და ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს. ბურჟუაზიული ქვეყნებიდან ფედერაციულ სახელმწიფოებს წარმოადგენენ მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, შვეიცარია, ხოლო ყოფილი „სოციალისტური“ ქვეყნებიდან ფედერაციები იყო ყოფილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია.

ფედერაციისაგან, როგორც საკავშირო სახელმწიფოსაგან, განასხვავებენ კონფედერაციას, ანუ სახელმწიფოთა კავშირს; ამ დროს ადგილი აქვს სახელმწიფოთა საქმიანობის გაერთიანებას ერთ ან რამდენიმე დარგში (სამხედრო, სავაჭრო, საფინანსო და სხვ.), რისთვისაც ამ დარგებისათვის დროებით იქმნება საერთო ორგანოები, გამომუშავდება საერთო პოლიტიკა, გამოიყოფა საერთო ფონდები და ა.შ. თანამედროვე პირობებში კონფედერაცია არ შეიძლება ეწოდოს რომელიმე სახელმწიფოს, მაგრამ ისტორიულად კონფედერაციას წარმოადგენდნენ ამერიკის შეერთებული შტატები, სანამ იქ ფედერაციული წყობილება დამყარდებოდა (1776-დან 1787 წლამდე), ასევე – შვეიცარია 1848 წლამდე, კონფედერაცია იყო გერმანიაც 1815-დან 1864 წლამდე.

სახელმწიფო წყობილების ფორმის მიხედვით, რთულ სახელმწიფოდ ითვლება აგრეთვე იმპერია. ასე ეწოდებოდა სხვადასხვა ეპოქაში არსებულ ზოგიერთ მონარქიულ ქვეყანას, რომელთა სათავეში იდგა იმპერატორი. ისტორიულად პირველი იმპერია იყო რომის სახელმწიფო რესპუბლიკური წყობილების ლიკვიდაციის შემდეგ (ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნიდან ამ სახელმწიფოს დაცემამდე). ამის შემდეგ აღმოსავლეთში იმპერია შეინარჩუნეს ბიზანტიაში, ხოლო დასავლეთში იგი აღადგინა საფრანგეთის მონარქმა კარლოს დიდმა IX საუკუნის დასაწყისში. X საუკუნიდან გერმანელმა მეფეებმა ჩრდილოეთ იტალიის დაპ-

ყრობის შემდეგ თავის სახელმწიფოს უწოდეს რომის წმინდა იმპერია. XV საუკუნიდან დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა ავსტრიის იმპერია, ხოლო რუსეთი იმპერიად იწოდებოდა პეტრე I-ის მეფობის დროიდან 1917 წლის თებერვლამდე. იმპერატორად გამოაცხადა თავისი თავი ნაპოლეონ ბონაპარტემ (ე.წ. პირველი იმპერია), ხოლო შემდეგ – ნაპოლეონ III-მ (მესამე იმპერია). ეს იმპერიები უმთავრესად სხვადასხვა სახელმწიფოს და ხალხების ძალდატანებით შემოერთების თუ გაერთიანების გზით იქმნებოდა და მათი ცალკეული ნაწილების დამოკიდებულება ცენტრალური ხელისუფლებისაგან ერთნაირი არ იყო. კოლონიური ბატონობის განხორციელებისათვის სახელმწიფოს მოწყობის თავისებურ მაგალითს წარმოადგენდა ბრიტანეთის იმპერია, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში განვითარების სხვადასხვა პერიოდში სახელმწიფოთა მეთაურებს იმპერატორის ტიტულები ენიჭებოდა, თუმცა ისინი თავიანთი წყობილების მხრივ რთულ სახელმწიფოებს არ წარმოადგენდნენ: ჩინეთი, მექსიკა, ეთიოპია, იაპონია (დღემდე).

სახელმწიფოთა დაყოფა მართვა-გამგეობის ფორმებისა და სახელმწიფო წყობილების ფორმების მიხედვით, თითოეული მათგანის კლასიფიკაცია და შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს ჩამოვყალიბოთ სახელმწიფოს ფორმის ზოგადი ცნება:

სახელმწიფოს ფორმა ეწოდება საზოგადოებაში გაბატონებული ფენის მიერ თავისი ძალაუფლების განხორციელებისათვის დადგენილ ან ხალხის მიერ არჩეულ სახელმწიფოებრივი ორგანოების სტრუქტურასა და ორგანიზაციას, რაც გამოხატულებას პოულობს მართვა – გამგეობის ფორმასა და სახელმწიფო წყობილების ფორმაში.

იურიდიულ ლიტერატურაში სახელმწიფოს ფორმის, კერძოდ, მართვა-გამგეობის და სახელმწიფო წყობილების ფორმის ცნებებს უკავშირებენ აგრეთვე პოლიტიკური რეჟიმის ცნებას.

პოლიტიკურ რეჟიმს განსაზღვრავენ, როგორც მმართველი ფენების მიერ გამოყენებულ მეთოდებს, ხერხებსა და საშუალებებს თავისი ბატონობის უზრუნველსაყოფად და განსახორციელებლად, ან

კიდევ, როგორც ამ მეთოდებისა და ხერხების გამოყენების შედეგად სახელმწიფოში დამყარებულ წესრიგს.

პოლიტიკური რეჟიმის ხასიათის შეფასებისას, ფაქტიურად, არკვევენ — რამდენად დემოკრატიულია სახელმწიფოს ფორმა, შენიღბულად თუ აშკარად ახორციელებს მმართველი ფენა თავის პოლიტიკურ ბატონობას, ქმნის თუ არა მოქალაქეთა უფლებების დაცვის შესაძლებლობას. ეს კი, როგორც უკვე ითქვა, ყველაზე უფრო კარგად მულაენდება მართვა-გამგეობისა და სახელმწიფო წყობილების ფორმებში. სახელმწიფოს ფორმა შეიძლება ჩაითვალოს დემოკრატიულად ან ანტიდემოკრატიულად, პირველ ყოვლისა, სწორედ იმის მიხედვით, თუ როგორია მისი მართვა-გამგეობის ფორმა და სახელმწიფო წყობილების ფორმა, რამდენად მონაწილეობენ მასები ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების შექმნასა და საქმიანობაში, რამდენად სარგებლობენ სახელმწიფოში შემავალი ავტონომიური ერთეულები დამოუკიდებლობის უფლებით, დაცულია თუ არა კანონიერების პრინციპი და ა.შ. აქედან ცხადია, რომ სახელმწიფოს ფორმაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პოლიტიკური რეჟიმიც.

სახელმწიფოს პოლიტიკურ რეჟიმზე მსჯელობისას, ჩვეულებრივ, მიუთითებენ ფ ა შ ი ს ტ უ რ ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ზ ე, როგორც კაპიტალისტური სახელმწიფოს პოლიტიკურ რეჟიმზე, რომლის დროსაც გამოყენებული იყო პოლიტიკური ბატონობის ახალი, აშკარად ტერორისტული, შოვინისტური მეთოდები. ასეთი მსჯელობა არ უნდა იყოს სრული, ვინაიდან ფაშისტურ სახელმწიფოებში, მართალია, ფორმალურად შენარჩუნებული იყო ბურჟუაზიული დემოკრატიისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ორგანო, მაგრამ ისინი, ფაქტიურად, მოკლებული იყვნენ ყოველგვარ მნიშვნელობას და მთელი ძალაუფლება თავმოყრილი იყო მეთაურთა ბრბოს და მათი ბელადის ხელში. ასე მაგალითად, გერმანიაში ფაშისტების დროს აღარ არსებობდა რესპუბლიკური მართვა-გამგეობის ფორმა, ვინაიდან რაიხსტაგი, ფაქტობრივად, გაუქმებული იყო და სახელმწიფოს სათავეში იდგა ერთი პირი — ფიურერი.

ამრიგად, ფაშისტური პოლიტიკური რეჟიმი გერმანიასა და იტალიაში ბურჟუაზიული სახელმწიფოს განსაკუთრებული ფორმა იყო. მისი წარმოშობის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ამ ქვეყნების

მმართველ ფენებს აღარ შეეძლოთ ებატონათ პარლამენტარიზმისა და ბურჟუაზიული დემოკრატიის ძველი მეთოდებით, რომ ისინი იძულებულნი იყვნენ მიემართათ მმართველობის ტერორისტული მეთოდებისათვის. ე.ი. ფაშიზმი უნდა განვიხილოთ როგორც ბურჟუაზიული დემოკრატიისა და პარლამენტარიზმისაგან განსხვავებული თავისებური ფორმა.

რაც შეეხება ე.წ. სოციალისტური ტიპის სახელმწიფოთა პოლიტიკურ რეჟიმს, კომუნისტური იდეოლოგიები მას აცხადებდნენ თანმიმდევრული დემოკრატიზმის ნიმუშად. მაგრამ თანდათან გამომჟღავნდა მისი რეაქციული შინაარსი და ანტიდემოკრატიულობა. ამიტომ საბჭოთა სახელმწიფოს და სხვა ე.წ. „სოციალისტური“ ქვეყნების პოლიტიკური რეჟიმიც უკიდურესად რეაქციული და არადემოკრატიული იყო.

სახელმწიფოს ფორმის ცნების განსაზღვრის შემდეგ უნდა გაირკვეს, თუ რით აიხსნება ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო თ ა ფ ო რ მ ე ბ ი ს ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ო ბ ა და რით არის გამოწვეული ერთი და იმავე ტიპის სახელმწიფოს სხვადასხვა ფორმების არსებობა? იმისათვის, რომ გავიგოთ სახელმწიფოს ფორმათა ნაირსახეობის მიზეზები, ფორმის საკითხი უნდა დავაკავშიროთ, პირველ ყოვლისა, სახელმწიფოს ტიპის საკითხთან, ვინაიდან საბოლოოდ სახელმწიფოს სოციალური შინაარსი განსაზღვრავს მის ფორმას. ასე მაგალითად, ექსპლუატატორული ტიპის ყველა სახელმწიფოში გაბატონებული კლასი მიზნად ისახავს რაც შეიძლება მეტად ჩამოაშოროს ხალხის ფართო ფენები სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეებს, რისთვისაც იგი სათანადო პოლიტიკურ ფორმებს იყენებს. დემოკრატიულ სახელმწიფოებში, პირიქით, იქმნება სახელმწიფოს ისეთი ფორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოების წევრთა მეტ-ნაკლებად ფართო მონაწილეობას ქვეყნის მართვა-გამგეობაში.

მაგრამ, როგორც უკვე აღინიშნა, ერთი და იგივე გაბატონებული კლასი ხშირად სხვადასხვა პოლიტიკურ ფორმებს იყენებს თავისი ბატონობის განსახორციელებლად. ეს გარემოება გამოწვეულია, პირველ ყოვლისა, სხვადასხვა ქვეყანაში ან კიდევ ერთი და იმავე ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე კლასობრივ-პოლიტიკური ბრძოლის

ხასიათის თავისებურებებით, წინააღმდეგობების სიმწვავის სხვადასხვა დონით და ქვეყნის შიგნით დაპირისპირებულ ძალთა თანაფარდობის სხვადასხვაობით ან ცვლილებებით. ყოველივე ეს თავის გამოხატულებას პოულობს სწორედ სახელმწიფოს ფორმაში, ე.ი. გაბატონებული ფენის მიერ კონკრეტული ვითარებისადმი შესაბამისი მეთოდებისა და გზების გამონახვაში თავისი ძალაუფლების განხორციელებისათვის. სახელმწიფოს ფორმაზე შესაძლებელია გავლენა მოახდინოს აგრეთვე საგარეო-პოლიტიკურმა მდგომარეობამ, ქვეყნის ეკონომიკურმა და კულტურულმა ურთიერთობამ სხვა სახელმწიფოებთან და ხალხებთან. ამასთან, ცხადია, ეს გავლენა შეიძლება პროგრესულიც იყოს და რეაქციულიც. შესაძლებელია, სახელმწიფოს ფორმაზე გავლენას ახდენდეს ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის კულტურული დონე და ის ტრადიციები, რომლებიც მას გააჩნია სახელმწიფოს ამა თუ იმ ფორმის დამყარების თვალსაზრისით.

ყველა დასახელებულ შემთხვევაში, ერთი და იმავე საზოგადოებრივი ფორმაციის შიგნით, სახელმწიფოს ფორმათა სხვადასხვაობის მიუხედავად, ამ სახელმწიფოთა არსი ძირითადად უცვლელი რჩება.

§3. სახელმწიფოს ფუნქციები და სახელმწიფოს მქმნიანი

სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური ძალაუფლების იარაღის, ამოცანების განხორციელება ხდება მისი საქმიანობის პროცესში.

სახელმწიფოს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, უმნიშვნელოვანეს სახეებსა და მხარეებს, რაც მისი სოციალური შინაარსითა და მის წინაშე მდგარი ამოცანებით განისაზღვრება, სახელმწიფოს ფუნქციები ეწოდება.

ვინაიდან სახელმწიფოს საქმიანობის სფერო მეტად ფართოა და მოიცავს როგორც სამხედრო საქმისა და საერთაშორისო ურთიერთობის, ისევე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების, იდეო-

ლოგისა და ეკონომიკის საკითხებს, მისი მიმართულებებიც, ე.ი. სახელმწიფოს ფუნქციები მრავალია. ყველა ისინი გამოხატავენ მოცემული სახელმწიფოს არსსა და მის ამოცანებს. მაგრამ ზოგიერთი მათგანი საერთო ხასიათის უმნიშვნელოვანესი ამოცანების განხორციელებას ემსახურება და სახელმწიფოს ძირითად ფუნქციებს შეადგენენ, ზოგიერთი კი კონკრეტული, ვიწრო ხასიათის ამოცანების განხორციელებასთანაა დაკავშირებული და არაძირითად ფუნქციებს წარმოადგენენ, როგორც ცალკეული ძირითადი ფუნქციის შემადგენელი ელემენტები.

გარდა ამისა, ყოველი სახელმწიფოს საქმიანობის ორი სხვადასხვა სფეროს შესაბამისად, მისი ფუნქციები იყოფა სამინაო და საგარეო ფუნქციებად. საშინაო ფუნქციები მოიცავს სახელმწიფოს საქმიანობას ქვეყნის შიგნით პოლიტიკური, სამეურნეო და იდეოლოგიური ხასიათის საკითხების გადასაწყვეტად, ხოლო საგარეო ფუნქციები გამოხატავენ სახელმწიფოს საქმიანობას სხვა ქვეყნებთან დამოკიდებულებასა და მათთან ურთიერთობაში.

გარდა აღნიშნული კლასიფიკაციისა, განასხვავებენ ხოლმე სახელმწიფოს მუდმივ ფუნქციებსა (მისი განვითარების ყველა ეტაპზე მოქმედს) და დროებით ფუნქციებს (წარმოშობილს რაიმე განსაკუთრებული კონკრეტული მიზნისათვის და მის მიღწევამდე არსებულს).

თავისი სოციალური დანიშნულებისა და, მაშასადამე, თავისი ფუნქციების განხორციელებისათვის სახელმწიფო მოწყობილია როგორც ხელისუფლების მეტად რთული ორგანიზაცია. სახელმწიფოს ცნების განსაზღვრისას იურიდიულსა და პოლიტიკურ ლიტერატურაში სახელმწიფოს ხშირად უწოდებენ „მანქანას“, „აპარატს“ და ა.შ. ამგვარი გამოთქმებით ხაზგასმულია, ჯერ ერთი, ის გარემოება, რომ სახელმწიფო წარმოადგენს გარკვეულ სმუალებას ადამიანთა ერთი ჯგუფის — გაბატონებული კლასის ან ფენის ხელში, რომელიც წარმართავს მის საქმიანობას და გამოიყენებს მას დასახული მიზნების განხორციელებისათვის. მეორე გარემოება, რაც ხაზგასმულია მოყვანილ გამოთქმებში, ისაა, რომ სახელმწიფო რთული მოვლენაა, რომ იგი შედგება სხვადასხვა ნაწილებისაგან, რომ ეს ნაწილები მჭიდროდ არიან

ერთმანეთთან დაკავშირებულნი და ერთ მთლიანობას შეადგენენ. სახელმწიფოს სტრუქტურის დასახელებულ თავისებურებებთან დაკავშირებით იურიდიულ მეცნიერებაში მიღებულია სახელმწიფოს მექანიზმის ცნება.

სახელმწიფოს მექანიზმი ეწოდება სხვადასხვა ორგანოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების სისტემას, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო ახორციელებს თავის საშინაო და საგარეო ფუნქციებს.

სახელმწიფოს მექანიზმის შემაღგენელ ნაწილებში — სხვადასხვა ორგანოებსა და დაწესებულებებში, რა თქმა უნდა, იგულისხმება ადამიანთა სპეციალური კატეგორიის საქმიანობა და ის მატერიალური საშუალებანი, რომლებიც აუცილებელია ამ რთული სისტემის მოქმედებისათვის მისთვის დასახული მიმართულებით. უნდა აღინიშნოს კიდევ ერთხელ, რომ მიუხედავად თავისი სირთულისა და შემაღგენელი ნაწილების სიმრავლისა, სახელმწიფოს მექანიზმი ერთ მთლიანობას შეადგენს, რამდენადაც მისი დანიშნულება და მთელი საქმიანობის ხასიათი მმართველი ფენის გასახელმწიფოებრივებული ნებით განისაზღვრება.

სახელმწიფოს მექანიზმის ცალკეულ ნაწილებს მიეკუთვნება:

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც სახელმწიფოს პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ და უშუალოდ მოსახლეობის მიერ იქმნებიან ამა თუ იმ ქვეყანაში დადგენილი წესის შესაბამისად. უმეტეს შემთხვევაში ეს არის არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანოები; თავის მხრივ, ისინი იყოფიან ცენტრალურ, ანუ უმაღლეს და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებად;

სახელმწიფო მმართველობის, ანუ ადმინისტრაციული ორგანოები, რომლებსაც, როგორც წესი, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ქმნიან სხვადასხვა გზით (არჩევით ან დანიშნით);

სასამართლო ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ მართლმსაჯულებას;

პროკურორისა და სხვა საკონტროლო-საზედამხედველო ორგანოები;

ადამიანთა შეიარაღებული ფორმირებანი (არმია, პოლიცია, ჟანდარმერია და სხვ.). მათგან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არმიას, ჯარს, რომელიც ემსახურება არა მარტო საგარეო ფუნქციების განხორციელებას, არამედ, საჭირო შემთხვევაში, საშინაო პრობლემების გადაწყვეტასაც (მაგ. არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლების, საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი დარღვევების დროს და სხვ.).

ნებისმიერი სახელმწიფოს მექანიზმი, თავის მხრივ, საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი, მაგრამ მთავარი შემადგენელი ნაწილია. ამ ცნებაში, სახელმწიფოსა და ყველა მისი ორგანოს გარდა, იგულისხმება სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და კავშირები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ სახელმწიფოებრივ საქმეთა განხორციელებაში ან გარკვეულ გავლენას ახდენენ სახელმწიფო ხელისუფლების ფორმირებასა და ფუნქციონირებაზე. ასეთებია, მაგალითად, პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირები, კოოპერაციული ორგანიზაციები, სოციალურ-კულტურული საზოგადოებები, მშრომელთა კოლექტივები, ეკლესია (განსაკუთრებით, ფეოდალური წესწყობილების დროს და სხვ.).

§4. სახელმწიფო და დემოკრატია

დემოკრატია სოციალური მოვლენაა, ისტორიული კატეგორიაა. თვით სიტყვა დემოკრატია ბერძნული წარმოშობისაა და ხალხის მმართველობას, ხალხის ძალაუფლებას ნიშნავს. მან მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ყველა ხალხის ენაში და ამჟამად გაცილებით ფართო მნიშვნელობით იხმარება, ვიდრე ძველ საბერძნეთში.

პირველ ყოვლისა, დემოკრატია დაკავშირებულია საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის, სახელმწიფოს ფორმის, ხელისუფლების მოწყობისა და განხორციელების საკითხებთან. მართალია, ლაპარაკობენ ხოლმე ე.წ. პირველყოფილ დემოკრატიაზეც გვაროვნულ წყობილებაში, მაგრამ ამ შემთხვევაში სიტყვა დემოკრატიას პირობითი მნიშვნელობა აქვს და, კლასობრივი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ცნების მეშვეობით, უკლასო საზოგადოების ზოგიერთი თავისებურების ასახსნელად გამოიყენებენ.

ყოველ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში ცალკეულ კლასებს განსხვავებული შეხედულებები აქვს დემოკრატიაზე, მისი განხორციელების გზებსა და მეთოდებზე. მაგალითად, მონათ-მ ფ ლ ო ბ ე ლ უ რ ი წ ე ს წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ი ს დ რ ო ს გაბატონებულ მონათმფლობელთა კლასის გაგებით, დემოკრატია ნიშნავდა ამ კლასის ფართო ფენების მონაწილეობას სახელმწიფო საქმეების უშუალო მართვაში, რათა სახელმწიფო ხელისუფლების მეშვეობით წარმატებით განეხორციელებინათ საზოგადოების ექსპლუატირებული უმრავლესობის, მონების დათრგუნვის ამოცანა.

ფ ე ო დ ა ლ უ რ ი წ ე ს წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ი ს დ რ ო ს გაბატონებულ ფეოდალთა კლასის წარმოდგენით სამართლიანობა და წესრიგი ნიშნავდა მათი პრივილეგიების უზრუნველყოფას და ყმა-კლევების უუფლებო მდგომარეობის დაკანონებას, აგრეთვე თვით გაბატონებული კლასის წევრთა შორის იერარქიული ურთიერთ-დამოკიდებულების დაცვას.

ბ უ რ ყ უ ა ზ ი უ ლ ი წ ე ს წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ი ს დ რ ო ს გაბატონებულ კლასს, კაპიტალისტებს დემოკრატიად თავიდანვე მიაჩნდა, პირველ ყოვლისა, ადამიანთა შორის ფორმალური თანასწორობა, კანონის წინაშე პიროვნების თანასწორობა. მაგრამ, თუ ამ საზოგადოებრივი წესწყობილების განვითარების პირველ ეტაპზე აღიარებული ფორმალური თანასწორობა ამკარა, ფაქტიური, უთანასწორობის პირობებში არსებობდა, შემდგომში მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში ვითარება შეიცვალა: განხორციელდა პოლიტიკური რეჟიმების დემოკრატიზაცია, მოსახლეობის დიდი ნაწილი მონაწილეობს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა არჩევნებში, მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილია მოქალაქეთა უფლებები, დაინერგა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები.

რაც შეეხება ე.წ. ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა ს, რომლის არსებობა გამოცხადებული იყო 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ რუსეთში და მოგვიანებით — ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, რეალური, ნამდვილი დემოკრატიისაგან ძალიან შორს აღმოჩნდა. სოციალისტური დემოკრატია, ჭეშმარიტი დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს ა ნ ტ ი პ ო დ ს წარმოადგენდა.

ამაში თავისი მწარე გამოცდილებით დარწმუნდნენ თვით ამ ქვეყნების ხალხები და მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა.

სახელმწიფო ორგანოთა შექმნასა და მათ საქმიანობაში მონაწილეობასთან ერთად დემოკრატიის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად ითვლება მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებების აღიარება და რეალური განხორციელება. ხოლო ცალკეულ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ხმების უმრავლესობით საკითხების გადაწყვეტის წესის არსებობაც ქვეყანაში დემოკრატიის არსებობაზე მეტყველებს.

ამრიგად, დემოკრატიის პოლიტიკური გაგება და შინაარსი არ შეიძლება დაყვანილ იქნეს მხოლოდ უმრავლესობისადმი უმცირესობის დამორჩილებამდე. დემოკრატია, პირველ ყოვლისა, სახელმწიფოს თავისებური ფორმაა, რომელსაც სხვადასხვა ისტორიულ პირობებში და სხვადასხვა წესწყობილების დროს განსხვავებული შინაარსი ეძლევა. თანასწორობის აღიარებაც უკვე დემოკრატიაა, ხოლო რამდენად რეალური და რამდენად ფართოა თანასწორობა, ეს უკვე საკითხის მეორე მხარეა.

ასეთსა და მსგავს საკითხებზე მსჯელობისას კი გამოიყენება ისეთი ცნებები, როგორცაა რეალური და ფორმალური დემოკრატია, წარმომადგენლობითი და უშუალო დემოკრატია, დემოკრატიის უზრუნველყოფა, დემოკრატიის მატერიალური და იურიდიული გარანტიები, დემოკრატიული და არადემოკრატიული /რეაქციული/ რეჟიმები და ა.შ. აზრთა სხვადასხვაობა თითოეული ამ საკითხის შინაარსის გაგებასა და შეფასებაში განაპირობებს საზოგადოების წევრთა დამოკიდებულებას დემოკრატიისადმი კონკრეტულ ქვეყანაში და კონკრეტულ ვითარებაში.

სახელმწიფოსა და დემოკრატიის ურთიერთმიმართება მკაფიოდ არის გამოხატული სამართლებრივი სახელმწიფოს ცნებაში.

ს ა მ ა რ თ ლ ე ბ რ ი ვ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ცნება ფართოდ გამოიყენება თანამედროვე სახელმწიფოების კანონმდებლობაში და ოფიციალურ პოლიტიკურ იდეოლოგიაში, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომელთა პოლიტიკური სისტემებისათვის დამახასიათებელია მმართველობის დემოკრატიული ფორმების დამკვიდრების, დაცვისა და სრულყოფის მისწრაფება. სწორედ ამ საფუძვლით არის განსაზღვრული თანამედროვე საქართველოს

სახელმწიფოებრიობის არსი მისი 1995 წლის კონსტიტუციის პრეამბულაში: „საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი ნებაა დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა, ეყრდნობიან რა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს, საქვეყნოდ აცხადებენ ამ კონსტიტუციას“.

ცხადია, ეს დებულება გარკვეულ პროგრამულ ელემენტებს შეიცავს, ვინაიდან მიზანი ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ მიღწეული.

ცნება „სამართლებრივი სახელმწიფო“, პირველ ყოვლისა, გამოხატავს სახელმწიფოს საქმიანობას სამართლის ფარგლებში, სახელმწიფოს ერთგვარად შებოჭვას სამართლით, კანონით. ამიტომაც ამბობენ, რომ სამართლებრივია ისეთი სახელმწიფო, სადაც ზეიმობს კანონი, სადაც უზრუნველყოფილია კანონის უზენაესობა. მართალია, კანონებს, სამართლის ნორმებს სახელმწიფო ქმნის საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნილებების შესაბამისად, მაგრამ უკვე მიღებული კანონების დაცვა, მათ საფუძველზე მოქმედება, მოქალაქეებთან ერთად, პირველ რიგში, ეკისრება თვით სახელმწიფოს მისი ორგანოების სახით. ამასთან, სწორედ მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, პიროვნების თავისუფლების უზრუნველყოფა სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარი დამახასიათებელი ნიშანი უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში მოქალაქეებსა და სახელმწიფოს გააჩნიათ ერთმანეთის მიმართ უფლებები და ამავე დროს ეკისრებათ ურთიერთპასუხისმგებლობა.

ს ა მ ა რ თ ლ ე ბ რ ი ვ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო , რომლის ჩამოყალიბების პროცესი მეტ-ნაკლებად ხანგრძლივ დროს საჭიროებს, გულისხმობს ქვეყანაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობის რეგულირებას დროის მოთხოვნათა გამომხატველი ნორმების, სათანადო კანონმდებლობის შესაბამისად და პიროვნების

უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად. ამიტომ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად იქცევა სამართალდარღვევათა თავიდან აცილება და ასეთი დარღვევებისათვის იურიდიული პასუხისმგებლობის დადგენა.

სახელმწიფოსა და დემოკრატიის ურთიერთდამოკიდებულებასთან დაკავშირებით სამართლებრივი სახელმწიფოს ცნებასთან ერთად გამოიყენება კიდევ უფრო ახალი ცნება — სოციალური სახელმწიფო. ჩვეულებრივ, სიტყვა „სოციალური“ საერთოს, საზოგადოებრივს ნიშნავს და იგი გამოიყენება, მაგალითად, „სოციალური ნორმების“, „სოციალური უფლებების“, „სოციალური მოვლენების“, „სოციალურ-ეკონომიკური წესწყობილების“ მიმართ და ა.შ. მაგრამ, როდესაც ლაპარაკია სოციალურ სახელმწიფოზე, ეს უკვე სხვა კონტექსტია, სპეციალური ტერმინია, რომლის შინაარსი გამოხატავს სახელმწიფოს განსაკუთრებულ როლს სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პირობებში.

სამართლებრივ სახელმწიფოსთან ერთად სოციალური სახელმწიფოს დამკვიდრების ამოცანის შესახებ ჩვენს ქვეყანაში, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, პირდაპირ არის მითითებული საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის პრეამბულაში. უფრო ადრე ეს პრინციპი დაფიქსირებულ იქნა ევროპის მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების /საფრთხეით, იტალია, შვეიცია და სხვ./ კონსტიტუციებში. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა დემოკრატიული პრინციპების განხორციელებასთან ერთად სახელმწიფო მკვეთრად უნდა იყოს ორიენტირებული სოციალური ფუნქციების შესრულებაზე. პრიორიტეტი უნდა მიეცეს საზოგადოების წევრთა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებების დაცვას, თანასწორობის და სამართლიანობის უზრუნველყოფას. ეს პრინციპები აღიარებულია არა მარტო ცალკეული ქვეყნების კონსტიტუციებში, არამედ საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებში. ასე მაგალითად, „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში“, რომელიც 1948 წლის 10 დეკემბერს მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ“, ჩაწერილია შემდეგი: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე საკვების, ტანსაცმლის, სამედიცინო მოვლისა და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რაც აუცილებელია თვითონ მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად და უფლება უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმე-

ოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუცებულობის ან მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არსებობის საშუალებათა დაკარგვის სხვა შემთხვევაში“ /მუხლი 25/.

ნიშანდობლივია, რომ გაეროს მიერ 1966 წლის 16 დეკემბერს მიღებულ და მის წევრ-სახელმწიფოთა მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო პაქტში „ეკონომიკურ-სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ“ ყოველ ამ სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას „მის განკარგულებაში არსებული რესურსების მაქსიმალური გამოყენებით განახორციელოს ღონისძიებანი, რათა უზრუნველყოს ამ პაქტით აღიარებული უფლებების თანდათანობით სრული განხორციელება ყველა სათანადო საშუალებით, მათ შორის, კერძოდ, საკანონმდებლო ზომების მიღებით. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები იძლევიან იმის გარანტიას, რომ ამ პაქტით გამოცხადებული უფლებები განხორციელდება რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მრწამსის, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების ან სხვა გარემოებათა მიხედვით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე“ /მუხლი 2/.

სოციალური და, იმავდროულად, სამართლებრივი სახელმწიფო დაფუძნებულია სამოქალაქო საზოგადოებაზე და ფუნქციონირებს მის ფარგლებში. თუ გავითვალისწინებთ, რომ საერთოდ საზოგადოება სხვადასხვა სახის ურთიერთობებით დაკავშირებულ ადამიანთა გარკვეული ერთობლიობაა ამა თუ იმ ქვეყანაში და განვითარების ამა თუ იმ პერიოდში, — სამოქალაქო საზოგადოების ცნება მოიცავს მის ახალ დამახასიათებელ ნიშნებს და პრინციპებს. მთავარი და მისთვის სპეციფიკურია ის, რომ სამოქალაქო საზოგადოებაში პრიორიტეტი ეძლევა თვითრეგულირებას მისი წევრების მიერ სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ, ეროვნულ და პიროვნულ ურთიერთობათა განხორციელების პროცესში. ეს სრულიადაც არ გულისხმობს სახელმწიფოს როლის დაკნინებას; პირიქით, სოციალური, სამართლებრივი სახელმწიფო თავისი სოციალური ფუნქციების შესრულებისას ხელს უნდა უწყობდეს სამოქალაქო საზოგადოების პრინციპების განმტკიცებას და განვითარებას. მაგრამ საბოლოოდ მაინც უნდა ითქვას, რომ ნებისმიერი საზოგადოების შინაარსის განმსაზღვრელია მისი ეკონომიკური საფუძველი და საკუთრების ფორმა; სამოქალაქო საზოგადოების საფუძველია კერძო საკუთრება.

მ ე ს ა მ ე თ ა ვ ი

სამართლის არსი

§1. სამართლის ცნება

სამართალი, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ურთულესი საზოგადოებრივი მოვლენა, თავისი წარმოშობის მიზეზებით, შინაარსით, დანიშნულებითა და ისტორიული ბედით განუყოფლადაა დაკავშირებული სახელმწიფოსთან.

სამართლის მეცნიერული შემეცნებისა და მის არსში გარკვევის სურვილი თავიდანვე არსებობდა ნებისმიერი ქვეყნისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფენების წარმომადგენელთა შორის. მაგრამ ამ ამოცანის გადაწყვეტა და საყოველთაოდ აღიარებული შეხედულებების ჩამოყალიბება თითქმის შეუძლებელია, ვინაიდან, სათანადო ცოდნისა და კვლევის უნარის უკმარისობის გარდა, ხშირად ჭეშმარიტების დადგენა არც აწყობთ ამა თუ იმ კლასებს, საზოგადოებრივ ფენებს, ადამიანთა ჯგუფებს ან ცალკეულ პიროვნებებს, პირიქით, ეწინააღმდეგება კიდევ მათ ინტერესებს. ამიტომ ყოველთვის ადგილი ჰქონდა და ამჟამადაც ადგილი აქვს სამართლის არსის თაობაზე შეხედულებათა სიმრავლეს და ამა თუ იმ ქვეყანაში მმართველი ფენების ცდებს თავს მოახვიონ საზოგადოებას საკუთარი სამართლებრივი იდეოლოგია, რომელიც ამართლებს მათ პოლიტიკას და ხელს უწყობს, პირველ ყოვლისა, მათივე ნება-სურვილის შესაბამისად, ადამიანთა ურთიერთობების რეგულირებას. სწორედ გაბატონებული კლასისა თუ ფენის ნება-სურვილია გამონატული სამართალში, მაგრამ არა ყოველგვარი, არამედ მისი სახელმწიფოებრივი ნება, რომელიც დაყვანილია საზოგადოების წევრებამდე, სხვადასხვა ფორმით და სხვადასხვა წესით ეცნობება მოსახლეობას.

ყოველი კლასის, ამ შემთხვევაში კი გაბატონებული კლასის ან ფენის ნება იქმნება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი მიზნებისა და ამოცანებიდან გამომდინარე ინტერესებისა და მოთხოვნილებების საფუძველზე. საერთო-კლასობრივი ნების გაგება, მისი სწორად გამოხატვა და ფორმულირება მეტად რთული საქმეა და კლასის ან ფენის ყოველ წარმომადგენელს როდი შესწევს უნარი ყოველთვის სწორად შეიგნოს და, მით უმეტეს, სწორად გამოხატოს საკუთარი კლასის ერთიანი ნება. მაგრამ კლასის ნების სწორად ფორმულირება რომ საერთოდ შეუძლებელი იყოს, მაშინ ეს კლასი ვერასოდეს ვერ განახორციელებდა თავის უმნიშვნელოვანეს მისწრაფებებს და მიზნებს. თავისი კლასის საერთო ნების გაგება და მისი სწორად ჩამოყალიბების უნარი შესწევთ ხოლმე ამ კლასის მოწინავე წარმომადგენლებს, კლასის აღიარებულ ბელადებსა და წინამძღოლებს, მათ პოზიციებზე მდგომ მეცნიერებს. თუმცა ყველაზე უფრო დიდი როლი კლასის ნების ჩამოყალიბებასა და ფორმულირებაში ისტორიულად ენიჭებოდათ და ენიჭებათ კლასის სხვადასხვა ორგანიზაციებს, გაერთიანებებს, პირველ რიგში კი მათ პოლიტიკურ პარტიებს.

ეს სახელმწიფოებრივი ნება, რა თქმა უნდა, ისევე მთელი გაბატონებული კლასის საერთო ნებაა, რომელსაც უნდა დაუმორჩილოს თავისი მოქმედებანი არა მარტო მოწინააღმდეგე საზოგადოებრივმა ფენებმა, არამედ თვით გაბატონებული კლასის ყოველმა წარმომადგენელმა, იმ შემთხვევაშიც, თუ მისი პირადი ინტერესები რომელიმე საკითხში ეწინააღმდეგება საერთო-კლასობრივ ინტერესებს. ამიტომ კანონები და სხვა სახის აქტები, რომლებიც გამოიცემა მთელი გაბატონებული კლასის ნება-სურვილისა და საერთო-კლასობრივი ინტერესების შესაბამისად, უნდა სრულდებოდეს საზოგადოების ყველა წევრის, ყველა კლასის თუ ფენის წარმომადგენლის მიერ.

ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლის უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ იგი გ ა მ ო ხ ა ტ ა ვ ს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს მ მ ა რ თ ვ ე ლ ი კ ლ ა ს ი ს (ფ ე ნ ი ს) ნება-სურვილს. საერთო-კლასობრივი ნება, რა თქმა უნდა, ამ კლასის თითოეული წარმომადგენლის ნების საფუძველზე ყალიბდება, მაგრამ საერთო-კლასობრივი ნება მაინც

არ წარმოადგენს ცალკეულ პირთა ნების უბრალო ჯამს, მექანიკურ შეერთებას. ამა თუ იმ ინდივიდის ნება შეიძლება არც შეესაბამებოდეს თავისი კლასის საერთო ნებას, ვინაიდან ამ უკანასკნელში ასახულია მხოლოდ საერთო მოთხოვნილებები და ინტერესები ამ კლასის ან ფენისა, ხოლო ის ინტერესები, რომლებიც კლასის მხოლოდ ცალკეულ წევრებს შეეხება, არ შედის საერთო-კლასობრივ ნებაში.

სამართალი უშუალოდ იქმნება სამართლებრივი შეხედულებების შესაბამისად, რომელთა ერთობლიობა შეადგენს მართლ შეგნებას. მასში იგულისხმება მთლიანად საზოგადოების წევრთა, ამა თუ იმ კლასისა ან რომელიმე საზოგადოებრივი ფენის, აგრეთვე ცალკეულ პირთა შეხედულებები, იდეები და წარმოდგენები საერთოდ სამართალზე, მის წარმოშობასა და არსზე, დანიშნულებასა და მიზნებზე, მოცემულ სახელმწიფოში მოქმედი სამართლისა და იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს სამართალი მომავალში. სამართლებრივი შეხედულებები, ისევე როგორც პოლიტიკური შეხედულებები, საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენენ. ანტაგონისტურ საზოგადოებაში თითოეულ კლასს გააჩნია თავისი სპეციფიკური სამართლებრივი შეხედულებანი, რომელთა შინაარსს განსაზღვრავს მისი სასიცოცხლო, ძირეული ინტერესები და ყალიბდება კლასობრივი ნების სახით. ხოლო სამართალში გამოხატულებას პოვენს იმ კლასის ან ფენის სამართლებრივ შეხედულებებზე დამყარებული ნება-სურვილი, რომლის ხელშიც იქნება სახელმწიფო ხელისუფლება. რა თქმა უნდა, საწინააღმდეგო ინტერესების მქონე კლასებიან საზოგადოებაშიც შეიძლება არსებობდეს და კიდევაც არსებობენ საერთო შეხედულებებიც სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე, მით უმეტეს კი იქ, სადაც ადგილი არა აქვს მკვეთრ დაპირისპირებას ცალკეულ საზოგადოებრივ ფენებს შორის.

როდესაც ეს შეხედულებები და იდეები, ეს მართლშეგნება ჩამოყალიბდება უკვე თეორიულ დონეზე სამართალმცოდნეების, პოლიტიკოსებისა და მეცნიერთა მოღვაწეობის, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ორგანიზაციების საქმიანობის შედეგად, — იგი ლებულობს მეცნიერული მართლშეგნების, სამართლებრივი იდეოლოგიის სახ-

ეს თავის მხრივ, სამართლებრივი იდეოლოგია არსებით გავლენას ახდენს სამართლებრივი მოვლენების შესახებ სისტემატიზირებული შეხედულებების, მოთხოვნების ან წინადადებების სხვადასხვა ფორმებით გამოხატვაზე და სათანადო შეფასებაზე. ამავე დროს, მართლშეგნება და სამართლებრივი იდეოლოგია აუცილებელი შემადგენელი ელემენტებია ს ა მ ა რ თ ლ ე ბ რ ი ვ ი კ უ ლ ტ უ რ ი ს ა . ეს უფრო ფართო ცნებაა, რომელიც მათ გარდა ასახავს საზოგადოებისა და სახელმწიფოს სამართლებრივი ცხოვრების ყველა მხარეს: სამართალშემოქმედებისა და კანონიერების დონეს, ნორმატიული აქტის რეალიზაციასა და ადამიანთა უფლებების დაცვას. ხოლო თვით პიროვნების, ცალკეული მოქალაქის სამართლებრივი კულტურის მაჩვენებელია მის მიერ კანონების ცოდნა და მათი შესრულება, საკუთარი უფლებების შეგნებული გამოყენება და მოვალეობების შესრულების აუცილებლობის რწმენა.

სამართლის ერთ-ერთი უპირველესი არსებითი ნიშანი ისაა, რომ იგი წარმოადგენს ადამიანთა ქცევის წესების ანუ ნ ო რ მ ე ბ ი ს ე რ თ ო ბ ლ ი ო ბ ა ს . სხვადასხვა სახის და სხვადასხვა ხასიათის ქცევის წესებიდან (ჩვეულებანი, ზნეობრივი ნორმები), რომლებითაც მოწესრიგებულია ადამიანთა ურთიერთობა საზოგადოებაში, მათი ცხოვრება და საქმიანობა, სამართალს შეადგენს მხოლოდ ქცევის წესების (ნორმების) განსაკუთრებული ჯგუფი, ნორმების გარკვეული ერთობლიობა, მათი სისტემა. ცალკეული ნორმა, როგორც კონკრეტული ერთეული, შედის სამართალში, როგორც ზოგადსა და მთლიანში.

ნორმები, რომლებიც სამართალს შეადგენენ, და დ გ ე ნ ი ლ ი ა ნ ს ა ნ ქ ც ი ო ნ ი რ ე ბ უ ლ ი ა ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს მ ი ე რ, ე.ი. ნორმების ჩამოყალიბების ორი ვზაა: დადგენა და სანქციონირება; წყარო კი ერთია – სახელმწიფო ხელისუფლება. დადგენა გულისხმობს, რომ ქცევის წესი ანუ ნორმა ადრე არ მოქმედებდა, არ იყო საზოგადოებისათვის ცნობილი და იგი სახელმწიფომ შეიმუშავა, სახელმწიფო ხელისუფლებამ შექმნა და ჩამოაყალიბა. სანქციონირება კი გულისხმობს, რომ სახელმწიფო სამართლებრივი ნორმის ძალას ანიჭებს, ამტკიცებს ისეთ ქცევის წესს, რომელიც მანამდეც ცნობილი იყო და მოქმედებდა საზოგადოებაში ზნეობრივი ან ჩვეულებითი ნორმის სახით.

სამართლის ნორმების შესრულება უზრუნველყოფილია დარწმუნებით და სახელმწიფოებრივი იძულებით, ე.ი. თითოეული ნორმის უკან სახელმწიფო დგას, რომელიც თავისი ორგანოების მეშვეობით აიძულებს ყველას, ვისაც კი ეს ეხება, სამართლებრივი ნორმების მიხედვით მოქმედებას. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა კონკრეტულ შემთხვევაში სამართლის ნორმების შესრულება ხდება იძულებით, სახელმწიფოს უშუალო ჩარევით. პირიქით, საზოგადოების წევრთა ნაწილი ნებაყოფლობით ასრულებს ნორმებს იმის გამო, რომ შეგნებული აქვს მათი სისწორე და მიზანშეწონილობა.

ამიტომ, იძულებასთან ერთად, სამართლის ნორმათა შესრულებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი რეგულირების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო იყენებს ადამიანებზე არაძალისმიერი ზეგავლენის მეთოდს — დარწმუნებას, თანაც მისი ხვედრითი წილი მით უფრო მეტია, რაც უფრო დემოკრატიულია ქვეყნის პოლიტიკური სისტემა და რეჟიმი. დარწმუნების ფორმები და საშუალებებია: სამართალმშრდელობითი საქმიანობა, ახსნა-განმარტება მოქმედი ან მომავალში მისაღები ნორმატიული აქტების მთელი საზოგადოებისათვის მიზანშეწონილობის შესახებ, მოქალაქეთა უფლებების გაფართოება და მათი ინტერესების დაცვის მექანიზმის გაუმჯობესება, სამართალშემოქმედებით საქმიანობაში მათი მონაწილეობის გაფართოება და ა.შ. მიუხედავად ამისა, მაინც, საზოგადოების მეტ-ნაკლები ნაწილი ასრულებს ნორმებს იმიტომ, რომ ნორმის დარღვევისათვის არ დაისაჯოს სახელმწიფოს მიერ. ამრიგად, სამართლის ამ ნიშანზე როდესაც ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს არა ნორმების შესრულება და გამოყენება იძულებითი წესით, არამედ, ნორმების ახსნა-განმარტებითი, აღმზრდელობითი გზით დარწმუნებასთან ერთად, მათი შესრულების უზრუნველყოფა სახელმწიფოებრივი იძულებით.

სახელმწიფოს მიერ სამართლის ნორმების შესრულების უზრუნველყოფა მიზნად ისახავს გაბატონებულ კლასისათვის (მმართველი ფენისათვის) სასურველი და ხელსაყრელი საზოგა-

დოებრივი ურთიერთობების დაცვას, განმტკიცებასა და განვითარებას. თავისთავად ცხადია, რადგანაც სამართალში გამოხატულია ნებასურვილი გაბატონებული კლასისა, ეს უკანასკნელი თავისი სახელმწიფოს მეშვეობით ადგენს ისეთ ნორმებს, რომელთა განხორციელება განაპირობებს ამ კლასისათვის სასარგებლო საზოგადოებრივი ურთიერთობების და წესების ყოველგვარი ხელყოფისაგან დაცვას, კიდევ უფრო განმტკიცებას, სრულყოფას და შემდგომ განვითარებას შეცვლილი მოთხოვნილებებისა და ახალი ამოცანების შესაბამისად. თუკი სახელმწიფო ხელისუფლება ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესების დაცვისათვის ზრუნავს, მაშინ, შესაბამისად, ეს ასახვას პოვებს მოქმედი სამართლის ნორმებში.

ასეთია სამართლის დამახასიათებელი ნიშნები, რომელთა საფუძველზე ყალიბდება სამართლის ზოგადი ცნება:

სამართალი არის ქვეყნის საზოგადოებრივი წესწყობილებით განპირობებული, მმართველი ფენის ან ხალხის უმრავლესობის ნების გამოხატველი და სახელმწიფო ხელისუფლების მიერ დადგენილი ან სანქციონირებული ერთობლიობა ადამიანთა ქცევის წესებისა (ნორმებისა), რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია დარწმუნებით და სახელმწიფოებრივი იძულებით.

ისევე როგორც სახელმწიფოს ზოგადი ცნების განსაზღვრისას, ამ შემთხვევაშიც უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის ზოგადი ცნება მოიცავს, უფრო სწორად, უნდა მოიცავდეს ყველა დროისა და ყველა ქვეყნის სამართლის საერთო დამახასიათებელ ნიშნებს, მაგრამ თავისთავად სამართალი ზოგადად არ არსებობს, იგი რეალურად არსებობს, როგორც მხოლოდ გარკვეული ისტორიული ტიპის და ამა თუ იმ ქვეყნის სამართალი.

სამართლის ისტორიული ტიპის ცნებაში იგულისხმება ის თავისებურებანი, რომლებიც ახასიათებს ერთი და იმავე საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ფარგლებში წარმოშობილ და, მამასადამე, ერთი გარკვეული კლასის ნების გამოხატველ სამართლებრივ სისტემებს. ამა თუ იმ ისტორიული ტი-

პის სამართალს, რომელ ქვეყანაშიც არ უნდა მოქმედებდეს იგი, გააჩნია საერთო ეკონომიკური საფუძველი, ერთი და იგივე კლასობრივი შინაარსი და შესაბამისი ისტორიული ტიპის სახელმწიფო.

ცნობილია სამართლის, ისევე როგორც სახელმწიფოს, შემდეგი ისტორიული ტიპები: მონათმფლობელური სამართალი, ფეოდალური სამართალი, ბურჟუაზიული სამართალი და ე.წ. სოციალისტური სამართალი, რომელიც, ისევე როგორც ე.წ. სოციალისტური სახელმწიფო, ათეული წლების მანძილზე არსებობდა სხვადასხვა ქვეყანაში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამართალი ყოველ სახელმწიფოში გაბატონებული კლასის, განსაზღვრული საზოგადოებრივი ფენის ნებასურვილს გამოხატავს, მისი პოლიტიკური ამოცანების განხორციელებას უზრუნველყოფს და, მამასადამე, მისი პოლიტიკის გატარების ერთ-ერთ საშუალებას, პოლიტიკის იარაღს წარმოადგენს. აქედან არ უნდა დავასკვნათ, თითქოს გაბატონებული კლასის პოლიტიკა მხოლოდ სამართლის მეშვეობით ხორციელდება. პირიქით, პოლიტიკა თავის გამოხატულებას პოულობს ყველა ზედნაშენურ მოვლენაში — იდეოლოგიის სხვადასხვა ფორმებში, ზნეობაში, ხელოვნებაში, ლიტერატურაში, მეცნიერებაში და ა.შ. მაგრამ ყველაზე უფრო არსებითი, პოლიტიკური ინტერესები სამართალშია ასახული და მხოლოდ იგი ანიჭებს გაბატონებული კლასის, მმართველი ფენის პოლიტიკის მოთხოვნებს სავალდებულო ხასიათს. სამართლის მეშვეობით გატარებული პოლიტიკა უზრუნველყოფილია სახელმწიფოებრივი იძულებით და, ამდენად, იგი სახელმწიფოს პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ იარაღს წარმოადგენს.

ყოველ კლასობრივ საზოგადოებაში, ყოველი წესწყობილების პირობებში გაბატონებული კლასის ან გაბატონებული ფენის პოლიტიკა და, მამასადამე, სახელმწიფოს პოლიტიკა საერთოდ, ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე, განსაზღვრავს სამართლის შინაარსს, განაპირობებს მასში მთელ რიგ ცვლილებებს და მის განვითარებას. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ გაბატონებული კლასის, მისი სახელმწიფოს პოლიტიკაში რაიმე შემობრუნების შედეგად უქმდება ხოლმე ძველი სამართლებრივი ნორმები და გამოიცემა ახალი ნორმების შემცველი კანონები და სხვა აქტები. ე.ი. ცვლილებანი პოლიტიკაში აუცილებლად იწვევენ ცვლილებებს

სამართალში, რომლის შეშვეობითაც ხორციელდება მმართველი ფენის პოლიტიკა.

რაც შეეხება ექსპლუატატორულ საზოგადოებაში არაგაბატონებული, ჩაგრული კლასების პოლიტიკას, იგი, ცხადია, არ წარმოადგენს არც სახელმწიფოებრივ პოლიტიკას და არც განსაზღვრავს სამართლებრივი ნორმების შინაარსს. პირიქით, ანტაგონისტურ საზოგადოებაში ჩაგრული კლასების და მათი პოლიტიკური ორგანიზაციების პოლიტიკა მიმართულია გაბატონებული კლასის, მმართველი ფენის, არსებული სახელმწიფოს პოლიტიკის და მოქმედი სამართლის სისტემის წინააღმდეგ. მართალია, ასეთ საზოგადოებაში ჩაგრულთა ბრძოლამ, მათმა აქტიურმა და ქმედითმა პოლიტიკამ შესაძლებელია აიძულოს გაბატონებული კლასი გარკვეულ დათმობებზე წავიდეს და ამის შედეგად ერთგვარად შეცვალოს თავისი პოლიტიკა, შესაბამისად ამისა კი სამართლებრივი ნორმებიც, — მაგრამ ეს შეიძლება შეეხებოდეს მხოლოდ კონკრეტულ, ვიწრო საკითხებს, და არა არსებობს და ძირითადად.

§2. სამართალი, ზნეობა და ჩვეულება

იმისათვის, რომ ღრმად იქნეს შეცნობილი სამართლის არსი და უფრო მკაფიოდ გაესვას ხაზი მის სპეციფიკურ ნიშნებს, საჭიროა იმ ურთიერთობის გარკვევა, რაც არსებობს, ერთი მხრივ, სამართალსა, ხოლო, მეორე მხრივ, ზნეობასა და ჩვეულებას შორის.

ზ ნ ე ო ბ ა, ანუ მორალი საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი ფორმაა, ისევე როგორც პოლიტიკური და სამართლებრივი იდეოლოგია. ზნეობა გამოხატულია სათანადო ნორმებში, ქცევის წესებში, რომლებიც არეგულირებენ ადამიანთა ურთიერთობას საზოგადოებაში. ზნეობის ნორმებში მოცემულია საზოგადოებრივი აზრის საფუძველზე ჩამოყალიბებული ადამიანთა წარმოდგენები წესიერებასა და უწესობაზე, სიკეთესა თუ ბოროტებაზე, საქებარსა თუ დასავგომობზე, სინდისსა და პატიოსნებაზე და ა.შ. ამგვარი საზომით ადამიანთა ქცევის შეფასებას ზნეობის ნორმების მხრივ ადგილი აქვს როგორც პიროვნებათა შორის ურთიერთობაში, ისე მათ დამოკიდებულებაში ოჯახისადმი, საზოგადოებისადმი, სახელმწიფოსადმი.

ზნეობას, როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობის ერთ-ერთ რეგულატორს, მთელი რიგი საერთო ნიშნები, მსგავსება ახასიათებს სამართალთან და, ამავე დროს, არსებითად, მკვეთრად განსხვავდება მისგან:

ზნეობა, მსგავსად სამართლისა, ადამიანთა ქცევის წესების, ანუ ნორმების ერთობლიობას წარმოადგენს, მაგრამ ზნეობის ნორმები, განსხვავებით სამართლის ნორმებისაგან, სახელმწიფო ხელისუფლების მიერ კი არ არის დადგენილი, არამედ იქმნება საზოგადოებრივი აზრის საფუძველზე;

ზნეობა, განსხვავებით სამართლისაგან, აუცილებლად გაბატონებული ფენის ნებას კი არ გამოხატავს, არამედ, პირიქით, საზოგადოებაში არსებულ ყველა ფენას შეიძლება ჰქონდეს და აქვს კიდევ თავისი ზნეობა, თავისი ზნეობრივი ნორმები, რომლებიც საზოგადოებაში, სადაც ანტაგონისტური კლასებია, მკვეთრად უპირისპირდებიან ერთმანეთს. მაგრამ ნებისმიერ ქვეყანაში, ყოველ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სისტემაში მოქმედებენ საერთო-სახალხო ზნეობრივი ნორმებიც და მით უფრო მეტი რაოდენობით, რაც უფრო მეტი ერთიანობაა საზოგადოების წევრთა შორის და ნაკლები დაპირისპირებაა საზოგადოებრივ ფენებს შორის;

სამართლისაგან განსხვავებით, რომლის ნორმები უმთავრესად სახელმწიფოს სხვადასხვა ორგანოს მიერ გამოცემულ წერილობით აქტებშია მოცემული, ზნეობის ნორმები დაუწერელ ქცევის წესებს წარმოადგენენ, რომლებიც ადამიანთა საზოგადოებრივ შეგნებაში, საზოგადოებაში ან კლასის შიგნით გაბატონებულ შეხედულებებში არსებობენ;

სამართლის ნორმებისაგან განსხვავებით, რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოებრივი იძულებით, ზნეობის ნორმების შესრულება ხდება საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედებით. ზნეობის ნორმების დამრღვევთა წინააღმდეგ ზომებს იღებს არა სახელმწიფოს რომელიმე ორგანო, არამედ თვითონ საზოგადოება, საზოგადოებრივი გარემო, რომელშიც იმყოფება პირი. ეს ზომები იმაში გამოიხატება, რომ საზოგადოების წევრის მიერ, საზოგადოებრივი აზრის თვალსაზრისით, უზნეო საქციელის ჩადენის შემთხვევაში, იგი შეიძლება გაკიცხულ იქნეს, გაირიცხოს რომელიმე საზოგადოებრივი

ორგანიზაციიდან, დაგმობილ იქნეს მისი ქცევა და ა.შ. ასე რომ, პიროვნება ასრულებს თავისი კლასის ზნეობრივ ნორმებს არა იმის გამო, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიმართ გამოყენებული იქნება სახელმწიფოებრივი იძულების ზომები, არამედ იმიტომ, რომ იგი დაკარგავს ავტორიტეტს, პატივისცემას თავის ამხანაგებში, თავის სოციალურ წრეში.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ზნეობის ნორმებში გამოხატული შეხედულებები განისაზღვრება არა ადამიანთა სუბიექტური, მხოლოდ შინაგანი წარმოდგენებით, არამედ, ისევე როგორც სამართალი – საზოგადოების ცხოვრებისა და არსებობის მატერიალური პირობებით.

ახლა შევეხოთ ს ა მ ა რ თ ა ლ ს ა და ჩ ვ ე უ ლ ე ბ ა ს შორის თანაფარდობის საკითხს. ჩვეულებას (ანუ ადათს) უწოდებენ გარკვეულ ქცევის წესს, რომელიც საზოგადოებაში სტიქიურად ყალიბდება და მკვიდრდება ხანგრძლივი დროის მანძილზე გამოყენების შედეგად, ხოლო საზოგადოების წევრები მას ასრულებენ გამომუშავებული ჩვევების გამო, შექმნილი ტრადიციის ძალით.

ცნობილია, რომ პირველყოფილ-თემურ წესწყობილებაში, კლასების წარმოშობამდე სწორედ ჩვეულებანი წარმოადგენდნენ ადამიანთა შორის ურთიერთობის რეგულირების ერთადერთ წესებს. მაშინ მათ არ ჰქონდათ ის კლასობრივი ხასიათი, როგორც მიიღეს სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის შემდეგ. კლასობრივ საზოგადოებაში ჩვეულებები არეგულირებენ ადამიანთა ზოგიერთ ურთიერთობას ამა თუ იმ საზოგადოებრივ წრეში – ხალხში, ეთნიკურ ჯგუფში, კლასში, კლასის რომელიმე ნაწილში, გარკვეული პროფესიის ადამიანებში და ა.შ. ჩვეულებათა შესრულება არ არის უზრუნველყოფილი სახელმწიფოებრივი იძულებით; ისინი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმიტომ სრულდება, რომ ფეხს იკიდებენ ადამიანთა ყოფა-ცხოვრებაში, ინერგებიან მათ შეგნებაში და გარკვეული ტრადიციებისა და ჩვევების სახით არიან განმტკიცებულნი.

სამართალსა და ამგვარ ჩვეულებებს შორის ურთიერთობა იმაში გამოიხატება, რომ, ზოგიერთ შემთხვევაში, თუკი რომელიმე ჩვეულებითი ნორმის შესრულება ეწინააღმდეგება გაბატონებული ფენის ინტერესებს, იგი სამართლის მეშვეობით კრძალავს მას და

სათანადო სასჯელს აწესებს მისი შესრულებისათვის. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც, პირიქით, გარკვეული ჩვეულების შესრულება გაბატონებულ ფენას სასურველად და სასარგებლოდ მიაჩნია; ამიტომ იგი სამართლის მეშვეობით სავალდებულოდ აცხადებს მათ შესრულებას და უკვე მათი შეუსრულებლობისათვის აწესებს გარკვეულ სასჯელს. ამგვარი ჩვეულებების კრებადობას ჩვეულებითი სამართალი ეწოდება.

ჩვეულებითი სამართლის სისტემები ფართოდ იყო გავრცელებული სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის შემდეგ, მათი არსებობის პირველ პერიოდში, როდესაც გაბატონებულ კლასს ჯერ კიდევ არ ჰქონდა სათანადო უნარი და გამოცდილება სახელმწიფო ხელისუფლების მეშვეობით ახალი ნორმების ჩამოყალიბებისათვის. იგი იყენებდა უკვე ცნობილ ჩვეულებებს, თავისი კლასობრივი ინტერესების შესაბამისად განმარტავდა მათ და საზოგადოების ყველა წევრისათვის სავალდებულოდ აცხადებდა. სწორედ ასეთი წესით იყო შექმნილი „თორმეტი ტაბულის კანონები“ – რომში (V ს. ახ.წელთადრიცხვამდე), „სალიკური სამართალი“ – ფრანკთა სახელმწიფოში (V-VI სს.) და „რუსკაია პრავედა“ – ძველ რუსეთში (IX-XII სს.).

ძველი ქართული სამართლის ძეგლებიდან ასეთებად შეიძლება ჩაითვალოს ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი, რომელიც XIII-XIV საუკუნეებში იქნა შედგენილი სამხრეთ საქართველოში, და უფრო მოგვიანებით კი XVIII საუკუნის დასაწყისში – ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, რომელიც უმთავრესად იმდროინდელ საქართველოში მოქმედ ხალხურ სამართალს ეფუძნებოდა.

§3. ბურჟუაზიული მკობის ტრადიციული თეორიები საპარტიოს არსის შესახებ

სამართლის არსის შესახებ სხვადასხვა თეორიები და შეხედულებები ძველთაგანვე არსებობდნენ, მაგრამ უფრო დახვეწილი, თავისი დროისათვის შესაფერისი და ამჟამადაც ანგარიშგასაწევი სწორედ ბურჟუაზიულ ეპოქაში შეიქმნა.¹ ზოგიერთი მათგანი კი ტრადიციულად რჩება შესწავლის საგნად და საკმაო ინტერესს იწვევს. შევეხებით რამდენიმე მათგანს:

ბუნებითი სამართლის თეორია ყველაზე ძველი მიმდინარეობაა ბურჟუაზიულ სამართალმცოდნეობაში. იგი წარმოიშვა და ჩამოყალიბდა XVII-XVIII საუკუნეებში, როგორც იდეოლოგიური იარაღი ახალი კლასის — ბურჟუაზიის ხელში ფეოდალური სამართლისა და საერთოდ ფეოდალური წესწყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ თეორიამ ფართო გავრცელება მიიღო ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში: პოლანდიაში (გროციუსი და სპინოზა), ინგლისში (პოპსი და ლოკი), საფრანგეთში (ფრანგი განმანათლებლები, განსაკუთრებით კი, ვოლტერი, მონტესკიე და რუსო), გერმანიაში (ლაიბნიცი, ვოლფი, პუფენდორფი, კანტი და ფიხტი). მიუხედავად იმისა, რომ როგორც სხვადასხვა, ისე ერთი და იმავე ქვეყნის მონაზროვნეთა შეხედულებებშიც ბუნებითი სამართლის კონცეფცია განსხვავებული სახით და სპეციფიკურობით იყო წარმოდგენილი, მას მაინც გააჩნია საერთო დამახასიათებელი ნიშნები, რის გამოც იგი მთლიანად ბუნებითი სამართლის სკოლად იწოდება.

ბუნებითი სამართლის სკოლის მიმდევრებმა თითოეულ სახელმწიფოში მოქმედ, ანუ პოლიტიურ სამართალს დაუპირისპირეს ე.წ. ბუნებითი სამართალი, რომელიც, პირველისაგან განსხვავებით, საერთოა ყველა ხალხისა და ყოველი ადამიანისათვის. იგი გამომდინარეობს თვით ადამიანის „ბუნებიდან“, მისი გონების მოთ-

¹ სამართლის, ისევე როგორც სახელმწიფოს არსის შესახებ წარსულში არსებულ თეორიებს დაწვრილებით შეისწავლის პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის მეცნიერება და შესაბამისი სასწავლო კურსი.

ხოვნებს განასახიერებს, მარადიული და უცვლელია, დამოუკიდებელია სახელმწიფოსა და პოზიტიური სამართლისაგან და საყოველთაო სამართლიანობის გამოვლინებას წარმოადგენს. მათივე შეხედულებით, მოქმედი სამართალი მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს მისაღებად, თუ იგი ბუნებითი სამართლის პრინციპებს შეესაბამება.

ბურჟუაზიის იდეოლოგებმა ბუნებითი სამართლის თეორიაში ანტიფეოდალური შინაარსი ჩააქსოვეს. ისინი „ადამიანის ბუნების“ მოთხოვნებად აღიარებდნენ კანონის წინაშე ყველას თანასწორობას, ხელშეკრულებათა თავისუფლებას, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას; ხოლო ფეოდალურ სამართალს, ფეოდალურ პრივილეგიებს, წოდებრივ განსხვავებებს და საერთოდ ფეოდალურ ურთიერთობებს „არაგონივრულად“ და „ადამიანის გონების საწინააღმდეგოდ“ აცხადებდნენ, მოუწოდებდნენ მათ წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, ბუნებითი სამართლის პრინციპებზე დამყარებული ახალი სახელმწიფოსა და სამართლის შექმნისაკენ.

ყოველივე ამის გამო, ბუნებითი სამართლის თეორიას, მიუხედავად მისი იდეალისტური ხასიათისა და ანტიისტორიზმისა, მისი მცდელობისა დაყვანილ იქნეს სამართალი აბსტრაქტულ ზნეობრივ ღირებულებამდე, ხოლო სამართლის წყაროდ „ადამიანის ბუნებასთან“ ერთად ღმერთის აღიარებისა, — ძალაუფლების ხელში აღებისათვის ბურჟუაზიის ბრძოლის პერიოდში პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა; იგი თავისი მახვილით მიმართული იყო დრომოჭმული ფეოდალური წესწყობილების წინააღმდეგ და ასაბუთებდა შედარებით პროგრესული ბურჟუაზიული ურთიერთობების დამყარების აუცილებლობას.

აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნის რუსეთის ცნობილი რევოლუციონერ-დემოკრატის ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე რ ა დ ი შ ჩ ე ვ ი ს შეხედულებებში ბუნებითი სამართლის თეორიამ განსაკუთრებული რევოლუციური ხასიათი მიიღო. ბუნებითი სამართლის იდეაზე დაყრდნობით, იგი მკაცრად აკრიტიკებდა ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობას რუსეთში და ასაბუთებდა გლეხური, სახალხო რევოლუციის აუცილებლობას.

თანამედროვე პირობებში ბუნებითი სამართლის თეორიის

ზოგიერთი დებულება გამოყენებულ იქნა ადამიანის თანდაყოლილი და განუსხვისებელი უფლებების შესახებ მთელი რიგი დემოკრატიული ინსტიტუტებისა და შეხედულებების დასაბუთებისათვის, აგრეთვე, თანასწორობის, სამართლიანობისა და თავისუფლების ზნეობრივ პრინციპებთან კანონმდებლობის აუცილებელი შესაბამისობის უზრუნველყოფისათვის.

ს ა მ ა რ თ ლ ი ს ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ს კ ო ლ ა წარმოიშვა XIX საუკუნის დასაწყისში და ფართო გავრცელება პოვა უმთავრესად იმდროინდელ გერმანიაში, რომელიც ჯერ კიდევ ეკონომიკურად ჩამორჩენილ, პოლიტიკურად დაქუცმაცებულ ფეოდალურ-ბატონყმურ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ამ სკოლის ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენლების გ უ ს ტ ა ვ ჰ უ გ ო ს, კ ა რ ლ ს ა ვ ი ნ ი ს და ფ რ ი დ რ ი ხ პ უ ხ ტ ა ს შეხედულებები ასახავდნენ არისტოკრატიულ რეაქციას საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციისა და მოწინავე პოლიტიკური თეორიების მიმართ; განსაკუთრებული გააფთრებით გამოდიოდნენ ისინი ბუნებითი სამართლის სკოლისა და მისი პროგრესული იდეების წინააღმდეგ.

ისტორიული სკოლის მიმდევრები სამართალს აცხადებდნენ რაღაც მისტიკური „სახალხო სულის“ პროდუქტად, რომელიც, ენის მსგავსად, ვითარდება თანდათან, ორგანულად და სტიქიურად, სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევის გარეშე. კანონმდებელი მხოლოდ ასახავს იმას, რაც სახალხო სულის განვითარების შედეგად გამოვლინდება, როგორც სამართალი. ისტორიული სკოლა გამოდიოდა სამართლის კოდიფიკაციის წინააღმდეგ და თვლიდა, რომ ჩვეულებანი წარმოადგენენ სამართლის ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს, რომ უარყოფილი უნდა იქნეს მოქმედი სამართლის საკანონმდებლო გზით შეცვლის ცდები. ამით ისინი ცდილობდნენ ხელშეუხებლად შეენარჩუნებინათ დასაღუპად განწირული ფეოდალური ურთიერთობანი, ფეოდალური სახელმწიფო და სამართალი. აშკარაა ვედა რა ისტორიული სკოლის რეაქციულ არსს, მარქსი ერთ-ერთ თავის ნაშრომში წერდა, რომ იგი დღევანდელ სისაძაგლეს გუშინდელი სისაძაგლით ამართლებს.

რა თქმა უნდა, გარკვეული დადებითი მნიშვნელობა ისტორიული სკოლის თეორიულ მემკვიდრეობასაც ჰქონდა. მან ყურადღება მიაქცია

სამართლის ისტორიას, სამართლებრივი ძეგლების შესწავლას, სამართლის ეროვნულ თავისებურებებს, სამართლებრივი ადათ-ჩვეულებების განვითარების ბუნებრიობისა და სტაბილურობის გამო, მათ უპირატესობას კანონმდებელთა თვითნებური სამართალ-შემოქმედების წინაშე. მაგრამ არ შეიძლება ისიც არ აღინიშნოს, რომ ამ სკოლას არ ახასიათებს ნამდვილი ისტორიული მიდგომა სამართლის შესწავლის საკითხისადმი. მისი ისტორიზმი მაინც ცალმხრივი იყო და ემყარებოდა სამართლის ისტორიული განვითარების იდეალისტურ გაგებას რეალური საზოგადოებრივი ურთიერთობებისაგან მოწყვეტით.

ს ა მ ა რ თ ლ ი ს ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი უ რ ი თ ე ო რ ი ა ბურჟუაზიულ იურისპრუდენციაში ჩამოყალიბდა იმპერიალიზმის ეპოქაში. მის ფუძემდებლად და ყველაზე გამოჩენილ წარმომადგენლად ითვლება რევოლუციამდელი რუსეთის პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ლ. ი. პ ე ტ რ ა ჟ ი ც კ ი (1867-1931), რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ვარშავის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა.

პეტრაჟიციკის მიხედვით, სამართალი ობიექტურად არსებულ სოციალურ მოვლენას კი არ წარმოადგენს, არამედ განსაკუთრებული სახის ფსიქიკურ მოვლენას, რომელიც ადამიანის ფსიქიკური განცდების, ანუ ემოციების ნაირსახეობას შეადგენს. სამართლებრივი ემოციების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი იმპერატიულ-ატრიბუტიული ხასიათის არიან. ე.ი. ერთი მხრივ, პირის განცდა დაკავშირებულია რაიმე მოქმედების შესრულების შეგნებასთან, ხოლო, მეორე მხრივ, ეს განცდა შეიცავს იმის შეგნებასაც, რომ სხვა პირს აქვს შესაძლებლობა მოითხოვოს ამ მოქმედების შესრულება. მაგალითად, სესხის თაობაზე დამყარებულ ურთიერთობაში მოვალესათვის დამახასიათებელია არა მარტო ვალის გადახდის ვალდებულების განცდა, არამედ კრედიტორის შესაბამისი მოთხოვნის სამართლიანობის განცდაც. პეტრაჟიციკი იხილავს სამართლის ორ განშტოებას: ინტუიციურ სამართალს და პოზიტიურ სამართალს, რაც განპირობებულია ემოციის ორმხრივი ხასიათით. თუ ემოცია წარმოიშვა რაიმე ავტორიტეტის (სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმების, რელიგიის, კლასის ან სხვა საზოგადოებრივი ფენის) ზეგავლენის

გარეშე, სამართალი ინტუიციურია და იგი თავიდანვე არსებობდა საზოგადოებაში, არ საჭიროებს შუამავლურ რგოლებს ადამიანსა და სამართალს შორის. ხოლო პოზიტიურ სამართალს თავის წყაროდ გააჩნია განსაზღვრული გარეშე ავტორიტეტი, დაწერილი თუ დაუწერელი ნორმების სახით. ამ სახეებიდან „ნამდვილ“ სამართლად პეტრაჟიციკის ინტუიციური სამართალი მიაჩნდა.

ასეთმა არატრადიციულმა შეხედულებებმა დიდი ინტერესი გამოიწვია რუსეთისა და საზღვარგარეთის მეცნიერულ და პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის. თანამედროვე პირობებში კი, როდესაც უკვე გაცნობიერებულია წარსული თეორეტიკოსების შეხედულებათა უფრო ღრმად შესწავლის და ობიექტური შეფასების აუცილებლობა, პეტრაჟიციკის სამართლებრივი კონცეფციის მთელი რიგი ასპექტები ანგარიშგასაწევად არის მიჩნეული. სახელდობრ, ამ იურისტის მიერ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებთან ერთად, ყურადღების გამახვილება ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე და სამართალშემოქმედების განხორციელებისას სოციალური ფსიქოლოგიისა და ინდივიდთა ფსიქოლოგიურ განწყობაზე, ხოლო აქედან გამომდინარე კი, ადამიანის თანდაყოლილი უფლებების როლზე. სწორედ ამას ადასტურებს ადამიანის არსებობის ემოციური ფაქტორების მნიშვნელობის აღიარება თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ჰუმანისტური ხასიათის უმნიშვნელოვანეს ასპექტში, მაგალითად „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“ (1948 წ.), საერთაშორისო პაქტები „სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების შესახებ“ (1966 წ.), „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ (1966 წ.) და სხვ.

როგორც ჩანს, პეტრაჟიციკის ფსიქოლოგიური თეორიის დადებითი მხარეების გამოვლინება და მისი პრაქტიკული გამოყენების დასაბუთება თანამედროვე იურიდიული მეცნიერების შემდგომი კვლევის საგანი უნდა იყოს.

ნო რ მ ა ტ ი ვ ი ზ მ ი ს თ ე ო რ ი ა, თავისი თანამედროვე სახით, შექმნილია ბურჟუაზიული იურისპრუდენციის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენლის პ ა ნ ს კ ე ლ ზ ე ნ ი ს მიერ (1881-1973), რომელიც XX საუკუნის დასაწყისიდან მოღვაწეობდა ჯერ ავსტრიასა და გერმანიაში, ხოლო შემდეგ –

ამერიკის შეერთებულ შტატებში. ნორმატივიზმის წარმომადგენლები იყვნენ აგრეთვე რუსი იურისტი პ.ი. ნოვგოროდცევი (1886-1924) და გერმანელი რუდოლფ შტამლერი (1856-1938).

ნორმატივისტები სამართალს განიხილავენ რეალური სინამდვილისაგან მოწყვეტით და აცხადებენ, რომ იგი მიეკუთვნება არა „არსობის“, არამედ „ჯერარსობის“ სფეროს, ე.ი. სამართალი ის კი არ არის, რაც არსებობს, არამედ ის, რაც უნდა არსებობდეს. კელზენის მიხედვით, სამართლის მეცნიერებას არ უნდა აინტერესებდეს არც სამართლის წარმოშობის მიზეზი, არც მისი დანიშნულება და შეფასება; იურისპრუდენციის საგანს უნდა შეადგენდეს თვით ნორმა „წმინდა სახით“, მისი დასაბუთებულობისა და სამართლიანობის მხედველობაში მიუღებლად.

სამართალი, კელზენის მტკიცებით, წარმოადგენს ისეთ ნორმათა სისტემას, რომლებიც საზოგადოების ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრებით კი არ განისაზღვრებიან, არამედ მხოლოდ ერთიმეორეზე არიან დამოკიდებულნი და ერთიმეორეს განაპირობებენ; ხოლო ყველა სამართლებრივ ნორმას, საბოლოო ანგარიშში, განაპირობებს ე.წ. ძირითადი, ანუ უმაღლესი ნორმა, რომელიც რაიმე აქტის სახით კი არ გამოიხატება, არამედ მხოლოდ იგულისხმება, აპრიორულად არსებობს და მისი შეცვლა არაფერს და არავის არ შეუძლია.

ამ ძირითადი ნორმიდან იწყება ნორმათა მთელი კიბე, რომლებიც იქმნება კონსტიტუციით, მიმდინარე კანონმდებლობით, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების აქტებით და კერძო პირების გარიგებებით. ცხადია, რომ ადმინისტრაციული და სასამართლო აქტების სამართლის ნორმებად აღიარებით იქმნება თეორიული შესაძლებლობა კანონიერების დარღვევებისა და თვითნებობის გამართლებისა ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოების მიერ.

რაც შეეხება ნორმატიულობას, როგორც სამართლის განმსაზღვრელ თვისებას და, ნორმათა იერარქიის მიხედვით, მათი იურიდიული ძალის დადგენას, ეს სავესებით მისაღები დებულებაა და სწორად ასახავს სახელმწიფოს შესაძლებლობას, მის მიერ დადგენილი ძირითადი და სხვა ნორმების მეშვეობით, ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ განვითარებაზე. მაგრამ სამართლის ნორმათა ფორმა-

ლური მხარეებისათვის უპირატესობის მინიჭება იწვევს მათი შინაარსობრივი მხარეების უგულვებელყოფას, მათ შორის პიროვნების უფლებების საკითხში და სხვ.

ამრიგად, ნორმატივიზმის ნაკლი ის კი არ არის, რომ იგი სამართალს განიხილავს როგორც ნორმათა სისტემას, არამედ ის, რომ ეს სისტემა გაგებულია რეალური სინამდვილისაგან მოწყვეტით და, ფაქტიურად, სამართლის შინაარსის ახსნა თვით სამართლის მეშვეობით ხდება. იგი წარმოდგენილია როგორც საზოგადოებრივი სფეროს გარეშე მდებარე, იურიდიული ფორმით შემოფარგლული მოვლენა.

სოლიდარიზმის თეორია იმპერიალიზმის ეპოქის ერთ-ერთი მიმდინარეობაა ბურჟუაზიულ იურისპრუდენციაში მეოცე საუკუნის მიჯნაზე და მის დასაწყისში, ხოლო მის ყველაზე გამოჩენილ წარმომადგენლად ითვლება ფრანგი იურისტი ლეონ დიუგე (1859-1928 წწ.). ამ თეორიის მიხედვით, კაპიტალისტურ საზოგადოებაში ადამიანთა ურთიერთობა დამყარებულია სოლიდარობის პრინციპზე, რაც განპირობებულია „მოთხოვნილებათა ერთიანობით“ და შრომის განაწილებით. საზოგადოების წევრები განიხილებიან არა როგორც ამა თუ იმ კლასის წარმომადგენლები, არამედ მხოლოდ როგორც ინდივიდები საერთო, სოლიდარული ინტერესებით.

დიუგე ამტკიცებდა, რომ „სოლიდარობა“ უმაღლეს ნორმას წარმოადგენს, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს სამართალი და თითოეული იურიდიული ნორმა. მისი თეორიის მიხედვით, საზოგადოებაში არავის არა აქვს უფლებები, თითოეული ადამიანი მხოლოდ მოვალეობების მატარებელია და ე.წ. „სოციალური ფუნქციების“ შემსრულებელი. აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ კაპიტალისტებს, ისევე როგორც მუშებს, მხოლოდ მოვალეობები გააჩნიათ საზოგადოების წინაშე და რომ, მაგალითად, კაპიტალისტის კერძო საკუთრება მის უფლებას კი არ წარმოადგენს, არამედ მის მოვალეობას, მის სოციალურ ფუნქციას.

რა თქმა უნდა, თავისთავად სოლიდარობა და კლასობრივი შავი დადებითი მოვლენებია, მაგრამ სხვადასხვა სოციალური ფენების მატერიალურ მდგომარეობას შორის განსხვავება მხოლოდ ფორმალურ თანასწორობას უზრუნველყოფს. თუკი საზოგადოებაში დამყარდება

რეალური თანასწორობა და საზოგადოების წევრთა უფლებების დაცვა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის შესაფერის დონეზე დადგება, ლეონ დიუგის სოლიდარიზმის თეორია წინასწარმეტყველური აღმოჩნდება.

სოციოლოგიური მიმართულებათა ყველაზე გავრცელებული სკოლაა თანამედროვე ბურჟუაზიული სამართლის მეცნიერებაში, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს მიმართულება ერთგვაროვანი არაა და სხვადასხვა სახის განშტოებებს შეიცავს, მაგრამ ყველა მათთვის ფილოსოფიურ საფუძველს შეადგენს პრაგმატიზმი – იდეალისტური მოძღვრება, რომელიც უარყოფს წარმოდგენას ჭეშმარიტებაზე, როგორც ობიექტური სინამდვილის ასახვაზე და ჭეშმარიტების ერთადერთ კრიტერიუმად აცხადებს პრაქტიკულ სარგებლიანობას, მიზანშეწონილობას.

ამერიკული სოციოლოგიური სკოლის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი როსკოპაუნდი (1870-1964), ისე როგორც სხვა „სოციოლოგები“, სამართლად აცხადებს არა იმას, რაც სახელმწიფოს მიერ ნორმების სახით დადგენილია სათანადო აქტებში, არამედ ნორმებს მათ მოქმედებაში, მათი განხორციელების პროცესში, მათ სოციალურ შედეგებში, ე.ი. „ფაქტიურად, დამყარებულ წესს“.

საკითხის ამგვარი დაყენება და გადაჭრა შესაძლებლობას იძლევა გამართლებულ იქნეს სასამართლოს და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების თვითნებობა, კანონიერად იქნეს გამოცხადებული მათი ისეთი გადაწყვეტილებაც, რომელიც ეწინააღმდეგება მოქმედ სამართლებრივ ნორმებს, მაგრამ ნაკარნახევია პრაქტიკული მიზანშეწონილობით. აქედან გასაგებია, რომ სახელმწიფოს ორგანოები და მოხელეები სასარგებლოდ და მიზანშეწონილად ჩათვლიან იმას, რაც მმართველ ფენას აწყობს და მისი ინტერესებიდან გამომდინარეობს.

სოციოლოგიური მიმართულების ყველაზე რეაქციულ სახესხვაობას და სამართლებრივი ნიჰილიზმის გამოხატულებას წარმოადგენს ე.წ. რეალისტური სკოლა, რომელიც თითქმის სავსებით უარყოფს კანონებისა და, საერთოდ, სამართლის ნორმების მნიშვნელობას. მისი წარმომადგენლები ფრენკი, ლეველინი

და სხვები თვლიან, რომ „რეალურად“ არსებობენ მხოლოდ ფაქტები და მოვლენები, ადამიანთა მოქმედება და საქმიანობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამართალიც მხოლოდ მოსამართლეებისა და ადმინისტრატორების საქმიანობაა, მათ მიერ გამოტანილი კონკრეტული გადაწყვეტილებებია.

რაც შეეხება კანონებში გამოხატულ წესებს, „რეალისტები“ მათ თვლიან მხოლოდ კანონმდებლის ვარაუდად იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ამა თუ იმ კატეგორიის საქმის გადაწყვეტა ცხოვრებაში. ამავე დროს, ამ სკოლის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ მოსამართლეთა მოქმედებები და გადაწყვეტილებები განპირობებულია სხვადასხვა ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური ფაქტორებით – იმპულსებით, სუბიექტური განცდებით, სიმპათიებით თუ ანტიპათიებით და არა მათი სოციალური, კლასობრივი მდგომარეობით.

როგორც სამართლის ბურჟუაზიული თეორიების ძირითად მიმართულებათა მიმოხილვიდან ჩანს, მიუხედავად მათი პლურალიზმისა, ე.ი. ამ თეორიებისა და სკოლების დიდი სიმრავლისა, – მათთვის დამახასიათებელია სამართლის კლასობრივი ხასიათის უარყოფა და ბურჟუაზიული სამართლის მთელი ხალხის საერთო ნების გამომხატველ მოვლენად აღიარება. თავიდანვე ისინი ერთ-ერთ იდეოლოგიურ იარაღს წარმოადგენდნენ, რომელსაც ბურჟუაზია იყენებდა თავისი ბატონობის შესანარჩუნებლად, მაგრამ თანამედროვე ეპოქის ცივილიზებული კაპიტალისტური ქვეყნების სინამდვილეში ბურჟუაზიული სამართლებრივი სისტემების ამგვარი დახასიათება ზემოდასახელებული თეორიების მიერ მეტ-ნაკლებად ობიექტურად გამოიყურება და რეალურ სურათს ასახავს.

მ ე ო თ ხ ე თ ა ვ ი

სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიული ტიპები

§ 1. მონათმფლობელური სახელმწიფო და სამართალი

მონათმფლობელური სახელმწიფო და სამართალი წარმოადგენენ სახელმწიფოსა და სამართლის პირველ ისტორიულ ტიპებს. რომლებიც წარმოიშვნენ პირველყოფილ-თემური წესწყობილების რღვევისა და საზოგადოების კლასებად დაყოფის შემდეგ და არსებობდნენ მონათმფლობელური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის პირობებში. მონათმფლობელები და მონები – ასეთი იყო საზოგადოების პირველი დაყოფა კლასებად. მონათმფლობელური წესწყობილების ეკონომიკურ საფუძველს შეადგენდა მონათმფლობელური წარმოებითი ურთიერთობანი, რომლებიც, თავის მხრივ, ემყარებოდნენ მონათმფლობელურ კერძო საკუთრებას წარმოების იარაღებსა და საშუალებებზე და თვით წარმოების მუშაკებზე – მონებზე.

მონათმფლობელური სახელმწიფო წარმოადგენდა გაბატონებული, მონათმფლობელური კლასის ორგანიზაციას მონების ექსპლუატაციისა და ჩაგვრის უზრუნველსაყოფად. პირველი მონათმფლობელური სახელმწიფოები შეიქმნა ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში ეგვიპტესა და ბაბილონში (დაახლოებით 4 ათასი წლის წინათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე), ასურეთსა და ინდოეთში (დაახლოებით 3 ათასი წლის წინათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე), ხოლო შემდეგ – ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში: საბერძნეთსა და რომში (VII-VI საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე); პირველი მონათმფლობელური სახელმწიფო ახლანდელი

ამიერკავკასიის მიწა-წყალზე გაჩნდა IX საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ეს იყო ურარტუს სახელმწიფო.

მონათმფლობელურ სახელმწიფოებში მონები შეადგენდნენ მოსახლეობის ძირითად მასას, ხოლო მონათმფლობელები აშკარა უმცირესობას. ასე, მაგალითად, ათენის სახელმწიფოში, განსაკუთრებით მისი აყვავების პერიოდში, თავისუფალი მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა 90 ათასს, არასრულუფლებიან მცხოვრებთა რაოდენობა — 45 ათასს, ხოლო მონების რაოდენობა უდრიდა 365 ათასს.

მონათმფლობელურ სახელმწიფოსაც გააჩნდა ორი ძირითადი ფუნქცია, რომლებიც განპირობებული იყო მისი კლასობრივი არსითა და დანიშნულებით. მონათმფლობელური სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციებიდან პირველსა და მთავარს წარმოადგენდა ს ა შ ი ნ ა ო ფ უ ნ ქ ც ი ა, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ მორჩილებაში ჰყოლოდა მოსახლეობის უმრავლესობა — მონები. ამ ფუნქციის განხორციელების პროცესში სახელმწიფო იცავდა წარმოების იარაღებსა და საშუალებებზე მონათმფლობელების კერძო საკუთრებასა და თვით მონებზე მათი საკუთრების უფლებას, აიძულებდა მონებს ემუშავათ მონათმფლობელების სასარგებლოდ და შეექმნათ მათთვის აურაცხელი სიმდიდრე, სისტემატურად აწარმოებდა მონების დათრგუნვას და დაუნდობლად უსწორდებოდა მათ მჩაგვრელების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

არსებითად, სწორედ საშინაო ფუნქცია, თავისი სხვადასხვა მხარეებით, გამოხატავდა მონათმფლობელური სახელმწიფოს მთავარ დანიშნულებას — შეესრულებინა მძლავრი იარაღის როლი მონათმფლობელთა კლასის ხელში მონებზე ბატონობის უზრუნველსაყოფად. ცხადია, მონათმფლობელურ სახელმწიფოს რომ დასახელებული ფუნქცია არ ჰქონოდა, მონათმფლობელები ვერ შეძლებდნენ თავიანთი საკუთრების დაცვას და მონების მიმართ აღვირახსნილი, შეუზღუდავი ექსპლუატაციის გაწევას, ვერ აიძულებდნენ მონათა მასებს მათ სასარგებლოდ ემუშავათ, ვერ მოარხერხებდნენ მონათა წინააღმდეგობის დაძლევას და თავიანთი გაბატონებული მდგომარეობის შენარჩუნებას.

მართლაც, მონათმფლობელური სახელმწიფოების არსებობის ისტორიაში განუწყვეტლად ჰქონდა ადგილი მონების ბრძოლას და

ხშირად დიდ აჯანყებებს ექსპლუატატორ-მონათმფლობელთა წინააღმდეგ. ასე, მაგალითად, XVIII საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ეგვიპტეში ადგილი ჰქონდა მონებისა და თავისუფალი ღარიბების უდიდეს აჯანყებას, რომლის შედეგადაც გარკვეული დროის განმავლობაში შერყეული იყო მონათმფლობელების ბატონობა. გავიხსენოთ აგრეთვე ძველი რომის სახელმწიფოში მომხდარი მონათა დიდი აჯანყება სპარტაკის მეთაურობით პირველ საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, მაგრამ ყველა ეს აჯანყება მარცხით მთავრდებოდა; მონათმფლობელები თავიანთი სახელმწიფო ხელისუფლების მეშვეობით უსასტიკესი ზომებით სისხლში ახშობდნენ მათ.

მონათმფლობელური სახელმწიფოს მეორე ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა ს ა გ ა რ ე ო ფ უ ნ ქ ც ი ა, რომელიც გამომდინარეობდა მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანიდან – უზრუნველყო ქვეყნის თავდაცვა სხვა სახელმწიფოების თავდასხმისაგან და, ამავე დროს, გამოეყენებინა თავისი ძლიერება სხვა ქვეყნების ტერიტორიის დაპყრობისა და ხელში ჩაგდების მიზნით. ამ ფუნქციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმიტომ, რომ მონათმფლობელური წესწყობილების დროს ომები ძალიან ხშირად წარმოებდა, ხოლო საომარი მოქმედების შედეგად ხელში ჩაგდებული სამხედრო ტყვეები მონათა რიცხვის გაზრდის ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენდნენ.

საშინაო და საგარეო ფუნქციების წარმატებით განხორციელებისათვის მონათმფლობელურ სახელმწიფოს შესაბამისი მ ე ქ ა ნ ი ზ მ ი გააჩნდა. ამ სახელმწიფო მექანიზმის ერთ-ერთ მთავარ რგოლს შეადგენდა ჯარი, შეიარაღებული რაზმები, რომელთა დანიშნულება ქვეყნის შიგნით იყო – საჭირო შემთხვევაში, მონების სამხედრო ძალით დათრგუნვა და მათი ანტიმონათმფლობელური გამოსვლების უვნებელყოფა, ხოლო ქვეყნის გარეთ – თავდაცვითი ან აგრესიული ომების წარმოება, სხვა ქვეყნების ტერიტორიების დაპყრობა და სხვა ხალხებზე ბატონობის განხორციელება.

მონათმფლობელური სახელმწიფოს მექანიზმის სხვა ნაწილებიც (წარმომადგენლობითი დაწესებულებანი, მმართველობის ორგანოები, პოლიცია, სასამართლო, საპყრობილები და ა.შ.) ძირითადად ექსპლუატირებული მასების ჩაგვრისა და დამორჩილების ამოცანებს

ემსახურებოდა. გარდა მონებისა, ჩაგვრის ობიექტს წარმოადგენდნენ, ჯერ ერთი, ე.წ. თავისუფალი ღარიბები, რომლებიც არმქონებელნი იყვნენ, მაგრამ პირადად არ იყვნენ დამოკიდებულნი მონათმფლობელებისაგან, და, აგრეთვე, დაპყრობილი, დამოკიდებული ქვეყნების მოსახლეობა.

საერთოდ, მონათმფლობელური სახელმწიფოს მექანიზმის შესახებ უნდა ითქვას, რომ იგი შედარებით მარტივი და პრიმიტიული იყო, განსაკუთრებით ამ სახელმწიფოს არსებობის პირველ პერიოდში. როგორც წესი, ადგილი არ ჰქონდა სახელმწიფოს ორგანოებს შორის ფუნქციების გამიჯვნას, თვითონ გაბატონებული კლასის წევრები — მონათმფლობელები ასრულებდნენ მხედართმთავრების, მოსამართლეების და სხვა თანამდებობის პირთა მოვალეობას. ამ მხრივ მკაფიოდ გამოხატულ გამონაკლისს წარმოადგენდა რომის სახელმწიფო (განსაკუთრებით იმპერიის პერიოდში), სადაც, ჯერ ერთი, ფართო განვითარებას მიაღწია სასაქონლო მეურნეობამ; გარდა ამისა, სახელმწიფოს უნდა უზრუნველყო მონების უდიდესი რაოდენობის დათრგუნვა, გალატაკებული გლეხებისა და ხელოსნების უკმაყოფილების დაძლევა, დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობის დამორჩილება. ყოველივე ამან განსაზღვრა რომში სახელმწიფო ორგანოების რთული სისტემის ჩამოყალიბება, ამ ორგანოთა შორის ფუნქციების განაწილებითა და განვითარებული სპეციალიზაციით.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა მონათმფლობელური სახელმწიფოს ერთი და იგივე კლასობრივი შინაარსი და ძირითადი ფუნქციები გააჩნდა, ისინი განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან თავისი ფორმით, ე.ი. იმისდა მიხედვით, თუ როგორ იყო მოწყობილი სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოები, უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება, რა სახით ჰქონდა ორგანიზებული მონათმფლობელთა კლასს თავისი მთავარი ამოცანების განხორციელება.

მონათმფლობელური სახელმწიფოს ფორმები ერთგვაროვანი არ ყოფილა ყველა ქვეყანაში და არც მონათმფლობელური წყობილების არსებობის ყველა პერიოდში. სახელმწიფოს მართა-გამგეობის ფორმების კლასიფიკაციის მიხედვით მონათმფლობელური სახელმწიფოსათვის დამახასიათებელია სამი ძირითადი ფორმა: მონარქია, არისტოკრატიული

რესპუბლიკა და დემოკრატიული რესპუბლიკა. უძველეს სახელმწიფოებრივ ფორმას მონათმფლობელურ საზოგადოებაში წარმოადგენდა მონარქია, რაც გულისხმობს მთელი ძალაუფლების თავმოყრას ერთი პიროვნების ხელში (მეფე, ფარაონი, იმპერატორი და ა.შ.). ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში — ეგვიპტეში, ბაბილონში, ინდოეთში, ჩინეთში მონათმფლობელური მონარქიები არსებობდნენ თავისებური, ე.წ. ა ღ მ ო ს ა ვ ლ უ რ ი დ ე ს პ ო ტ ი ე ბ ი ს ს ა ხ ი თ; მათში მთელი სახელმწიფო ხელისუფლება თავმოყრილი იყო ერთი პირის — მემკვიდრეობითი მონარქის ხელში, რომელიც მართავდა ქვეყანას სამხედრო-ბიუროკრატიული სახელმწიფო აპარატის მეშვეობით. ესენი იყვნენ მტკიცე ცენტრალიზებული სახელმწიფოები, სადაც განსაზღვრული კლიმატური პირობებისა და ნიადაგის თავისებურებათა გამო საჭირო იყო რთული ირიგაციული სისტემის შექმნა და ხელოვნური მორწყვის უზრუნველყოფა. ვინაიდან ეს სამუშაოები მეტად ვრცელ ტერიტორიაზე წარმოებდა და მოითხოვდა მონების უდიდესი რაოდენობის გამოყენებას, ამ ქვეყნებში დამკვიდრდა მიწაზე მონათმფლობელთა კოლექტიური კერძო საკუთრება და აგრეთვე კოლექტიური კერძო საკუთრება მონებზეც, რა თქმა უნდა, როგორც მიწაზე, ისევე მონებზე ინდივიდუალური კერძო საკუთრების გვერდით.

დესპოტების ძალაუფლების შეუზღუდველობა, მათი პიროვნების გაღმერთება სრულიად არ გამოირიცხავდა იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო მთელი გაბატონებული კლასის და, პირველ რიგში, მონათმფლობელთა ზედაფენის ინტერესებს ემსახურებოდა მონებისა და სხვა ექსპლუატირებული ფენების დათრგუნვის მიზნით.

მონათმფლობელური მონარქიის ფორმა ჰქონდა აგრეთვე ძველი რომის სახელმწიფოს მისი განვითარების უკანასკნელ ეტაპზე: სახელდობრ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნის დასასრულიდან ჩვენი წელთაღრიცხვის III საუკუნემდე მონარქია არსებობდა ე.წ. პრინციპატის სახით, რომელიც, სახელმწიფოებრივი მექანიზმის სტრუქტურის თვალსაზრისით, ერთგვარ გარდამავალ საფეხურს წარმოადგენდა რესპუბლიკიდან მონარქიაზე. სახელმწიფოს სათავეში იდგა ერთპიროვნული მმართველი — პრინციპსი, რომლის ხელში თანდათან თავს იყრიდა შეუზღუდველი ძალაუფლება, მაგრამ, ფაქ-

ტიურად, უკვე ჩამოყალიბებული მონარქია ჯერ კიდევ შენიღბული იყო რესპუბლიკური ფორმით: შენარჩუნებული იყო ზოგიერთი რესპუბლიკური დაწესებულება (სენატი, მაგისტრატები და ა.შ.), თუმცა ისინი მოკლებულნი იყვნენ რეალურ ძალაუფლებას და უშუალოდ პრინციპებზე იყვნენ დამოკიდებულნი. III საუკუნიდან თავისი არსებობის დასასრულამდე (476 წ.) რომის სახელმწიფო ისტორიაში ადგილი აქვს ე.წ. დომინატის პერიოდს. ამ დროს სახელმწიფოს სათავეში იდგა იმპერატორი, რომელიც ატარებდა მბრძანებლის ტიტულს (ლათინურად – dominus) და, უშუალოდ მისადმი დაქვემდებარებული სამხედრო-ბიუროკრატიული აპარატის მეშვეობით, შეუზღუდველად განაგებდა სახელმწიფოს საქმეებს, პირველ რიგში, მსხვილ მონათმფლობელთა ინტერესების შესაბამისად.

მონათმფლობელური მონარქიის ერთ-ერთ თავისებურ სახეს წარმოადგენდა მეფე ალექსანდრე მაკედონელის მიერ სხვადასხვა ქვეყნების დაპყრობის შედეგად შექმნილი უზარმაზარი იმპერია IV საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

არისტოკრატიული რესპუბლიკა მონათმფლობელურ ეპოქაში ისეთ სახელმწიფოებრივ ფორმას წარმოადგენდა, რომლის დროსაც სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში გადამწყვეტ როლს ასრულებდა არა მონათმფლობელთა კლასი მთლიანად, არამედ მისი ზედაფენა, დიდგვაროვანი და ყველაზე უფრო მდიდარი ნაწილი – მონათმფლობელური არისტოკრატია. რა თქმა უნდა, არისტოკრატიული რესპუბლიკის ფორმითაც სახელმწიფო უზრუნველყოფდა მონათმფლობელთა მთელი კლასის ბატონობას მონათა მასებზე, მათ ექსპლუატაციას, მათ დათრგუნვას; მაგრამ პირველ რიგში სახელმწიფო იცავდა გაბატონებული კლასის სწორედ ზედაფენის ინტერესებს, მათ პრივილეგიებს ამ კლასის სხვა ფენებთან შედარებით.

დასახელებული სახელმწიფოებრივი ფორმის მკაფიო მაგალითია ძველი საბერძნეთის სახელმწიფო სპარტა და რომის სახელმწიფო რესპუბლიკის პერიოდში (VI-I საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე). მართალია, რომის რესპუბლიკაში სახალხო კრებები გარკვეულ როლს ასრულებდნენ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ ძირითადად სენატს ეკავა წამყვანი ადგილი ქვეყნის მართვა-

გამგეობაში. ეს უკანასკნელი კი წარმოადგენდა მსხვილი მონათმფლობელების ორგანოს, რომლის მეშვეობითაც ისინი უზრუნველყოფდნენ თავისი პრივილეგიების დაცვას.

დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი რ ე ს ჰ უ ბ ლ ი კ ა მონათმფლობელური სახელმწიფოს ისეთი ფორმაა, რომლის დროსაც ქვეყნის მართვა-გამგეობის განხორციელებაში მონაწილეობდა ძირითადად მთელი გაბატონებული კლასი — მონათმფლობელთა ყველა ფენა. ცხადია, რომ მმართველობის ეს ფორმა გულისხმობდა დემოკრატიას მხოლოდ ექსპლუატატორებისათვის და, ისე როგორც მონათმფლობელური სახელმწიფოს სხვა ფორმების პირობებშიც, სრულიად გამორიცხავდა ექსპლუატირებულების, მონების მონაწილეობას სახელმწიფოს საქმეებში. მონათმფლობელური დემოკრატიის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენდა ათენის სახელმწიფო ძველ საბერძნეთში. ამ ქვეყანაში, განსაკუთრებით ათენის დემოკრატიის აყვავების პერიოდში (V-IV საუკუნეები ჩვენს წელთაღრიცხვამდე), დიდ როლს ასრულებდნენ სახალხო კრებები, რომელთა მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ მხოლოდ სრულუფლებიანი მოქალაქეები — მონათმფლობელები. მონების გარდა, პოლიტიკური უფლებებით არ სარგებლობდნენ და სახალხო კრებებს არ ესწრებოდნენ არც უცხოელები, ე.წ. მეტეკები.

მ ო ნ ა თ მ ფ ლ ო ბ ე ლ უ რ ი ს ა მ ა რ თ ა ლ ი წარმოადგენდა მონათმფლობელთა კლასის ნება-სურვილის გამოხატველი ქცევის წესების (ნორმების) ერთობლიობას, რომელთა დადგენა ან სანქციონირება ხდებოდა მონათმფლობელური სახელმწიფოს მიერ და შესრულება უზრუნველყოფილი იყო ამავე სახელმწიფოს იძულებითი აპარატით, მონათმფლობელური ურთიერთობების დაცვისა და განმტკიცების მიზნით.

იმის გამო, რომ მონათმფლობელური სამართალი კლასობრივი საზოგადოების გაჩენასთან ერთად იქმნებოდა, მასში, განსაკუთრებით არსებობის პირველ ხანებში, თავს იჩენდნენ პ ი რ ვ ე ლ ყ ო ფ ი ლ — თ ე მ უ რ ი წ ე ს წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ი ს გ ა დ მ ო ნ ა შ თ ე ბ ი. მაგალითად, ზოგიერთი დანამაულისათვის გათვალისწინებული იყო, როგორც უკვე აღინიშნა, წინაკლასობრივი საზოგადოების ჩვეულებებისათვის დამახასიათებელი სასჯელი ე.წ.

ტალიონისა და კომპოზიციის პრინციპების სახით (ტალიონის დროს დამნაშავე პირს სამაგიერო მიეზღვება მისთვის ისეთივე ზიანის მიყენებით, რაც თვით მან მიაყენა სხვას, ხოლო კომპოზიციის დროს დამნაშავე პირი ზიანის ასანაზღაურებლად ნატურით ან ფულით უხდის დაზარალებულს ან მის ოჯახს).

მონათმფლობელური სამართალი ამკარა უთანასწორობის სამაართალი იყო. იგი აწესებდა საზოგადოების უდიდესი ნაწილის — მონების სრულიად უუფლებო მდგომარეობას. მონები არ ითვლებოდნენ სამართლის სუბიექტებად, არამედ მხოლოდ სამართლის ობიექტებს შეადგენდნენ. კანონებში და სხვა აქტებში, რომლებსაც მონათმფლობელური სახელმწიფო გამოსცემდა, პირდაპირ იყო აღიარებული მონის უუფლებო მდგომარეობა და მონათმფლობელის შეუზღუდველი უფლება — ისე მოპყრობოდა მონას, როგორც მოესურვებოდა. მონა მონათმფლობელის სრულ საკუთრებას წარმოადგენდა; მონის ყიდვა-გაყიდვა ისევე წარმოებდა, როგორც რაიმე ნივთისა ან პირუტყვისა. მონათმფლობელს შეეძლო მოეკლა კიდევ მონა და ამისათვის არავითარ პასუხს არ აგებდა. ტყუილად კი არ უწოდებდნენ მონას „მოლაპარაკე იარაღს“.

ათენის სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმების მიხედვით, მონის მიერ მოპოვებული ყოველგვარი ქონება მისი პატრონის საკუთრებას შეადგენდა. ვინმეს მიერ მონის ჯანმრთელობის მიმართ მიყენებული ზიანისათვის ანაზღაურებას მიიღებდა ამ მონის პატრონი; ეს უკანასკნელი, ამავე დროს, პასუხს აგებდა მისი მონის მიერ მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის გამო, მაგრამ იგი შეიძლებოდა განთავისუფლებულიყო პასუხისმგებლობისაგან, თუკი დამნაშავე მონას გადასცემდა დაზარალებულს.

მონათმფლობელური სამართალი გარკვეულ უთანასწორობას აწესებდა თავისუფალი მოსახლეობის სხვადასხვა ფენების უფლებრივ მდგომარეობაშიც. გარდა სრულუფლებიანი მოქალაქეებისა, ყოველ მონათმფლობელურ სახელმწიფოში არსებობდა მოსახლეობის ისეთი კატეგორიები, რომლებიც მეტად თუ ნაკლებად შეზღუდულნი იყვნენ თავიანთ პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებებში. ასეთები იყვნენ, მაგალითად, ძველ ბაბილონში მუშკენუ, რომლებსაც უფრო დაბალი მდგომარეობა ეკავათ და ნაკლები უფლებები ჰქონდათ

მონათმფლობელთა ზედა ფენასთან – ავილუმთან შედარებით. ათენში, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, თავისუფალი მოსახლეობის მცირეუფლებიან ფენას შეადგენდნენ მეტეკები; ისინი არ მონაწილეობდნენ სახალხო კრებებში და სასამართლოში, არ ჰქონდათ უფლება დაეკავებინათ სახელმწიფოებრივი თანამდებობები და ა.შ. რომში თავისუფალი მოსახლეობის ამგვარ კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ პლებეები, შემდეგ კი ლატინები და პერეგრინები, აგრეთვე განთავისუფლებული მონები.

მონათმფლობელური სამართლის, როგორც უთანასწორობის სამართლის, დამახასიათებელი ნიშანი იმაშიც გამოიხატებოდა, რომ იგი აკანონებდა მამაკაცის ბატონობას ოჯახში და მის განუსაზღვრელ უფლებებს ცოლისა და შვილების მიმართ. ამ მხრივ ქალის მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე იყო საბერძნეთსა და რომში.

მონათმფლობელური სამართლის ნორმათა შინაარსი ნათელყოფს იმ გარემოებას, რომ მათი უმრავლესობა მიმართული იყო კ ე რ ძ ო ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს დ ა ც ვ ი ს ა და მისი სარგებლობა-მფლობელობის უზრუნველყოფისაკენ. ასევე, კერძო საკუთრების დაცვის პრინციპებიდან გამომდინარე, მონათმფლობელური სამართალი ქონებრივი ხასიათის ურთიერთობების მოწესრიგებისას ყოველთვის მძიმე მდგომარეობაში აყენებდა მოვალეს, მსესხებელს და, პირიქით, ყოველმხრივ იცავდა კრედიტორის, გამსესხებლის ინტერესებს, დასაშვებად თვლიდა ვალის გადაუხდელობისათვის მოვალის გადაქცევას მონად. კერძო საკუთრების უფლების მარეგულირებელი ნორმები და სამართლებრივი ინსტიტუტები განსაკუთრებით ღრმად დამუშავდა ძველ რომში, სადაც ფართო განვითარება მიიღო სასაქონლო მეურნეობამ და სავაჭრო ურთიერთობებმა¹.

რაც შეეხება მონათმფლობელური სამართლის წყაროებს, ანუ სამართლის ნორმათა გამოხატულების ფორმებს, აღსანიშნავია, რომ მონათმფლობელური წესწყობილების არსებობის პირველ პერიოდში საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირება ხდებოდა უმთავრესად ჩვეულებათა მეშვეობით. ჩვეულებითი სამართლის ნორმები დაუწერელ ქცევის

¹ იხ. ვ. მ. ტ რ ე ვ ე ლ ი. რომის სამართალი (საფუძვლები), თბილისი, 1995.

წესებს წარმოადგენდნენ, რომლებიც ზეპირად გადაეცემოდა თაობიდან თაობას, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა ორგანოებისა და, პირველ რიგში, სასამართლოს მეშვეობით მათი სანქციონირების შემდეგ. მაგრამ მონათმფლობელური საზოგადოებრივი ურთიერთობების თანდათან განვითარებისა და დამწერლობის გაჩენის შემდეგ სამართლის უმნიშვნელოვანესი ნორმები კანონის სახით ფორმდება, თუმცა ამ კანონების დიდი ნაწილიც გაბატონებული კლასისათვის ხელსაყრელი ჩვეულებების ჩაწერის გზით იქმნება. ცხადია, სხვადასხვა ქვეყანაში საკანონმდებლო აქტების გამოცემა სხვადასხვა სახის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ ხდებოდა.

მონათმფლობელური წესწყობილება, მონათმფლობელური სახელმწიფო და სამართალი მრავალი ათასი წლის მანძილზე არსებობდა სხვადასხვა ქვეყანაში. პირველყოფილ-თემურ საზოგადოებასთან შედარებით, იგი გარკვეული ნაბიჯი იყო წინ კაცობრიობის განვითარებაში, ვინაიდან მონათმფლობელობის დროს შეიქმნა წარმოების უფრო სრულყოფილი საშუალებანი, ამალდა ადამიანთა შრომის ნაყოფიერება, მნიშვნელოვნად განვითარდა მეცნიერება და ხელოვნება.

მაგრამ, თანდათან, დროთა განმავლობაში მონათმფლობელური წესწყობილება საზოგადოების შემდგომი განვითარების მუხრუჭად გადაიქცა. მონები, რომელთა შრომის ნაყოფი მთლიანად მონათმფლობელის საკუთრებას შეადგენდა და რომლებიც მონათმფლობელისაგან მხოლოდ ფიზიკური არსებობისათვის საჭირო მინიმუმს ღებულობდნენ, არ იყვნენ დაინტერესებულნი შრომის ნაყოფიერების ზრდით, ტექნიკის განვითარებით. გარდა ამისა, მონათმფლობელური სახელმწიფოები ურთიერთშორის განუწყვეტელი ომების შედეგად სუსტდებოდნენ, მონათა აჯანყებებმა კი საბოლოოდ შეარყიეს მათი საფუძვლები.

ამ წინააღმდეგობათა გადაჭრა მონათმფლობელური წესწყობილების ფარგლებში შეუძლებელი აღმოჩნდა, ამიტომ მონათმფლობელობა დაემხო და აღმოცენდა ახალი წესწყობილება — ფეოდალიზმი, წარმოიშვა ფეოდალური სახელმწიფო და სამართალი.

§2. ფეოდალური საზოგადოება

ფეოდალური საზოგადოება ორი ძირითადი კლასისაგან შედგებოდა — ფეოდალებისა და ყმა გლეხებისაგან. ფეოდალები წარმოადგენდნენ გაბატონებულ კლასს, რომელსაც ეკუთვნოდა წარმოების მთავარი საშუალება — მიწა. ყმა გლეხობა კი, რომელიც საზოგადოების უდიდეს ნაწილს შეადგენდა, ექსპლუატირებული კლასი იყო. ყმები ვალდებული იყვნენ უსასყიდლოდ დაემუშავენინათ ფეოდალთა მამულები და, გარდა ამისა, მემამულეებისათვის მიეცათ იმ პროდუქტების უდიდესი ნაწილიც, რასაც მიიღებდნენ მათ სარგებლობაში გადაცემული მიწის მცირე ნაკვეთებიდან.

მონათმფლობელობასთან შედარებით, ფეოდალური, ანუ ბატონყმური წესწყობილება განვითარების მაღალ საფეხურს წარმოადგენდა. იგი ხელს უწყობდა შრომის ნაყოფიერების ზრდას და საწარმოო ძალთა შემდგომ განვითარებას, ვინაიდან ყმა გლეხი დაინტერესებული იყო მეტი შეექმნა, რათა ბატონის წინაშე ყველა ვალდებულების შესრულების შემდეგ მას პროდუქტების მეტი რაოდენობა დარჩენოდა. ფეოდალიზმის დროს განვითარდა ხელოსნობა, შეიქმნა დიდი საწარმოები — ე.წ. მანუფაქტურები, გაჩნდა დიდი ქალაქები.

ფეოდალს არ ჰქონდა უფლება მოეკლა თავისი ყმა, მაგრამ მას შეეძლო ეყიდა ან გაეყიდა იგი, გაეცვალა რაიმე საქონელში, დაემორებინა ოჯახს, ჩარეულიყო მის პირად ცხოვრებაში და ა.შ., ე.ი. ფეოდალებს ჰქონდათ არასრული საკუთრების უფლება ყმებზე, ხოლო წარმოების ძირითადი საშუალებანი მთლიანად მათ საკუთრებას შეადგენდა.

ფეოდალები სასტიკ ექსპლუატაციას უწევდნენ ყმებს, რომლებიც ხშირად აწყობდნენ აჯანყებებს, ჰკლავდნენ განსაკუთრებით საძულველ მემამულეებს, ცეცხლს უკიდებდნენ თავიანთი ბატონების სახლ-კარს და გარბოდნენ მათგან. ზოგ შემთხვევაში ყმების შეიარაღებული გამოსვლები მეტად ფართო ხასიათს ატარებდა და გლეხთა ომების სახეს იღებდა. ასეთი იყო, მაგალითად, ინგლისში აჯანყება უოტ ტაილერის მეთაურობით (1381 წ.), საფრანგეთში — აჯანყება ჟაკერის სახელწოდებით (1358 წ.), გლეხთა ომი გერმანიაში (1524-

1525 წწ.), გლეხთა აჯანყებები რუსეთში ივანე ბოლოტნიკოვის მეთაურობით (1606-1607 წწ.), სტეფანე რაზინის ხელმძღვანელობით (1666-1672 წწ.) და ემელიანე პუგაჩოვის ხელმძღვანელობით (1773-1775 წწ.).

ფეოდალური სახელმწიფო წარმოდგენდა უმნიშვნელოვანეს იარაღს გაბატონებული კლასის — მემამულეების ხელში ყმა გლეხების ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად და მათი წინააღმდეგობის დასათრგუნავად. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ხალხში, მაგალითად, გერმანელებში, აღმოსავლეთის სლავებში ფეოდალური სახელმწიფო წარმოიშვა უშუალოდ პირველყოფილი-თემური წესწყობილების რღვევის შედეგად. ასე რომ, ამ ხალხებს არ გაუვლიათ მონათმფლობელობა, მაგრამ უმრავლეს ქვეყნებში ფეოდალური ანუ მემამულური სახელმწიფო შეიქმნა მონათმფლობელური სახელმწიფოს შემდეგ.

სახელმწიფოს მეშვეობით ფეოდალთა კლასს მორჩილებაში ჰყავდა ყმა გლეხები; სახელმწიფოს გარეშე იგი ვერ შეინარჩუნებდა თავის ბატონობას ექსპლუატირებულ მასებზე. ამიტომ ფეოდალური სახელმწიფოს მთავარ ამოცანას, მის ძირითად ს ა შ ი ნ ა ო ფ უ ნ ქ ც ი ა ს შეადგენდა ის, რომ ლაგამამოდებული ჰყოლოდა საზოგადოების ჩაგრული უმრავლესობა — ყმები. ფეოდალური სახელმწიფო აპარატი გაცილებით უფრო რთული და განშტოებული იყო, ვიდრე მონათმფლობელობის დროს, გაიზარდა სახელმწიფო მოხელეთა, ციხეებისა და საპატიმროების რაოდენობა, უფრო მრავალრიცხოვანი გახდა პოლიცია და სასამართლო.

ფეოდალური სახელმწიფო მემამულეების ინტერესებისა და პრივილეგიების დაცვის მიზნით სასტიკად უსწორდებოდა ყმა გლეხობას, თავისი შეიარაღებული ძალებით სისხლში ანშობდა გლეხთა აჯანყებებს, საპატიმროებში ალპობდა და აწამებდა ურჩ ყმებს.

ფეოდალური სახელმწიფოს საშინაო ფუნქციის განხორციელებაში და ფეოდალური ექსპლუატაციის განმტკიცებაში დიდ როლს ასრულებდა აგრეთვე ეკლესია, რომელიც მემამულეების ხელში იყო და რომელსაც საკუთარი ყმებიც ჰყავდა. ეკლესია ზემოქმედებდა ფართო მასების შეგნებაზე, ფეოდალურ ურთიერთობას საუკეთესო

წყობილებად აცხადებდა და ფეოდალური სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოსვლა ღვთის გამოხად მიაჩნდა.

ფეოდალური სახელმწიფოს საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მის ს ა გ ა რ ე ო ფ უ ნ ქ ც ი ა ს. გარდა თავისი ტერიტორიის დაცვისა, ფეოდალური სახელმწიფო ცდილობდა საკუთარი ტერიტორიის გაფართოებასა და სხვისი მიწა-წყლის ხელში ჩაგდებას. ისტორიიდან ცნობილია, რომ ომები ფეოდალურ სახელმწიფოთა შორის ხშირად ათეული წლების მანძილზე გრძელდებოდა. მაგალითად, XIV-XV საუკუნეებში საფრანგეთსა და ინგლისს შორის ომი ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში წარმოებდა, ხოლო XVII საუკუნეში ომი ევროპის სახელმწიფოთა შორის 30 წელი გაგრძელდა.

გარდა ამისა, ბატონყმობის დროს ცალკეულ ფეოდალსაც შეეძლო საკუთარი შეიარაღებული ძალებით ომი გაეჩაღებინა სხვა ფეოდალის წინააღმდეგ, რაც იწვევდა მოსახლეობის აწიოკებასა და დარბევას.

ფ ე ო დ ა ლ უ რ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ფ ო რ მ ე ბ ი სხვადასხვაგვარია. მმართველობის ყველაზე უფრო გავრცელებულ ფორმას ფეოდალიზმის დროს მონარქია წარმოადგენდა, რომელიც ფეოდალური საზოგადოების განვითარების სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა სახეს იღებდა.

ადრინდელი ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელია ე.წ. დ ე - ც ე ნ ტ რ ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი მ ო ნ ა რ ქ ი ა, რომლის დროს მონარქი, როგორც ყველაზე ძლიერი ფეოდალი, თავის ხელისუფლებას განავრცობს ძირითადად მის საკუთრებაში მყოფ მიწებზე. ცალკეული ფეოდალები კი სრულუფლებიან მმართველებს წარმოადგენდნენ თავიანთ სამფლობელოებში და ვალდებული იყვნენ გარკვეული გადასახადი მიეცათ მონარქისათვის ან გამოეყვანათ შეიარაღებული ძალები, როცა ამას მოითხოვდა მონარქი. ასეთი იყო, მაგალითად, ძველი რუსეთის სახელმწიფო XII-XV საუკუნეებში, საფრანგეთი და დასავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნები X-XIII საუკუნეებში.

უფრო გვიან, როდესაც ვითარდება სავაჭრო-ფულადი ურთიერთობანი და ისპობა კარჩაკეტილი ნატურალური მეურნეობა, როდესაც წარმატებებს აღწევს მეფეების ან დიდი მთავრების

ბრძოლა ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანებისათვის, იქმნება ე.წ. წოდებრივ - წარმოშობად გენლობითი მონარქიები. ამ სახელმწიფოებში მონარქის ხელისუფლებასთან ერთად არსებობდა საზოგადოების სხვადასხვა წოდების წარმომადგენლებისაგან შემდგარი დაწესებულებანი, რომელთა გადაწყვეტილებებისათვის მონარქს ანგარიში უნდა გაეწია. ასეთ ორგანოს წარმოადგენდა საფრანგეთში გენერალური შტატები, რუსეთში - საეროობო კრება, ინგლისში - პარლამენტი და ა.შ. წოდებრივი მონარქია საფრანგეთში და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში არსებობდა XIV-XVI საუკუნეებში, ინგლისში XIII-XIV საუკუნეებში, ხოლო რუსეთში XVI-XVII საუკუნეებში.

ფეოდალიზმის რღვევის პერიოდში და ძალაუფლებისათვის ბურჟუაზიის ბრძოლის დროს იქმნება ფეოდალური მონარქიის ახალი სახე - აბსოლუტიზმი, რომელიც წარმოადგენდა უკვე უაღრესად ცენტრალიზებულ სახელმწიფოს მონარქის შეუზღუდავი ძალაუფლებით. საფრანგეთში აბსოლუტური მონარქია ჩამოყალიბდა XVI საუკუნეში და შემდეგ თანდათან მტკიცდებოდა. რუსეთში კი აბსოლუტიზმი განმტკიცდა პეტრე I-ის და ეკატერინე II-ის მეფობის დროს (XVIII ს.).

ფეოდალური წესწყობილებისათვის, მონარქიის გარდა, დამახასიათებელია აგრეთვე ფეოდალური რესპუბლიკები, რომლებიც იქმნებოდნენ რუსეთისა და დასავლეთ ევროპის დიდ ქალაქებში. ეს ქალაქები სარგებლობდნენ დამოუკიდებლობით, მათ სათავეში იდგა არჩევითი დაწესებულებანი, რომლებიც ძირითადად შეძლებული ფენებისაგან იქმნებოდა. ასეთი ქალაქ-რესპუბლიკები იყო, მაგალითად, ნოვგოროდი - რუსეთში, ვენეცია და ფლორენცია - იტალიაში და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად მმართველობის ფორმათა სხვადასხვაობისა, ფეოდალური სახელმწიფო ყველა შემთხვევაში წარმოადგენდა მემამულეთა კლასის ბატონობის განხორციელების იარაღს და მიმართული იყო ყმა გლეხების, მშრომელების წინააღმდეგ.

ფეოდალური სამართალი გამოხატავდა ფეოდალთა კლასის ნება-სურვილს და განამტკიცებდა ამ კლასისათვის სასურველ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ფეოდალური სამართლის

ნორმებში ამკარად იყო გამოხატული უფლებრივი უთანასწორობა საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის. კანონები უპირატესობებს და პრივილეგიებს ანიჭებდნენ გაბატონებული კლასის წარმომადგენლებს. ისინი ერთი და იმავე დანაშაულის გამო გაცილებით უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებდნენ დაბალი ფენების წარმომადგენლების მიმართ, ვიდრე პრივილეგიური წოდების წარმომადგენლებისათვის. ასევე, გაცილებით უფრო მკაცრი სასჯელი იყო დაწესებული მაღალი წრის პიროვნების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის, ვიდრე დაბალი წრის ადამიანების ან, მით უმეტეს, ყმის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის. სწორედ ამიტომ უწოდებენ ფეოდალურ სამართალს პრივილეგიების სამართალს.

ფრანკების აღრინდელი ფეოდალური სახელმწიფოს სამართლებრივი ძეგლის „სალიკური სამართლის“ (lex salica) მიხედვით, მკვლელობისათვის დაწესებული გადასახადის, ე.წ. ვერგელდის რაოდენობა, რომელიც მკვლელს ან მის ნათესავებს უნდა გადაეხადათ მოკლულის ნათესავებისათვის, განისაზღვრებოდა იმისდა მიხედვით, თუ რომელ სოციალურ ფენას ეკუთვნოდა მოკლული. მაგალითად, გრაფის ან საცეპარონის მოკვლისათვის ვერგელდის რაოდენობა უდრიდა 600 სოლიდს (იმდროინდელი ფულადი ერთეული), თავისუფალი ფრანკის მოკვლისათვის – 200 სოლიდს, თავისუფალი რომაელის მოკვლისათვის – 100 სოლიდს, რომელიც კოლონის მოკვლისათვის – 63 სოლიდს. XI-XIII საუკუნეების რუსეთის ფეოდალური სამართლის ცნობილი ძეგლის „Русская правда“-ს მიხედვით, ფეოდალური ზედაფენის, მთავართა წრის ადამიანის მოკვლისათვის დაწესებული იყო გადასახადი 80 გრივნას ოდენობით, სხვა თავისუფალი ადამიანის მოკვლისათვის – 40 გრივნა, ხოლო პისა და სმერდის მოკვლისათვის კი – 5 გრივნა.

ამრიგად, ფეოდალური სამართლის ძირითადი დანიშნულებაა ყმების ექსპლუატაციისა და მათი დამორჩილების უზრუნველყოფა. ამავე დროს, იგი ფართო შესაძლებლობას ტოვებს თვითნებობისა და ძალადობისათვის, ძლიერის მიერ უფრო სუსტის დაჩაგვრისათვის. ამ შემთხვევაში იგულისხმება არა მარტო ფეოდალების მიერ ყმების დაჩაგვრა, არამედ თვით ფეოდალთა კლასის წევრებისა და სხვა-

დასხვა ფენებს შორის ძლიერების მიხედვით უფლებების მოცულობის განსაზღვრა. ძლიერად კი ის ფეოდალი ითვლებოდა, ვისაც, პირველ ყოვლისა, მეტი შეიარაღებული ძალები ჰყავდა. ამრიგად, ძალის გამოყენება კონფლიქტების გადაჭრის, უფლებების უზრუნველყოფისა და ინტერესების განხორციელების საკვებით „კანონიერ“ საშუალებად იყო აღიარებული ფეოდალურ სამართალში.

ისევე როგორც მონათმფლობელურ სამართალში, ფეოდალური სამართლის ნორმათა უდიდესი ნაწილი კერძო საკუთრების უფლებების დაცვასთან იყო დაკავშირებული. მათ შორის კი მთავარი იყო ის ნორმები, რომლებიც განამტკიცებდნენ ფეოდალების საკუთრებას მიწაზე, ვინაიდან სწორედ ფეოდალური საკუთრება მიწაზე, როგორც ფეოდალური სისტემის საფუძველი, განაპირობებდა ფეოდალთა პოლიტიკურ ბატონობასაც.

მიწის მესაკუთრე ფეოდალები იერარქიულ სისტემას შეადგენდნენ, რომლის სათავეში იდგა მთავარი და ყველაზე დიდი მესაკუთრე — მეფე. სამართალი უზრუნველყოფდა თავადაზაურობის ხელში მათი მიწა-წყლის შენარჩუნებას, მიწის საკუთრების დაქუცმაცების თავიდან აცილებას და ამით გაბატონებული კლასის ეკონომიკური ძლიერების დაცვას.

ფეოდალთა საკუთრების ხელყოფა განსაკუთრებით მკაცრად ისჯებოდა სამართლის ნორმებით. მაგალითად, ინგლისში, XVI საუკუნეში მოქმედი კანონმდებლობით, სიკვდილით დასჯა იყო გათვალისწინებული შედარებით უმნიშვნელო ღირებულების ქონების ქურდობისათვის. მსგავს სურათს ადგილი ჰქონდა სხვა ფეოდალურ სახელმწიფოებშიც. არა მარტო კერძო საკუთრების ხელყოფისათვის, არამედ სხვა სახის დანაშაულისათვისაც, ფეოდალური სამართალი აწესებდა მკაცრ სასჯელებს, რომელთა დანიშნულება იყო ექსპლუატირებულების, ყმა გლეხების მასობრივი დაშინება, უმთავრესად სამაგიეროს მიზლის პრინციპიდან გამომდინარე; განსაკუთრებით მკაცრი და სასტიკი სასჯელები იყო დაწესებული აგრეთვე სახელმწიფოებრივი დანაშაულისათვის (ლალატი, მონარქის უდიდებულესობის შეურაცხყოფა და სხვ.), რელიგიური ხასიათის დანაშაულისათვის და ა.შ.

ფეოდალური წესწყობილების პირობებში, განსაკუთრებით აბსოლუტიზმის წარმოშობამდე, ფაქტიურად არ არსებობდა სამართლის ერთიანი სისტემა მთელი ქვეყნის მასშტაბით. სახელმწიფოს ცალკეულ ნაწილებში (საფეოდალოებში, სამთავროებში, საგრაფოებში და ა.შ.) სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირება ხდებოდა ადგილობრივი ხელისუფლების აქტებით, სამართლებრივ ნორმათა განსხვავებული სისტემებით, რომლებიც ადგილობრივ ჩვეულებებზე იყვნენ დამყარებულნი. ფეოდალური სამართლის ამგვარ თავისებურებას პ ა რ ტ ი კ უ ლ ა რ ი ზ მ ს უწოდებენ. ცნობილია, მაგალითად, რომ ფეოდალურ საფრანგეთში სამართლის პარტიკულარული ხასიათი განსაკუთრებით მკაფიოდ იყო გამოხატული. იქ არსებობდა ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლის 300-მდე, სისტემა. მსგავს მდგომარეობას ჰქონდა ადგილი ფეოდალურ გერმანიაშიც.

ამრიგად, როგორც ჩანს, ფორმის მიხედვით ფეოდალური სამართალი, მის ნორმათა უმრავლესობა, აბსოლუტიზმის პერიოდამდე, ჩვეულებებში იყო გამოხატული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფეოდალური სამართლის უმთავრეს წყაროს ჩ ვ ე უ ლ ე ბ ე ბ ი წარმოადგენდნენ. ამასთან აღსანიშნავია, რომ ჩვეულებითი სამართლის თავისებური სისტემები გააჩნდათ თითოეულ სოციალურ ჯგუფს, კორპორაციას, ქალაქს და ა.შ.

ჩვეულებითი სამართლის ნორმათა თავისებური სახეა აგრეთვე ფეოდალთა შეთანხმებანი, ხელშეკრულებები, მონარქების სიგელები, რომლებშიც ნაბოძები იყო რაიმე პრივილეგიები, უფლებები და ა.შ. ამ პერიოდში ზოგიერთ ქვეყანაში საკმაო მნიშვნელობა ჰქონდა ნორმების დადგენაში სასამართლო პრაქტიკას, სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებებს. მაგალითად, ინგლისში სასამართლოს მართლშემოქმედების საფუძველზე შეიქმნა სამართლის განსაკუთრებული განშტოება — საერთო სამართალი (common law).

ფეოდალური დაქუცმაცების ლიკვიდაციასთან ერთად მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება სამართლის წყაროებში. ფეოდალიზმის წიაღში ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობების ჩასახვა და ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლების გაძლიერება იწვევს ფეოდალურ სამართალში გარკვეული ერთიანობის შეტანას, მის უნიფიცირებას და

სისტემატიზაციას. ადგილი აქვს ჩვეულებითი სამართლის მოქმედების შეზღუდვას და მეფის ხელისუფლების აქტების მნიშვნელობის ამაღლებას, სამართლის ნორმათა კოდიფიკაციას. მაგალითად, საფრანგეთში წოდებრივი მონარქიის პერიოდში სამართლის გავრცელებულ წყაროდ იქცა მეფეთა ნორმატიული აქტები – ორდონანსები, ედიქტები, დეკლარაციები; რუსეთში – მეფის ბრძანებულებები („უკაზები“); გერმანიაში 1532 წელს გამოიცა სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელსაც უწოდეს „კაროლინა“ (იმპერატორ კარლოს V-ის სახელის მიხედვით); რუსეთში 1649 წელს – რუსეთის სახელმწიფოს კანონთა პირველი კრებული („Соборное Уложение царя Алексея Михайловича“).

აღსანიშნავია, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ფეოდალური სამართლის გაერთიანებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რომის სამართლის რეცეფციას, ანუ გადმოღებას, დასესხებას. საქმე ისაა, რომ რომის სამართალი წარმოადგენდა კერძო საკუთრებაზე დამყარებული სამართლებრივი სისტემის განსაკუთრებით სრულყოფილ სახეს და იგი ხელსაყრელი აღმოჩნდა არა მარტო ახლად ჩამოყალიბებული კლასის – ბურჟუაზიის, არამედ ფეოდალთა კლასის ინტერესებისათვის. სწორედ ამიტომ, განვითარებული ფეოდალიზმისა და მისი რღვევის პერიოდში ევროპის რიგ ქვეყნებში რომის კერძო, ანუ სამოქალაქო სამართლის ნორმები გამოცხადებულნი იქნენ პირდაპირ მოქმედ ნორმებად, ან კიდევ მათი გავლენით მუშავდებოდა ახალი სამოქალაქო კანონმდებლობა.

ფეოდალური სამართლის უნიფიცირების, მისი სისტემატიზაციისა და ჩვეულებითი სამართლის გამოდევნის პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა აბსოლუტიზმის ეპოქაში, როდესაც სამეფო ხელისუფლების ცალკეული აქტები, კანონები და ნორმატიული აქტების კრებულები სამართლის უმთავრესი წყაროს როლს ასრულებდნენ.

ფეოდალიზმის ეპოქაში, ეკლესიის როლისა და მდგომარეობის შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე საეკლესიო სამართლის ნორმებს, ე.წ. კ ა ნ ო ნ ი კ უ რ ს ა მ ა რ თ ა ლ ს. სპეციალური საეკლესიო სასამართლოებიც კი არსებობდა, რომლებიც განიხილავდნენ არა მარტო სასულიერო პირების, არამედ საერო პირების საქმეებსაც. რაც შეეხება საქორწინო და საოჯახო

საკითხებს, მათი მოწესრიგება თითქმის მთლიანად საეკლესიო სამართლის ნორმების მიხედვით ხდებოდა.

ფეოდალური წესწყობილება, ისევე როგორც თავის დროს მონათმფლობელობა, თანდათან გადაიქცა საზოგადოების საწარმოო ძალების შემდგომი განვითარების დაბრკოლებად. იგი ხელს უშლიდა მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სრულყოფას.

ფეოდალური საზოგადოების წიაღში უკვე ყალიბდებოდა კაპიტალისტური ურთიერთობანი, იქმნებოდა მსხვილი სამრეწველო საწარმოები. მაგრამ საკმარისად არ იყო ამ საწარმოებისათვის საჭირო თავისუფალი მუშახელი, ვინაიდან ყმა გლეხებს მემამულის ნებართვის გარეშე არ შეეძლოთ თავის ნებაზე გამოეყენებინათ საკუთარი სამუშაო ძალა. გარდა ამისა, ფეოდალურ-მემამულურ წესწყობილებას ძირს უთხრიდა გლეხთა აჯანყებები, რომლებიც სულ უფრო ხშირად ხდებოდა ყმების ექსპლუატაციის გაძლიერებისა და მათი მდგომარეობის კიდევ მეტად გაუარესების გამო.

საზოგადოებაში ჩამოყალიბდა ახალი კლასი — ბურჟუაზია, რომელმაც კარგად გამოიყენა მშრომელი მასების უკმაყოფილება ფეოდალური წესწყობილებით და დაიწყო ბრძოლა პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად, ფეოდალური სახელმწიფოსა და სამართლის დასამხობად.

ევროპაში პირველი ბურჟუაზიული რევოლუციები ჰოლანდიასა და ინგლისში მოხდა (XVI-XVIII სს.). მაგრამ ფეოდალურ წესწყობილებას ყველაზე დიდი ლახვარი ჩასცა XVIII საუკუნის დასასრულის საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ, რომელიც მოასწავებდა ფეოდალიზმის მოსპობას და კაპიტალიზმის გამარჯვებას მსოფლიო მასშტაბით.

ცოტად თუ ბევრად მოგვიანებით სხვა ქვეყნებშიც განხორციელდა ბურჟუაზიული რევოლუციები და მათ შედეგად სახელმწიფო ხელისუფლების სათავეში ჩადგა ახალი გაბატონებული კლასი — ბურჟუაზია. შეიქმნა კაპიტალისტური, ანუ ბურჟუაზიული სახელმწიფო და სამართალი.

§3. კაპიტალისტური სახელმწიფო და სამართალი

კაპიტალისტური, ანუ ბურჟუაზიული წესწყობილება ბევრად უფრო პროგრესული იყო ფეოდალიზმთან შედარებით. მან მძლავრი ბიძგი მისცა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას და წარმოების პროდუქციის გადიდებას. მაგრამ კაპიტალისტურ წესწყობილებას თავიდანვე ახასიათებდა შინაგანი წინააღმდეგობანი, რაც პერიოდულად თავს იჩენდა ჭარბი წარმოების კრიზისებში, მასობრივ უმუშევრობაში, მშრომელთა უკმაყოფილებებში, მმართველი ფენების ანტიდემოკრატიულ პოლიტიკაში, ქვეყნებს შორის კონფრონტაციასა და ომებში.

განვითარების ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კაპიტალისტური სახელმწიფოსა და სამართლის ერთმნიშვნელოვნად შეფასება, როგორც ექსპლუატატორული ტიპისა, არ შეესაბამება მათ რეალურ არსს. ამ ქვეყნების მშრომელთა ხანგრძლივმა ბრძოლამ სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, პოლიტიკური უფლებების მოპოვებისათვის სათანადო შედეგი გამოიღო. მოწინავე კაპიტალისტურ სახელმწიფოებში აღარ შეიძინევა ის მკვეთრი დაპირისპირება საზოგადოების სხვადასხვა კლასებს შორის, რასაც ადრე ჰქონდა ადგილი, მმართველი ფენები მნიშვნელოვან დათმობებზე წავიდნენ, განხორციელდა პროგრესული რეფორმები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიული პრინციპები.

კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ფ უ ნ ქ ც ი ე ბ ი, ისევე როგორც სხვა სახელმწიფოებში, მისი საქმიანობის უმთავრეს მიმართულებებს ასახავენ. ს ა შ ი - ნ ა ო ფ უ ნ ქ ც ი ე ბ ი ს დანიშნულებას შეადგენს მმართველი ფენების, პირველ რიგში კი, მსხვილ მესაკუთრეთა ინტერესებიდან გამომდინარე, ქვეყნის განვითარების წარმართვა, შესაბამისი პოლიტიკური სისტემის დამყარება და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. მაგრამ თუ კაპიტალიზმის განვითარების პირველ ეტაპებზე, წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების არსებობის პირობებში, გამორიცხული იყო სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ზემოქმედება ეკონომიკურ პროცესებზე, შემდგომში, მონოპოლის-

ტური კაპიტალიზმის ზრდასთან დაკავშირებით, მდგომარეობა ერთგვარად შეიცვალა. მსხვილ მონოპოლიებთან სახელმწიფო აპარატის შერწყმის პირობებში სახელმწიფო ხშირად გამოდის როგორც „კოლექტიური კაპიტალისტი“ და „კოლექტიური ბანკირი“, რომელსაც ეკუთვნის სხვადასხვა საწარმო და სამეურნეო დაწესებულება. სახელმწიფო საკუთრების ობიექტებად იქცევიან უმთავრესად სამხედრო მრეწველობის, მოპოვებითი და ენერგეტიკული მრეწველობის საწარმოები, კავშირგაბმულობის საშუალებანი და სხვ. ამავე დროს, ადგილი აქვს კაპიტალისტური სახელმწიფოს მიერ იმ ღონისძიებათა გეგმურ რეგულირებას, რაც ხელს უწყობს კაპიტალისტური წარმოების განვითარებას, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განხორციელებას, საგარეო ვაჭრობის გაფართოებას. სწორედ ამ გაგებით შეიძლება ლაპარაკი კაპიტალისტური სახელმწიფოს სამეურნეო ფუნქციაზე.

იგივე უნდა ითქვას ამ სახელმწიფოს იდეოლოგიურ ფუნქციაზე, რომლის ძირითადი ამოცანაა მასებზე სულიერი ზემოქმედების ყველა საშუალების (სკოლა, პრესა, რადიო, ტელევიზია და სხვ.) გამოყენებით მმართველი ფენების მსოფლმხედველობის ჩარჩოებში მოაქციოს საზოგადოების წევრები, ჩამოამოროს ისინი საწინააღმდეგო იდეოლოგიის გავლენას. თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფოები კიდევ იმიტომ არიან დაინტერესებული მოსახლეობის კულტურული ღონის ამალვებით, რომ ამას მოითხოვს ტექნიკის განვითარება და წარმოების პროცესების სრულყოფა. ამ ამოცანიდან გამომდინარე, კაპიტალისტური სახელმწიფო სულ უფრო მეტად ზრუნავს მეცნიერების იმ დარგების განვითარებისათვის, რომლებიც ხელს უწყობენ ტექნიკურ პროგრესს, შეიარაღების ახალი სახეების შექმნას. ამდენად, სამეცნიერო-კვლევითი საშუაოების დაფინანსება და სახელმწიფოს მიერ ამ სფეროში კაპიტალის დაბანდებაც კაპიტალისტური მოგების ამოცანებს ემსახურება.

ცხადია, ზემოაღნიშნული იმას არ ნიშნავს, რომ სახელმწიფოს საერთოდ აღარა აქვს კლასობრივ და პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა უვნებელყოფის ფუნქცია. ასეთი დანიშნულება კაპიტალისტურ სახელმწიფოს კვლავ გააჩნია, მაგრამ მისი განხორციელება უფრო ცივილიზებულ ფორმებში წარმოებს, „კანონიერი“ მეთოდების

გამოყენებით, სხვადასხვა სახის დათმობებისა და ლიბერალური რეფორმების დაშვებით. მხოლოდ დაპირისპირების განსაკუთრებული გამწვავების პერიოდებში ბურჟუაზიული სახელმწიფო ზოგჯერ იყენებს აშკარა ძალმომრეობას გამოცხადებული კონსტიტუციური პრინციპების დარღვევით.

ბურჟუაზიული სახელმწიფოს ს ა გ ა რ ე ო ფ უ ნ ქ ც ი ი ს ძირითადი შინაარსია თავისი ტერიტორიის დაცვა სხვა სახელმწიფოთა თავდასხმისაგან, ან სხვა ქვეყნების მიმართ აგრესიული ომების წარმოება მათი ტერიტორიების ხელში ჩასაგდებად (წარსულ პერიოდებში) ან გავლენის სფეროების გასაფართოებლად. უკანასკნელ დრომდე იმპერიალისტურ სახელმწიფოთა საგარეო ფუნქციათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ე.წ. სოციალისტურ სახელმწიფოთა, კომუნისტური პოლიტიკური რეჟიმების წინააღმდეგ ბრძოლას. მაგრამ სულ ბოლო ხანებში, ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლისა და სხვა ქვეყნებში კომუნისტური დიქტატურების დამხობის შემდეგ, ადგილი აქვს ადრე არსებულ დაპირისპირების შეწყვეტას, განიარაღების პროცესის განვითარებას და მშვიდობიანი თანაარსებობის რეალურად მიღწევას.

საშინაო და საგარეო ფუნქციების განხორციელებისათვის ბურჟუაზიულ სახელმწიფოს რთული და მეტად განშტოებული მ ე ქ ა ნ ი ზ მ ი გააჩნია, რომელშიც შედის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, ადმინისტრაციული აპარატი და სასამართლო, არმია, პოლიცია და დაზვერვა.¹

წარმომადგენლობითი ორგანოების სისტემის სათავეშია ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა პარლამენტები, რომლებიც უმაღლეს სახელმწიფო ხელისუფლებას განასახიერებენ. მაგრამ სინამდვილეში, ფაქტიურად, სახელმწიფო აპარატის ყველაზე უფრო ქმედითი ნაწილი, რომლის მეშვეობითაც მმართველი ფენები ზემოქმედებას ახდენენ სახელმწიფოებრივ საქმეთა მსვლელობაზე, — უფრო ხშირად არის მთავრობა, ცენტრალური აღმასრულებელი ორგანო, რომლისადმი დამორჩილებულია უზარმაზარი ჩინოვნიკური აპარატი, ბიუროკრატია.

¹ იხ. ო. მ. ე. ლ. ქ. ა. ძ. ე, საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი, თბილისი, 1996.

ბურჟუაზიული სახელმწიფოს მექანიზმის ძირეულ და ყველაზე მრავალრიცხოვან რგოლს შეადგენენ ადგილობრივი ორგანოები. ისინი ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში იქმნებიან ცენტრიდან დანიშვნის წესით (ადგილობრივი მმართველობის ორგანოები), ან არჩეული არიან ადგილობრივი მოსახლეობის მიერ (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები). აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (ე.წ. მუნიციპალიტეტების) შექმნასა და საქმიანობაზე მოსახლეობის ფართო მასებს გაცილებით უფრო მეტი ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ, ვიდრე ბურჟუაზიული სახელმწიფოს სხვა ორგანოებზე. მმართველი ფენების ინტერესების დაცვას ემსახურება აპარატის ისეთი შემადგენელი ნაწილიც, როგორცაა სასამართლო. მაგრამ მისი საქმიანობა ისეთ პროცესულურ ფორმებში წარმოებს (კანონის წინაშე ყველას თანასწორობა, სასამართლოების დამოუკიდებლობა, დაცვის უფლება, ნაფიც მსჯულთა ინსტიტუტი), რომელთა არსებობა მაინც ხელს უწყობს მოქალაქეთა უფლებების დაცვას და საქმეთა ობიექტურ განხილვას.

არმიას, შეიარაღებულ ძალებს განსაკუთრებული ადგილი უკავია კაპიტალისტური სახელმწიფოს მექანიზმში, მისი დანიშნულებაა არა მარტო მთავარი როლის შესრულება საგარეო ფუნქციის განხორციელებაში, არამედ ქვეყნის შიგნითაც, გაბატონებული ფენებისათვის სასურველი პოლიტიკური სისტემების დაცვაში. წესრიგისა და უშიშროების დაცვას ემსახურება აგრეთვე პოლიცია, ხოლო პოლიტიკური საიდუმლო პოლიციის (ე.წ. ჟანდარმერიის) მიზანია არსებული წესწყობილების წინააღმდეგ მებრძოლ პირთა და ორგანიზაციათა გამოვლინება და უვნებელყოფა. დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ორგანოების ამოცანას შეადგენს სხვა ქვეყნებში ჯაშუშური ინფორმაციის შეგროვება (მათ შორის ეკონომიკური ხასიათისა) და, ამავე დროს, საკუთარ ქვეყანაში სხვა სახელმწიფოთა აგენტურის წინააღმდეგ ბრძოლა.

კაპიტალისტური სახელმწიფოს ყველაზე ტიპური, ყველაზე გავრცელებული და დამახასიათებელი ფორმაა ე.წ. ბ უ რ ჟ უ ა - ზ ი უ ლ - დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა. ეს ისეთი მმართველობაა, როდესაც სახელმწიფოში არსებობს

არჩევითი საკანონმდებლო წარმომადგენლობითი ორგანო – პარლამენტი.

რიგ ქვეყნებში საკანონმდებლო ორგანოს პირდაპირ პარლამენტს უწოდებენ, ზოგან კი ისინი თავისებური სახელწოდებებით არიან ცნობილნი. ასე მაგალითად, საფრანგეთში საკანონმდებლო ორგანოს ჰქვია პარლამენტი, აშშ-ში – კონგრესი, ურუგვაიში – გენერალური ასამბლეა, ფინეთში – სეიმი, ნიდერლანდებში – გენერალური შტატები, ბრაზილიაში – ეროვნული კონგრესი, შვეციაში – რიკსდაგი, ნორვეგიაში – სტორტინგი, ჰონდურასში – დეპუტატთა კონგრესი, ისრაელში – კნესეტი, ისლანდიაში – ალტინგი, ირანში – მეჯლისი.

პარლამენტის გარდა, რიგ ბურჟუაზიულ რესპუბლიკებში არსებობს სახელმწიფოს ერთპიროვნული მეთაური – პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი, რომლის არჩევა სხვადასხვა წესით ხდება: უშუალოდ ხალხის ან პარლამენტის მიერ, პირდაპირი ან მრავალსაფეხურიანი არჩევნებით და ა.შ.

თანამედროვე ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა პარლამენტების უმრავლესობა შედგება ორი პალატისაგან, რომელთაგანაც ერთი, როგორც წესი, ზედა პალატად ითვლება. მაგალითად, ინგლისის პარლამენტის პალატებს ეწოდება თემთა პალატა და ლორდთა პალატა, აშშ-ის კონგრესის პალატებს – წარმომადგენელთა პალატა და სენატი, იტალიის პარლამენტში – დეპუტატთა პალატა და სენატი, იაპონიის პარლამენტში – წარმომადგენელთა პალატა და მრჩეველთა პალატა, საფრანგეთის პარლამენტში – ეროვნული ასამბლეა და სენატი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პარლამენტში – ბუნდესტაგი და ბუნდესრატი. ერთპალატიანი პარლამენტები უფრო იშვიათობაა (მაგალითად, ფინეთის სეიმი, დანიის ფოლკეტინგი, შვეციის რიკსდაგი).

იურიდიულ ლიტერატურაში მიღებულია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკების დაყოფა ორ ჯგუფად: საპარლამენტო და საპრეზიდენტო რესპუბლიკებად. ს ა პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ო რ ე ს - პ უ ბ ლ ი კ ა შ ი უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო – მთავრობა იქმნება იმ პარტიის ან იმ პარტიათა ბლოკის წარმომადგენლებისაგან, რომლებსაც უმრავლესობა აქვთ მოპოვებული

პარლამენტში და იგი პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე, რომელიც მას ქმნის. ასეთი სისტემა დამახასიათებელია თანამედროვე ბურჟუაზიულ რესპუბლიკათა უმრავლესობისათვის.

ს ა პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ო რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა შ ი აუცილებელი არაა, რომ მთავრობას ადგენდეს პარლამენტში უმრავლესობის მქონე პარტიისა ან პარტიათა ბლოკის წარმომადგენლები; ამ შემთხვევაში მთავრობის მეთაურად და სახელმწიფოს მეთაურადაც ითვლება პრეზიდენტი, რომელსაც პარლამენტი კი არ ირჩევს, არამედ უშუალოდ მოსახლეობა და რომელიც პასუხისმგებელი არაა პარლამენტის წინაშე. საპრეზიდენტო რესპუბლიკის განსაკუთრებით დამახასიათებელი ნიშნების მატარებელია ამერიკის შეერთებული შტატები. მისი პრეზიდენტი, რომელსაც ირჩევენ კონგრესის არჩევნებისაგან დამოუკიდებლად, ფაქტიურად, ახორციელებს არა მარტო სახელმწიფო მმართველობის ფუნქციებს, არამედ კანონმდებლობს კიდევ (როგორც უშუალოდ, ისე კონგრესის მეშვეობით); იგი ხელმძღვანელობს აგრეთვე ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობას და მეთაურობს შეიარაღებულ ძალებს.

საპრეზიდენტო რესპუბლიკას წარმოადგენს აგრეთვე მექსიკა, კოსტა-რიკა და აფრიკის ზოგიერთი სახელმწიფო.

კაპიტალისტური სახელმწიფოს ერთ-ერთი ფორმაა აგრეთვე კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი უ რ ი მ ო ნ ა რ ქ ი ა, სადაც სახელმწიფოს მეთაურად ითვლება მონარქი (იმპერატორი, მეფე, შაჰი და სხვ.), მაგრამ მისი ხელისუფლება შეზღუდულია კონსტიტუციით, პარლამენტით (ინგლისი, ბელგია, შვეცია, პოლანდია, ნორვეგია და სხვ.). ისტორიულად კონსტიტუციური მონარქიები წარმოიშვნენ ფეოდალიზმის დაცემის პერიოდში ბურჟუაზიისა და თავადაზნაურობის შეთანხმების, კომპრომისის შედეგად, მათ შორის სახელმწიფო ძალაუფლების განაწილების გამო. მაგრამ თანამედროვე პირობებში ისინი მთლიანად კაპიტალისტთა ინტერესებს გამოხატავენ და მათ ბატონობას უზრუნველყოფენ.

ბურჟუაზიული კონსტიტუციური მონარქიები, ისევე როგორც ბურჟუაზიული რესპუბლიკები, ორ ჯგუფად იყოფიან: საპარლამენტო და დუალისტურ მონარქიებად. თანამედროვე პირობებში ს ა პ ა რ -

ლ ა მ ე ნ ტ ო მ ო ნ ა რ ქ ი ა ს წარმოადგენს ინგლისი, სადაც მთავრობას ქმნის ის პარტია, რომელიც არჩევნების შედეგად უმრავლესობას მოიპოვებს პარლამენტში (თემთა პალატაში). მართალია, ფორმალურად მთავრობის თავმჯდომარეს და მისი კაბინეტის წევრებს მეფე ნიშნავს პარლამენტის წარდგინებით, მაგრამ, ფაქტიურად, მთავრობა პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე. საპარლამენტო მონარქიას წარმოადგენენ აგრეთვე ევროპის სხვა მონარქიული სახელმწიფოები და იაპონია. რაც შეეხება დ უ ა - ლ ი ს ტ უ რ მ ო ნ ა რ ქ ი ა ს, აქ მეფე თვითონ ქმნის მთავრობას და ეს უკანასკნელი ანგარიშვალდებული არაა პარლამენტის წინაშე. ასეთად ითვლებოდა გერმანიის სახელმწიფო 1871-1918 წლებში. თანამედროვე პირობებში კი დუალისტურ მონარქიას წარმოადგენს მაროკო.

იმპერიალიზმის ეპოქაში, დასახელებული ფორმების გვერდით, წარმოიშვა ბურჟუაზიული სახელმწიფოს ახალი ფორმა - ფ ა შ ი ს - ტ უ რ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო .

ფაშიზმი არის ყველაზე რეაქციული, ყველაზე შოვინისტური და აგრესიული იმპერიალისტური წრეების ბატონობა. ისინი გადადიან მმართველობის ფაშისტურ ფორმაზე მაშინ, როდესაც მშრომელთა შეგნებისა და ორგანიზებულობის ზრდის შედეგად მათ აღარ ძალუძთ ძველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მეთოდებით შეინარჩუნონ თავიანთი ბატონობა. ისინი ზრდიან პოლიციისა და ჯარის რაოდენობას და მიმართავენ სასტიკ ტერორს მშრომელთა წინააღმდეგ, ყველა პროგრესული ორგანიზაციის წინააღმდეგ.

ფაშისტური დიქტატურა პირველად 1922 წელს დამყარდა იტალიაში, 1933 წელს - გერმანიაში, ხოლო ცოტა უფრო გვიან - 1939 წელს - ესპანეთში. ფაშიზმის დროს ადგილი აქვს ყოველგვარ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პოლიტიკურ თავისუფლებათა ლიკვიდაციას, პოლიტიკური ბანდიტიზმის სისტემის დანერგვას. ასე მაგალითად, გერმანიაში, ფაქტიურად, გაუქმებული იყო პარლამენტარიზმი; სახელმწიფოს მეთაური („ფიურერი“), რომელიც ამ თანამდებობაზე შეუცვლელად ითვლებოდა, არავის წინაშე პასუხისმგებელი არ იყო; გაუქმდა მუშათა პროფესიული კავშირები, აიკრძალა პოლიტიკური პარტიები,

გარდა ფაშისტური პარტიისა, რომელიც სახელმწიფო აპარატის წამყვან ნაწილად გადაიქცა, დამყარდა სისხლიანი ტერორის, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის საშინელი რეჟიმი. გერმანიის ბურჟუაზიისათვის, ქვეყნის მონოპოლისტური კაპიტალისტებისათვის ამგვარი რეჟიმის დამყარება გამოსავალს წარმოადგენდა იმ ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციიდან (ხანგრძლივი ეკონომიკური კრიზისი, მუშათა კლასის რევოლუციური განწყობილების ზრდა), რომელსაც ადგილი ჰქონდა ქვეყანაში. მსგავსი მდგომარეობა იყო შექმნილი იტალიაში და სხვა ქვეყნებში, სადაც დამყარდა ფაშისტური დიქტატურა.

გარდა მართვა-გამგეობის ფორმებში სხვაობისა, კაპიტალისტურ სახელმწიფოებს ახასიათებს აგრეთვე **ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ი ს გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ ი ფ ო რ მ ე ბ ი**: უნიტარულ, ანუ მარტივ ცენტრალიზებულ სახელმწიფოთა გარდა, არსებობენ რთული, ანუ ფედერაციული სახელმწიფოები. ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა უმრავლესობა უნიტარულ ფორმას ატარებს, რომლის დროს არსებობს მხოლოდ ცენტრალური უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება, ხოლო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები უშუალოდ მისდამი არიან დამორჩილებულნი და რაიმე არსებითი დამოუკიდებლობით არ სარგებლობენ. ასეთი სახელმწიფოებია თანამედროვე ინგლისი, საფრანგეთი, შვეცია, ნორვეგია, ბელგია, ჰოლანდია, თურქეთი, ირანი და სხვ. ფედერაციულ სახელმწიფოებად ითვლებიან: ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, ბრაზილია, ვენესუელა, არგენტინა, მექსიკა – ამერიკის კონტინენტზე, შვეიცარია, ავსტრია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა – ევროპაში, ინდოეთის კავშირი, პაკისტანი, მალაიზია და ბირმის კავშირი – აზიაში, ავსტრალიის კავშირი – ავსტრალიაში, ნიგერიის, კამერუნის და ტანზანიის რესპუბლიკები – აფრიკაში.

ბურჟუაზიული ფედერაციების შემადგენელ ნაწილებს, რომლებსაც გარკვეული დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობის ნიშნები გააჩნიათ, სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა სახელწოდება აქვთ – „შტატები“ (აშშ-ში, ბრაზილიაში, მექსიკაში, ვენესუელაში, ინდოეთში, მალაიზიაში, ავსტრალიასა და ნიგერიაში), „კანტონები“ (შვეიცარიაში), „მიწები“ (ავსტრალიასა და გფრ-ში), „პროვინციები“

(კანადაში, არგენტინაში, პაკისტანსა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში) და სხვ. მაგრამ ამგვარი დაყოფა ხდება არა ეროვნული ნიშნის მიხედვით, არამედ იქმნებოდნენ გეოგრაფიული ან წმინდა ხელოვნური ნიშნით. რაც შეეხება ამერიკის შტატებს შორის საზღვრებს, ისინი დგინდება ბუნებრივი პირობების (მდინარეების, მთების) საფუძველზე ან სულაც გეოგრაფიული პარალელების და მერიდიანების მიხედვით.

ბ უ რ ყ უ ა ზ ი უ ლ ი ს ა მ ა რ თ ა ლ ი წარმოიშვა ბურჟუაზიულ სახელმწიფოსთან ერთად ფეოდალური სახელმწიფოსა და სამართლის დამხობის შედეგად, იგი გამოხატავს ბურჟუაზიის ნება-სურვილს, იცავს და განამტკიცებს, პირველ ყოვლისა, ამ კლასის, მმართველი ფენების ინტერესებს.

მონათმფლობელური და ფეოდალური ტიპის სამართლისაგან განსხვავებით, რომლებიც ამკარად აღიარებდნენ უთანასწორობას საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის, – ბურჟუაზიული სამართალი უარყოფს ყოველგვარ წოდებრივ პრივილეგიებს და ყველა მოქალაქეს თანასწორუფლებიანად აცხადებს. მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, კაპიტალისტურ საზოგადოებაში მოქალაქის მდგომარეობასა და მის ფაქტობრივ უფლებებს განსაზღვრავს მისი სიმდიდრე, ფული. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სიმდიდრის მოპოვების, ფულის შოვნის თვალსაზრისით, საზოგადოების წევრთა უფლება თანასწორია და გამდიდრების შესაძლებლობა პიროვნების უნარზეც არის დამოკიდებული.

ბურჟუაზიული სამართლის ნორმებით განმტკიცებულია კაპიტალისტური კერძო საკუთრება, თავისუფალი მეწარმეობა, საბაზრო ეკონომიკა. კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის გამოცხადება მმართველ ფენებს უადვილებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა არსებული სისტემის დაცვას და ფუნქციონირებას.

ს ა მ ა რ თ ლ ი ს წ ყ ა რ ო ე ბ ა დ, ანუ ფორმებად კაპიტალისტურ სახელმწიფოში ითვლება, პირველ ყოვლისა, მათი კონსტიტუციები¹ და სხვა კანონები, აგრეთვე მთავრობისა და ადმინისტრაციული აქტები. ზოგიერთ ქვეყანაში კი სამართლის წყა-

¹ იხ. მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელი ა. დემეტრაშვილი, თბილისი, 1993.

როდ მიიჩნევენ სასამართლო პრეცედენტს, როდესაც ამა თუ იმ სასამართლოს გადაწყვეტილება შემდგომში სავალდებულო ხდება არა მარტო ამავე სასამართლოსათვის, არამედ იმავე ინსტანციის ან ქვემდგომი სასამართლოებისთვისაც ანალოგიური საქმეების განხილვისას.

იურიდიულ ლიტერატურაში ბურჟუაზიული სამართლის დახასიათებისას ერთმანეთისაგან განასხვავებენ ისტორიულად ჩამოყალიბებულ მის ორ ძირითად სისტემას: რომაულ-გერმანულს და ანგლო-საქსონურს. პირველი ჩამოყალიბდა დასავლეთ ევროპის კონტინენტურ ქვეყნებში, სადაც მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ძველი რომის სამართალს; ასეთ ქვეყნებად ითვლებიან: იტალია, გერმანია, საფრანგეთი, ბელგია, ჰოლანდია, ესპანეთი, პორტუგალია, ავსტრია, შვეიცარია, რუმინეთი, შვეცია, ნორვეგია და ა.შ.; აგრეთვე, ლათინური ამერიკის ქვეყნები და აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყანა. მეორე სისტემა კი ჩამოყალიბდა ინგლისსა და ადრე მის კოლონიებად ყოფილ ქვეყნებში, სადაც რომის სამართლის არსებით გავლენას ადგილი არ ჰქონია. ასეთი სახელმწიფოებია: თვით დიდი ბრიტანეთი მთლიანად, კანადა, ინდოეთი, ავსტრალია და სხვ.; მათ აგრეთვე უწოდებენ საერთო სამართლის ქვეყნებს, რომლებშიც ფართოდაა გამოყენებული სასამართლო პრეცედენტი.

თითოეულ ქვეყანაში არსებულ სამართლებრივ სისტემას ეროვნულ სამართლებრივ სისტემას უწოდებენ. ხოლო გარკვეულ საერთო ნიშნების მქონე ეროვნული სისტემების ჯგუფები სამართლებრივ ოჯახებს შეადგენენ. ასეთი სახელწოდება პირველად შემოიტანა სამეცნიერო ტერმინოლოგიაში ფრანგმა მეცნიერმა რენე დავიდმა გასული საუკუნის 70-იან წლებში¹. გარდა ზემოთ დასახელებული ორი ასეთი სამართლებრივი ოჯახისა, კიდევ გამოყოფენ მუსლიმანურ ოჯახს, ჩინურ ოჯახს, იაპონურ ოჯახს და ა.შ. თანამედროვე ბურჟუაზიული სამართლისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ეკონომიკის რეგულირების საკითხებში ჩარევა თვით მეურნეობის ცალკეული დარგების ნაციონალიზაციამდე, კერძო ქონებრივი და სოციალური ურთიერთობების ცალკეული მხარეების ნორმატიული მოწესრიგება და ა.შ.

¹ მისი წიგნის „თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები“ ქართული თარგმანი გამოიცა 1993 წელს.

საბჭოთა პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და იურიდიულ კლიტერატურაში, ყველა ფორმის პროპაგანდისტულ საქმიანობაში განსაკუთრებული ზაზგასმით ინერგებოდა შეხედულება ბურჟუაზიული კანონიერების რღვევის, კანონით გამოცხადებული უფლებებისა და თავისუფლებების რაიმე გარანტიების არარსებობისა და პიროვნების სრული დაუცველობის შესახებ. კაპიტალისტურსა და ყველა სხვა საზოგადოებაშიც, ცხადია, მოქალაქის მიერ თავისი უფლებების განხორციელება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მის ეკონომიკურ, მატერიალურ მდგომარეობაზე, მაგრამ ყოველივე დადებითისა და დემოკრატიულის ხელალებით უარყოფა, მით უმეტეს იმ საზოგადოებრივი სისტემის წარმომადგენლების მხრივ, სადაც ნამდვილი თვითნებობა ბატონობდა და პიროვნების უფლებები უხეშად ირღვეოდა — სრულიად უსაფუძვლო, არაობიექტური და მცდარი იყო.

მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების სამართლებრივ ნორმებში, კერძოდ, მათ კონსტიტუციებში განმტკიცებული დებულებები კანონის უზენაესობის, მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, უდანაშაულობის პრეზუმპციის, სასჯელის გარდუვალობის შესახებ და ა.შ., — ბურჟუაზიული სამართლის მნიშვნელოვანი მონაპოვარია. გარდა ამისა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალისტური ქვეყნების კანონმდებლობა, მთელი სამართლებრივი სისტემები შესაბამისობაშია მოყვანილი იმ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებთან, რომელთა მიზანია პიროვნების უფლებების დაცვა, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების უზრუნველყოფა ყველა სახელმწიფოში.

ბურჟუაზიული სამართლის თავისებურებანი, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები განსაკუთრებით მკაფიოდაა გამოხატული კაპიტალისტური ქვეყნების ს ა ა რ ჩ ე ვ ნ ო ს ი ს ტ ე მ ა შ ი. საყოველთაო საარჩევნო უფლების შემზღუდველი სხვადასხვა ცენზები (ქონებრივი, ბინადრობის, განათლების და ა.შ.) თანდათან გაუქმებულია, ქალებიც სრულუფლებიანად მონაწილეობენ არჩევნებში, ტერორი და დაშინებაც იშვიათად ხდება კენჭისყრის ჩატარების დროს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მმართველი ფენები ხელისუფლების განხორციელებას გადასცემენ მოსახლეობის ფართო მასების წარმომადგენელთა ხელში და კარგავენ უმრავლესობას პარ-

ლამენტებში. ისინი მოქმედებენ, ასე ვთქვათ, ცივილიზებული წესით, კანონმდებლობის ფარგლებში. ამისათვის, ყოველგვარი შემთხვევითობის თავიდან ასაცილებლად, ცვლიან საარჩევნო სისტემას, კერძოდ, კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობიდან გამომდინარე და ამა თუ იმ პერიოდში გარკვეულ სახელმწიფოში არსებული სიტუაციის მიხედვით, თავისი ინტერესების გათვალისწინებით იყენებენ კენჭისყრის შედეგების განსაზღვრის პროპორციულ თუ მაჟორიტარულ სისტემას, ერთ-ერთ მათგანს თუ შერეულად (ნაწილობრივ), ყველა რგოლის წარმომადგენლობით ორგანოებში ერთნაირად, თუ თითოეულში განსხვავებულად. გარდა ამისა, ამომრჩეველთა მისამხრობად დიდი მნიშვნელობა აქვს წინასაარჩევნო კამპანიებს, ამისათვის დახარჯული სახსრების რაოდენობას, ხელისუფლების ორგანოებში უკვე მომუშავე პირების მიერ მოსახლეობის გარკვეული ფენების წამოყენებულ მოთხოვნების წინასწარვე დაკმაყოფილებას ან შესრულების დაპირებებს და ა.შ.

§4. კოლონიური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებული ქვეყნების სახელმწიფო და სამართალი

კაპიტალისტური წესწყობილების განვითარების გარკვეულ ეტაპზე, სახელდობრ, პირველი მსოფლიო ომისა და რუსეთის ცარიზმის დამხობის შემდეგ, მთელ მსოფლიოში დაიწყო კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, მათ მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების პროცესი. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კი უკვე რამდენიმე ათეული ქვეყანა გადაიქცა სუვერენულ სახელმწიფოდ. აღსანიშნავია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე, 1960 წელს, მიიღეს დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ.

აღნიშნულ ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციები განხორციელდა კოლონიზატორთა წინააღმდეგ ხალხის შეიარაღებული ბრძოლის შედეგად, ზოგან კი რევოლუცია განვი-

თარდა მშვიდობიანი გზით, პოლიტიკური ბრძოლის საშუალებებით, ხოლო, რიგ შემთხვევებში იმპერიალისტური სახელმწიფოები იძულებულნი იყვნენ თვითონვე გამოეცხადებინათ საკუთარი კოლონიებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება.

ახალგაზრდა ეროვნული სახელმწიფოები, რომლებიც განთავისუფლდნენ კოლონიური დამოკიდებულებისაგან, მათში დამყარებული საზოგადოებრივი წესწყობილებისა და ხელისუფლების ხასიათის მიხედვით, აგრეთვე შემდგომი განვითარების გზების არჩევის თვალსაზრისით, ორ ძირითად ჯგუფად იყოფიან: სახელმწიფოები, რომელთა განვითარება ხდება კაპიტალისტური გზით (ინდოეთი, მაღაიზია, მაროკო, ტუნისი, ფილიპინები, სენეგალი და სხვ.) და სახელმწიფოები, რომლებიც განვითარების არაკაპიტალისტურ გზას დაადგნენ და „სოციალისტური ორიენტაციის“ სახელმწიფოებად ითვლებოდნენ (ალჟირი, გვინეა, სირია, ბირმა, ტანზანია, კონგოს სახალხო რესპუბლიკა და სხვ.). არიან ისეთი სახელმწიფოებიც, რომლებმაც თავიდანვე მკვეთრად ვერ განსაზღვრეს თავისი ორიენტაცია. ყველა ამ სახელმწიფოს განვითარებად ქვეყნებსაც უწოდებენ.

ასეთი ქვეყნების განვითარება მართლაც სწრაფი ტემპებით განხორციელდა, მაგრამ უმთავრესად მაინც კაპიტალისტური გზით. სოციალისტურმა იდეამ, მას შემდეგ რაც საბჭოთა კავშირისა და სხვა ე.წ. „სოციალისტური“ სახელმწიფოების პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა სისტემებმა სრული კრაზი განიცადა, დაკარგა მიმზიდველობა და განვითარებადი ქვეყნებისათვის მისაბამ ნიმუშს აღარ წარმოადგენს.

ამ ქვეყნებში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების სირთულე, თითოეულ ქვეყანაში ხელისუფლების სათავეში მყოფი ამა თუ იმ კლასის ან სოციალური ფენის პოლიტიკის პროგრესული ან რეაქციული ტენდენციები სათანადო ასახვას პოულობენ სახელმწიფოს ფუნქციებში. მიუხედავად რიგი განსხვავებისა, ამ სახელმწიფოთა საქმიანობაში გამოჰყოფენ შემდეგ ძირითად საშინაო ფუნქციებს. ესენია: კლასობრივ მოწინააღმდეგეთა და დაპირისპირებულ ძალთა დათრგუნვა, ეკონომიკური განვითარებისა და კაპიტალისტური ურთიერთობების განმტკიცების ფუნქცია, კულტურული განვითარებისა და იდეოლო-

გიური ზემოქმედების ფუნქცია. რაც შეეხება საგარეო ფუნქციებს, მათი შინაარსი განისაზღვრება იმით, რომ ამ სახელმწიფოთა უდიდესი უმრავლესობა ატარებს მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, არ მონაწილეობს სამხედრო ბლოკებში და იცავს ნეიტრალიტეტს, იბრძვის კოლონიალიზმის საბოლოო ლიკვიდაციისათვის მთელ მსოფლიოში, მიისწრაფვის ახალგაზრდა განვითარებად სხვა სახელმწიფოებთან მჭიდრო თანამშრომლობისაკენ, ზრუნავს სხვა სახელმწიფოთა ხელყოფისაგან თავისი ქვეყნის თავდაცვისათვის.

საშინაო და საგარეო ფუნქციების განხორციელებისათვის განვითარებად სახელმწიფოებს გააჩნიათ მმართველობის სათანადო აპარატი. დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ ამ ქვეყნებში ჩამოყალიბდა ახალი სახელმწიფო მექანიზმი. ხელისუფლების და მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები, სასამართლო, ჯარი, პოლიცია და ა.შ.; მაგრამ კოლონიური დამოკიდებულების დროს არსებულ სახელმწიფო ორგანოთა სისტემის შეცვლა მთლიანად კი არ მოხდა, არამედ მისი მნიშვნელოვანი ნაწილი მმართველი ფენების მიერ გამოყენებულ და შეგუებულ იქნა ახალი ვითარებისადმი.

განვითარებად ქვეყნებში სახელმწიფო მართვა-გამგეობის ძირითადი ფორმა რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა ა, ხოლო იმ სახელმწიფოთა უმრავლესობაში, სადაც თავიდან მონარქია არსებობდა, შემდგომ მოხდა რესპუბლიკურ ფორმაზე გადასვლა (ინდოეთი, პაკისტანი, კენია, ნიგერია და სხვ.). ამჟამად მონარქია არსებობს მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში (მაროკო, საუდის არაბეთი). რაც შეეხება სახელმწიფო წყობილების ფორმას, განთავისუფლებულ ქვეყნებს შორის გვხვდება უნიტარულიც და ფედერაციული სახელმწიფოებიც. ფედერაციებს წარმოადგენენ, მაგალითად, ინდოეთი, პაკისტანი, ბირმა, მალაიზია, ნიგერია, კამერუნი, ტანზანია.

ეროვნული ს ა მ ა რ თ ა ლ ი განთავისუფლებულ ქვეყნებში იქმნებოდა ახალი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებასთან ერთად. ნაცვლად კოლონიური დამოკიდებულების პერიოდში მოქმედი სამართლებრივი აქტებისა, რომლებსაც გამოსცემდნენ მეტროპოლიების სახელმწიფო ორგანოები ან ადგილებზე - კოლონიური ხელისუფლების წარმომადგენლები (გუბერნატორები), - განხორ-

ციელდა კონსტიტუციური და სხვა სახის კანონმდებლობა ხელისუფლების უმაღლესი ორგანობის მიერ და გამოცემულ იქნა სხვა ნორმატიული აქტები. ეს სამართლებრივი სისტემები კაპიტალისტური ორიენტაციის ქვეყნებში გამოხატავენ ძირითადად საზოგადოების უმცირესობის – მმართველი კლასებისა და ფენების ნება-სურვილს, ხელს უწყობენ კაპიტალისტური ურთიერთობების განმტკიცებას. ამიტომ გამოყენებულ იქნა ძველი სამართლებრივი ინსტიტუტებიც მსხვილმესაკუთრეთა ინტერესების დასაცავად. მაგრამ ის ნორმები, რომლებიც არეგულირებდნენ კოლონიური დამოკიდებულებიდან გამომდინარე ურთიერთობებს, ცხადია, მთლიანად გაუქმდა. სამაგიეროდ, სამართლებრივი წესით იქნა აღიარებული ფორმალური ბურჟუაზიული დემოკრატიის რიგი ინსტიტუტები, რომელთა რეალური განხორციელება ჯერჯერობით უამრავ შეზღუდვებთან და დაბრკოლებებთან არის დაკავშირებული.

მ ე ხ უ თ ე თ ა ვ ი

საქართველოს სახელმწიფო და სამართალი

§1. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსია საბჭოთა რუსეთის მიერ

როგორც ცნობილია, ქართული სახელმწიფოებრიობა ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. მის განვითარებას თან ახლავს ჭეშმარიტი აყვავებისა და დაცემის მძიმე პერიოდები, ხოლო მეთვრამეტე საუკუნის მიწურულიდან თითქმის ორი საუკუნის მანძილზე დამოუკიდებელი საქართველო, ფაქტიურად, არ არსებობდა. 1783 წელს რუსეთ-საქართველოს შორის ხელმოწერილი ე.წ. გეორგიევსკის ტრაქტატის მიხედვით, ქართლ-კახეთის სამეფო უნდა გადასულიყო რუსეთის იმპერიის მფარველობაში, თუმცა თავის საშინაო საქმეებში სუვერენული უფლებების შენარჩუნებით. ამ ხელშეკრულების პირობების დაცვა რუსეთის მიერ არ მოხდა და 1801 წელს აღმოსავლეთ საქართველო დიდი იმპერიის ნაწილად გამოცხადდა, ხოლო 1810 წლიდან მან დაიქვემდებარა დასავლეთ საქართველოც და ამით შეწყვიტა მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფოებრიობის დამოუკიდებელი არსებობა.

მაგრამ ქართველი ხალხი არ შერიგებია დამოუკიდებლობის დაკარგვას, თავგანწირულად ებრძოდა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას და ხშირად მიმართავდა წინააღმდეგობის ისეთ უკიდურეს ფორმებს, როგორიც იყო შეიარაღებული აჯანყებები და პოლიტიკური შეთქმულებები (1804-1812, 1819-1820; 1832 წწ). XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ, დემოკრატიულ ეტაპზე, ქართველმა განმანათლებლებმა — „თერგდალეულებმა“ ილია ჭავჭავაძის მეთაურობით

წამოაყენეს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეა დემოკრატიული რუსეთის ფარგლებში. რეალურად კი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა შესაძლებელი გახდა მხოლოდ რუსეთში 1917 წელს თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შედეგად ცარიზმის დამხობისა და ოქტომბრის „სოციალისტური“ გადატრიალების შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რუსეთმა თავიდანვე გამოაცხადა ხალხთა თვითგამორკვევის უფლება, იგი უარყოფითად ეკიდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. მაგრამ იმდროინდელ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში ქართველმა ხალხმა მაინც შეძლო თავისი მიზნის განხორციელება და მოსახლეობის წარმომადგენლობითმა ორგანომ – ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 26 მაისს გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობა – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა.

1919 წლის მარტში დემოკრატიული არჩევნების საფუძველზე ჩამოყალიბდა ახალი საკანონმდებლო ორგანო – დამფუძნებელი კრება, რომელმაც დაადასტურა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ახალ სახელმწიფოს ჰყავდა თავისი მთავრობა, სახალხო გვარდია და რეგულარული არმია, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები. აღორძინებულმა სახელმწიფომ დაიწყო თავისი ფუნქციების შესრულება. მაგრამ საბჭოთა რუსეთი და მისი შემხედვარე დასავლეთის სახელმწიფოები ღიძნანს თავს იკავებდნენ იურიდიულად საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისაგან.

მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც 1920 წლის 7 მაისს რუსეთი, საშინაო საქმეებში გარკვეული სირთულეების გამო (ე.წ. თეთრ-გვარდიელთა ჯარებთან ბრძოლა და სხვ.), იძულებული გახდა ხელშეკრულება დაედო საქართველოსთან მისი დამოუკიდებლობის ცნობისა და მის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის თაობაზე; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ოფიციალურად ცნეს გერმანიამ, ინგლისმა, საფრანგეთმა, ბელგიამ, იტალიამ, იაპონიამ, ავსტრიამ, რუმინეთმა, ლუქსემბურგმა და მექსიკამ, მათზე ადრე კი – არგენტინამ.

სამწუხაროდ, ხანგრძლივი და მწვავე ფორმით მოპოვებული ნანატრი დამოუკიდებლობა ხანმოკლე აღმოჩნდა. როდესაც რუსეთში

საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმავრა თავისი პოზიციები, მის ხელმძღვანელობაში დაიწყო საქართველოს იძულებითი გასაბჭოების გეგმის შემუშავება და პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელება. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დამხობისა და შეიარაღებული ძალების მეშვეობით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის საბაზად გამოიყენეს საქართველოს ზოგიერთ რეგიონში სპეციალურად პროვოცირებული არაქართველი მოსახლეობის გამოსვლები და მდგომარეობის გამწვავება. ბოლშევიკური რუსეთის ხელმძღვანელობამ ეს ფაქტი მონათლა როგორც ქართველი ხალხის „აჯანყება“ თავისი მთავრობის წინააღმდეგ და საქართველოს მშრომელების „დასახმარებლად“ შემოიყვანა წითელი არმიის მრავალათასიანი კონტინგენტი, რომლის მეშვეობითაც, მიუხედავად ქართული ჯარის გააფთრებული შებრძოლებისა, მოახდინა რესპუბლიკის ტერიტორიის ოკუპაცია და მისი ფაქტიური ანექსია. რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება ლენინელებმა უხეშად გათელეს. 1921 წლის 25 თებერვალს საქართველომ კვლავ დაკარგა დამოუკიდებლობა და მას შემდეგ 70 წლის მანძილზე ფორმალურად ითვლებოდა „სუვერენულ სახელმწიფოდ“ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, ფაქტიურად კი უუფლებო ნაწილი იყო საბჭოური იმპერიისა. ეს კავშირი ფორმალურად ნებაყოფლობითი იყო, ფაქტიურად კი იძულებითი, ფორმალურად მოკავშირე რესპუბლიკებს კავშირიდან გასვლის უფლება ჰქონდა, ფაქტიურად კი ამ უფლების განხორციელება შეუძლებელი იყო.

მხოლოდ უკანასკნელ წლებში, საბჭოთა იმპერიის დაშლის დაწყების პირობებში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საფუძველზე წარმოიშვა საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის მოპოვების პერსპექტივა. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგების შესაბამისად, 1991 წლის 9 აპრილს მიიღო დეკლარაცია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე.

§2. საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური ფორმა, ფუნქციები და სახელმწიფოებრივი მექანიზმი 1921 წლის კონსტიტუციის მიხედვით

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც მიუხედავად სხვადასხვა დროს არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობისა, პირველი კონსტიტუცია იყო დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ისტორიაში. იგი მიღებიდან მხოლოდ ოთხი დღის განმავლობაში ითვლებოდა მოქმედ აქტად, ვინაიდან 25 თებერვალს უკვე დაკარგა რეალური იურიდიული ძალა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის გამო. მაგრამ მისი ისტორიული როლი და გავლენა საქართველოს კონსტიტუციური კანონმდებლობის განვითარებაზე შეტად მნიშვნელოვანია და აღიარებულია. ეს კონსტიტუციური მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ა გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი ა საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის კონსტიტუციის შემუშავებისას.

1921 წლის კონსტიტუცია შედგება ჩვიდმეტი თავისა და 149 მუხლისაგან. პირველ თავში, რომელიც ზოგად დებულებებს შეიცავს, საქართველო გამოცხადებულია თავისუფალ, დამოუკიდებელ და განუყოფელ სახელმწიფოდ, რომლის პოლიტიკური ფორმა დ ე - მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა ა. რაც შეეხება ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მოწყობას, კონსტიტუციის მეტერთმეტე თავში გამოცხადებულია ავტონომიური მმართველობა „აფხაზეთში (სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველოში (ბათომის მხარე) და ზაქათალაში (ზაქათალას ოლქი)“, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებადაა აღიარებული (მუხლი 107).

მთლიანად, კონსტიტუციისა და მისი ცალკეული მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მათში განსაზღვრულია იმდროინდელი საქართველოს სხვადასხვა ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ე ბ რ ი ვ ი ფ უ ნ ქ ც ი ე ბ ი, პირველ ყოვლისა, ისეთი საშინაო ფუნქცია, როგორცაა მოქალაქის, პიროვნების უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა. ამასთან დაკავშირებული დებულებები მოცემულია უმთავრესად კონსტიტუციის შესამე თავში

„მოქალაქის უფლებანი“, სადაც ლაპარაკია ძირითად პოლიტიკურ და პირად უფლებებზე და მეცამეტე თავში „სოციალურ-ეკონომიკური უფლებანი“, აგრეთვე მეთოთხმეტე თავში „ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი“ და ზოგიერთი სხვა თავის ცალკეულ მუხლებში. პიროვნების უფლებების დაცვას ემსახურება და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს ასახავს კონსტიტუციის პირველ თავში ჩამოყალიბებული დებულება სახელმწიფოს ძირითადი კანონის – კონსტიტუციის უზენაესობის შესახებ, აგრეთვე იმაზე მითითება, რომ ყოველ კანონსა და სხვა სავალდებულო დადგენილებას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა, უკეთუ იგი გამოცხადებულია სათანადო წესით.

რაც შეეხება ისეთ საშინაო ფუნქციებს, როგორცაა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, – 1921 წლის კონსტიტუცია ასეთებად თვლის, ერთი მხრივ, სახელმწიფოს საქმიანობას სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო, სააღმშენებლო და საფინანსო-საბიუჯეტო დარგებში, რამაც უნდა უზრუნველყოს „მოქალაქეთა ღირსეული არსებობა“, ე.ი. მათი კეთილდღეობის ამაღლება კეთილსინდისიერი შრომის საფუძველზე (მეცამეტე თავი); მეორე მხრივ კი, სახელმწიფოს მიერ ხელოვნებისა და მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა, სწავლა-განათლების უზრუნველყოფა ყველა საფეხურის სკოლებში, რომელთა სისტემაში პირველდაწყებით სკოლაში სწავლა „საყოველთაო, უსასყიდლო და სავალდებულოა“.

როგორც ყოველ სახელმწიფოს, საქართველოს რესპუბლიკასაც ჰქონდა ერთ-ერთ საშინაო ფუნქციად – საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა, კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვა. ამან თავისი გამოხატულება პოვა კონსტიტუციის იმ თავებსა და მუხლებში, რომლებიც შეეხება: კონსტიტუციისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესრულების აუცილებლობას ხელისუფლების ყველა ორგანოსა და თანამდებობის პირის მიერ (მუხლი 8); თვით მთავრობის მიერ კანონით მისთვის დაკისრებული ყოველი მოვალეობის შესრულებას (მუხ. 72თ); სასამართლო ორგანოების საქმიანობას და მართლმსაჯულების განხორციელების ძირითად პრინციპებს (თავი მეექვსე); სახელმწიფო კონტროლის განხორციელებას (თავი მერვე) და სხვ. განსაკუთრებულ გარემოებებში ან მოულოდნელ შემთხვევაში საზო-

გაღებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად მთავრობას შეუძლია შეიარაღებული ძალების გამოყენებაც სათანადო წესების დაცვით.

ამავე კონსტიტუციის მიხედვით, შეიძლება განვსაზღვროთ მაშინდელი საქართველოს საგარეო-სახელმწიფოებრივი ფუნქციები. პირველსავე მუხლში ჩაწერილი დებულება იმის შესახებ, რომ საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო, ნათელყოფს ქვეყნის მზადყოფნას დაიცვას თავისი სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა ყოველგვარი ხელყოფისაგან, რაც სახელმწიფოს მიერ თავდაცვის ფუნქციის განხორციელებას ნიშნავს. 54-ე და 72-ე მუხლებში კი განსაზღვრულია თავდაცვითი ომის შემთხვევაში რესპუბლიკის პარლამენტისა და მთავრობის უფლებამოსილება და მოვალეობა „გარეშე განსაცდელისაგან“ ქვეყნის უზრუნველსაყოფად. კონსტიტუციის სპეციალური მეცხრე თავი „სახელმწიფო თავდაცვა“ აწესებს რესპუბლიკის ყოველი მოქალაქის ვალდებულებას სამხედრო ბეგარის მოხდის შესახებ, ხოლო სამხედრო ძალთა ფუნქციად აცხადებს რესპუბლიკის დაცვას.

ბუნებრივია, 1921 წლის კონსტიტუციაში ასახულია საქართველოს რესპუბლიკის, როგორც დამოუკიდებელი და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს ისეთი საგარეო ფუნქცია, როგორცაა სხვა ქვეყნებთან ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა, სახელდობრ, 54-დ მუხლში, სადაც ლაპარაკია პარლამენტის ერთ-ერთ უფლებამოსილებაზე – დამტკიცება საზავო, სავაჭრო და ამგვარი ხელშეკრულებისა უცხო სახელმწიფოებთან, ხოლო 72-დ მუხლში – მთავრობის უფლებაზე – რესპუბლიკის საგარეო ინტერესების დაცვა. რესპუბლიკის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ კონსტიტუციის მიღებამდე პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგა სხვა ქვეყნებთან ურთიერთობების დასამყარებლად, კერძოდ, ერთა ლიგაში მისაღებად.

თავისი საშინაო და საგარეო ფუნქციების განხორციელებისათვის საქართველოს სახელმწიფოს ესაჭიროებოდა ორგანოთა და დაწესებულებათა მთელი სისტემა, ანუ ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო მ ე ქ ა ნ ი ზ მ ი. კონსტიტუციაში ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოდ აღიარებული იყო „საქართველოს პარლამენტი“, რომელიც სამი წლის ვადით უნდა შემდგარიყო „საყო-

ველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული წესისამებრ არჩეულ დეპუტატებისაგან“ (მუხლი 46) და კანონმდებლობის უფლებით აღიჭურვებოდა. უმაღლეს აღმასრულებელ, ანუ მმართველობის ხელისუფლებას კონსტიტუცია აკუთვნებდა რესპუბლიკის მთავრობას, რომლის თავმჯდომარე პარლამენტს უნდა აერჩია ერთი წლის ვადით; ხოლო მთავრობის დანარჩენ წევრებს – მინისტრებს „იწვევს მთავრობის თავმჯდომარე“ (მუხლები 66-68). მთავრობის საერთო უფლებამოსილებას შეადგენდა რესპუბლიკის საქმეთა უმაღლესი მართვა-გამგეობა თანახმად კანონისა“ და „თვალყურის დევნა და აღსრულება კონსტიტუციისა და კანონებისა“ (მუხლი 72). ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში, კონსტიტუციის მიხედვით, უნდა შექმნილიყო ადგილობრივი მმართველობის ორგანოები – „ადგილობრივი თვითმმართველობა“, რომელიც იმავე დროს თავისი ტერიტორიის ფარგლებში განაგებს კულტურულ-განმანათლებელ და სამეურნეო საქმეებს (თავი მეთექვსმეტი).

სახელმწიფო მექანიზმის კიდევ ერთი შემადგენელი ნაწილი, რომელსაც 1921 წლის კონსტიტუცია ითვალისწინებს (თავი მეექვსე) – სასამართლოა. მართლმსაჯულების უმაღლეს ორგანოდ ითვლება სენატი, რომელიც უნდა აირჩიოს პარლამენტმა და რომლის მოვალეობაა თვალყური ადევნოს კანონის დაცვას რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე და განახორციელოს საკასაციო საქმიანობა. გათვალისწინებული იყო აგრეთვე „სამოქალაქო, სისხლისა და ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა საწარმოებლად მუდმივი სასამართლოების არსებობა“ (მუხლი 77). უფრო დაწვრილებით სასამართლოს ორგანიზაცია, იურისდიქცია და კომპეტენცია, როგორც კონსტიტუციაშია მითითებული, სპეციალური კანონით უნდა განსაზღვრულიყო, რომლის მიღება, ცხადია, ვეღარ მოესწრო. მაგრამ მართლმსაჯულების ზოგიერთი დემოკრატიული პრინციპი კონსტიტუციაში მაინც ჩამოყალიბებულია. მაგალითად, მოსამართლეთა არჩევითობა, სასამართლოს დამოუკიდებლობა და მისი დამორჩილება მხოლოდ კანონისადმი, სასამართლო სხდომების საჯაროობა (იშვიათი გამონაკლისის გარდა), ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტების არსებობა და სხვ.

დაბოლოს, როგორც ყველა ქვეყანაში, საქართველოს რეს-

კუბლიკაშიც სახელმწიფო მექანიზმის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს ჯარი წარმოადგენდა და კონსტიტუციაში არაორაზროვნად იყო ჩაწერილი, რომ „სამხედრო ძალთა დანიშნულება არის დაცვა რესპუბლიკისა და მისი ტერიტორიისა“ (მუხლი 95).

როგორც უკვე აღინიშნა, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს რესპუბლიკის ანექსიის გამო, მისი კონსტიტუციის ზემოაღნიშნული დებულებანი, ფაქტიურად, ვეღარ განხორციელდა და ქვეყნის სახელმწიფოებრივი განვითარება 70 წლის მანძილზე მიმდინარეობდა ყოფილი საბჭოთა კავშირის სტრუქტურებში.

§3. საქართველოს კონსტიტუციური განვითარება, სახელმწიფოებრივი ფუნქციები და მქანნიში საბჭოთა ხელისუფლების პირობებში

1921 წლის 25 თებერვალს, რუსეთის წითელი არმიის საქართველოში შემოჭრისა და მისი მთავრობის დამხობის შემდეგ, ჩვენ ქვეყანაში მთელი ძალაუფლება ხელში აიღო ე.წ. რევოლუციურმა კომიტეტმა, ცალკეულ რეგიონებში კი მისდამი დაქვემდებარებულმა ადგილობრივმა რეკომებმა, რომლებიც კომუნისტური პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით მოქმედებდნენ და საქართველო გამოაცხადეს საბჭოთა რესპუბლიკად. ხოლო ერთი წლის შემდეგ მოწვეულ იქნა სრულიად საქართველოს საბჭოების I ყრილობა, რომელმაც 1922 წლის 2 მარტს მიიღო ე.წ. „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის“ პირველი კონსტიტუცია. იგი, საბჭოთა რუსეთის 1918 წლის კონსტიტუციის მსგავსად, საკანონმდებლო წესით განამტკიცებდა „პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას და მთელი ძალაუფლების გადასვლას საბჭოების ხელში“. ასე დაიწყო „საბჭოთა საქართველოს“ კონსტიტუციური განვითარება, რასაც ყველა ეტაპზე თან ახლდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მთელი რიგი დემოკრატიული პრინციპების ფორმალური აღიარება ფაქტიურად დესპოტიზმის, სისხლიანი მმართველობისა და ადამიანის უფლებების ვითარებაში.

შემდეგი ეტაპი საქართველოს სსრ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ განვითარებაში დაკავშირებულია 1922 წლის 13 დეკემბერს ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შექმნასა და მისი კონსტიტუციის მიღებასთან. ცხადია, ეს კონსტიტუცია, აზერბაიჯანსა და სომხეთთან ერთად, საქართველოსაც ეხებოდა. ცოტა ხნის შემდეგ კი, 1922 წლის 30 დეკემბერს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნისას ამ დიდ იმპერიულ სახელმწიფოში საქართველო შევიდა როგორც ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთ-ერთი წევრი. მისი ახალი სამართლებრივი მდგომარეობა აისახა საქართველოს სსრ საბჭოების IV ყრილობის მიერ 1927 წლის 4 აპრილს მიღებულ კონსტიტუციაში, რომელიც, თავის მხრივ, შეესაბამებოდა სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციასა და ამიერკავკასიის ფედერაციის 1926 წლის კონსტიტუციას. სწორედ საქართველოს ამ კონსტიტუციაში, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებთან ერთად, პირველად იქნა ნახსენები „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“.

როდესაც საბჭოთა კავშირში გამოცხადდა „სრული სოციალიზმის აშენება“, გაუქმდა ამიერკავკასიის რესპუბლიკა მისი „ისტორიული როლის შესრულების გამო“ და 1936 წლის 5 დეკემბერს მიღებულ იქნა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია, — საქართველო სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან ერთად უშუალოდ შევიდა სსრ კავშირის შემადგენლობაში, ხოლო მისი ახლად შეცვლილი სამართლებრივი მდგომარეობა აისახა საქართველოს სსრ 1937 წლის 13 თებერვალს საქართველოს საბჭოების VIII საგანგებო ყრილობის მიერ მიღებულ კონსტიტუციაში. ამ კონსტიტუციით, მსგავსად სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციისა, პირველად გაუქმდა მანამდე არსებული ოფიციალური შეზღუდვები პოლიტიკურ უფლებებში, კერძოდ, გამოცხადდა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნები ფარული კენჭისყრით, თუმცა არჩევნების პროცედურა (კანდიდატთა წამოყენების წესი, კომუნისტური პარტიული ორგანიზაციების ზეგავლენა, საკუთარი შეხედულების თქმის შიში, ალტერნატიული კანდიდატების არარსებობა და ა.შ.) შესაძლებლობას არ იძლეოდა ხალხის ნამდვილი ნების გამოხატვისა. არსებითად შეიცვალა სახელმწიფო ორგანოთა სისტემა.

70-იანი წლების მეორე ნახევარში, როდესაც საბჭოთა საზოგადოება კომუნისტური პარტიისა და სახელმწიფო ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ე ბ ი ს მ ი ე რ მ ო ი ნ ა თ ლ ა როგორც „განვითარებული სოციალიზმი“, შემუშავდა სსრ კავშირის 1977 წლის ახალი კონსტიტუცია, ხოლო მის საფუძველზე – საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუცია, რომელიც მიიღეს 1978 წლის 15 აპრილს, მასში უფრო ფართოდ იყო მოცემული მოქალაქეთა ძირითადი უფლებები და თავისუფლებანი, დაიხვეწა სახელმწიფო ორგანოთა სისტემა, მათი უფლებამოსილება და საქმიანობის პრინციპები. მკაფიოდ დაფიქსირდა დებულება საბჭოთა კავშირიდან საქართველოს რესპუბლიკის თავისუფალი გასვლის უფლების შენარჩუნების შესახებ (მუხლი 69) და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენად ქართული ენის აღიარების შესახებ (მუხლი 75).

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ცვლილებებსა და დამატებებს, რომლებიც ამ კონსტიტუციაში შეიტანეს საქართველოს სსრ 1984 წლის 7 იანვრის, 1986 წლის 5 ივლისის, 1989 წლის 18 ნოემბრის, 1990 წლის 20 მარტისა და 18 აგვისტოს, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 14, 15, 22 ნოემბრის, 11 და 28 დეკემბრის, 1991 წლის 29 იანვრის, 27 და 28 თებერვლის, 20 მარტის, 13, 23 და 27 აპრილის, 23 მაისის, 14 ივნისის, 25 ივლისის, 2, 10 და 26 აგვისტოს, 11 და 30 ოქტომბრის კანონებით, – საფუძველს მოკლებული არ იქნება აღინიშნოს, რომ ფორმალური შინაარსით იგი საკმაოდ დემოკრატიული იყო. მას შეეძლო ემოქმედა გარდამავალ პერიოდში – საქართველოს ახალი კონსტიტუციის შემუშავებამდე, როგორც დროებით ძირითად კანონს, საჭიროების შემთხვევაში მასში ახალი დამატებებისა და ცვლილებების შეტანით, განსაკუთრებით სახელმწიფო ორგანოთა სისტემის საკითხებზე. მით უმეტეს, რომ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მიერ 1990 წელს მიღებული დადგენილებით 1921 წლის კონსტიტუციის სამოქმედოთ შემოღება არარეალური აღმოჩნდა და ახალ პირობებში მოქმედ აქტად ვერც გამოდგებოდა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის არსებობის მთელი პერიოდის მანძილზე მისი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ე ბ რ ი ვ ი ფ უ ნ ქ ც ი ე ბ ი, ისევე როგორც სხვა მოკავშირე

რესპუბლიკებისა და მთლიანად საკავშირო სახელმწიფოს ფუნქციები, მაშინდელ თეორიულ და პოლიტიკურ ლიტერატურაში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

საშინაო ფუნქციები: ა) სამეურნეო-ორგანიზატორული, ე.ი. სახელმწიფოს საქმიანობა ეკონომიკურ სფეროში ისეთ პირობებში, როდესაც ქვეყანაში გაბატონებული იყო სახელმწიფო, საზოგადოებრივი საკუთრების ფორმა და გეგმიური ხასიათი მეურნეობისა ცენტრიდან ხელმძღვანელობის სახით; ბ) კულტურულ-აღმზრდელობითი ფუნქცია, ე.ი. სახელმწიფოს საქმიანობა იდეოლოგიურ სფეროში (განათლება, ლიტერატურა, კულტურა, მეცნიერება და სხვ.), რაც მიზნად ისახავდა კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი მ ს ო ფ ლ მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ი ს საფუძველზე მოსახლეობის სულიერი ცხოვრების წარმართვას; გ) კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვა არსებული რეჟიმის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

საგარეო ფუნქციები, რომლებსაც საკავშირო ხელისუფლება ასრულებდა: ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფა; სხვა, ე.წ. სოციალისტურ ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობა და დახმარება, რაც, ფაქტიურად, მათ ხელმძღვანელებთან ერთად საკუთარ ქვეყნებში ხალხთა მორჩილებაში ყოლას ემსახურებოდა; კაპიტალისტურ ქვეყნებთან მშვიდობიანი თანაარსებობა; ხოლო სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევა და ექსპანსიონისტური აქციები სსრ კავშირის ხელმძღვანელთა მიერ ახსნილი იყო როგორც ინტერნაციონალური ვალდებულებების შესრულება. უშუალოდ საქართველოს რესპუბლიკას, როგორც საბჭოთა ფედერაციის სუბიექტს, მიუხედავად მისთვის ფორმალურად ზოგიერთი საგარეო-სახელმწიფოებრივი საქმიანობის უფლების მინიჭებისა, სხვა სახელმწიფოებთან დამოუკიდებელი საგარეო ურთიერთობის შესაძლებლობა, ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ , ა რ გ ა ა ჩ ნ დ ა .

საბჭოთა პერიოდის საქართველოს სახელმწიფო მექანიზმიც, მიუხედავად მის შემადგენლობაში ავტონომიური ერთეულების არსებობისა, რეალურ სინამდვილეში მკაცრი ცენტრალიზებული მმართველობის აპარატის შემადგენელი ნაწილი იყო. მისი განვითარების ყველა საფეხურზე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს ცენტრშიც და ადგილებზე საბჭოები წარმოადგენდნენ.

პირველად ისინი იწოდებოდნენ მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოებად, რაც პირველი საბჭოთა კონსტიტუციებით იყო აღიარებული. შემდგომში, როდესაც კომუნისტური პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა ჩათვალეს, რომ საბჭოეთში დამყარდა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, — ხელისუფლების ორგანოებს 1936 წლის საკავშირო კონსტიტუციაში (საქართველოს სსრ 1937 წლის კონსტიტუციაში) უწოდეს მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, ხოლო სსრ კავშირის 1977 წლის (საქართველოს სსრ 1978 წლის) კონსტიტუციით „საერთო სახალხო სახელმწიფოს“ პირობებში მათ უკვე სახალხო დეპუტატთა საბჭოები ეწოდა.

საბჭოების სტრუქტურა შედგებოდა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოებისაგან. მაგალითად, საქართველოში ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ ითვლებოდა ხალხის მიერ არჩეული რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკათა უზენაესი საბჭოები; ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებად — საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოები; მმართველობის ცენტრალური ორგანოები იყო უზენაესი საბჭოს მიერ შექმნილი მთავრობა (მინისტრთა საბჭო, სამინისტროები), მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს კი ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები წარმოადგენდნენ.

სახელმწიფო მექანიზმის შემადგენელ ნაწილებს შეადგენდნენ აგრეთვე სასამართლოს (მართლმსაჯულების) ორგანოები, პროკურატურა — კანონების ზუსტად შესრულებისადმი ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანო, დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ორგანოები და სხვ. ჯარიც, რა თქმა უნდა, სახელმწიფო მექანიზმის უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენდა, მაგრამ შეიარაღებული ძალები უშუალოდ ცენტრალური ხელისუფლების გამგებლობაში იყო და საქართველოს, სხვა რესპუბლიკების მსგავსად, თავისი ჯარი არ ჰყავდა.

სახელმწიფო აპარატის დასახელებული სტრუქტურის მიხედვით, ცხადია, რომ საქართველო საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში თავის მართვა-გამგეობის ფორმით რესპუბლიკას წარმოადგენდა. მის

ყველა კონსტიტუციაში, ისევე როგორც საკავშირო კონსტიტუციებში, საქართველო სუვერენულ სახელმწიფოდ მოიხსენიება საბჭოთა ფედერაციის – სსრ კავშირის შემადგენლობაში. თეორიულ ლიტერატურაში კი ხდებოდა დასაბუთება იმ დებულებისა, რომ საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რომელიც საკავშირო ხელისუფლებას მხოლოდ თავის უფლებათა ნაწილს ნებაყოფლობით გადასცემს მისივე ინტერესების და სუვერენიტეტის დასაცავად. ასეთი იყო ფ ო რ მ ა ლ უ რ ა დ საქართველოს სამართლებრივი მდგომარეობა სსრ კავშირის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ სტრუქტურაში. რაც შეეხება თვით საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მოწყობას და მის შემადგენლობაში ავტონომიური ერთეულების არსებობას, ამის შესახებ მოკლედ შეიძლება შემდეგი ითქვას:

1921 წლის 4 მარტს, საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ, ცხადია, რუსეთის ხელშეწყობით, შეიქმნა ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. მისი განვითარების ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ საქართველოს, აჭარისა და აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა 1921 წლის 28 მარტის თათბირის გადაწყვეტილების საფუძველზე, იმავე წლის 28 დეკემბერს თბილისში მოხდა ხელმოწერა საქართველოსა და აფხაზეთს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულებისა, რომლის მიხედვით აფხაზეთი შევიდა საქართველოს შემადგენლობაში. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ 1922 წლის კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ აფხაზეთის რესპუბლიკა დაკავშირებულია საქართველოსთან მათ შორის დადებული განსაკუთრებული სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე. იმავე წლის ბოლოს აფხაზეთი, როგორც საქართველოს ნაწილი, შევიდა ამიერკავკასიის ფედერაციაში და ამ უკანასკნელის მეშვეობით – სსრ კავშირში. საქართველოს 1927 წლის კონსტიტუციაშიც ჩაიწერა, რომ სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა აფხაზეთი, განსაკუთრებული ხელშეკრულების ძალით, შედის საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში და მისი მეშვეობით ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკაში. მაგრამ უკვე 1931 წლის თებერვალში, რუსეთის ფედერაციის გამოცდილებისა და მაგალითის გათვალისწინებით, აფხაზეთის საბჭოების VI ყრი-

ლობამ დაამტკიცა აფხაზეთის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება აფხაზეთის შესვლის შესახებ საქართველოს სსრ შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკის სახით. იმავე თვეში შესაბამისი დადგენილება მიიღო სრულიად საქართველოს საბჭოების VI ყრილობამ.

აფხაზეთის, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის სამართლებრივი მდგომარეობა ფიქსირებული იქნა სსრ კავშირის 1936 წლის, საქართველოს სსრ 1937 წლისა და აფხაზეთის ასსრ 1937 წლის კონსტიტუციებში, შემდეგ კი სსრ კავშირის 1977 წლის, საქართველოს სსრ 1978 წლისა და აფხაზეთის ასსრ 1978 წლის კონსტიტუციებში. ამიტომ უსაფუძვლოა აფხაზი სეპარატისტების ცდები, ბოლშევიკური მანიპულაციების შედეგად რამდენიმე წლის განმავლობაში აფხაზეთისათვის ავტონომიის სტატუსის შეცვლის ფაქტის საფუძველზე, გამოაცხადონ აფხაზეთი ისტორიულად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და ჩამოაშორონ საქართველოს მისი განუყოფელი ნაწილი.

აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შეიქმნა 1921 წლის 16 ივლისს და მისი განვითარებაც გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდება. აჭარა – საქართველოს ოდინდელი ნაწილი XVI საუკუნის 70-იან წლებში მიტაცებულ იქნა თურქ-ოსმალთა მიერ და სამი ასწლეულის მანძილზე იმყოფებოდა დამპყრობთა უღელქვეშ, რომლებიც ატარებდნენ ამ ხალხის გათურქებისა და გამაჰმადიანების პოლიტიკას. მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში შეუერთდა აჭარა საქართველოს და, მამასადამე, რუსეთის სახელმწიფოს. საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის დაშლისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თურქეთის ჯარი შემოვიდა ბათუმში. მაგრამ რუსეთსა და თურქეთს შორის 1921 წლის 16 მარტს დადებული ხელშეკრულებით თურქეთმა უარი თქვა ბათუმსა და ჩრდილოეთ აჭარაზე, ხოლო რუსეთმა იკისრა აჭარის ავტონომიურ ერთეულად გამოცხადება. შეიქმნა აჭარის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც 1921 წლის 18 მარტს გამოაცხადა საბჭოთა ხელისუფლება, საქართველოს რევკომმა კი 1921 წლის 16 ივლისის დეკრეტით აჭარას ავტონომია მიანიჭა. 1922 წლის დეკემბერში საქართველოს

შემადგენლობაში მყოფი აჭარის ასსრ შევიდა ამიერკავკასიის ფედერაციაში. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია მიიღეს მხოლოდ 1937 წელს; მეორე კი – 1978 წლის 26 მაისს, რომელშიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის მიერ 2000 წლის 24 ივნისს მიღებული კანონით არსებითი ცვლილებები და დამატებები იქნა შეტანილი და ამ სახით წარმოადგენს მოქმედ კონსტიტუციას.

რაც შეეხება ე.წ. ს ა მ ხ რ ე თ ო ს ე თ ი ს ავტონომიურ ოლქს, იგი ქართველი ხალხის ინტერესების საზიანოდ შეიქმნა რუსეთისა და საქართველოს ბოლშევიკური ხელმძღვანელების წყალობით 1922 წლის 20 აპრილს, როდესაც ეს აქცია გაფორმდა რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს მიერ მიღებული დეკრეტით „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ“. მიუხედავად იმისა, რომ ამ რეგიონს მიეცა ავტონომიისათვის დამახასიათებელი და საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შესაძლებელი ყველა უფლება, ოსმა სეპარატისტებმა ფართო ძირგამომთხრელი საქმიანობა გააჩაღეს ამ ტერიტორიის რუსეთის შემადგენლობაში მყოფი ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან შესაერთებლად ან საერთოდ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოსაყოფად. 1990 წელს მათ ეს რეგიონი გამოაცხადეს „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკად“ და 9 დეკემბერს ჩაატარეს ახლად გამომცხვარი „სახელმწიფოს“ უმაღლესი საბჭოს არჩევნები, რითაც რეალური საფრთხე შეექმნა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. თვითმარქვია ხელისუფლების ასეთი უკანონო მოქმედების გამო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 11 დეკემბერს მიიღო კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ, რითაც იურიდიულად აღადგინა ისტორიული სამართლიანობა საქართველოს ძირბველ მიწაზე, მაგრამ ამ ტერიტორიის საკითხი ჯერჯერობით მოგვარებული არ არის.

§4. თანამედროვე საქართველოს სახელმწიფო და სამართალი

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში, რომელსაც განსაზღვრავენ როგორც გარდამავალს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღწევამდე და ჭეშმარიტად სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრებამდე, როდესაც ჯერ არ არსებობდა ამ პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ამსახველი და მარეგულირებელი კონსტიტუცია, – შესაბამისი კონსტიტუციური ხასიათის ნორმები მოცემული იყო მთელ რიგ ახალ საკანონმდებლო აქტებში, პირველ რიგში კი, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მიერ 1992 წლის 6 ნოემბერს მიღებულ კანონში „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“. მის შესავალ ნაწილში მითითებული იყო, რომ იგი „განსაზღვრავს ქვეყნის საგანგებო საშინაო და საგარეო მდგომარეობით განპირობებულ საქართველოს სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების უფლებამოსილებას, მათი მოწყობისა და საქმიანობის წესს ახალი კონსტიტუციის მიღებამდე“.

დასახელებული კანონით, საქართველოს სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმად მიჩნეული იყო რესპუბლიკა, რომელშიც სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი განასახიერებდა საკანონმდებლო ხელისუფლებას. უმაღლეს აღმასრულებელ-განმკარგულებელ ხელისუფლებას კი ახორციელებდნენ საქართველოს სახელმწიფოს მეთაური და საქართველოს მინისტრთა კაბინეტი. სახელმწიფოს მეთაური საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირს წარმოადგენდა, რომელიც ხალხის მიერ მანამდე არჩეული იყო პარლამენტის თავმჯდომარედ. მინისტრთა კაბინეტი (მთავრობა) შედგებოდა პრემიერ მინისტრის, მისი მოადგილეებისა და სხვა წევრებისაგან. საქართველოს რესპუბლიკის რაიონებში, ქალაქებში, ქალაქების რაიონებში, დაბებში, თემებში, სოფლებში ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები იყო საკრებულოები, გამგეობები, გამგებლები. ე.წ. შესამე ხელისუფლებას საქართველოს რესპუბლიკაში განასახიერებდა სასამართლო-მართლ-

მსაჯულების ორგანოთა სისტემა. სახელმწიფო ორგანოთა შორის ხელისუფლების შესახებ კანონი ითვალისწინებდა აგრეთვე ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს არსებობას, რომლის ამოცანად განსაზღვრული იყო „ქვეყნის თავდაცვის, უშიშროებისა და წესრიგის უზრუნველყოფა“. იგი ანგარიშვალდებული იყო პარლამენტის წინაშე და მას თავმჯდომარეობდა სახელმწიფოს მეთაური.

სახელმწიფო მექანიზმის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს, ცხადია, მისი შეიარაღებული ძალები, არმია შეადგენდა. საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ჩვენს ქვეყანას აუცილებლად ესაჭიროებოდა ახალი ტიპის ეროვნული არმია თანამედროვე შეიარაღებითა და სათანადო სამწყობრო და მხედრული მომზადებით და, როგორც ამასთან დაკავშირებით ხელისუფლების შესახებ კანონში მითითებული იყო – „საქართველოს რესპუბლიკის ინტერესების, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად“. შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლად ითვლებოდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაური. ს ა ხ ა მ ა რ თ ლ ო ხელისუფლება აღიარებული იყო მართლმსაჯულების განმახორციელებლად.

დასახელებული და ზოგიერთი სხვა კანონების მიღებასთან და სამოქმედოთ შემოღებასთან ერთად აღიარებული იყო საქართველოს ახალი კონსტიტუციის, როგორც შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის სამართლებრივი მომსახურების ძირითადი აქტის მიღების აუცილებლობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტმა 1993 წლის 16 თებერვალს მიიღო დადგენილებები საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის შექმნისა და მის თავმჯდომარედ სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის დანიშვნის შესახებ. იმავე წლის 25 მარტს პარლამენტმა შექმნა საკონსტიტუციო კომისია 118 წევრის შემადგენლობით, რომელთა შორის იყვნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები: იურისტები, ეკონომისტები, ისტორიკოსები და ფილოლოგები, ფილოსოფოსები და ფსიქოლოგები, სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლები. უკვე 3 აპრილს შედგა საკონსტიტუციო კომისიის პირველი სხდომა, რომელზეც დამტკიცდნენ კომისიის თავმჯდომარის მოადგილეები და კომისიის მდივანი,

აგრეთვე ცალკეულ კონსტიტუციურ პრობლემათა სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელები.

თითქმის ორი წლის მანძილზე საკონსტიტუციო კომისიის პრობლემურ ჯგუფებსა და სარედაქციო ჯგუფში მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა ერთიანი პროექტის შესადგენად: განხილულ იქნა სხვადასხვა პირთა და ორგანიზაციათა წინადადებები, ექსპერტთა და სხვა სპეციალისტთა დასკვნები, მათ შორის სხვა ქვეყნებიდან; გათვალისწინებულ იქნა ცალკეული პოლიტიკური პარტიების მოსაზრებებიც და 1995 წლის გაზაფხულზე კომისიის თავმჯდომარემ კონსტიტუციის ოფიციალური პროექტი შეიტანა საკონსტიტუციო კომისიაში განსახილველად.

ცხარე დისკუსიების შემდეგ კომისიამ ხმების უმრავლესობით მოიწონა პროექტი და იმავე წლის ივნისის ბოლოს კომისიის თავმჯდომარემ გადასცა იგი პარლამენტს დასამტკიცებლად. თავის მხრივ, პარლამენტარებმაც განაგრძეს პროექტის სრულყოფა და 1995 წლის 24 აგვისტოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ მიიღო და მოუკიდებელი საქართველოს ახალი კონსტიტუცია. ხოლო ჩვენი ქვეყნის ახლად არჩეული პარლამენტისა და პრეზიდენტის უფლებამოსილებათა ცნობის, პრეზიდენტის მიერ საპროგრამო სიტყვის წარმოთქმისა და ფიცის დადების შემდეგ 1995 წლის 26 ნოემბერს კონსტიტუცია ძალში შევიდა და მის საფუძველზე დაიწყო საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის ახალი ეტაპი — დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

ამ მოვლენის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ხაზგასასმელად პარლამენტისა და საკონსტიტუციო კომისიის წევრთა მიერ კონსტიტუციის ტექსტზე ხელმოწერის საზეიმო ცერემონიის დროს წარმოთქმულ სიტყვაში ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა: „ეს არის ყველაზე დიდი ქმნილება, რასაც მე-20 საუკუნის საქართველო გადასცემს მესამე ათასწლეულის ქვეყანას, მომავალ თაობებს“.

საქართველოს კონსტიტუცია შედგება პრეამბულის, 9 თავისა და 109 მუხლისაგან. პრეამბულაში /ასე უწოდებენ ნებისმიერი საკანონმდებლო აქტის, მათ შორის კონსტიტუციის, შესავალ ნაწილს/ განსაზღვრულია თანამედროვე საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობის არსი

და დეკლარირებულია, რომ საქართველოს მოქალაქეთა მიზანია „დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო“, ეს სიტყვები კი მიანიშნებენ იმაზე, რომ ჩვენი ქვეყანა იმყოფება განვითარების გარდამავალ პერიოდში ახალი სისტემისაკენ, რომლის ზუსტი დასახელება შემუშავებულ იქნება საზოგადოებრივ მეცნიერებათა წარმომადგენლების მიერ, მიღწეულ რეალობათა გათვალისწინებით.

პირველ თავში „ზოგადი დებულებები“ განცხადებულია, რომ საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რომლის პოლიტიკური მოწყობის ფორმას წარმოადგენს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელშიც ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპი /იგულისხმება ერთიანი ხელისუფლების სამი შტო: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო/. ამავე თავში მითითებულია, რომ საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი, რომელიც თავის ძალაუფლებას კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებით და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით, რომ საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, რომ სახელმწიფო აღიარებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და ა.შ.

მეორე თავში „საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“ ჩაწერილია, რომ საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით და ნატურალიზაციით, ხოლო საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე. აქვე, გარდა თავისუფლებისა და კანონის წინაშე ყველას თანასწორობის საერთო პრინციპისა, გარანტირებულია ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებების ფართო სპექტრი. რაც შეეხება მოვალეობებს, აქ აღნიშნულია, რომ ყოველი პირი ვალდებულია ასრულებდეს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს. ამასთან, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები.

მესამე თავში „საქართველოს პარლამენტი“ განსაზღვრულია ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ადგილი და როლი,

მის მიერ საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელება, საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში მთავრობის საქმიანობის კონტროლის გაწევა და ა.შ. პარლამენტის ფორმირება ხდება დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე, ოთხი წლის ვადით პროპორციული სისტემით არჩეული 150 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 85 წევრისაგან, რომლებიც 25 წლის ასაკს მიღწეული საქართველოს მოქალაქეები არიან. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის მე-4 მუხლის თანახმად („ზოგად დებულებებში“), ჩაწერილია შემდეგი: „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი“.

მეოთხე თავში „საქართველოს პრეზიდენტი“ დადგენილია, რომ საქართველოს სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც წარმართავს და ახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას კონსტიტუციის საფუძველზე, აგრეთვე, საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელია საგარეო ურთიერთობებში. პრეზიდენტს ხალხი ირჩევს საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, 5 წლის ვადით. იგი უნდა იყოს საარჩევნო უფლების მქონე, დაბადებით საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელი მაინც და არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში.

მეხუთე თავში „სასამართლო ხელისუფლება“ განსაზღვრულია, რომ სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და ხორციელდება მხოლოდ სასამართლოების მიერ საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულებისა და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით. საკონსტიტუციო კონტროლს ახორციელებს საკონსტიტუციო სასამართლო, ხოლო მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები სამართალწარმოების დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე. სასამართლო ხელისუფლების ერთ-ერთ

დაწესებულებად კონსტიტუცია თვლის პროკურატურას, რომელიც ერთიანი ცენტრალიზებული სისტემაა და მას სათავეში უდგას საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით პარლამენტის მიერ 5 წლის ვადით დამტკიცებული გენერალური პროკურორი. პროკურატურა ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას, ზედამხედველობს მოკვლევას, სასჯელის მოხდას და მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას.

კონსტიტუციის მეექვსე თავში „სახელმწიფო, ფინანსები და კონტროლი“ მოწესრიგებულია სახელმწიფო ბიუჯეტის, სახელმწიფო გადასახადების, ფულად-საკრედიტო სისტემის, სახელმწიფო სახსრების და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებისა და ხარჯვის საკითხები.

მეშვიდე თავში „სახელმწიფოს თავდაცვა“ განსაზღვრულია სამხედრო ძალების სახეობებისა და შემადგენლობის, სამხედრო აღმშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციის საკითხები. ქვეყნის დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა აღიარებულია საქართველოს მოქალაქის მოვალეობად.

მერვე თავში „კონსტიტუციის გადასინჯვა“ რეგლამენტირებულია კონსტიტუციის ტექსტის შეცვლის წესი. შესაბამისი კანონპროექტის პარლამენტში შეტანის უფლებით სარგებლობენ: პრეზიდენტი, პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, არანაკლებ 200 000 ამომრჩეველი. ასეთი კანონპროექტი წარედგინება პარლამენტს, რომელიც აქვეყნებს მას საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის და ერთი თვის შემდეგ თვითონ განიხილავს მას. ხოლო გადასინჯვის კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის ორი მესამედი.

კონსტიტუციის მეცხრე თავი „გარდამავალი დებულებები“ შეიცავს ნორმებს, რომლებიც აწესრიგებენ სახელმწიფო-სამართლებრივი ურთიერთობის ზოგიერთ საკითხს, რომლებიც დაკავშირებულია კონსტიტუციის ძალაში შესვლასთან და სხვ.

ამრიგად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონსტიტუციის მიხედვით თანამედროვე საქართველო მართვა-გამგეობის ფორმით რესპუბლიკაა, ხოლო სახელმწიფო წყობილების ფორმით ჯერჯერობით უნიტარულია. მაგრამ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მისი იურისდიქციის სრული აღდ-

გენისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების ახლებურად გადაწყვეტის შემდეგ, შესაძლებელია მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული ფედერაციული წყობილების აღიარება და მის სუბიექტებად ავტონომიური ერთეულების გამოცხადება.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი სახელმწიფოს ფორმის თაობაზე მსჯელობისას მეცნიერთა და პოლიტიკოსთა წრეებში წამოიჭრება ხოლმე საკითხი საქართველოში მონარქიული მართვა-გამგეობის შემოღების შესახებ. მართალია, ზოგიერთი გამონაკლისების გარდა, ამას კატეგორიულად არავინ მოითხოვს /ყოველ შემთხვევაში, განვითარების თანამედროვე ეტაპზე/ და უმრავლესობას მიუღებლად მიიჩნია, რაც ჩემი აზრით, სავსებით სწორია შემდეგი მოსაზრებების გამო. მონარქია მონათმფლობელური და ფეოდალური სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელი და იმდროინდელი საზოგადოებრივი წესწყობილების მოთხოვნილებების შესაბამისი ფორმაა. რაც შეეხება კაპიტალისტურ სახელმწიფოებს, მათი შინაარსიდან გამომდინარე, მართვა-გამგეობის სპეციფიკურ ფორმას რესპუბლიკა წარმოადგენს. თუკი ზოგიერთ ქვეყანაში კონსტიტუციური /შეზღუდული/ მონარქიები არსებობენ, ეს იმით აიხსნება, რომ იქ თავიდან, ბურჟუაზიული რევოლუციების პროცესში ამ ახალმა საზოგადოებრივმა ფენამ ვერ შეძლო მთლიანად გაენადგურებინა მანამდე არსებული ფეოდალური წესწყობილება და კომპრომისს დასჯერდა ფეოდალებთან, რის შედეგადაც საკანონმდებლო ხელისუფლებას დაეპატრონა ბურჟუაზიული პარლამენტის სახით, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება დარჩა თავადაზნაურობას მეფის სახით. შემდგომ პერიოდში ამ ქვეყნებში მთლიანად დამყარდა კაპიტალისტური წესწყობილება, მაგრამ მეფის ხელისუფლებას უმეტესად სიმბოლური ხასიათი აქვს და გამოხატავს მოსახლეობის სურვილს შეინარჩუნოს მართვა-გამგეობის ტრადიციული ფორმა, რომელიც იქ ძველი დროიდანვე უწყვეტლივ არსებობს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დღევანდელი საქართველოსთვის მონარქიული ფორმის დადგენის მოთხოვნა სრულიად შეუფერებელი და გაუმართლებელი იქნებოდა. ასეთი საკითხის დადებითად გადაწყვეტას თანამედროვე პირობებში ერთგვარი გამართლება შეიძლება ჰქონდეს იმ სახელმწიფოებში, რომლებიდანაც კონკრეტული მონარქი, გარკვეული პოლიტიკური სიტუაციის გამო, გაძევებული ან გაქცეული იყო თავისი ქვეყნიდან, მაგრამ შემდგომში, შეცვლილ ვითარებაში მისდამი პატივის-

ცემისა და მისი პიროვნული ღირსებების გათვალისწინებით, ხალხი მოითხოვს მის დაბრუნებას და თავის უფლებებში აღდგენას.

დამოუკიდებელი საქართველო არის და მომავალში უნდა იყოს რესპუბლიკა, ე.ი. ისეთი ფორმის სახელმწიფო, რომელშიც უმაღლეს საკანონმდებლო ხელისუფლება განასახიერებს და განახორციელებს არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანო. გადასაწყვეტი შეიძლება იყოს მხოლოდ საკითხი – რა სახის რესპუბლიკა იქნება იგი, რა თავისებურებანი ექნება მას. აუცილებელი არ არის, რომ იგი ზუსტად, რესპუბლიკათა უკვე არსებული ტრადიციული სახეობებისა ან რომელიმე კონკრეტული თანამედროვე სახელმწიფოს მოდელის ჩარჩოებში იქნეს მოქცეული. პირიქით, უფრო გამართლებულიცაა, თუ საქართველო თავისი ისტორიული განვითარების, გეოპოლიტიკური მდგომარეობის, სამეურნეო თუ კულტურული, საშინაო და საგარეო ამოცანების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში აღიარებულ დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობით, – რესპუბლიკური მართვა-გამგეობის ორიგინალურ სისტემას შეიმუშავებს და დაამკვიდრებს. ამ შემთხვევაში, ცხადია, აუცილებელია პარლამენტის, როგორც საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ორგანოს არსებობა, პარლამენტის გარეშე რესპუბლიკაც არ არსებობს. მაგრამ აქ შესაძლებელია მხოლოდ იმ მოსაზრების გამოთქმა, რომ საქართველოს პარლამენტს /ეს ზოგადი ცნებაა/ დაერქვას კონკრეტული ქართული სახელწოდება /საკრებულო, დარბაზი ან სხვა/, ისევე, როგორც ბევრ სხვა ქვეყანაშია /კონგრესი, ბუნდესტაგი, სეიმი, მეჯლისი და აშ/.

საქართველოს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ფორმისა და სახელისუფლებო ორგანოებისა თუ თანამდებობების საკითხის განხილვასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ თეორიულ ლიტერატურაში, პოლიტიკურ და იურიდიულ ტერმინოლოგიაში, სახელმწიფოებრივი ცხოვრების პრაქტიკაში ფართოდაა გავრცელებული „სახელმწიფოს მეთაურის“ ცნება. როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მიერ 1992 წელს მიღებული კანონით „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ ჩვენს ქვეყანაში უმაღლეს თანამდებობის პირს წარმოადგენდა სწორედ „სახელმწიფოს მეთაური“, რომელიც მანამდე უშუალოდ ხალხის მიერ იყო არჩეული პარლამენ-

ტის თავმჯდომარედ. მართალია, ეს სტრუქტურა შემდგომში შეიცვალა, მაგრამ მანამდე არსად, არც ერთ ქვეყანაში მას არ ჰქონია და არა აქვს სპეციალური, ოფიციალური ტერმინის, კონკრეტული თანამდებობის პირის, მისი პოსტის სახელწოდების მნიშვნელობა. იგი გამოიყენება ამ სიტყვის საერთო გაგებით, სხვადასხვა ასპექტებში – როგორც ხელმძღვანელი, წამყვანი, სათავეში მდგომი, წარმმართველი, კერძოდ, უმაღლესი ან კონკრეტული სახელწოდების მქონე სხვა მაღალი თანამდებობის პირის განსაკუთრებული უფლებამოსილების აღსანიშნავად. მაგალითად, ის რომ სახელმწიფოს მეთაური მეფეა, ან სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეა, ან პრეზიდენტი. ასევე შეიძლება ითქვას და არის ხოლმე, რომ სახელმწიფოს მეთაურია პრემიერ-მინისტრი ან მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე ან სხვა სახელწოდების თანამდებობის პირი. საქართველოს კონსტიტუციით კი, საქართველოს პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური და ამავე დროს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, რომელსაც ხალხი ირჩევს, ე.ი. საქართველო არის ე.წ. საპრეზიდენტო რესპუბლიკა...

არსებობს მოსაზრება, რომ უფრო დემოკრატიულია წმინდა სახის საპარლამენტო რესპუბლიკა, სადაც არ არსებობს პრეზიდენტი ან სხვა სახელწოდების სახელმწიფოს ერთპიროვნული მეთაური, მაგრამ, როგორც სახელმწიფოთა საქმიანობის პრაქტიკიდან ჩანს, ასეთ შემთხვევებში სახელმწიფოს მეთაურისათვის დამახასიათებელ ფუნქციებს ხშირად მთავრობის მეთაური ასრულებს და ამდენად აღმასრულებელი ხელისუფლების როლი მატულობს საკანონმდებლო ხელისუფლებასთან შედარებით. ჩვენი აზრით, საქართველოს, მისი სახელმწიფოს წინაშე მდგარი ამოცანების განხორციელებისათვის დღევანდელ პირობებში და ახლო მომავალშიც სახელმწიფოს მეთაურის – პრეზიდენტის თანამდებობის არსებობის საჭიროება ეჭვს არ უნდა იწვევდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ჯერ ერთი, ცნობილია, და პრაქტიკამაც დაადასტურა, რომ ნებისმიერ ქვეყანაში და სხვადასხვა დროს, გარდამავალ პერიოდებსა და ექსტრემალურ სიტუაციებში /რევოლუცია, აჯანყება, ომი, ეკონომიკური თუ პოლიტიკური კრიზისები, არასტაბილურობა და სხვა/, განსაკუთრებით იზრდება ცალკეულ პიროვნებათა, ლიდერების როლი. შეიძლება ითქვას, რომ თვით დრო, ეპოქა, საზოგადოებრივი განვითარების გარკვეული კანონების ზემოქმედებით, – წარმოშობს ისეთ მოღვაწეებს, წიან-

მძლოლებს, ხელმძღვანელებს, ძლიერ პიროვნებებს, რომელთა გარეშე ძნელი ხდება მთელი საზოგადოებისა და მისი გარკვეული ნაწილის მობილიზება, წარმოშობილი პრობლემების ოპერატიული გადაწყვეტა, მომთხოვნელობის გაზრდა და შესრულების კონტროლი. საქართველოს სახელმწიფოებრივ განვითარებაში კი სწორედ ასეთი — წინააღმდეგობებით აღსავსე და მშფოთვარე გარდამავალი პერიოდია, რომელიც ჯერ კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება.

მეორეც, ლოგიკური არ უნდა იყოს, როდესაც პრეზიდენტის ინსტიტუტის მოწინააღმდეგენი თავის პოზიციას იმით ასაბუთებენ, რომ ძლიერი, ერთპიროვნული სახელმწიფოს მეთაურის არსებობის პირობებში იქმნება დიქტატურის დამყარების საფრთხე, ხალხის საწინააღმდეგო მმართველობის შემოღების შესაძლებლობა. რა თქმა უნდა, თუ პრეზიდენტი აღმოჩნდა ხალხის მხარდაჭერის გარეშე, მაშინ ამგვარი საშიშროება მართლაც შეიძლება წარმოიშვას. მაგრამ თუ მისი არჩევნები ნამდვილად დემოკრატიული წესით მოხდა, თუ ამ თანამდებობაზე არჩევამდე იგი უკვე ცნობილი იყო საზოგადოებისათვის თავისი პოლიტიკური და სხვა შეხედულებებით, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ან სხვა პროფესიული საქმიანობით, თავისი მაღალი მორალური თვისებებით, — მაშინ რატომღა უნდა იყოს სულ დიქტატურაზე და გადატრიალების საფრთხეზე ლაპარაკი? საქმეც ისაა, რომ დესტაბილიზაცია, გადატრიალება და ძალაუფლების ხელში ჩაგდება, ასეთ შემთხვევაში სულ სხვას უნდა და სხვას აწყობს — ვინც ძალაუფლებისაკენ მისწრაფვის!

§5. კანონიერება და მართლწესრიგი სამართლებრივ სახელმწიფოში

სამართლებრივი სახელმწიფოს ცნება ფართოდ გამოიყენება თანამედროვე სახელმწიფოთა კანონმდებლობასა და სამეცნიერო ლიტერატურაში. ამ ცნების შინაარსი, პირველ ყოვლისა, გამოხატავს სახელმწიფოს საქმიანობას სამართლის ფარგლებში, მის ერთგვარად შებოჭვას სამართლით, კანონით. ამიტომ ამბობენ, რომ სამართლებრივია ისეთი სახელმწიფო, სადაც ზემოთს კანონი, სადაც უზ-

რუნველყოფილია კანონის უზენაესობა. მართალია, კანონებს, სამართლის ნორმებს სახელმწიფო ქმნის საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნილებათა შესაბამისად, მაგრამ უკვე მიღებული კანონების დაცვა და მათ საფუძველზე მოქმედება, ცალკეულ პიროვნებებსა და ორგანიზაციებთან ერთად, პირველ რიგში, ეკისრება თვით სახელმწიფოს მისი ორგანოების სახით. ამასთან, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, პიროვნების თავისუფლების უზრუნველყოფა სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარი დამახასიათებელი ნიშანი უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში მოქალაქეებსა და სახელმწიფოს ერთმანეთის მიმართ აქვთ უფლებები და, ამავე, დროს ეკისრებათ ურთიერთპასუხისმგებლობა.

სწორედ ამგვარი სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა და დამკვიდრება წარმოადგენს დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის, მთელი მისი ხალხის უმნიშვნელოვანეს მიზანს. ხოლო ამ მიზნის წარმატებით შესრულების აუცილებელი წინაპირობაა ქვეყანაში კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცება.

კ ა ნ ო ნ ი ე რ ე ბ ა ს უწოდებენ სახელმწიფოსა და მისი ორგანოების, თანამდებობის პირთა და მოქალაქეთა საქმიანობის სახელმძღვანელო პრინციპს, რომლის მიხედვითაც ისინი ვალდებული არიან შეასრულონ მოქმედი კანონები და სხვა ნორმატიული აქტები, არავინ არ უნდა სარგებლობდეს კანონისათვის გვერდის ავლის ან მისი დარღვევის უფლებით, არავითარი თანამდებობრივი მდგომარეობა და დამსახურება არ უნდა იძლეოდეს საფუძველს რომელიმე პირის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას კანონის შეუსრულებლობის შემთხვევაში.

ამასთან, ცხადია, რომ საზოგადოებაში უნდა არსებობდეს შესაბამისი პირობები და საშუალებები, რომელთა მეშვეობით უზრუნველყოფილ იქნება კანონიერების პრინციპის რეალურად მოქმედება. სახელდობრ, სათანადო ეკონომიკური სისტემა, დემოკრატიის მაღალი დონე, მოსახლეობის საერთო და სამართლებრივი კულტურა, ორგანიზაციული ღონისძიებები სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და დამრღვევთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

მთავარი და აუცილებელი ისაა, რომ თვით მოქმედი კანონ-

მდებლობა და სხვა სამართლებრივი ნორმები საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნილებათა ამსახველი იყოს და შეესაბამებოდეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში დასახულ ამოცანებს. ამიტომ ამჟამად უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის სრულყოფას – ახალი აქტების შექმნას, ძველისა და დრომოკმულის გაუქმებას, ზოგიერთში ცვლილებების შეტანას და, ამის შედეგად, მწყობრი სამართლებრივი სისტემის შექმნას.

კანონიერებასთან დაკავშირებულია მართლწესრიგის ცნება. მართლწესრიგი ეწოდება სამართლის ნორმებით რეგულირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემას, ე.ი. იმ ფაქტობრივ ურთიერთობებს, რომლებიც დაფუძნებულია სამართალზე, კანონზე. ადამიანთა ურთიერთობა საზოგადოებაში, როგორც ცნობილია, მართლ სამართლის ნორმებით არაა მოწესრიგებული. საზოგადოებრივი წესრიგი მყარდება ზნეობის, ჩვეულებებისა და ცხოვრების სხვა ნორმებითაც. ამიტომ მართლწესრიგი მთლიანად საზოგადოებრივი წესრიგის შემადგენელი ნაწილია. ხოლო კანონიერებასთან მისი კავშირის გამოსახატავად შეიძლება ითქვას, რომ მართლწესრიგი მყარდება კანონიერების პრინციპის გატარების საფუძველზე და რეალურ ცხოვრებაში ამ პრინციპის განხორციელებას.

§6. სამართლის დარღვევა და იურიდიული პასუხისმგებლობა

კანონიერების განხორციელებისა და მართლწესრიგის განმტკიცების აუცილებელ პირობას, როგორც უკვე აღინიშნა, მოქმედი სამართლის ნორმების შესრულება წარმოადგენს. თუკი კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებში გამოხატული სამართლებრივი ნორმები არ სრულდება, ეს იწვევს კანონიერების პრინციპისა და მართლწესრიგის დაუცველობას.

სახელმწიფოს კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შეუსრულებლობა სამართლის დარღვევას წარმოადგენს.

სამართლის დარღვევა შედეგია მოქალაქის ან თანამდებობის პირის მართლსაწინააღმდეგო ქცევისა. ამასთან, მართლსაწინააღმდეგო ქცევა (ქმედება) ჩაითვლება უმთავრესად მოქმედება, ე.ი. ქცევა, რომელიც დაკავშირებულია სუბიექტის გარკვეულ საქმიანობასთან, მოძრაობასთან. ხოლო, გარდა ამისა, მართლსაწინააღმდეგო ქცევას შეიძლება წარმოადგენდეს უმოქმედობაც, როდესაც სუბიექტს სამართლის ნორმით ევალება რაიმე მოქმედების შესრულება და იგი ამას არ ასრულებს.

მართლსაწინააღმდეგო ქცევას სხვანაირად აგრეთვე უწოდებენ არამართლზომიერს, ე.ი. თუ სუბიექტის მოქმედება ან უმოქმედობა სამართლის ნორმის მოთხოვნებს შეესაბამება – ასეთი ქცევა მართლზომიერია; თუკი სუბიექტის მოქმედება ან უმოქმედობა სამართლის ნორმის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება – ასეთი ქცევა არამართლზომიერია, მართლსაწინააღმდეგოა.

აღსანიშნავია, რომ მართლსაწინააღმდეგო ქცევა (ქმედება) შეიძლება ჩაითვალოს სამართალდარღვევად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ჩამდენი პირი შეგნებულად მოქმედებდა და შეეძლო ანგარიში გაეწია საკუთარი ქცევისათვის (არ იყო მცირეწლოვანი ან სულით ავადმყოფი). გარდა ამისა, ეს ქცევა უნდა იყოს ბ რ ა ლ ე უ ლ ი, ე.ი. ჩადენილი განზრახ ან გაუფრთხილებლობით. ბრალი იურიდიული პასუხისმგებლობის ერთ-ერთი საფუძველია და გამოხატავს ადამიანის ფსიქიკურ დამოკიდებულებას მის მიერ ჩადენილი ქმედებისა და ამ ქმედების შედეგისადმი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის მიხედვით ქმედება პ ი რ დ ა პ ი რ ი გ ა ნ ზ რ ა ზ ვ ი თ ა ა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურს ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებს ასეთი შედეგის დადგომის გარდუვალობას. ქმედება ა რ ა პ ი რ დ ა პ ი რ ი გ ა ნ ზ რ ა ზ ვ ი თ ა ა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურს ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება მის დადგომას. ამავე კოდექსის მე-10 მუხლის მიხედვით გაუფრთხილებელი ბრალის ერთ-ერთი სახეა თ ვ ი თ ი მ ე დ ო ვ ნ ე ბ ა, როცა პირს გაცნობიერებული აქვს ნორმით აკრძა-

ლული ქმედება, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებს, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებს. გაუფრთხილებლობის ბრალის მეორე სახეა დ ა უ დ ე ვ რ ო ბ ა, როცა პირს გაცნობიერებული არ აქვს ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალება და შეეძლო კიდევ.

მართლსაწინააღმდეგო ქცევები, ანუ სამართლის დარღვევები, სხვადასხვა ჯგუფად იყოფა იმისდა მიხედვით, თუ რამდენად საშიშია ისინი საზოგადოებისათვის და რამდენად მნიშვნელოვანია ის ვნება, რომელიც მიყენებულია პიროვნების, საზოგადოებრივი ორგანიზაციისა ან სახელმწიფოსათვის. ესენია:

დ ა ნ ა შ ა უ ლ ი, ანუ სისხლის-სამართლებრივი დარღვევა ეწოდება კანონით გათვალისწინებულ ყველაზე უფრო საზოგადოებრივად საშიშ მართლსაწინააღმდეგო ქცევას (მოქმედებას ან უმოქმედობას), რომელიც ხელყოფს საზოგადოებრივ ან სახელმწიფო წესწყობილებას, მეურნეობის სისტემას, საკუთრებას, პიროვნებას, მოქალაქეთა პოლიტიკურ, შრომითს, ქონებრივ და სხვა უფლებებს.

სხვა სახის არამართლზომიერი ქცევები შედარებით უფრო ნაკლებ საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენენ და, იურიდიული გაგებით, დანაშაულად არ ჩაითვლებიან. მათ რიცხვს მიეკუთვნება: ადმინისტრაციული დარღვევები, დისციპლინური დარღვევები და სამოქალაქო-სამართლებრივი დარღვევები.

ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი უ ლ ი დ ა რ ღ ვ ე ვ ა ეწოდება ისეთ არამართლზომიერ ქცევას, რომელიც ეწინააღმდეგება სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა მიერ დადგენილ წესებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, სანიტარული წესების უზრუნველყოფის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესების გატარების დარგში და ა.შ.

დ ი ს ც ი პ ლ ი ნ უ რ ი დ ა რ ღ ვ ე ვ ა ეწოდება ამა თუ იმ საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის მუშაკის ისეთ არამართლზომიერ ქცევას, რომელიც დაკავშირებულია მის სამსახურებრივ საქმიანობასთან და ეწინააღმდეგება დადგენილ შინაგანაწესს.

ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო - ს ა მ ა რ თ ლ ე ბ რ ი ვ ი დ ა რ ღ ვ ე ვ ა ეწოდება ისეთ არამართლზომიერ ქცევას, რომელიც არღვევს ქონებრივი ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმებს და ქონებრივ ზიანს აყენებს სახელმწიფო დაწესებულებებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ან კერძო პირებს, აგრეთვე, არაქონებრივი ხასიათის ზოგიერთი პირადი ურთიერთობის მარეგულირებელ ნორმებს.

როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, კანონიერების უზრუნველყოფისა და მართლწესრიგის დაცვის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლა.

ყოველი სამართალდარღვევა იწვევს ი უ რ ი დ ი უ ლ პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო ბ ა ს, რაც დაკავშირებულია სახელმწიფოებრივ იძულებასთან და ნორმათა დამრღვევი პირების მიმართ სათანადო სანქციების გამოყენებასთან. სამართალდარღვევათა სახეების შესაბამისად, განასხვავებენ იურიდიული პასუხისმგებლობის შემდეგ სახეებს: სისხლის-სამართლებრივ, სამოქალაქო-სამართლებრივ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ და დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

იურიდიული პასუხისმგებლობა გულისხმობს სამართალდამრღვევის მიმართ მისთვის არახელსაყრელი და არასასურველი სხვადასხვა სახის ისეთი იძულებითი ხასიათის ღონისძიებების გამოყენებას, რომლებიც სახელმწიფოს მიერ წინასწარვეა დადგენილი შესაბამის სამართლებრივ ნორმებში. სახელმწიფოში სამართალდარღვევისათვის იურიდიული პასუხისმგებლობის დაწესება მიზნად ისახავს დამრღვევ პირთა სათანადო დასჯას, მათ მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, შემდგომში სამართლის ნორმათა შეუსრულებლობის თავიდან აცილებას და, საერთოდ კი, მართლწესრიგის განმტკიცებისა და მოქალაქეთა აღზრდის ამოცანების განხორციელებას.

უკანასკნელ პერიოდში იურიდიულ ლიტერატურაში შემოვიდა ს ა მ ა რ თ ლ ე ბ რ ი ვ ი რ ე გ უ ლ ი რ ე ბ ი ს მ ე ქ ა ნ ი ზ მ ი ს ც ნ ე ბ ა, როგორც ერთობლიობაში აღებული სამართლებრივ საშუალებათა სისტემა (იურიდიული ნორმები, სამართლებრივი ურთიერთობანი, უფლებათა და მოვალეობათა რეალიზაციის ინდივიდუალური აქტები და სხვ.), რომელთა მეშვეობით

უზრუნველყოფილია საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლებრივი ზემოქმედება.¹ ეს არის ერთდაგვარი კრებადი ცნება, რომელშიც მექანიკურადაა გაერთიანებული ადრევე ცნობილი ცნებები ცალკეული სამართლებრივი მოვლენების განსაზღვრისა და დახასიათებისათვის. ეს ცალკეული მოვლენები განხილულია წინამდებარე წიგნში. ამ ცნების შინაარსის კომპლექსურად განხილვისას კი თანამედროვე იურიდიულ მეცნიერებაში ყველაზე უფრო გამოჩენილი რუსი თეორეტიკოსი ა.ა. ალექსეევი დასახელებულ და სხვა ნაშრომებში დაწვრილებით ახასიათებს სამართლებრივი მექანიზმის პრობლემის ისეთ მხარეებს, როგორცაა მისი სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება, ცალკეული ელემენტები და რგოლები, მისი საგანი და მეთოდები, მისი მოდელები და სისტემები.

ასეთივე კომპლექსური ცნებაა, მაგრამ უფრო ფართო გაგებით — „სამართლებრივი სისტემა“. იგი მოიცავს, როგორც ლიტერატურაში აღნიშნავენ, საზოგადოების მთელ სამართლებრივ ორგანიზაციას, მის იურიდიულ სფეროს, „ერთიან სამართლებრივ სინამდვილეს“. სახელდობრ, მასში იგულისხმება, პირველ ყოვლისა, თვით სამართალი და სამართალშემოქმედება, ნორმათა შეფარდება და იურიდიული პრაქტიკა, მართლმეგნება და სამართლებრივი იდეოლოგია, კანონიერება და მართლწესრიგი.

¹ იხ. А л е к с е е в, С.С. Теория права, Москва, 1994.

მ ე მ ქ ვ ს ე თ ა ვ ი

სამართლის ნორმები

§1. სამართლის ნორმის ცნება და სამართლის ნორმათა სახეები

სიტყვა ნორმა ადამიანების მიერ შემოღებულ, გარკვეულ ქცევის წესს ნიშნავს. ყველა ნორმა, ანუ ის ქცევის წესები, რომლებიც განსაზღვრავენ საზოგადოების წევრთა საქმიანობას და მათ ურთიერთ-დამოკიდებულებას, ორ ჯგუფად იყოფა: ტექნიკურ ნორმებად და სოციალურ ნორმებად.

ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი ნ ო რ მ ე ბ ი ისეთი წესებია, რომლებიც არეგულირებენ ადამიანის ზემოქმედებას ბუნებაზე და რომლებითაც ადამიანები ხელმძღვანელობენ შრომის იარაღებისა და საშუალებების გამოყენებისას. ტექნიკური ნორმები საბუნების-მეტყველო მეცნიერებათა მონაცემების საფუძველზე იქმნება. ისინი შესაძლებლობას აძლევენ ადამიანებს რაციონალურად და უფრო ეფექტურად ისარგებლონ მანქანებითა და იარაღებით, უფრო უკეთესად განახორციელონ საწარმოო და კვლევითი პროცესები, რაც შეიძლება ნაკლები მასალების, ნაკლები დროისა და ნაკლები ძალების დახარჯვით მიიღონ სასურველი შედეგი შრომის პროცესში.

ბუნების ობიექტური კანონების შეცნობისა და მეცნიერების განვითარების საფუძველზე შექმნილი ტექნიკური ნორმები არ წარმოადგენენ კლასობრივი ხასიათის ნორმებს. მათ შეუძლიათ მომსახურება გაუწიონ სხვადასხვა, თუნდაც მოწინააღმდეგე კლასებს, ან სხვა საზოგადოებრივ ფენებს. ხოლო ზოგიერთი ტექნიკური ნორმა შესაძლებელია გარკვეული ცვლილებებით გადავიდეს ერთი საზოგადოებრივი წესწყობილებიდან მეორე, სრულიად სხვა საზოგადოებრივ წესწყობილებაში.

სოციალური ნორმები ქცევის ის წესებია, რომლებიც არეგულირებენ თვით ადამიანთა ურთიერთობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ისინი მიუთითებენ იმაზე, თუ როგორ უნდა მოიქცნენ საზოგადოების წევრები ერთმანეთის მიმართ, როგორ უნდა იმოქმედოს თითოეულმა ადამიანმა სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში და რა მოქმედებისაგან უნდა შეიკავოს თავი.

გარკვეული სოციალური ნორმები, ადამიანთა ქცევის წესები ადათების, ანუ ჩვეულებების სახით ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ კლასობრივი საზოგადოების წარმოშობამდე — პირველყოფილ-თემური წესწყობილების დროს. ქცევის ეს წესები გამომდინარეობდა საზოგადოების წევრთა ამა თუ იმ ჯგუფის (გვარის, ტომის) ინტერესებიდან და თითოეული ჯგუფის წევრები ერთნაირად იყვნენ დაინტერესებულნი მათი შესრულებით.

მაგრამ გვაროვნული წესწყობილების რღვევისა და ადამიანთა საზოგადოების დაპირისპირებულ კლასებად დაყოფის შემდეგ, როდესაც საზოგადოების წევრებს ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები გაუჩნდათ და, მაშასადამე, ერთნაირად არ ჰქონდათ წარმოდგენილი, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანთა ქცევის წესები და მათ შორის ურთიერთობა, — სოციალურმა ნორმებმა კლასობრივი ხასიათი მიიღო, ე.ი. გარკვეული საზოგადოებრივი კლასის ან ფენის ინტერესებს გამოხატავდნენ და მას ემსახურებოდნენ.

კლასობრივ საზოგადოებაში ადამიანთა ურთიერთობის მარეგულირებელ სოციალურ ნორმებს წარმოადგენენ სამართლის ნორმები, ზნეობის ნორმები, ჩვეულებანი, ტრადიციები და ზოგიერთი სხვა (პოლიტიკის, რელიგიის ნორმები).

თითოეული კლასი თუ საზოგადოებრივი ფენა ცდილობს თავისი სოციალური ნორმები თავს მოახვიოს მთელ საზოგადოებას და ამ ნორმების მეშვეობით შექმნას, განამტკიცოს და დაიცვას ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობანი და წესები, რომლებიც მისთვისაა სასურველი და ხელსაყრელი. მაგრამ ამ მიზანს ძირითადად აღწევს მხოლოდ საზოგადოებაში ეკონომიკურად და პოლიტიკურად გაბატონებული კლასი, საზოგადოებრივი ფენა, რომლის ინტერესების ამსახველი სოციალური ნორმები მოცემულ საზოგადოებაში გაბატონებულ ნორმებს შეადგენენ.

ამრიგად, სამართლის ნორმები სოციალური ნორმების ერთ-ერთი სახეა. ამავე დროს, მათ გააჩნიათ რიგი ისეთი დამახასიათებელი ნიშნებისა, რომლებითაც არსებითად განსხვავდებიან სხვა სოციალური ნორმებისაგან:

ს ა მ ა რ თ ლ ი ს ნ ო რ მ ე ბ ი წარმოიშობიან სახელმწიფოს გაჩენასთან ერთად პირველყოფილი თემური წესწყობილების რღვევისა და საზოგადოების კლასებად დაყოფის შემდეგ. ისინი იარსებებენ მანამ, სანამ არსებობს სახელმწიფო.

სხვა სოციალური ნორმებისაგან განსხვავებით, სამართლის ნორმები წარმოადგენენ მხოლოდ გაბატონებული კლასების ნება-სურვილის ამსახველ და მათივე ინტერესების დასაცავად დადგენილ ქცევის წესებს; ამ წესების დადგენა ან სანქციონირება ხდება სახელმწიფო ხელისუფლების მიერ, რომელიც, ცხადია, ყოველთვის გაბატონებული კლასების (ან სხვა ფენების) მიზნებისა და ამოცანების განხორციელების იარაღს წარმოადგენს;

სამართლის ნორმების სპეციფიკური დამახასიათებელი ნიშანი აგრეთვე ისაა, რომ ისინი სავალდებულო ქცევის წესებს წარმოადგენენ და მათი შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოებრივი იძულების მეშვეობით, ე.ი. ამ ნორმების შეუსრულებლობა, მათი დარღვევა, აუცილებლობის შემთხვევაში, გამოიწვევს სახელმწიფოს მხრივ გარკვეული იძულებითი ღონისძიებების განხორციელებას ნორმის დამრღვევი პირების მიმართ;

სამართლის თითოეული ნორმა შეიცავს ზოგადი ხასიათის ქცევის წესს, რომელიც ერთ რომელიმე კონკრეტულ შემთხვევას კი არ ეხება, არამედ გულისხმობს მრავალჯერ გამოყენებას, არეგულირებს ურთიერთობებისა და მოვლენების გარკვეულ სახეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი და იგივე სამართლებრივი ნორმა ეხება სხვადასხვა პირს ან ორგანოს, რომლებიც აღმოჩნდებიან ამ ნორმით გათვალისწინებულ პირობებსა და მდგომარეობაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ს ა მ ა რ თ ლ ი ს ნ ო რ მ ა ე წ ო დ ე ბ ა ზ ო გ ა დ ი ხ ა ს ი ა თ ი ს ქ ც ე ვ ი ს წ ე ს ს , რ ო მ ე ლ ი ც და დ გ ე ნ ი ლ ი ა ა ნ ს ა ნ ქ ც ი ო ნ ი რ ე ბ უ ლ ი ა სა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს მ ი ე რ და რ ო მ ლ ი ს შე ს რ უ ლ ე ბ ა უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ი ლ ი ა სა - ხ ე ლ მ წ ი ფ ო ე ბ რ ი ვ ი ი ძ უ ლ ე ბ ი თ .

სამართლის ნორმათა სახეები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, რაც მათი კლასიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა. პირველ ყოვლისა, სამართლის ნორმათა კლასიფიკაცია ცალკეულ ჯგუფებად – სამართლის დარგებად წარმოებს იმისდა მიხედვით, თუ რა სახის საზოგადოებრივ ურთიერთობებს, საზოგადოებრივი ცხოვრების რომელ მხარეს არეგულირებენ ისინი. მაგრამ ამგვარი საფუძვლით სამართლებრივი ნორმების კლასიფიკაცია დაკავშირებულია სამართლის სისტემის საკითხთან, რასაც დათმობილი აქვს ამ სახელმძღვანელოს სპეციალური (მეათე) თავი.

სამართლის ნორმები, მათი გამოყენების სფეროს შესაბამისად, შეიძლება დაიყოს საერთო, სპეციალური და განსაკუთრებული სახის ნორმებად.

საერთო ნორმები შეიცავენ ისეთ წესებს, რომლებსაც ფართო დანიშნულება აქვთ და გამოიყენებიან ერთგვაროვანი ურთიერთობის რეგულირების ყველა შემთხვევაში. როგორც წესი, ამგვარ ნორმებს შეიცავს სამართლის ცალკეული დარგის ზოგადი ნაწილი. მაგალითად, დანაშაულის შემადგენლობის განმსაზღვრელი და მარეგულირებელი საერთო ნორმა ასახულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლში, რომელიც ითვალისწინებს, რომ თანამონაწილეობად ჩაითვლება ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივი მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში (ე.ი. ყველა სახის დანაშაულში).

სპეციალური ნორმები არეგულირებენ ერთგვაროვანი ურთიერთობების მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ სახეს. მაგალითად, შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის მარეგულირებელ ნორმათაგან ისინი, რომლებიც შეეხება ხელშეკრულების შეწყვეტას, ვთქვათ, მხოლოდ თვით მუშაკის ინიციატივით, ან მხოლოდ შტატების შემცირების გამო და სხვ.

განსაკუთრებული ნორმები შეიცავენ რაიმე გამონაკლისებს იმ წესებში, რომლებიც დადგენილია საერთო ან სპეციალური ნორმებით. მაგალითად, სისხლის სამართლის სპეციალურ ნორმებთან ერთად, რომლებიც განსაზღვრავდნენ სასჯელის სხვადასხვა სახეებს, 1999 წლამდე არსებობდა საქართველოს

სისხლის სამართლის კოდექსის ნორმა, რომელიც საგანგებო ღონისძიების სახით დროებით უშვებდა სიკვდილით დასჯას ზოგიერთი უმძიმესი დანაშაულისათვის.

ამჟამად მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში განსაკუთრებულ ნორმას შეიცავს მუხლი 51, რომელშიც წერია: „უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. უვადო თავისუფლების აღკვეთა არ დაენიშნება იმას, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია თვრამეტი წელი ან ვისაც განაჩენის გამოტანის მომენტისათვის შეუსრულდა სამოცი წელი“.

სამართლის ნორმები, მათში გამოხატული მოთხოვნები ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო ძ ა ლ ი ს ხ ა ს ი ა თ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ, იყოფიან იმპერატიულ და დისპოზიციურ ნორმებად.

იმპერატიულ ნორმებში დადგენილი მოთხოვნები (უფლებები ან მოვალეობები) მოცემულია მბრძანებლურ-კატეგორიული ფორმით, ზუსტად და კონკრეტულად. ამ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს უფლება არა აქვთ თავისი შეხედულებისამებრ შეცვალონ, შეკვეციონ ან გააფართოონ ეს მოთხოვნები. ამჟამად მოქმედი სამართლის ნორმათა უდიდესი უმრავლესობა სწორედ ამგვარ კატეგორიულ ნორმათა მოთხოვნებს შეიცავს და, მაშასადამე, იმპერატიულ ნორმებს შეადგენენ.

დისპოზიციური ნორმები შესაძლებლობას აძლევს მხარეებს თვითონ განსაზღვრონ თავიანთი უფლებებისა და მოვალეობების შინაარსი კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში. ნორმა კი ადგენს ამ უფლება-მოვალეობებს მხოლოდ იმ შემთხვევისათვის, როდესაც მხარეები არ ისარგებლებენ ასეთი შესაძლებლობით და თვითონ არ განსაზღვრავენ მათ. ამგვარი ნორმები უმთავრესად გვხვდება სამოქალაქო სამართალში, ქონებრივი ხასიათის ურთიერთობების რეგულირების პროცესში.

მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 195-ე მუხლში მითითებულია: „თუ მასალის გადამუშავების ანდა გადაკეთების შედეგად იქმნება ახალი მოძრავი ნივთი, მაშინ მწარმოებელი და მასალის მესაკუთრე ახალი ნივთის თანამესაკუთრენი ხდებიან, ხოლო მათი წილი განისაზღვრება მასალის ღირებულებისა და წარმოების ხარჯებ-

ის პროპორციულად, თუ შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი“.
ან კიდევ ამავე კოდექსის 448-ე მუხლი: „ვალის პატიება მხარეთა შორის შეთანხმებით იწვევს ვალდებულების შეწყვეტას“.

სამართლის ნორმების დაყოფა, მათში გამოხატული მოთხოვნების ფორმის მიხედვით, წარმოებს აგრეთვე რეგულაციური და დეფინიციური სახის ნორმებად.

რეგულაციური ნორმების სამართლებრივი მოთხოვნა უშუალოდ ფორმულირებულია მკვეთრად გამოხატული ქცევის წესის (გარკვეული მოქმედებისა ან უმოქმედობის) სახით. ასეთ ნორმებში, ქცევის წესის, უფლებისა და მოვალეობის აღწერასთან ერთად, უმრავლეს შემთხვევაში მითითებულია იმ შედეგებზეც, რაც მოჰყვება ნორმის კონკრეტული მოთხოვნის შეუსრულებლობას. მაგალითად, სისხლის სამართლის განსაკუთრებული (კერძო) ნაწილის ნორმებში მოცემულია ცალკეული დანაშაულის აღწერა და შესაბამისი სასჯელებიც.

რაც შეეხება დეფინიციური ნორმების, მათში ქცევის წესის გადმოცემა პირდაპირი და კონკრეტული მოთხოვნის სახით კი არ არის ფორმულირებული, არამედ იურიდიული ხასიათის ცნებების, განსაზღვრებების, დეკლარაციების, მოვლენათა აღწერის სახით და ა.შ. მაგრამ, ეს ცნებები და განსაზღვრებები, თავის მხრივ, გულისხმობენ და მათგან გამომდინარეობს რიგი კონკრეტული ქცევის წესები, პირდაპირი მოთხოვნები, უფლებები და მოვალეობები. ამგვარი ნორმები უფრო ხშირად გვხვდება სახელმწიფო სამართლის დარგში და გამოხატულია კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლებში.

ამის მაგალითია საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 69, სადაც ჩაწერილია: „საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური“.

მაგრამ არსებითად დეფინიციური ხასიათისაა სამართლის სხვა დარგების (სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის და ა.შ.) ზოგადი ნაწილის ნორმებიც. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლი: „დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში“. ასევე, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 149-ე მუხ-

ლი: „უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგანან მიწაზე“. ასევე, დანაშაულის ცნება სისხლის სამართლის კოდექსში, იურიდიული პირის ცნება სამოქალაქო კოდექსში, თანამდებობის პირის ცნება ადმინისტრაციულ კოდექსში და ა.შ.

სამართლის ნორმათა ზემოთ დასახელებულ სახეებთან ერთად იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს ნორმათა კლასიფიკაცია, კიდევ სხვადასხვა საფუძვლით, სახელდობრ: აბსოლუტურად განსაზღვრული და შედარებით განსაზღვრული, მავალელები და ამკრძალავი, უვადო და დროებითი. გარდა ამისა, განასხვავებენ მატერიალური და პროცესუალური სამართლის ნორმებს, საჯარო და კერძო სამართლის ნორმებს და ა.შ.

ცალკე ჯგუფად გამოყოფენ აგრეთვე ე.წ. წამახალისებელ ნორმებს, რომლებშიც მოყვანილია კომპეტენტური ორგანოებისა თუ თანამდებობის პირთა გადაწყვეტილება მეურნეობის, კულტურის, მეცნიერების, პოლიტიკისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობაში წარჩინებულთა ორდენებითა და მედლებით, სახელმწიფო პრემიებით დაჯილდოების შესახებ, საპატიო წოდებების მინიჭებისა და სხვა პრივილეგიების შესახებ. ცხადია, უნდა ვიგულისხმოთ, რომ შესაბამისი აქტები ნორმატიულად /სამართლებრივი ნორმის შემცველად/ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი ადგენენ ზოგად წესებსა და პირობებს ამ წახალისებათა დადგენისა და შემოღების თაობაზე, ხოლო თუ ეს ეხება კონკრეტულ პირთა წახალისებას, მაშინ ისინი ჩაითვლება არანორმატიულ აქტებად ანუ ნორმის შეფარდების ინდივიდუალურ აქტებად.

§2. სამართლის ნორმის სტრუქტურა

სამართლის თითოეული ნორმა, როგორც ზოგადი ხასიათის სავალდებულო ქცევის წესი, გარკვეულ შემადგენელ ნაწილებს შეიცავს, რომლებსაც ერთმანეთისაგან განსხვავებული დამახასიათებელი ნიშნები გააჩნიათ და, ამავე დროს, ერთმანეთს განაპირობებენ.

სამართლის ნორმის სტრუქტურაში იგულისხმება მისი შინაგანი აგებულება, შემადგენელი ელემენტების

ლოგიკური წყობა, ურთიერთკავშირი და სპეციფიკურობა. ნორმის სტრუქტურის შესწავლას და ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს მისი შინაარსის გარკვევისა და სწორად გამოყენებისათვის, აგრეთვე, სამართალშემოქმედების პროცესში, ე.ი. ნორმების დადგენისა და სხვადასხვა აქტების სახით მათი გამოცემის დროს.

თითოეული ნორმა გარკვეულ მთლიანობას წარმოადგენს, მაგრამ ლოგიკურად შესაძლებელია მისი დაყოფა ცალკეულ ელემენტებად, შემადგენელ ნაწილებად. სამართლის ნორმების აგებულების განხილვისა და შესწავლისას ერთმანეთისაგან განასხვავებენ მის სამ ელემენტს: ჰიპოთეზას, დისპოზიციას და სანქციას.

ჰ ი პ ო თ ე ზ ა ეწოდება ნორმის იმ ნაწილს, რომელშიც განსაზღვრულია, თუ რა პირობების, რა გარემოებათა დადგომისას უნდა იქნეს იგი გამოყენებული, ე.ი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჰიპოთეზაში მითითებულია — როდის უნდა შეეფარდოს ესა თუ ის ნორმა კონკრეტულ ურთიერთობას და როდის გაუჩნდებათ ამ ურთიერთობის მონაწილეებს ნორმით დადგენილი უფლებები და მოვალეობები.

ავიღოთ მაგალითისათვის ნორმა, რომელიც მოცემულია საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 209-ე მუხლში:

„ბინის დამქირავებლებს, რომლებმაც სამ წელზე მეტ ხანს იცხოვრეს ბინაში, აქვთ ბინის უპირატესი შესყიდვის უფლება“. ამ შემთხვევაში ჰიპოთეზას შეადგენს ნორმის ის ნაწილი, რომელშიც ლაპარაკია ბინაში სამ წელზე მეტ ხანს მცხოვრებ დამქირავებლებზე, ე.ი. სწორედ ამ პირობის არსებობისას მათ ექნებათ უპირატესი უფლება შეისყიდონ ეს ბინა.

დ ი ს პ ო ზ ი ც ი ა ეწოდება ნორმის იმ ნაწილს, რომელშიც აღწერილია მისი შინაარსის განმსაზღვრელი ქცევის წესი, ე.ი. მითითებულია იმაზე, თუ რა უფლებები და მოვალეობები გაუჩნდებათ ამ ნორმით რეგულირებული ურთიერთობის მონაწილეებს ჰიპოთეზაში აღნიშნული პირობებისა და გარემოებების დადგომის შემთხვევაში. ავიღოთ მაგალითისათვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლი, სადაც წერია: „თუ დამქირავებელი აყოვნებს ნივთის ნაკლის გამოწვორებას, დამქირავებელს შეუძლია თვითონ აღმოფხვრას იგი და მოითხოვოს ხარჯების ანაზღაურება“. ამ ნორმაში დისპოზიციას წარ-

მოადგენს დამქირავებლის უფლება ანაზღაურების მოთხოვნაზე, მაგრამ ამ უფლებას იგი შეიძენს მხოლოდ მას შემდეგ, თუ გამქირავებელი დროულად არ გამოასწორებს ნივთის ნაკლს /ჰიპოთეზა/.

ს ა ნ ქ ც ი ა ეწოდება ნორმის იმ ნაწილს, რომელშიც მითითებულია, თუ რა შედეგი მოყვება ნორმის შეუსრულებლობას, მის დისპოზიციამი აღნიშნული მოთხოვნის დარღვევას, ე.ი. სანქციაში გამოხატულია ის იძულებითი ხასიათის ღონისძიებანი, რომლითაც სახელმწიფო უზრუნველყოფს სამართლის ნორმის განხორციელებას, ნორმით რეგულირებული ურთიერთობის მონაწილეთა უფლებების დაცვას და მოვალეობების შესრულებას. მაგალითისათვის მოვიყვანოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 274-ე მუხლი: „ნარკომანის მიერ საქციალურ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში იძულებითი მკურნალობისათვის ჯიუტად თავის არიდება, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე“.

სამართლის ნორმათა სიმრავლისა და მათ მიერ სრულიად სხვადასხვაგვარი ურთიერთობების რეგულირების ვითარებაში, ნორმის ელემენტები თავიანთი ფორმით თუ შინაარსით გარკვეული თავისებურებებით და ერთმანეთისაგან განსხვავებული ნიშნებით ხასიათდებიან. ამიტომ იურიდიულ ლიტერატურაში საკმაო ყურადღება ექცევა მათ კლასიფიკაციას, ე.ი. ჰიპოთეზის, დისპოზიციისა და სანქციის ცალკეული სახეების დადგენას.

პირველ ყოვლისა, ერთმანეთისაგან განასხვავებენ ჰიპოთეზების ორ სახეს: ზოგადსა და კონკრეტულს.

ზ ო გ ა დ ი, ა ნ უ ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ი ჰ ი პ ო -
თ ე ზ ა ნორმის გამოყენების პირობებსა და გარემოებებს განსაზღვრავს საერთო, გვაროვნული ხასიათის ნიშნებით და შეეხება მოცემული ნორმით რეგულირებულ ურთიერთობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ერთგვაროვან შემთხვევებს. მაგალითად, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის ერთ-ერთ მუხლში ლაპარაკია ადმინისტრაციის უფლებაზე დროებით გადაიყვანოს მუშაკი სხვა სამუშაოზე „საწარმოო აუცილებლობის“ შემთხვევაში. ეს ზოგადი ჰიპოთეზაა, ვინაიდან საწარმოო აუცილებლობის ნიშნით შეიძლება ჩათვლილი იქნეს სხვადასხვა შემთხვევა.

კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი, ა ნ უ კ ა ზ უ ა ლ უ რ ი

ჰ ი პ ო თ ე ზ ა ნორმის გამოყენების პირობებსა და გარემოებებს განსაზღვრავს ინდივიდუალური ხასიათის ნიშნებით და შეეხება მხოლოდ ერთ კონკრეტულ შემთხვევას (კაზუსს). კაზუალურ ჰიპოთეზას შეიცავს, მაგალითად, საოჯახო სამართალში მოცემული ნორმა: „თუ მეუღლეთა შორის არის დავა (ჰიპოთეზა – გ.ი.), განქორწინების საქმეს განიხილავს სასამართლო“. კონკრეტული ჰიპოთეზა გააჩნია აგრეთვე საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის შემდეგ მუხლს: „თუ დისციპლინური სასჯელის დადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში მუშას ან მოსამსახურეს არ დაედება ახალი დისციპლინური სასჯელი (ჰიპოთეზა – გ.ი.), იგი ჩაითვლება ისეთ პირად, რომელსაც დისციპლინური სასჯელი არ ჰქონია დადებული“.

გარდა ზემოაღნიშნული დაყოფისა, ერთმანეთისაგან განასხვავებენ აგრეთვე მარტივ, რთულ და ალტერნატიულ ჰიპოთეზებს.

მ ა რ ტ ი ვ ი ჰ ი პ ო თ ე ზ ა მიუთითებს ერთ რომელიმე პირობაზე ან გარემოებაზე, რომლის დადგომასთან ერთად უნდა მოხდეს ამ ნორმის გამოყენება. ასეთი ჰიპოთეზა აქვს, მაგალითად, საქართველოს საოჯახო კანონმდებლობის ნორმას, სადაც აღნიშნულია: „თუ ორივე მშობელს ჩამოერთმევა მშობლის უფლება (მარტივი ჰიპოთეზა – გ.ი.), ბავშვი მზრუნველობისათვის გადაეცემა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს“.

რ თ უ ლ ი ჰ ი პ ო თ ე ზ ი ს დროს ნორმის გამოყენება უნდა მოხდეს ამ ჰიპოთეზაში აღნიშნული ორი ან რამდენიმე პირობის ერთდროულად არსებობის შემთხვევაში. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთ მუხლში აღნიშნულია, რომ „დაგირავებული ქონების დაღუპვის შემთხვევაში, თუ ეს ქონება დაზღვეული იყო, მოგირავნეს აქვს სადაზღვევო საზღაურიდან უპირატესი დაკმაყოფილების უფლება“. ამ შემთხვევაში, როგორც ნორმის ჰიპოთეზიდან ჩანს, მოგირავნეს მიერ სადაზღვევო საზღაურიდან უპირატესი დაკმაყოფილების უფლების მოპოვებისათვის საჭიროა ერთდროულად შემდეგი პირობები: რომ დაგირავებული ქონება დაიღუპა და რომ ეს ქონება დაზღვეული იყო.

ა ლ ტ ე რ ა ტ ი უ ლ ი ა ისეთი ჰიპოთეზა, რომელშიც აღნიშნული რამდენიმე პირობისაგან ერთ-ერთის დადგომაა საკმარისი, რათა ნორმა

გამოყენებულ იქნეს. ასეთ ჰიპოთეზას შეიცავს, მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლი, სადაც წერია: „კანონი კარგავს ძალას, თუ ამის შესახებ პირდაპირ უთითებს ახალი კანონი, ან ძველი ეწინააღმდეგება ახალს, ან ახალი კანონი მოიცავს ძველით მოწესრიგებულ ურთიერთობას, ანდა თუ აღარ არსებობს ის ურთიერთობა, რომელსაც აწესრიგებდა კანონი“. მაშასადამე, ამ ნორმის გამოყენებისათვის ე.ი. კანონის ძალადაკარგულად გამოცხადებისათვის საკმარისია თუნდაც ერთ-ერთი დასახელებული პირობის შესრულება.

ახლა შევეხოთ სამართლის ნორმის დ ი ს პ ო ზ ი ც ი ი ს ს ა ხ ე ე ბ ს. იმისდა მიხედვით, თუ რა ფორმით არის გამოხატული ქცევის წესი დისპოზიციაში, ისინი იყოფიან შემდეგ სახეებად: მაგალბელი, ამკრძალავი და აღმჭურველი.

მ ა ვ ა ლ ე ბ ე ლ ი დ ი ს პ ო ზ ი ც ი ა ფორმულირებულია როგორც მოთხოვნა ამა თუ იმ მოქმედების შესრულების შესახებ. მაგალითად, სიტყვებით: მოვალეა, ვალდებულია და ა.შ.

ა მ კ რ ძ ა ლ ა ვ ი დ ი ს პ ო ზ ი ც ი ა ფორმულირებულია ამა თუ იმ მოქმედების პირდაპირ აკრძალვის, მისი შესრულების დაუშვებლობის სახით. აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის ნორმებს, რომლებიც ცალკეულ დანაშაულთა სახეებს შეეხებიან, სწორედ ამკრძალავი დისპოზიცია გააჩნიათ. ასეთივე სახის დისპოზიცია აქვთ აგრეთვე ადმინისტრაციულ, სამოქალაქო და შრომის სამართლის რიგ ნომრებს.

ა ღ მ ჭ უ რ ვ ე ლ ი დ ი ს პ ო ზ ი ც ი ა ფორმულირებულია როგორც პირის უფლებამოსილება ამა თუ იმ მოქმედების შესრულებისა (ე.ი. პირდაპირ არც ავალებს და არც უკრძალავს). ამგვარი დისპოზიცია ახასიათებს, მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთ მუხლს, სადაც აღნიშნულია, რომ „მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება“. ე.ი. მესაკუთრეს უფლება ენიჭება დაიბრუნოს ქონება, მაგრამ ვალდებული არ არის ეს გააკეთოს.

ნორმის დისპოზიციები მათში ქცევის წესების გამოხატულების ხერხების მიხედვით იყოფიან: მარტივ, აღწერილობით, მითითებით და ბლანკეტურ დისპოზიციებად.

მ ა რ ტ ი ვ დ ი ს პ ო ზ ი ც ი ა შ ი აღნიშნულია მხოლოდ ქმედების

(მოქმედების თუ უმოქმედობის) სახელწოდება, მისი ნიშნების აღწერის გარეშე. მარტივი დისპოზიცია აქვს, მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლს, სადაც წერია: „მოხელისათვის ან მასთან გათანაბრებული პირისათვის ქრთამის მიცემა, — ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით იმავე ვადით ან ტუსალობით ვადით სამ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე“, ან კიდევ, იმავე კოდექსის 343-ე მუხლი: „საქართველოს სახელმწიფო გერბის ან დროშის შეზღუდვა, — ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ან ტუსალობით ვადით სამიდან ექვს თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე“. აქ დისპოზიციაა — „ქრთამის მიცემა“.

აღწერილობითი დისპოზიცია შეიცავს არა მარტო ამა თუ იმ ქცევის წესის სახელწოდებას, არამედ მისი არსებითი ნიშნების აღწერასაც. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ იმავე კოდექსის მუხლი, სადაც დისპოზიცია შემდეგნაირად არის ფორმულირებული: „ხულიგნობა, ესე იგი მოქმედება, რაც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს აშკარა უპატივცემულობას საზოგადოებისადმი...“

მითითებითი დისპოზიცია მაშინ არის, როდესაც ქცევის წესის შინაარსის ჩამოსაყალიბებლად ან დასაზუსტებლად იგი მიუთითებს რომელიმე სხვა ნორმის დისპოზიციაზე. ამგვარ დისპოზიციას შეიცავს, მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლი, სადაც წერია: „ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იძულებით მკურნალობა შეიძლება დაინიშნოს ამ კოდექსის 101-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას...“ ან კიდევ საქართველოს სამოქალაქო სამართლის 29-ე მუხლი: „იურიდიული პირი, რომლის მიზანსაც შეადგენს სამეურნეო /კომერციული/ საქმიანობა, უნდა შეიქმნას მეწარმეთა შესახებ კანონის მიხედვით“.

ბლანკეტური დისპოზიციისათვის დამახასიათებელია ის, რომ ისინი შეიცავენ განკარგულებას ამ ნორმასთან დაკავშირებულ საკითხებზე რომელიმე კომპეტენტური ორგანოს მიერ გამოცემული აქტების შესრულების აუცილებლობაზე. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 393-ე მუხლის დისპოზიციაში ნათქვამია: სამსახურის შესრულების წესის დარღვევა იმის მიერ, ვინც

სასაზღვრო განაწესის შემადგენლობაში შედის ან ასრულებს სასაზღვრო სამსახურის სხვა მოვალეობას, რამაც გამოიწვია ან შეეძლო გამოეწვია სახელმწიფო უშიშროების ინტერესების ხელყოფა, — ისჯება სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე“. ამ წესებს კი, რა თქმა უნდა, დაადგენენ სათანადო კომპეტენტური ორგანოები.

სამართლის ნორმის მესამე შემადგენელ ელემენტს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ს ა ნ ქ ც ი ა წარმოადგენს. იმის შესაბამისად, თუ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რომელი მხარის მარეგულირებელი ნორმაა დარღვეული — სანქციები იყოფა ოთხ ძირითად ჯგუფად: სისხლის-სამართლებრივი, ადმინისტრაციული, დისციპლინური და ქონებრივი სანქციები.

ს ი ს ხ ლ ი ს — ს ა მ ა რ თ ლ ე ბ რ ი ვ ი ს ა ნ ქ ც ი ე ბ ი (სასჯელი) გამოიყენება დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ სისხლის სამართლის ნორმის დარღვევის შემთხვევაში. ასეთ სანქციებად საქართველოს დღევანდელი კანონმდებლობით დადგენილია სასჯელის შემდეგი სახეები: ჯარიმა, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა, ტუსალობა, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, უვადო თავისუფლების აღკვეთა. ცხადია, ამ სასჯელების შეფარდების უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს.

ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი უ ლ ი ს ა ნ ქ ც ი ე ბ ი გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ე.ი. ადმინისტრაციული ვადაცდომის ჩამდენი პირის მიმართ. ადმინისტრაციული სანქციების შეფარდებას აწარმოებენ საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები — სასამართლოები (ადმინისტრაციული მოსამართლეები), შინაგან საქმეთა ორგანოები, სანიტარული და სხვა ინსპექციები, სახანძრო ზედამხედველობის, სატრანსპორტო, საბაჟო და ზოგიერთი სხვა ორგანოები.

ადმინისტრაციული სანქციის ე.ი. ადმინისტრაციული სახდელის ყველაზე უფრო გავრცელებულ სახეს წარმოადგენს ჯარიმა. გარდა ამისა, ადმინისტრაციული სანქციის სახით გამოიყენება ზემოქმედების სხვა ზომები: სახელდობრ, გაფრთხილება, სპეციალური უფლების ჩამორთ-

მევა (ავტოტრანსპორტის მართვის), ადმინისტრაციული პატიმრობა, უცხოელის გაძევება საქართველოს ფარგლებიდან. ყველა ამ სანქციას ადმინისტრაციული სახდელი ეწოდება და არა სასჯელი, რომელიც მხოლოდ სისხლის-სამართლებრივი სანქციაა.

დ ი ს ც ი პ ლ ი ნ უ რ ი ს ა ნ ქ ც ი ე ბ ი გამოიყენება ამა თუ იმ საწარმოსა და დაწესებულების მუშა-მოსამსახურეების მიმართ, მათ მიერ საშსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობის, კერძოდ, შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში. დისციპლინური სანქციის შეფარდებას ახდენს დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელები, ადმინისტრაცია — მათდამი დაქვემდებარებული თანამშრომლების მიმართ; თანამდებობის პირთა მიმართ კი — ზემდგომი ორგანოები. დისციპლინურ სანქციებს წარმოადგენენ: შენიშვნა, საყვედური, მკაცრი საყვედური, უფრო დაბალხელფასიან თანამდებობაზე გადაყვანა, სამუშაოდან დათხოვნა და ა.შ.

ქ ო ნ ე ბ რ ი ვ ი ს ა ნ ქ ც ი ე ბ ი გამოიყენება უმთავრესად სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმის დარღვევის დროს, სახელდობრ, მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის. ასეთი სანქციები გამოიხატება ნორმის დამრღვევი პირისაგან გარკვეული ქონების ჩამორთმევისა ან ფულადი თანხის გადახდევინებაში. ქონებრივი სანქციების შეფარდება შეუძლია როგორც სასამართლოს, ასევე არბიტრაჟსა და ზოგიერთ სხვა სახელმწიფო ორგანოს.

ყველა სახის სანქციები, თავიანთი განსაზღვრულობის თვალსაზრისით, იყოფიან: აბსოლუტურად განსაზღვრულ, შედარებით განსაზღვრულ, ალტერნატიულ, კუმულაციურ და მითითებით სანქციებად.

ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ გ ა ნ ს ა ზ დ ვ რ უ ლ ი ს ა ნ ქ ც ი ე ბ ი ზუსტად განსაზღვრავენ ზემოქმედების იმ ზომას, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული ნორმის დამრღვევის მიმართ. მაგალითად, თუ სანქციაში გათვალისწინებულია მხოლოდ თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით, ან კიდევ მხოლოდ მიყენებული ზიანის მთლიანად ანაზღაურება, ან კიდევ მხოლოდ ხელშეკრულების გაბათილება და სხვ.

შედარებით განსაზღვრულ სანქციებში მითითებულია ის ფარგლები, რომლებშიც უნდა იქნეს არჩეული ზემოქმედების ზომა სათანადო ორგანოს მიერ ნორმის გამოყენების დროს. ამასთან, შედარებით განსაზღვრული სანქციები შეიძლება ადგენდნენ მხოლოდ სათანადო სასჯელის მინიმუმს (მაგალითად, თავისუფლების აღკვეთა არა ნაკლებ სამი წლისა), მაქსიმუმს (მაგალითად, თავისუფლების აღკვეთა ხუთ წლამდე), ან კიდევ – ერთდროულად მინიმუმსაც და მაქსიმუმსაც (მაგალითად, ჯარიმა 50 ლარიდან – 100 ლარამდე, ან თავისუფლების აღკვეთა ორი წლიდან ხუთ წლამდე).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტულ ნორმაში ამა თუ იმ სანქციის მართლ ზედა ზღვარის მითითების დროს ქვედა ზღვარი /მინიმუმი/ მაინც იგულისხმება, რადგანაც ზოგადად ამ სანქციის ფარგლებს ადგენს კანონმდებლობა. მაგალითად, სისხლის სამართლის სასჯელების მიმართ კოდექსი ზოგადად ითვალისწინებს ჯარიმის მინიმუმს – ათ დღიურ ანაზღაურებას, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას – 1 წელი (როგორც ძირითადი სასჯელი) და 6 თვე – (როგორც დამატებითი სასჯელი); საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას – 20 საათი, აქედან ყოველდღიურად – 4 საათი; გამასწორებელ სამუშაოს – 1 თვე; სამხედრო პირის სამსახურებრივ შეზღუდვას – 3 თვე; თავისუფლების შეზღუდვას – 1 წელი; ტუსაღობას – 6 თვე; ვადიან თავისუფლების აღკვეთას – 6 თვე. ასევე შეიძლება ითქვას, რომ სასჯელის ზედა ზღვარიც /მაქსიმუმი/ იგულისხმება, თუ კანონში ჩაწერენ „არა ნაკლებ“ 5 წლისა ან „არა ნაკლებ“ 10 ლარისა, თუმცა, ეს უფრო იშვიათად ხდება. ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილია თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა 20 წელი. რაც შეეხება უვადო თავისუფლების აღკვეთას, ეს სასჯელი, როგორც უკვე აღვნიშნეთ წინა პარაგრაფში ნორმათა სახეების შესახებ, განსაკუთრებულ, საგანგებო შემთხვევაში გამოიყენება.

აღტერნატული სანქციები შეიცავენ ორი ან რამდენიმე სახის ზემოქმედების ზომას, რომელთაგანაც ნორმის შემფარდებელმა ორგანომ უნდა აირჩიოს მხოლოდ ერთი. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 113,

რომელშიც მითითებულია: „მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, — ისჯება გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების შეზღვევით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე“.

კ უ მ უ ლ ა ც ი უ რ ი ს ა ნ ქ ც ი ე ბ ი შეიცავენ ორ ან მეტ სხვადასხვაგვარ სანქციას, ხოლო ნორმის შეფარდების დროს აუცილებელია მათი შეერთება. მაგალითად, — გარკვეული ვადით თავისუფლების აღკვეთა და ასევე რაიმე ვადით საექიმო ან სხვა სახის საქმიანობის აკრძალვით. ე.ი. ორივე სანქცია ერთდროულად.

მ ი თ ი თ ე ბ ი თ ი ს ა ნ ქ ც ი ე ბ ი ს არსებობა კანონმდებლობის გარკვეულ ტექნიკურ ხერხთან არის დაკავშირებული, რაც იმაში გამოიხატება, რომ მოცემულ ნორმაში პირდაპირ არ არის აღნიშნული სანქციის სახე, მაგრამ მითითებულია სხვა ნორმის სანქციაზე, რომელიც ამ შემთხვევაშიც უნდა იქნეს გამოყენებული.

სამართლის ნორმების ლოგიკური სტრუქტურის განხილვისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ უმრავლეს შემთხვევაში ნორმის სამივე ელემენტი არ არის მასში გამოკვეთილად მოცემული. რა თქმა უნდა, ეს არ შეეხება დისპოზიციას (თუნდაც მითითებითი სახისას), ვინაიდან ქცევის წესის აღწერის, მხარეთა უფლება-მოვალეობის განსაზღვრის გარეშე არც არსებობს სამართლის ნორმა. მაგრამ, მაგალითად, ჰიპოთეზა, ზოგჯერ მხოლოდ იგულისხმება ნორმაში, ხოლო ცალკე გამოყოფილი სახით არ არსებობს.

რაც შეეხება სისხლის სამართლის განსაკუთრებული (კერძო) ნაწილის ნორმებს, მათში, ფაქტიურად, მხოლოდ ორ ელემენტს განასხვავებენ — დისპოზიციას (რომელშიც აღწერილია კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობა) და სანქციას (სადაც მითითებულია სასჯელის ზომაზე ამ დანაშაულისათვის). ასეთ ნორმებში ჰიპოთეზა არ არის, იგი შეერთებულია დისპოზიციასთან იმდენად, რამდენადაც ეს ნორმა მხოლოდ კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებას აღწერს და ამით თავისი გამოყენების პირობებსაც განსაზღვრავს. ამიტომ უსაფუძვლოდ არ უნდა ჩაითვალოს იურისტების გამოთქმა იმის თაობაზე, რომ სამართლის ნორმა ჰიპოთეზის გარეშე — უაზროა.

დისპოზიციის გარეშე – წარმოუდგენელია, სანქციის გარეშე – უძლურია.

სამართლის ნორმათა მნიშვნელოვან ნაწილს არა აქვს მკვეთრად გამოხატული სანქცია (გარდა სისხლის სამართლის განსაკუთრებული, კერძო ნაწილის ნორმებისა). ასეთ შემთხვევაში ნორმის შეუსრულებლობისათვის სანქციებს აწესებენ სხვა ნორმები, ხოლო საერთოდ კი, მათი შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს სხვადასხვა იძულებითი ღონისძიებებით, მოქმედი სამართლის მთელი სისტემით.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიულ ლიტერატურაში სხვადასხვა შეხედულებებია გამოთქმული სამართლის ნორმის სტრუქტურის, მისი შემადგენელი ელემენტების თაობაზე. თუ თეორეტიკოსთა უმრავლესობა იზიარებს მოსაზრებებს ნორმის სამელემენტოვან შემადგენლობაზე, ნაწილი თვლის, რომ ნორმას მხოლოდ ორი ელემენტი აქვს – ჰიპოთეზა და დისპოზიცია, ხოლო სანქცია, სახელმწიფოებრივი იძულება, საერთოდ, სამართლის არსებობის ან განხორციელების წინაპირობაა და არა ნორმის ელემენტი.

§3. სამართლის ნორმათა შეფარდება

სამართლის ნორმის შეფარდების საკითხს არა მარტო თეორიული, არამედ უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორედ სამართლის ნორმათა შეფარდების პროცესში ხდება სამართლის ამოცანებისა და მისი დანიშნულების განხორციელება. ამიტომ თვლიან სამართლის ნორმათა შეფარდებას მათი რეალიზაციისა და ცხოვრებაში გატარების უმნიშვნელოვანეს ფორმად.

როგორც ცნობილია, სამართლის თითოეული ნორმა წარმოადგენს ზოგადი ხასიათის ქცევის წესს, რომლის მიხედვითაც ხდება მხოლოდ ამ ზოგადი წესის შესაბამისი კონკრეტული ურთიერთობების რეგულირება; ე.ი. ნორმის შესრულებისა და განხორციელებისათვის საჭიროა მასში მოცემული ზოგადი წესის მიყენება კონკრეტული ფაქტებისადმი და ამ ზოგადი წესის საფუძველზე მოქმედება თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში. ამასთან დაკავშირებით იბადება

კითხვა: ჯერ ერთი, ნორმის განხორციელების აღნიშნული პროცესი ნორმის შეფარდებას წარმოადგენს, თუ მის დაცვას, შესრულებას, გამოყენებას? გარდა ამისა, სახელმწიფო ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, თანამდებობის პირები და კერძო მოქალაქენი რომელ მათგანს — რა სახის ქცევას ახდენენ ნორმის რეალიზაციის პროცესში? დასმული კითხვის ორივე მხარეს პასუხი ერთდროულად უნდა გაეცეს.

სამართლის ნორმების შეფარდება, შესრულება და გამოყენება თავისთავად სხვადასხვა ცნებებია, რომელთა შინაარსი გარკვეულად განსხვავდება ერთიმეორისაგან, თუმცა მათ შორის ბევრი რამ არის საერთო. ისინი მჭიდროდ არიან ურთიერთდაკავშირებულნი, ხშირად ერთმანეთს ავსებენ და ზოგჯერ ამა თუ იმ ნაწილში ერთმანეთს ემთხვევიან. მაგალითად, ნორმის „დაცვა“ გულისხმობს თავის შეკავებას ნორმით დადგენილი აკრძალვების დარღვევისაგან, „შესრულება“ — ნორმით დაკისრებულ სავალდებულო აქტიურ მოქმედებას, ხოლო „გამოყენება“ — ნორმის საფუძველზე პირის მიერ თავისი უფლებების განხორციელებას.

ზემოდასახელებული ცნებებიდან ყველაზე მეტი საერთო ნიშანი იყრის თავს ნორმის შეფარდების ცნებაში, რომელიც (ფართო გაგებით თუ ვიხმართ მას) შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამართლის ნორმის განხორციელების მთელი პროცესის გასაშუქებლად. რა თქმა უნდა, ნორმების რეალიზაცია, მათი განხორციელების უზრუნველყოფა მართლ მათი შეფარდების მეშვეობით არ ხდება. ამ მიზანს ემსახურება სხვადასხვა სახის ორგანიზაციული, კულტურულ-აღმზრდელითი და სამეურნეო ღონისძიებანი, რამაც უნდა შექმნას მოქმედი სამართლის ნორმების ცხოვრებაში გატარების, საზოგადოების წევრთა მიერ მათი შეგნებულად შესრულების პირობები. ნორმების სწორი შეფარდება კი ამ მიზნის მეტად მნიშვნელოვან, მაგრამ მაინც მხოლოდ ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს:

ნორმის შეფარდება ვიწრო გაგებით გულისხმობს ამა თუ იმ ორგანოს ან პირის სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას მოქმედი ნორმის საფუძველზე გადაჭრას კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობის რეგულირების საკითხი და ნორმისავე შესაბამისად გადაწყვიტოს ამ ურთიერთობის

მონაწილეთა უფლება-მოვალეობების მოცულობა შესაბამისი ინდივიდუალური აქტის გამოცემით.

თავისთავად ცხადია, რომ სახელმწიფოს ამგვარი უფლება-მოსილება შეიძლება გააჩნდეს, ე.ი. ნორმის შეფარდებას შეიძლება აწარმოებდეს მხოლოდ კომპეტენტური სახელმწიფო ორგანო და თანამდებობის პირი. ხოლო ზოგიერთ დარგში (სამოქალაქო სამართალი, შრომის სამართალი, საქორწინო-საოჯახო სამართალი) სამართლის ცალკეულ ნორმათა შეფარდებას აწარმოებენ განსაზღვრული საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც.

ყველაზე უფრო მკაფიო გამოხატულებას პოულობს სამართლის ნორმათა შეფარდების პროცესი სასამართლოს საქმიანობაში. მის მიერ ყველა საკითხის გადაწყვეტა (როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას) სწორედ სამართლის ნორმების შეფარდების საფუძველზე ხდება.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები (გარდა ზემოაღნიშნული ზოგიერთი შემთხვევისა) და კერძო პირები — მოქალაქეები ნორმათა შეფარდებას არ ახდენენ. ისინი მხოლოდ ასრულებენ, ანუ იცავენ ნორმებს (როდესაც მათ ევალებათ ან ეკრძალებათ ესა თუ ის ქცევა) და იყენებენ ნორმებს (როდესაც სურთ ამა თუ იმ ურთიერთობაში თავიანთი უფლება-მოვალეობების განსაზღვრა).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ სამართლის ნორმების შეფარდების, შესრულებისა და გამოყენების დროს ხდება ამ ნორმების რეალიზაცია, მათი განხორციელება, მათი მოქმედება, მათი ცხოვრებაში გატარება. ამიტომ ნორმის შეფარდების, შესრულებისა თუ გამოყენების პროცესი მეტწილად მსგავსი საფეხურებით, მოვლენებითა და თავისებურებებით ხასიათდება. აქედან გამომდინარე, სამივე დასახელებული ცნების საერთო ნიშნების გამოსახატავად აუცილებელია ერთი გამაერთიანებელი ცნების შემოღება და სწორედ ასეთ ცნებად შეიძლება გამოვსვათ „ნორმის შეფარდება“ (ფართო გაგებით); ხოლო ვინაიდან შემდგომში ჩვენ განვიხილავთ უმთავრესად სამართლის ნორმის შეფარდებასთან, შესრულებასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ საერთო საკითხებს, ძირითადად ვიხმართ გამოთქმას: ნორმის შეფარდება, მით უმეტეს,

რომ ეს ტერმინი სწორედ მისი ფართო გაგებით დამკვიდრდა იურიდიულ ლიტერატურაში.

სამართლის ნორმათა შეფარდების საკითხის შესწავლის უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა იმით აიხსნება, რომ ნორმათა სწორად შეფარდება საერთოდ (კერძოდ კი, მათი შეფარდება სახელმწიფო ორგანოების მიერ, მათი შესრულება და გამოყენება მოქალაქეებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ) ხელს უწყობს კანონების დაცვასა და მართლწესრიგის განმტკიცებას, კანონიერების პრინციპის გატარებას სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სამართლის ნორმათა სწორად შეფარდებისა და, მამასადამე, კანონიერების მოთხოვნათა შესრულების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა კონკრეტული შემთხვევის მარეგულირებელი, იმ დროისათვის მოქმედი სათანადო ნორმის შერჩევა და შესაფარდებელი ნორმის ზუსტი ტექსტი დადგენა. სამართლის ნორმები, რომლებიც სხვადასხვა აქტშია გამოხატული, იბეჭდება ამა თუ იმ გამოცემებში (კრებულებში, გაზეთებში, ჟურნალებში და ა.შ.). დაბეჭდილი და გამოქვეყნებული ნორმები მაშინ იქნებიან სავსებით სწორი, თუ ისინი ზუსტად შეესაბამებიან პირველად დოკუმენტს, ე.ი. ტექსტს, რომელიც სათანადო ფორმის დაცვით ხელმოწერილია კომპეტენტური თანამდებობის პირის მიერ და დამოწმებულია საჭირო ბეჭდის დასმით.

სამართლებრივი ნორმის შეფარდებისას მისი ტექსტის სიზუსტესა და ნამდვილობაში დასარწმუნებლად, განსაკუთრებით ტექსტებს შორის განსხვავების შემთხვევაში, საჭიროა ოფიციალური ტექსტით სარგებლობა. სხვადასხვა ნორმატიული აქტისათვის ასეთ ოფიციალურ ტექსტებს წარმოადგენენ, მაგალითად, პარლამენტის „უწყებებში“, მთავრობის დადგენილებათა კრებულებში, ადგილობრივი ორგანოების ბიულეტენებში და სხვა სპეციალურ ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოებში გამოქვეყნებული ნორმები.

სამართლის ნორმათა სწორად შეფარდების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა აგრეთვე ნორმათა კოლიზიის დროს საკითხის მართებულად გადაწყვეტა. სამართლის ნორმათა კოლიზიას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ერთი და იმავე შემთხვევის, ერთი და იმავე ურთიერთობის რეგულირება გათვალ-

ლისწინებულაა ორი ან რამდენიმე ნორმით, რომლებიც თავისი შინაარსით არ შეესაბამებიან ერთმანეთს და, მაშასადამე, სხვადასხვანაირად წყვეტენ ერთსა და იგივე საკითხს. ეს შეუსაბამობა და შეუთანხმებლობა შეიძლება გამოიხატოს კოლიზიურ ნორმებს შორის აშკარა წინააღმდეგობაში ან კიდევ არარსებით განსხვავებაში. ასეთი ვითარების დროს ნორმის სწორად შეფარდება გულისხმობს კოლიზიური ნორმებიდან ისეთის შერჩევას, რომელსაც უნდა მიეცეს უპირატესობა და რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული, ე.ი. ის ნორმა, რომელიც ყველაზე უფრო ზუსტად გამოხატავს სახელმწიფოს პოლიტიკას და ამოცანებს მიმდინარე პერიოდში. ამის გასარკვევად კი, კოლიზიის შემთხვევაში ნორმის სწორად შეფარდებისათვის, ძირითადად ორ გარემოებაზე უნდა იქნეს გამახვილებული ყურადღება: რომელი ორგანოს მიერ არის დადგენილი თითოეული კოლიზიური ნორმა და რა თარიღით არის თითოეული მათგანი გამოცემული; ამ მონაცემების დაზუსტების შემდეგ, ცხადია, პირველ რიგში უპირატესობა უნდა მიეცეს იმ ნორმას, რომელიც შედარებით ზემდგომი სახელმწიფო ორგანოს მიერაა დადგენილი, რომელიც ნორმატიული აქტების იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე დგას და, მაშასადამე, უფრო მეტი იურიდიული ძალა გააჩნია. თუკი ყველა კოლიზიური ნორმა ერთ ორგანოს ეკუთვნის, მაშინ უპირატესობა მიეცემა იმას, რომელიც უფრო ახალია გამოცემის თარიღის თვალსაზრისით.¹

სამართლის ნორმების შეფარდების, ე.ი. საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი რეგულირების პროცესში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევებს, როდესაც სამართლებრივი თვალსაზრისით განსაზღვრული და გადასაწყვეტი საკითხი არ არის გათვალისწინებული და რეგულირებული სამართლის არც ერთ ნორმაში, ე.ი. ადგილი აქვს ხ ა რ ვ ე ზ ს კ ა ნ ო ნ მ დ ე ბ ლ ო ბ ა შ ი, სამართალში. ამგვარი ხარვეზების შევსების ყველაზე უფრო სასურველი და მიზანშეწონილი გზაა მათი გამოვლინება, შესწავლა და შევსება უფლებამოსილი ორგანოების მიერ გამო-

¹ იხ. М а т у з о в НН. Юридические коллизии и способы их разрешения, в кн. "Теория государства и права", Саратов, 1995. Тихомиров Ю.А. Коллизионное право, Москва, 2001.

ცემული შესაფერისი აქტებით. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში კანონმდებლობაში ხარვეზის არსებობისას და ამ ხარვეზების შევსებამდე გამოიყენება ე.წ. ანალოგია.

ა ნ ა ლ ო გ ი ა იურისპრუდენციაში ეწოდება ისეთი საკითხებისა და საქმეების გადაწყვეტის სპეციალურ ხერხს, რომლებიც მოქმედი ნორმებით არ არის გათვალისწინებული, მაგრამ თავისი იურიდიული ხასიათის გამო საჭიროებენ სამართლებრივ რეგულირებას. ერთმანეთისაგან განასხვავებენ ანალოგიის ორ სახეს: „კანონის ანალოგიას“ და „სამართლის ანალოგიას“.

კ ა ნ ო ნ ი ს ა ნ ა ლ ო გ ი ა ს, ანუ კანონის გამოყენებას ანალოგიით, მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მოქმედ ნორმატიულ აქტებში გაუთვალისწინებელი შემთხვევის (ურთიერთობის) სამართლებრივი მოწესრიგებისათვის გამოყენებულია ყველაზე უფრო მსგავსი შემთხვევის მარეგულირებელი ნორმა. ს ა მ ა რ თ ლ ი ს ა ნ ა ლ ო გ ი ა ს კი მაშინ აქვს ადგილი, როდესაც კანონმდებლობაში ხარვეზის არსებობის შემთხვევაში საკითხის გადაწყვეტა ხდება მოქმედი სამართლის მთელი სისტემისა და კანონმდებლობის ზოგადი პრინციპების, საერთო სულისკვეთების საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკაში ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით კანონიერების დაცვისა და თვითნებობის ყოველგვარი შემთხვევის თავიდან აცილების მიზნით, უარყოფილია სისხლის სამართლის დარგში ანალოგიის ორივე სახის შესაძლებლობა. სამოქალაქო სამართალში კი აუცილებელ შემთხვევაში დასაშვებია როგორც კანონის ანალოგია, ისე სამართლის ანალოგია. ეს იმით აიხსნება, რომ ქონებრივი და ზოგიერთი სხვა სახის (შრომის, სამეურნეო, საოჯახო) ურთიერთობის რეგულირებისას მოსალოდნელია ისეთი კონკრეტული ვითარება წარმოიშვას, რომელთა წინასწარ გათვალისწინება და დეტალური ასახვა ნორმატიულ აქტებში შეუძლებელია.

ბოლოს, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც დაკავშირებულია სამართლის ნორმათა შეფარდების პროცესთან, ესაა ნ ო რ მ ი ს გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი ს (ა ხ ს ნ ა - გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი ს) ს ა კ ი თ ხ ი.

ნორმის განმარტებას უწოდებენ მისი შინაარსისა და დანიშნულების გარკვევას, ე.ი. იმის დადგენას, თუ რა აზრი ჩააქსოვა მასში კანონმდებელმა (რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში კანონმდებელს ფართო გაგებით ვგულისხმობთ – სხვადასხვა ნორმატიული აქტების შემქმნელ ორგანოებს). ნორმის განმარტების ცნება ორი გაგებით იხმარება, ერთი მხრივ, „განმარტება“ გულისხმობს აზროვნების გარკვეულ პროცესს, იმ პირის მიერ ნორმის გააზრებას და მისი შინაარსის გაგებას, რომელიც ახდენს ნორმის შეფარდებას, შესრულებას, დაცვას. მეორე მხრივ კი, „განმარტება“ გულისხმობს ამა თუ იმ პირის ან ორგანოს საქმიანობას, მიმართულს იქითკენ, რომ ნორმის შემფარდებელთა საყურადღებოდ ახსნას და გაარკვიოს მისი შინაარსი.¹

იურიდიულ ლიტერატურაში საკმაო ყურადღება ეთმობა სამართლის ნორმათა განმარტებების კლასიფიკაციის საკითხს, ვინაიდან მათი სხვადასხვა სახეები და ხერხებია ცნობილი.

იმისდა მიხედვით, თუ ვინ აწარმოებს (რომელი ორგანო ან პირი) ნორმის განმარტებას და როგორია მისი სავალდებულო ძალა – განმარტებათა სახეები შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად: ოფიციალურ და არაოფიციალურ განმარტებებად. ოფიციალურ, ანუ ლეგალურ განმარტებას იძლევა კომპეტენტური სახელმწიფო ორგანო ან თანამდებობის პირი და მას გარკვეული სავალდებულო ძალა აქვს; არაოფიციალურ განმარტებას იძლევიან კერძო პირები და მას არა აქვს რაიმე სავალდებულო ძალა.

ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი (ლ ე გ ა ლ უ რ ი) განმარტების სახეები შემდეგია:

ავთენტიკური განმარტება ეწოდება ნორმის შინაარსის ისეთ გარკვევას, რომელსაც ახდენს თვით ნორმის დამდგენი და გამომცემი ორგანო. ამ განმარტებას ისეთივე სავალდებულო ძალა აქვს, როგორც იმ ნორმას, რომელსაც იგი განმარტავს;

ზოგადსავალდებულო განმარტება ნორმის შინაარსის ისეთი

¹ რუსულად სამართლის ნორმის განმარტების პირველ სახეს უწოდებენ – уяснение смысла правовой нормы, ხოლო მეორეს – разъяснение смысла правовой нормы. მათ გააძეურთიანებელ ტერმინს კი წარმოადგენს – толкование правовой нормы.

გარკვევაა, რომელსაც ახდენს სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო;

ოფიციალური განმარტების ერთ-ერთ თავისებურ სახედ ადრე დრომდე საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტებები ითვლებოდა; მაგრამ საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ 1999 წლის 12 მაისის კანონის მიხედვით, იგი ამჟამად უფლებამოსილია მიიღოს და გამოაქვეყნოს მხოლოდ რეკომენდაციები სასამართლო პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე.

ოფიციალური განმარტების მნიშვნელოვანი და ხშირად გამოსაყენებელი სახეა სასამართლო განმარტება. ეს არის ნორმის შინაარსის ისეთი გარკვევა, რომელსაც იძლევა სასამართლო (მოსამართლე) კონკრეტული საქმის განხილვისას ამა თუ იმ ნორმის შეფარდების დროს. სასამართლო განმარტება ოფიციალური განმარტებაა, ვინაიდან მას ახდენს სახელმწიფო ორგანო და აქვს სავალდებულო ძალა. იგი თავის გამოხატულებას პოულობს სასამართლოს მიერ გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესულ განაჩენში, გადაწყვეტილებაში, განჩინებაში და მისი სავალდებულო ძალაც ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომლებსაც მოიცავს და რომლებსაც რაიმე სახით ეხება სასამართლოს დადგენილება (მხარეებზე, სხვა დაინტერესებულ პირებზე, მსჯავრდებულზე, აგრეთვე სასამართლო აღმასრულებელზე, პროკურორზე, თავისუფლების აღკვეთის ადგილთა ადმინისტრაციაზე და ა.შ.);

ოფიციალური განმარტების ერთ-ერთი სახეა აგრეთვე ნორმის შინაარსის გარკვევა, რომელსაც იძლევიან არა მოსამართლეები, არამედ სხვა თანამდებობის პირები ამა თუ იმ საზოგადოებრივი ურთიერთობის რეგულირებისათვის სახელმწიფო სამართლის, ადმინისტრაციული, სამოქალაქო, შრომის, საადგილმამულო, საფინანსო და სხვა დარგის (გარდა სისხლის სამართლისა) ზოგიერთი ნორმის გამოყენებისა და შეფარდების პროცესში. ასეთი თანამდებობის პირის მიერ ნორმათა განმარტებას, რაც სათანადო განკარგულებებში და ნორმის შეფარდების სხვა აქტებში გამოიხატება, სავალდებულო მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მისდამი დაქვემდებარებული ორგანოებისა და ადამიანებისათვის, რომლებსაც

ეხება ეს განკარგულებანი და რომლებიც ვალდებულნი არიან დაემორჩილონ ამ თანამდებობის პირის მოთხოვნებს. ცხადია, ყოველი პირი ინარჩუნებს ასეთი განმარტების ზემდგომ ორგანოებში სათანადო წესით გასაჩივრების უფლებას.

საზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ თანამდებობის პირის (ამ შემთხვევაში მოსამართლის ჩათვლით) განმარტებას სავალდებულო ძალა აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი მოქმედებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად და არა ნორმის შესახებ კერძო საუბრის დროს.

განმარტებათა მეორე ჯგუფს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიეკუთვნება ა რ ა ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი განმარტებანი, რომლებიც შემდეგ სახეებად იყოფა:

1. მეცნიერული, ანუ დოქტრინული განმარტება ეწოდება ნორმის შინაარსის გარკვევას, რომელიც წარმოებს სამართლებრივ ნორმათა მეცნიერული გამოკვლევისა და შესწავლის საფუძველზე; დოქტრინულ განმარტებას ახდენენ სამართლის დარგის მოღვაწენი თავიანთ ნაბეჭდ ნაშრომებში (მონოგრაფიებში, სახელმძღვანელოებში, ნორმატიული მასალის კომენტარებში, საჟურნალო და საგაზეთო სტატიებში), აგრეთვე ლექციებში, მოხსენებებში და სხვა საჯარო გამოსვლებში. ასეთ განმარტებას არა აქვს სავალდებულო ძალა არც რომელიმე ორგანოსათვის და არც საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კერძო პირებისათვის, მაგრამ იურისტ-თეორეტიკოსთა მიერ ნორმის განმარტების პროცესში გამოთქმულ მოსაზრებებს დიდი მნიშვნელობა აქვს კანონმდებლობის შემდგომი დამუშავებისა და ნორმის შეფარდების პრაქტიკისათვის.

2. არაოფიციალური განმარტების ერთ-ერთ სახედ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ნორმის შინაარსის გარკვევა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და ცალკეულ მოქალაქეთა მხრივ, მათ მიერ ნორმების შესრულებისა და გამოყენების პროცესში. ნორმის ამგვარ განმარტებას, რომელსაც კერძო პირები ახდენენ, ვთქვათ, ახლად გამოცემული აქტის გაცნობის დროს ან ურთიერთ-შორის რაიმე ხელშეკრულების დადების წესის გასარკვევად, არავისათვის სავალდებულო მნიშვნელობა არა აქვს. თუკი ამგვარ განმარტებას ნორმის არასწორი გაგება მოჰყვა, ხოლო არასწორ

გაგებას — არასწორი მოქმედება, ეს იქნება უკვე სამართლის დარღვევა მასთან დაკავშირებული შედეგებით.

სამართლის ნორმით რეგულირებულ ურთიერთობათა მოცულობის გარკვევის თვალსაზრისით ერთმანეთისაგან განასხვავებენ სიტყვა-სიტყვით, შეზღუდვით და განვრცობით განმარტებებს.

ს ი ტ ყ ვ ა — ს ი ტ ყ ვ ი თ ი, ა ნ უ ა დ ე კ ვ ა ტ უ რ ი ეწოდება ისეთ განმარტებას, როდესაც ნორმის შინაარსი გაგებულ უნდა იქნეს მის სიტყვიერ გამოხატულებასთან ზუსტ შესაბამისობაში. ასეთ ნორმებში (კანონებში, სხვა აქტებში) კანონმდებლის ნება და ამ ნების გამოხატულების ფორმა ურთიერთშესატყვისი, ადეკვატური არიან. სამართლის ნორმათა უმრავლესობა სწორედ ასეთია და სიტყვა-სიტყვით განმარტებას საჭიროებს.

შ ე ზ ლ უ დ ვ ი თ ი ეწოდება ისეთ განმარტებას, რომლის დროს ნორმის შინაარსი გაგებულ უნდა იქნეს უფრო ვიწროდ, ვიდრე მისი ტექსტობრივი გამოხატულებაა. ასეთ შემთხვევაში ნორმის ტექსტის სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობა უფრო ფართოა და მოვლენათა უფრო ფართო წრეს გულისხმობს, ვიდრე ეს კანონმდებლის ნებითაა გათვალისწინებული. ამიტომ საჭიროა განმარტების დროს ნორმის ტექსტში გამოყენებულ სიტყვებსა და გამოთქმებს მიეცეს შედარებით შეზღუდული აზრობრივი მნიშვნელობა, ვიდრე მათი ჩვეულებრივი ხმარების დროს. მაგალითად, შეზღუდვით განმარტებას საჭიროებს საქართველოს საქორწინო და საოჯახო კოდექსის მუხლი, რომელშიც წერია: „შვილები მოვალენი არიან იზრუნონ მშობლებისათვის და დაეხმარონ მათ“. ცხადია, აქ იგულისხმება მხოლოდ ის შვილები, რომლებიც თვითონ არიან შრომისუნარიანი და უნდა ჰქონდეთ მშობლებისთვის მატერიალური დახმარების გაწევის შესაძლებლობა.

გ ა ნ ვ რ ც ო ბ ი თ ი ეწოდება ისეთ განმარტებას, რომლის დროს ნორმის შინაარსი გაგებულ უნდა იქნეს უფრო ფართოდ, ვიდრე მისი ტექსტობრივი გამოხატულებაა. ასეთი ნორმების ტექსტის სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობა უფრო ვიწროა, ვიდრე კანონმდებლის მიერ მათში ჩაქოვილი აზრი; ე.ი. ნორმის რედაქცია (ისევე როგორც შეზღუდვითი განმარტების დროს) მთლიანად და ზუსტად არ გამოხატავს კანონმდებლის ნებას. სწორედ ამიტომ ასეთი ნორმის შეფარდების პროცესში მას უნდა მიეცეს განვრცობითი განმარტება და მისი მოქმედება უნდა

გავრცელდეს მოვლენებისა და ფაქტების ისეთ ფართო წრეზე, რაც მხედველობაში ჰქონდა ნორმის დამდგენ ორგანოს.

განვრცობითი განმარტება გამოყენებულ უნდა იქნეს, მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის იმ ნორმის მიმართ, რომელშიც ჩაწერილია: „მოსამართლე დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს“. ამ ნორმის განმარტებისას უნდა ვიგულისხმოთ, რომ მოსამართლეებმა უნდა გადაწყვიტონ თავიანთ კომპეტენციაში შემავალი საკითხები არა მარტო პარლამენტის მიერ მიღებული კანონების, არამედ კანონების საფუძველზე გამოცემულ სხვა სავალდებულო აქტების (ბრძანებულებების, დადგენილებების და ა.შ.) შესაბამისად, კანონის ფართო გაგებით.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, განვრცობითი განმარტება ხელს კი არ უწყობს ნორმის მოთხოვნებისაგან გადახვევას, არამედ პირიქით, ნორმის სწორად შეფარდების საშუალებას წარმოადგენს.

მიუხედავად ერთგვარი გარეგნული მსგავსებისა, განვრცობითი განმარტების საფუძველზე ნორმის გამოყენება არსებითად განსხვავდება ანალოგიით ნორმის გამოყენებისაგან, ე.ი. კანონის ანალოგიისაგან. მსგავსება იმაში გამოიხატება, რომ ორივე შემთხვევაში ნორმა შეეფარდება ისეთ მოვლენებს, რომლებიც მასში უშუალოდ არ არის გათვალისწინებული. მაგრამ თუ განვრცობითი განმარტების საფუძველზე ნორმის შეფარდება ხდება ისეთი შემთხვევისადმი, რომელსაც კანონმდებელი ითვალისწინებდა და მხოლოდ ტექსტში ვერ პოვა სათანადო უშუალო ასახვა, ანალოგიით ნორმის გამოყენებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც კანონმდებელმა ვერ გაითვალისწინა ესა თუ ის შემთხვევა და ხარვეზი წარმოიშვა კანონმდებლობაში.

სამართლის ნორმების შეზღუდვითი და განვრცობითი განმარტებების გამოყენების საჭიროება მეტყველებს საკანონმდებლო ტექნიკისა და ნორმის გამოხატულების ფორმის ერთგვარ არასრულყოფილობაზე და, კანონმდებლობის განვითარებასთან ერთად, მათი გამოყენება სულ უფრო იშვიათად არის ხოლმე აუცილებელი.

სამართლის ნორმის შეფარდების დროს ნორმის სწორი გაგანმარტებისათვის სხვადასხვა ხერხები და მეთოდები გამოყენებული: გრამატიკული, ლოგიკური, სისტემატიკური და ისტორიულ-პოლიტიკური.

გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი, ანუ ფილოლოგიური ეწოდება განმარტების ისეთ ხერხს, როდესაც ნორმის შინაარსის გარკვევა წარმოებს ტექსტის შემადგენელი სიტყვების, ტერმინების, ცნებებისა და წინადადებების აზრისა და მათ შორის სინტაქსური კავშირის განსაზღვრის გზით. სახელდობრ, უნდა დადგინდეს, თუ რა მნიშვნელობით იხმარება თითოეული სიტყვა, როგორია სპეციალური ტერმინების შინაარსი, როგორ არიან ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული და ა.შ. მაგალითად, გრამატიკული ანალიზის საფუძველზე ამა თუ იმ ნორმის შინაარსის გარკვევისათვის საჭიროა ისეთი სიტყვების მნიშვნელობებს შორის განსხვავების დადგენა. როგორცაა, „განმეორებით“, „არაერთგზის“, „სისტემატურად“ და სხვ. ან კიდევ, როდესაც ნორმა ორ რაიმე ნიშანს ან გარემოებას ასახელებს, მაშინ მნიშვნელობა აქვს – ამ ნიშნების გამომხატველი სიტყვები და წინადადებები შეერთებულია კავშირით „და“, თუ კავშირით „ან“. პირველ შემთხვევაში ნორმის შეფარდებისათვის საჭირო იქნება ორივე ნიშნის არსებობა, ხოლო მეორე შემთხვევაში – ერთ-ერთისა.

გრამატიკული განმარტების დროს აუცილებელია აგრეთვე სასვენო ნიშნების განლაგების გათვალისწინება, ვინაიდან იმისდა მიხედვით, თუ რა ადგილზეა დასმული წერტილი, მძიმე, ორი წერტილი, ტირე და სხვ., შეიძლება სხვადასხვანაირად იქნეს გაგებული ნორმის შინაარსი.

ლ ო გ ი კ უ რ ი ეწოდება განმარტების ისეთ ხერხს, როდესაც ნორმის შინაარსის გარკვევა წარმოებს ლოგიკური აზროვნების კანონების საფუძველზე ნორმის ტექსტის ანალიზის გზით, სახელდობრ, ნორმის შემადგენელი წინადადებების აზრი, მათ ნაწილებს შორის ლოგიკური კავშირი უნდა დადგინდეს ფორმალური ლოგიკის წესების მეშვეობით. ლოგიკური განმარტების დროს ხდება ნორმის მთელი ტექსტის გააზრება, მისი შემადგენელი ელემენტების გარჩევა და ნორმის გამოცემის მიზნის გარკვევა.

ს ი ს ტ ე მ ა ტ ი კ უ რ ი ეწოდება განმარტების ისეთ ხერხს, როდესაც ნორმის შინაარსის გარკვევა წარმოებს მისი ადგილის მიხედვით სამართლის მთელ სისტემაში და მისი შეპირისპირებით იმ ნორმებთან, რომლებიც არეგულირებენ მსგავს ურთიერთობებს. სისტემატიკური განმარტება მნიშვნელოვნად უწყობს

ხელს ნორმის შინაარსის გარკვევას იმის გამო, რომ სამართლის ნორმათა მთელი სისტემა საერთო პრინციპებზეა დამყარებული და ცალკეული ნორმების ერთმანეთთან შედარების შედეგად უფრო ნათელი ხდება თითოეული მათგანის ზუსტი შინაარსი.

ისტორიულ - პოლიტიკური ეწოდება განმარტების ისეთ ხერხს, როდესაც ნორმის შინაარსის გარკვევა ხდება იმ ისტორიული ვითარების, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის შესწავლის შედეგად, რომელშიც შემოღებულ იქნა მოცემული ნორმა. ცნობილია, რომ ყოველი ახალი ნორმის დადგენა და გამოცემა დაკავშირებულია გარკვეულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ პროცესებთან ქვეყნის განვითარების ამა თუ იმ პერიოდში. ამიტომ გასაგებიცაა, რომ ამ პერიოდის ვითარების ყოველმხრივი განხილვა, სახელმწიფოებრივი პოლიტიკის მიმართულების შეცნობა აადვილებს ნორმის ზუსტი შინაარსის გარკვევას.

აღსანიშნავია, რომ ისტორიულ-პოლიტიკური განმარტების შედეგად ხდება ხოლმე ისეთი ნორმების გამოვლინება, რომლებიც ფორმალურად არ არიან გაუქმებული ან ვადაგასული, მაგრამ, ფაქტიურად, ძალა დაკარგული აქვთ და მათი გამოყენება შეუძლებელია ისტორიულ-პოლიტიკური ვითარების არსებითად შეცვლის გამო.

ასეთია ნორმის განმარტების სახეები და ხერხები, რომელთა გამოყენებით უნდა წარმოებდეს სამართლის ნორმების შინაარსის გარკვევა მათი შეფარდების დროს. ამ საკითხის განხილვასთან დაკავშირებით საჭიროა კიდევ ერთხელ იქნეს ხაზგასმული, რომ განმარტების მიზანი და დანიშნულებაა კანონმდებლის ნების გარკვევა და ნორმის შინაარსის ზუსტად დადგენა. ამიტომ სრულიად დაუშვებელია განმარტება ნორმის მითითებათა საწინააღმდეგოდ. თუ შემფარდებელი პირი (მაგალითად, მოსამართლე) თავისებურად განმარტავს ნორმას იმის გამო, რომ არ ეთანხმება მის დებულებებს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი უფლებამოსილია გადაუხვიოს ნორმის მოთხოვნებს. თუ კანონს (საერთოდ ნორმას) რაიმე ნაკლი აქვს, ან იგი მოძველებულია, მისი შეცვლა, შესწორება ან გაუქმება მხოლოდ კანონმდებლის და არა ნორმის შემფარდებელი პირის უფლებებში შედის.

მეუზიდე თავი

სამართლის წყაროები

§1. სამართლის წყაროს ცნება

სამართლის წყაროების საკითხს ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია სამართლის თეორიაში.

სიტყვა წყარო, არა სპეციალურ-იურიდიული, არამედ, საერთოდ მიღებული გაგებით, გულისხმობს იმ ძალას, იმ ფაქტორს, იმ მიზეზს, რომელიც განაპირობებს ამა თუ იმ მოვლენის წარმოშობას და მის არსებობას. ამ თვალსაზრისით, სამართლის წყაროდ უნდა ჩაითვალოს ის ძალა, რომელიც ქმნის სამართალს, ის საფუძველი, რომელიც განსაზღვრავს სამართლის შინაარსს, ის მიზეზი, რომელიც განაპირობებს სამართლის არსებობას.

სწორედ ამგვარი პირდაპირი მნიშვნელობით იყო პირველად შემოღებული ტერმინი „სამართლის წყარო“ ძველი რომის იურისტების მიერ. იგი გამომდინარეობდა არასწორი შეხედულებიდან იმის შესახებ, თითქოს სამართალი იქმნება სახელმწიფო ორგანოების და სხვადასხვა უმაღლესი თანამდებობის პირების მიერ გამოცემული აქტებით (კანონები, დადგენილებები, ედიქტები და სხვ.), რომლებსაც ამის გამო სამართლის წყაროებს უწოდებდნენ. სინამდვილეში, სამართლის წარმოშობის წყაროს ეს აქტები კი არ წარმოადგენდნენ, არამედ გაბატონებული კლასის ან მმართველი ფენის ნება-სურვილი, რომელიც თავის მხრივ განსაზღვრული იყო ამავე კლასის არსებობის მატერიალური პირობებით, საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილებით და სახელმწიფოს პოლიტიკით.

სამართლის წყაროს ცნება, სამართლის ნორმების შემქმნელი ძალის მნიშვნელობით, მტკიცედ დამკვიდრდა არა მარტო რომის იურისპრუდენციაში, არამედ შემდგომ, ფეოდალურ და ბურჟუაზიულ მეცნიერებაში სამართლის შესახებ. ამასთან, თავიდანვე ამ ცნებაში

იგულისხმებოდა არა მარტო საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტები, არამედ სხვა სახის მოვლენებიც (ჩვეულებები, ხელშეკრულებები, სასამართლო პრაქტიკა და ა.შ.).

თანამედროვე სამართლის მეცნიერებაში გადმოღებულ იქნა ტრადიციული ტერმინი „სამართლის წყარო“, მაგრამ, ცხადია, არა ისეთი მნიშვნელობით და შინაარსით, როგორც მას ადრე ჰქონდა; იურისპრუდენციაში სამართლის წყაროს ცნება ერთგვარი პირობითი მნიშვნელობით იხმარება სამართლებრივი ნორმების გამოხატულების ფორმის გაგებით. ნორმის გამოხატულების ფორმა სამართლის მოქმედებისა და ცხოვრებაში გატარების აუცილებელი წინაპირობაა. იგი, ამავე დროს, სახელმწიფოს სამართალშემოქმედებითი პროცესის შემადგენელი ელემენტია.

როგორც უკვე ცნობილია, სამართალი მთლიანად და მისი შემადგენელი ნორმები გაბატონებული კლასის (ფენის) ნების გამომხატველი ქცევის წესებია, რომლებიც საზოგადოების ცხოვრების მატერიალური პირობებით განისაზღვრებიან და თავისი შინაარსით საზოგადოების წევრებისადმი მიმართულ მოთხოვნებს წარმოადგენენ. მაგრამ იმისათვის, რომ ეს მოთხოვნები, ე.ი. ქცევის წესები სრულდებოდეს, ზოლო მათი დამრღვევი პირების მიმართ სათანადო ზომები იქნეს მიღებული, საჭიროა ამ წესების ჩამოყალიბება გარკვეულ ფორმით და საზოგადოების წევრებამდე დაყვანა. ამ მიზნით გაბატონებული კლასი თავისი სახელმწიფოს მეშვეობით წინასწარ განსაზღვრავს ისეთ ფორმებს, რომლებითაც მის ნებას კონკრეტული მოთხოვნების სახე მიეცემა და სავალდებულო ქცევის წესებად იქნება ჩამოყალიბებული. საზოგადოების წევრებს, სახელმწიფოს მოქალაქეებს კი წინასწარ ეცოდინებათ, თუ რა ფორმით, რა საშუალებით გამოხატავს გაბატონებული კლასი თავის გასახელმწიფოებრივებულ ნება-სურვილს და თავიანთ შეგნებულ მოქმედებას და ქცევას ამ მოთხოვნების შესაბამისად წარმართავენ.

გაბატონებული კლასის, მმართველი ფენის მიერ თავისი ნების გამოხატვისათვის სხვადასხვა სახის იურიდიული ფორმის შერჩევა დამოკიდებულია ეკონომიკურ პირობებზე და პოლიტიკურ ვითარებაზე, კონკრეტული მოთხოვნის სასიათზე და მნიშვნელობაზე, მისი განხორციელების ფარგლებზე და ა.შ.

ამრიგად, სამართლის წყაროები წარმოადგენენ იმ სპეციფიკურ ფორმებს, რომლებშიც სახელმწიფო ხელისუფლებამ გამოხატავს სამართლებრივ ნორმებს.

სამართლის ნორმები უმთავრესად გამოხატულია სახელმწიფოს მიერ, თავისი ორგანოების მეშვეობით, სათანადო წესით გამოცემულ და შესასრულებლად სავალდებულო აქტებში. მაგრამ ყოველი სამართლებრივი აქტი არ შეიცავს სამართლის ნორმას, ე.ი. ზოგადი ხასიათის ქცევის წესს და, მაშასადამე, არ წარმოადგენს სამართლის წყაროს. იურიდიული ხასიათის მქონე ამ აქტების ერთი ნაწილის დანიშნულებაა მოქმედი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე რომელიმე კონკრეტულ-ინდივიდუალური საკითხის ერთჯერადი გადაწყვეტა. ამიტომ მათ უწოდებენ ნორმის შეფარდების, ანუ არანორმატიულ აქტებს, ასე მაგალითად, სასამართლოს განაჩენები და გადაწყვეტილებები, სხვა თანამდებობის პირთა ინდივიდუალური ხასიათის ბრძანებები და განკარგულებები, ასევე: პრეზიდენტის ბრძანებულებანი მინისტრისა თუ სხვა თანამდებობის პირის დანიშვნის ან განთავისუფლების შესახებ, მისივე, როგორც უმაღლესი მთავარსარდლის ინდივიდუალური სახის ბრძანებები, ცალკეულ პირთა დაჯილდოებისა თუ მათთვის საპატიო წოდების მინიჭებისა და ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტის შესახებ განკარგულებები. ხოლო ის აქტები, რომლებიც ზოგადი ხასიათის სავალდებულო ქცევის წესებს, ე.ი. სამართლის ნორმებს შეიცავენ, — ნორმატიულ აქტებს ად იწოდებიან და სამართლის წყაროებს წარმოადგენენ.

ისტორიულ მეცნიერებაში, კერძოდ, სამართლის ისტორიაში, სამართლის წყაროს ცნება იხმარება სამართლის შემეცნების წყაროს მნიშვნელობითაც. ამგვარი გაგებით სამართლის წყაროებს შეიძლება წარმოადგენდნენ სხვადასხვა დროისა და ქვეყნის სამართლებრივი სისტემის ამსახველი ძეგლები, დოკუმენტები და ა.შ.

ნორმატიული აქტებიდან სამართლის წყაროებია: კანონები და სხვადასხვა სახის კანონქვემდებარე სახელმწიფოებრივი აქტები. გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში სამართლის წყაროებად

შეიძლება იყოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მნიშვნელოვანი აქტები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ არიან სანქციონირებულნი, აგრეთვე, იშვიათ შემთხვევებში, სანქციონირებული ჩვეულება და ხელშეკრულება.

განვიხილოთ სამართლის დასახელებული წყაროები ცალ-ცალკე. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ იურიდიული მეცნიერების ზოგიერთი წარმომადგენელი მიზანშეწონილად თვლის „სამართლის წყაროს“ ნაცვლად „სამართლის ფორმის“ ცნების გამოყენებას.

§2. კანონი და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები როგორც სამართლის წყარო

კანონი სამართლის ყველაზე მნიშვნელოვანი და მთავარი წყაროა. კანონს უწოდებენ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ განსაკუთრებული წესით მიღებულ ნორმატიულ აქტს, რომელიც შეეხება ქვეყნის საშინაო ცხოვრებისა და საგარეო ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

ბურჟუაზიულ იურიდიულ და პოლიტიკურ ლიტერატურაში, როგორც წარსულში, ისე თანამედროვე პერიოდში, ხშირად ერთიმეორეს უპირისპირებენ კანონის მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ და ფ ო რ მ ა ლ უ რ გა გ ე ბ ა ს. კანონს ფორმალური გაგებით უწოდებენ საკანონმდებლო ორგანოს (პარლამენტის) მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტს, ხოლო კანონს მატერიალური გაგებით – სახელმწიფოს ყოველი სხვა ორგანოს მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტს. ამგვარი თეორიის უმთავრესი დანიშნულებაა გაამართლოს მთავრობისა და ადმინისტრაციული ორგანოების უფლებების გაფართოება, ვინაიდან ამ უკანასკნელთა აქტებიც კანონებად ჩაითვლებიან მატერიალური გაგებით.

ზოგიერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოში (ინგლისი, აშშ) ერთმანეთისაგან განასხვავებენ საჯარო და კერძო კანონებს. საჯაროს უწოდებენ ისეთ კანონს, რომელსაც საყოველთაო მნიშვნელობა აქვს და ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს, კერძო კანონს კი უწოდებენ პარლამენტის ისეთ აქტს, რომლის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ გარკვეული პირებისა და დაწესებულებების მიმართ.

კანონს ნებისმიერ სახელმწიფოში უმაღლესი იურიდიული ძალა გააჩნია ყველა სხვა ნორმატიული აქტის წინაშე. ეს იმას ნიშნავს, რომ ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც სახელმწიფოს ამა თუ იმ ორგანოს მიერ გამოიცემა, კანონს უნდა შეესაბამებოდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი გაუქმებულად ჩაითვლებიან და ძალას დაკარგავენ.

ჩვენს ქვეყანაში კანონების კლასიფიკაციისა და კანონმდებლობის სახეების განსაზღვრისას, პირველ ყოვლისა, ერთმანეთისაგან განსხვავებულ უნდა იქნეს საქართველოს საერთო-სახელმწიფოებრივი და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა. კანონმდებლობის ამ ორი სახის არსებობა დაკავშირებულია იმასთან, რომ საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში შედის ორი ავტონომიური რესპუბლიკა, რომელთაც გააჩნიათ სახელმწიფო ხელისუფლების თავისი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოები, ხოლო მათ მიერ მიღებული აქტები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონებს.

იმ შემთხვევაში, თუ საქართველო გამოცხადდება ფედერაციულ სახელმწიფოდ, მაშინ საერთო-სახელმწიფოებრივი საკანონმდებლო აქტები ჩაითვლება ფედერალურ კანონებად, ხოლო ფედერაციის სუბიექტების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა საკანონმდებლო აქტები — თითოეული ამ სუბიექტის კანონებად, როგორც ეს მიღებულია სხვა ფედერაციულ სახელმწიფოებში.

ჩვეულებრივ, იურიდიულ ლიტერატურაში საკანონმდებლო აქტები თავისი მნიშვნელობის მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად: კონსტიტუციური (ანუ ძირითადი) და ჩვეულებრივი (ანუ მიმდინარე) კანონები. მაგრამ საერთო სიტყვაზმარებაში ფართო გაგებით „კანონს“ უწოდებენ ნებისმიერ სავალდებულო ნორმატიულ აქტს, ხოლო „უკანონობად“ თვლიან ყოველ აკრძალულ ქცევას.

კონსტიტუციური კანონები შეადგენენ ქვეყნის კონსტიტუციას. მასში ცვლილებებისა და დამატებების შემტანი აქტებიც კონსტიტუციურ კანონმდებლობას მიეკუთვნება. კონსტიტუცია სამართლის უმთავრესი წყაროა და, ამავე დროს, იურიდიული ბაზაა მიმდინარე კანონმდებლობისათვის

ისევე, როგორც ყველა სხვა ნორმატიული აქტების მიღებისათვის.

მ ი მ დ ი ნ ა რ ე ა ნ უ ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი კ ა ნ ო ნ ე ბ ი გამოიცემიან კონსტიტუციის შესაბამისად, ქვეყნის სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვადასხვა საკითხებზე. პარლამენტის მიერ მიმდინარე კანონმდებლობის წესით მიღებულ კანონებს კონსტიტუციის შემდეგ ყველაზე მეტი იურიდიული ძალა აქვს ყველა ნორმატიული აქტის მიმართ და, ამრიგად, სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით შემოღებულია და შემდგომში „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით უფრო დაწვრილებით განმარტებულია კანონთა ახალი კლასიფიკაცია. საქართველოს საკანონმდებლო აქტებად ითვლება: საქართველოს კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, ორგანული კანონი, კანონი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი.

კონსტიტუცია პირველადი და ფუძემდებლური აქტია ყველა სხვა ნორმატიულ აქტთან შედარებით. მისი ნორმები აწესრიგებენ უმნიშვნელოვანეს და ყველაზე არსებით ურთიერთობებს, რომლებიც ეხება საზოგადოებრივი წესწყობილებისა და პოლიტიკის საფუძვლებს, მოქალაქეთა სამართლებრივ სტატუსს, სახელმწიფოს ორგანოთა სისტემას და უფლებამოსილებას, კანონიერებისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფას. ამიტომ მიიჩნევენ მას საზოგადოებისა და სახელმწიფოს ძირითად კანონად.

თვით კონსტიტუციის გარდა, კონსტიტუციურ კანონებად, ზემოთ აღნიშნული კლასიფიკაციის მიხედვით, ითვლება მხოლოდ კონსტიტუციის გადასინჯვისა და საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის განმსაზღვრელი აქტები. ხოლო ორგანული კანონი, როგორც ნორმატიული აქტების შესახებ კანონშია ჩაწერილი, „მიიღება მხოლოდ იმ საკითხებზე, რომელთა მოწესრიგებაც, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ორგანული კანონითაა გათვალისწინებული“. რაც შეეხება „საქართველოს კანონს“, მის შესახებ იქვე ჩაწერილია, რომ იგი „შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს გამგებლობაში არსებულ ნებისმიერ საკითხზე, თუ კონსტიტუციით სხვა რამ არ არის დადგენილი“, ან ორგანული კანონით არ უნდა იქნეს მოწესრიგებული.

კანონის ძალის მქონე ნორმატიული აქტია აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი, რომელიც გამოიყენება მხოლოდ საგანგებო მდგომარეობის დროს და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციასა და ორგანულ კანონს (გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებსაც თვით კონსტიტუცია ითვალისწინებს ადამიანის ზოგიერთი უფლების შეზღუდვის დასაშვებად).¹

კანონის წამყვანი ადგილი და მნიშვნელობა სამართლის წყაროებს შორის განაპირობებს მისი გამოცემის განსაკუთრებულ წესს, რაც დადგენილია კონსტიტუციით, შესაბამისი სპეციალური კანონებით და ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოების საქმიანობის პროცესში შემუშავებული და დამკვიდრებული პრაქტიკით. სწორედ ასეთი სპეციალური აქტია საქართველოს პარლამენტის მიერ 1996 წლის 29 ოქტომბერს მიღებული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს ნორმატიული აქტების სახეებს, მათ იერარქიას, მომზადების, მიღების, გამოქვეყნებისა და მოქმედების ზოგად წესებს.

კ ა ნ ო ნ ე ბ ი ს მ ი ლ ე ბ ი ს წ ე ს ი გ უ ლ ი ს ხ მ ო ბ ს

¹ საკანონმდებლო ნორმატიული აქტების ზემოთ მოყვანილი კლასიფიკაცია, ჩვენი აზრით, გარკვეულწილად მოუხერხებელია მათი არსისა და გამოყენის სწორად გაგებისათვის. ჯერ ერთი, უხერხულობას იწვევს ის, რომ „კონსტიტუციური“ და „ორგანული“ კანონებისაგან განსხვავებით, ცალკე სახეობად მიჩნეულია „კანონი“ ყოველგვარი დამატებითი სახელწოდების გარეშე (მაგალითად, ჩვეულებრივი, მიმდინარე და სხვ.). გარდა ამისა, არც კონსტიტუციაში და არც 1996 წლის 29 სექტემბრის კანონში არ არის მინიშნებული ორგანული კანონის არსი და მნიშვნელობა, ხოლო სრულიად უხერხული წინადადება, რომ „ორგანული კანონი მიიღება მხოლოდ იმ საკითხებზე, რომელთა მოწესრიგებაც საქართველოს კონსტიტუციის თანახმად ორგანული კანონითაა გათვალისწინებული“, - აბსოლუტურად ვერ ხსნის მის არსებით თავისებურებას და სრული ტავტოლოგიაა.

ამასთან დაკავშირებით, რადგანაც კონსტიტუციაც და დასახელებული კანონიც ამჟამად მოქმედი აქტებია, მოვიყვანთ ჩვენს შეხედულებას, თუ როგორ უნდა იქნეს წარმოდგენილი „ორგანული კანონის“ ცნება ამ სტყვის საერთო გაგებიდან და თვით კონსტიტუციის ტექსტში მისი მითითების ადგილებიდან გამომდინარე. ასეთებად უნდა ჩაითვალოს ის კანონები, რომლებიც თავისი მნიშვნელობით უთანაბრდებიან უშუალოდ კონსტიტუციის ნორმებს და ეხებიან მის არსებით საფუძვლებს, ე.ი. „ორგანულად“ არიან დაკავშირებულნი კონსტიტუციასთან, მის შინაგან სტრუქტურასთან, მის მიერ რეგულირებულ ურთიერთობებთან.

საერთოდ კი, ისევე ჩვენი აზრით, ორგანული კანონის ცნება ოფიციალურ ტერმინად არ უნდა შედიოდეს კონსტიტუციის და შესაბამისი კანონის ტექსტში. ეს თეორიული დებულება პრობლემის გამოყენება მიზანშეწონილია ამა თუ იმ ნორმატიული აქტის დაზნაობისა და შეფასების დროს, ისევე როგორც, მაგალითად, ლაპარაკი კანონზე ეკონომიკურ საკითხებზე, პიროვნების უფლებების საკითხებზე (მის პროექტზე მსჯელობის, შემდგომში მისი განმარტების ან კომენტარების პროცესში და ა.შ.). ამიტომ უფრო მიზანშეწონილია კანონების ოფიციალური კლასიფიკაცია მოხდეს კონსტიტუციურ კანონებად და მიმდინარე კანონმდებლობის წესით მიღებულ კანონებად.

რამდენიმე საფეხურის გავლას, რომლებიც ერთიანი საკანონმდებლო პროცესის ცალკეულ სტადიებს წარმოადგენენ. ტრადიციულად, პარლამენტების საქმიანობის მაგალითზე, საკანონმდებლო პროცესის სტადიებია: კანონპროექტის შეტანა, კანონპროექტის განხილვა, კანონის მიღება და კანონის გამოქვეყნება.

კ ა ნ ო ნ პ რ ო ე ქ ტ ი ს შ ე ტ ა ნ ა პარლამენტში განსახილველად საკანონმდებლო პროცესის დასაწყისი სტადიაა და დაკავშირებულია ე.წ. საკანონმდებლო ინიციატივასთან. საკანონმდებლო ინიციატივა ნიშნავს ამა თუ იმ ორგანოს ან ცალკეული პირის უფლებას საკანონმდებლო ორგანოში განსახილველად შეიტანოს წინადადება კანონის მიღების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ.

ამჟამად, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ასეთი უფლებით სარგებლობენ: საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის წევრები, საპარლამენტო ფრაქციები, პარლამენტის კომიტეტები, ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები, მოქალაქეთა ჯგუფები, რომლებიც პარლამენტში წარადგენენ 30 ათასი ამომრჩევლის მიერ ხელმოწერილ სათანადო განცხადებას.

საკანონმდებლო ინიციატივის მქონე ორგანოთა და პირთა ზუსტად განსაზღვრა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ჩვენს ქვეყანაში სხვას არავის აქვს უფლება დააყენოს საკითხი და შეიტანოს წინადადება ამა თუ იმ კანონის მიღების შესახებ. პირიქით, იგულისხმება, რომ თითოეულ მოქალაქეს, ყოველ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას აქვთ შეუზღუდველი შესაძლებლობა წამოჭრან საკითხები ახალი კანონების მიღების ან კანონმდებლობაში ცვლილებების საჭიროების შესახებ. მაგრამ ამგვარი საკითხების და წინადადებების კანონპროექტის სახით უშუალოდ განხილვა არ ხდება პარლამენტში; მათ შეისწავლიან საკანონმდებლო ინიციატივის მქონე კომპეტენტური პირები და ორგანოები, გაითვალისწინებენ და შეიძლება საფუძვლადაც დაუდონ ახალ კანონპროექტს, რომლის შემუშავებისას მხედველობაში იქნება მიღებული მოქალაქეებისა და მათი ორგანიზაციების მიერ გამოთქმული სურვილები და მოთხოვნები. ამასთან, იგულისხმება, რომ კანონპროექტის შეტანასთან დაკავ-

შირებულ მთელ პროცესს წინ უძღვის კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს ოფიციალური გადაწყვეტილება კონკრეტული კანონის მიღების საჭიროებისა და შესაბამისი კანონპროექტის შემუშავების თაობაზე.

კ ა ნ ო ნ პ რ ო ე ქ ტ ი ს გ ა ნ ზ ი ლ ვ ა, ანუ გარჩევა პარლამენტის სესიაზე წარმოებს ზემოთ დასახელებული კანონის მიხედვით. საქართველოს პარლამენტში კანონპროექტის განხილვა შეიძლება დაიწყოს მხოლოდ პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის დასკვნის არსებობისას, მანამდე კი იგი შეიძლება დასკვნისათვის გადაეცეს შესაბამისი დარგის სპეციალისტებს. ჩვეულებრივად, მოხსენებას კანონპროექტის შესახებ აკეთებს იმ ორგანოს წარმომადგენელი, რომელსაც შეაქვს კანონპროექტი, ხოლო თანამომხსენებლებად გამოდიან პარლამენტის დამხმარე ორგანოების, მისი კომიტეტების წარმომადგენლები. მოხსენებებისა და თანამომხსენებების გამო გამართულ კამათში მონაწილეობენ პარლამენტის წევრები და, ზოგიერთ შემთხვევაში, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოწვეული სპეციალისტები — მეცნიერები, თანამდებობის პირები და სხვ. თავიანთ გამოსვლებაში ისინი გამოთქვამენ მოსაზრებებს და კრიტიკულ შენიშვნებს კანონპროექტის შესახებ, შეაქვთ წინადადებები მისი სრულყოფის მიზნით. განხილვის სტადია მთავრდება მომხსენებლის დასკვნითი სიტყვით.

იმისათვის, რომ კანონი რაც შეიძლება სრულად გამოხატავდეს მოსახლეობის ინტერესებსა და ნება-სურვილს, იმისათვის, რომ ზოგიერთი დონისძიების გატარების საკითხებზე მსჯელობაში უშუალოდ თვით ხალხმა მიიღოს მონაწილეობა, საკანონმდებლო ორგანოში რიგი მნიშვნელოვანი კანონპროექტების განხილვამდე შესაძლებელია მათი გამოქვეყნება პრესაში ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო — ს ა ზ ა ლ ზ ო ა ნ ფ ა რ თ ო ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ო ბ ი ს მ ი ე რ გ ა ნ ზ ი ლ ვ ი ს ა თ ვ ი ს და, გამოთქმული და შემოსული შესწორებების გათვალისწინებით, იგი განიხილება საკანონმდებლო ორგანოს მიერ სათანადო წესების დაცვით.

ზოგჯერ კანონპროექტების განსაკუთრებული სიცხადისა და მოცულობის სიმცირის გამო საჭირო აღარ არის ხოლმე მათ გარშემო მოხსენებების გაკეთება და კამათის გამართვა. ასეთ შემთხვევაში საკმარისი ხდება კანონპროექტის მოსმენა და რომელიმე დეპუტატის

მოტივირებული გამოსვლა მისი დამტკიცების აუცილებლობის დასაბუთებით.

კ ა ნ ო ნ ი ს მ ი დ ე ბ ა, ანუ კანონპროექტის დამტკიცება პარლამენტებში ხდება დეპუტატების მიერ ღია კენჭისყრით (დეპუტატის მანდატისა და ხელის აწევით) ან ფარული და სახელობითი (ელექტრონული სისტემით ან ბიულეტენებით). საქართველოს კონსტიტუციით, პარლამენტში კანონპროექტი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა. ორგანული კანონის პროექტი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ხოლო კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი (ე.წ. კვალიფიციური უმრავლესობით).

რაც შეეხება კანონის მიღებას ან გაუქმებას რეფერენდუმით (საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით), საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია ამის შესაძლებლობას არ უშვებს, ისევე როგორც არ შეიძლება რეფერენდუმის მოწყობა ამნისტიისა და შეწყალების გამო, საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებისა და დენონსაციის შესახებ, აგრეთვე ისეთ საკითხებზე, რომლებიც ზღუდავენ ადამიანის ძირითად კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს. ხოლო ქვეყნის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვა უმნიშვნელოვანეს, კონსტიტუციით განსაზღვრულ საკითხებზე რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან და იგი საბოლოოა. მას არ სჭირდება არავის დამტკიცება და მას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სხვა ნორმატიული აქტი. ამიტომ, საკსებით ბუნებრივია, რომ რეფერენდუმით მიღებული გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარებისა და განხორციელებისათვის საჭირო გახდეს და აუცილებელიც იყოს სათანადო ცვლილებების შეტანა მოქმედ კანონმდებლობაში, თუნდაც თვით კონსტიტუციაში, კანონის მიღებისათვის დადგენილი მთელი პროცედურის გავლის გზით.

კ ა ნ ო ნ ი ს გ ა მ ო ქ ე ვ ე ყ ნ ე ბ ა, ანუ პრომულგაცია

საკანონმდებლო პროცესის დამამთავრებელი სტადიაა, ვინაიდან კანონი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი ცნობილი გახდება მოსახლეობისათვის, ფართო საზოგადოებრიობისათვის. საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი 5 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც 10 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონის სახით. კანონი ძალაში შედის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში (პარლამენტის „უწყებები“ და სხვ.) მისი გამოქვეყნებიდან მეთხუთმეტე დღეს, ე.ი. ორი კვირის შემდეგ, თუ მასშივე ან ცალკე სპეციალური აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი.

გარდა კანონებისა, პარლამენტები ღებულობენ ს ს ვ ა ს ა ხ ი ს ა ქ ტ ე ბ ს ა ც (დადგენილებები, მიმართვები, განცხადებები, დეკლარაციები, მისალმებანი), რომელთაგანაც მხოლოდ ზოგიერთია ნორმატიული ხასიათისა და, მაშასადამე, ისინიც სამართლის წყაროს წარმოადგენენ. მაგალითად, დადგენილებები, რომლებითაც განისაზღვრება პარლამენტის შინაგანი, ორგანიზაციული მუშაობა (რეგლამენტი), პარლამენტის დამხმარე ორგანოების შექმნა და სხვ.

პარლამენტის მიერ გამოცემული კანონების გარდა ყველა სხვა სახის ნორმატიული აქტები კ ა ნ ო ნ ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე ა ქ ტ ე ბ ა დ ითვლებიან, ვინაიდან ისინი კანონს უნდა შეესაბამებოდნენ და კანონის შესრულებას, მის ცხოვრებაში გატარებას უნდა ემსახურებოდნენ. კანონქვემდებარე აქტები სამართლის წყაროების ერთ-ერთ სახეს შეადგენენ.

საქართველოს კონსტიტუციით და საქართველოს კანონით „ნორმატიული აქტების შესახებ“, ჩვენს ქვეყანაში რესპუბლიკური მნიშვნელობის ძირითად კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს მიეკუთვნებიან¹: საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, საქართველოს პარლამენტის დადგენილება, საქართველოს ეროვნული ბანკის

¹ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ნორმატიული აქტის სახით არსებობდეს აგრეთვე „მთავრობის დადგენილება“, რომელსაც ხელს მოაწერს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური - პრეზიდენტი და სახელმწიფო მინისტრი. მაგრამ თუკი კონსტიტუციაში სათანადო ცვლილების შეტანის შედეგად მთავრობად მიიჩნევა არა ამჟამად სათათბირო უფლებით არსებული შეკრება მინისტრებისა სახელმწიფო მინისტრით, არამედ „მინისტრთა კაბინეტი“ პრემიერ მინისტრით, - მაშინ ამ ცენტრალურ აღმასრულებელ ორგანოს, ეჭვს გარეშეა, ექნება უფლება დამოუკიდებლად გამოსცეს თავისი ნორმატიული აქტი - დადგენილება. (გ.ი)

საბჭოს დადგენილება, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება, საქართველოს კონტროლის პალატის ნორმატიული აქტი, საქართველოს მინისტრისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ბრძანება.

საქართველოს შემადგენლობაში არსებული ავტონომიური რესპუბლიკების ნორმატიული აქტებია მათი ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების აქტები, მათი მინისტრებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყებების ხელმძღვანელთა ბრძანებები.

ნორმატიული აქტების შესახებ კანონის მიხედვით, საქართველოს კანონები და საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ქმნიან საქართველოს კანონმდებლობას ფართო გაგებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების კიდევ ერთ სახეს წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებები. საქართველოში ამ ორგანოთა სისტემა და სახელწოდება წლების განმავლობაში არაერთგზის შეცვლილა (ადგილობრივი საბჭო და მისი აღმასკომი, საკრებულო და მისი გამგეობა, პრეფექტი ან გამგებელი და სხვ.), იცვლებოდა იმ აქტების სახელწოდება, რომლებსაც ისინი გამოსცემდნენ თავისი კომპეტენციის ფარგლებში (გადაწყვეტილება, განკარგულება, ბრძანება და სხვ.), მაგრამ ყველა ისინი, თუკი ზოგადი ხასიათის წესებს შეიცავდნენ, იმ შემთხვევაში — მოქმედი სამართლის წყაროებად ითვლებოდნენ. როცა მოწესრიგებული იქნება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობა და კონსტიტუციურად დადგინდება ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოთა სისტემა, მათ მიერ გამოცემული სათანადო სახელწოდების ნორმატიული აქტებიც სამართლის წყაროებად ჩაითვლება.

§3. სახელმწიფოს მიერ სანქციონირებული ჩვეულება, საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიუმი, ხელშეკრულება, როგორც სამართლის წყაროები

ჩვეულებას (ადათს), როგორც სამართლის წყაროს, შედარებით უმნიშვნელო ადგილი უკავია თანამედროვე სამართლებრივ სისტემებში. იმ გამონაკლისის შემთხვევებშიც, როდესაც იგი სამართლის წყაროს როლს ასრულებს, — აუცილებელია მისი სანქციონირება სახელმწიფოს მიერ.

უკანასკნელ დრომდე საქართველოში, ისევე როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, იშვიათად ხდებოდა სანქციონირებული ჩვეულებების გამოყენება ზოგიერთ ურთიერთობათა რეგულირებისათვის. ასე, მაგალითად, მიწის კანონთა კოდექსში გათვალისწინებული იყო, რომ კომლის გაყოფისას კომლის თითოეული წევრის ქონების განსაზღვრა შეიძლებოდა ადგილობრივი ჩვეულებების საფუძველზე.

ახალმა სამოქალაქო კოდექსმა ერთგვარად გააფართოვა ჩვეულებათა გამოყენება ზოგიერთ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირებისათვის „თუ ისინი არ ეწინააღმდეგება სამართლისა და ზნეობის ნორმებს ან საჯარო წესრიგს“ (მე-2 მუხლის, მე-4 ნაწილი).

ამავე დროს ცნობილია, რომ ზოგიერთი ისეთი ადათ-ჩვეულებების შესრულებას, რომლებიც ადრინდელი წარსულის მიუღებელ გადმონაშთებს წარმოადგენენ, კანონმდებლობა კრძალავს (მაგალითად, სისხლის აღება) და ცალკეულ შემთხვევაში შეუძლია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესებაც. რაც შეეხება დადებით და ახლად ჩამოყალიბებულ ჩვეულებებს, ისინი უმთავრესად ზნეობის ნორმების სახით მოქმედებენ და მხოლოდ ზოგიერთი მათგანი ღებულაობს სახელმწიფოებრივ სანქციას.

ზოგჯერ სამართლის წყაროს როლს ასრულებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მიღებულ აქტებს და ყოველგვარ დაუწერელ გადაწყვეტილებებს მისი წევრები ნებაყოფლობით ან, ყოველ შემთხვევაში, საზოგადოებრივ-მორალური

ზემოქმედების საფუძველზე ასრულებენ. მაგრამ ზოგჯერ საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ მიღებულ აქტებს სამართლებრივი ძალა ენიჭება და მათი შესრულებაც, საბოლოო ანგარიშში, სახელმწიფოს მიერ არის უზრუნველყოფილი. ყველა ასეთ შემთხვევაში საზოგადოებრივი ორგანიზაციის აქტი სანქციონირებული უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ. ამით იგი ღებულობს კანონქვემდებარე აქტის სახეს, რომლის იურიდიული ძალა და მოქმედების სფერო განისაზღვრება სანქციონირების მომხდენი სახელმწიფო ორგანოს კომპეტენციის ფარგლებით.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტების სანქციონირება სხვადასხვა სახით წარმოებს. ზოგჯერ საზოგადოებრივი ორგანიზაცია სახელმწიფო ორგანოების დავალებით ან მათი თანხმობით გამოსცემს კონკრეტული ურთიერთობის ან საკითხის მომწესრიგებელ აქტს, რომელიც ამის გამო, განსაზღვრულ ფარგლებში სამართლებრივ, ნორმატიულ ხასიათს იძენს. ზოგჯერ კი სანქციონირება წარმოებს ისეთი სახით, როდესაც საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ შემუშავებული წესდება სახელმწიფოს სათანადო ორგანოს მიერ რეგისტრაციაში გატარდება და ამით იქცევა ნორმატიულ-სამართლებრივ აქტად. სამართლის წყაროებად ჩაითვლებიან აგრეთვე ის ნორმატიული აქტები, რომლებსაც საზოგადოებრივი ორგანიზაცია გამოსცემს რომელიმე სახელმწიფო ორგანოსთან ერთად.

სამართლის წყაროს მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ე ბ ს. ცნობილია, რომ ხელშეკრულება მთავარ წყაროს წარმოადგენს საერთაშორისო სამართალში, კერძოდ, სახელმწიფოს ურთიერთობაში სხვა ქვეყნებთან. ხოლო ქვეყნის შიგნითაც ხელშეკრულებას ზოგჯერ შეიძლება ჰქონდეს ნორმების გამოხატულების ფორმის მნიშვნელობა სახელმწიფო სამართლის, შრომის სამართლის და სხვა დარგში, მაგალითად, რესპუბლიკის სხვადასხვა ეროვნულ-ტერიტორიულ ან ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს შორის დადებული ხელშეკრულებები სამეურნეო და სხვა სფეროებში ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, აგრეთვე ე.წ. კოლექტიური ხელშეკრულებანი, რომლებიც შეიძლება დაიდოს ერთი მხრივ, საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაციასა და მეორე მხრივ, მუშა-მოსამსახურეთა

კოლექტივის სახელით – პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტს შორის. ასეთი ხელშეკრულება შეიცავს ხოლმე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მათ ურთიერთვალდებულებებს სამუშაო დროის, დასვენების დროის, შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური სტიმულირების, შრომის დაცვისა და სხვა საკითხებზე.

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო პ რ ა ქ ტ ი კ ა, საერთო აღიარებით, არ წარმოადგენს სამართლის წყაროს. საქმე ისაა, რომ ჩვენში ყოველი სასამართლოს მიერ, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ამა თუ იმ საქმის განხილვის შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილება არ წარმოადგენს ზოგადი ხასიათის ნორმას, იგი სავალდებულოა მხოლოდ განხილულ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული პირებისა და ორგანიზაციებისათვის, ხოლო სხვა სასამართლოები ვალდებულნი არ არიან მსგავსი საქმეების განხილვისას მას ანგარიში გაუწიონ.

ამ წესისაგან განსხვავებით, ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი ინგლისში, სასამართლო პრაქტიკა, ე.წ. სასამართლო პრეცედენტის სახით, ფართოდ გამოიყენება როგორც სამართლის წყარო. ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო პ რ ე ც ე ე ნ - ტ ი გულისხმობს ამა თუ იმ სასამართლოს გადაწყვეტილებების შემდგომში სავალდებულოდ ცნობას (აღიარებას) არა მარტო ამავე სასამართლოსათვის, არამედ იმავე ინსტანციის ან ქვემდგომი სხვა სასამართლოსთვისაც ანალოგიური საქმეების განხილვისას. ამგვარი წესი შეიძლება, უმთავრესად, გამოწვეული იყოს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებით ან სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას საჭირო შეთანხმებულობისა და ერთიანი მიდგომის უზრუნველყოფის მიზნით.

ჩვენს იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ კონკრეტულ შემთხვევებში კანონის საფუძველზე საკითხების გადაწყვეტის დროს ამა თუ იმ ნორმის კომენტირებისა და ინტერპრეტაციის შედეგად მოსამართლის მიერ რაიმე ახალი წესების ჩამოყალიბება სამართალშემოქმედებად შეიძლება ჩაითვალოს. მან შეიძლება სასამართლო პრაქტიკისა და სამართლებრივი თეორიის საფუძველზე შეაყოს კანონის ხარვეზი და ამით განავითაროს სამართალი, შექმნას მისი ახალი წყარო.¹

¹ იხ. ლ. ჭანტურია, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997, გვ. 104-108.

ზოგჯერ „სასამართლო პრეცედენტის“ ნაცვლად გამოიყენება ტერმინი – „იურიდიული პრეცედენტი“, რომელშიც სამართლებრივი აქტის ძალის მინიჭებას გულისხმობენ არა მარტო სასამართლოს, არამედ სხვა სახელმწიფო ორგანოს მიერ კონკრეტულ საკმეზე მიღებულ გადაწყვეტილებისათვის.

§4. ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია

სახელმწიფოში მოქმედი ნორმატიული სამართლებრივი აქტების შეცნობა, ახსნა-განმარტება და განხორციელება აუცილებლად მოითხოვს მათ ს ი ს ტ ე მ ა ტ ი ზ ა ც ი ა ს, ე.ი. მოწესრიგებას და გარკვეული პრინციპების მიხედვით კლასიფიკაციას.

ნორმატიული აქტების და, პირველ ყოვლისა, კანონმდებლობის სისტემატიზაციას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს კანონიერების განმტკიცებისა და ნორმატიული მასალის სრულყოფისათვის. სისტემატიზაცია აადვილებს მოქმედი ნორმების გაცნობას და სახელმწიფო ორგანოების მიერ მათი შეფარდების, ხოლო მოქალაქეთა მიერ მათი შესრულების დროს შესაფერისი ნორმის შერჩევას. სისტემატიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე თვით კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების გამომცემი ორგანოებისათვის, რადგან ის იძლევა სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ორგანოების მიერ გამომცემულ აქტებს შორის შეუსაბამობის თავიდან აცილების, ამ აქტების ცალკეულ ჯგუფებს შორის სათანადო შეთანხმებულობის დამყარების, გადმოცემის ანუ ფორმულირების ტექნიკის სრულყოფისა და ა.შ. შესაძლებლობას.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ სისტემატიზაციის ორ ძირითად სახეს: ინკორპორაციას და კოდიფიკაციას.

ი ნ კ ო რ პ ო რ ა ც ი ა ეწოდება ისეთ სისტემატიზაციას, რომლის დროს ხდება ნორმატიული მასალის გარეგანი დამუშავება, მისი აღრიცხვა, გაერთიანება და დალაგება გარკვეული ნიშნისა და წესის მიხედვით. ინკორპორაციის შედეგად იქმნება სხვადასხვა კრებულები, რომლებშიც ნორმატიული აქტები დალაგებულია ქრონოლოგიური ან დარგობრივი (თემატური) ნიშნით, მისი გამომცემი ორგანოს სახეობის მიხედვით და ა.შ. ასეთი კრებულების შედგენისას

აქტების შინაარსის შეცვლა, შესწორება, შევსება და დაზუსტება არ ხდება. ცალკეული აქტის ტექსტები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ რედაქციულად ან ტექნიკურად; მაგალითად, ამოღებულ იქნეს კანონის ოფიციალურად გაუქმებული მუხლები, გასწორდეს გრამატიკული და სინტაქსური შეცდომები, ამოღებულ იქნეს თითოეული აქტის ბოლოში არსებული ერთი და იმავე თანამდებობის პირის ხელმოწერა და ა.შ.

ინკორპორაციას და მის შედეგად გამოცემულ კრებულებს ოფიციალური ხასიათი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნორმატიული აქტების სისტემატიზაციას ახდენს თვით ამ აქტების გამომცემი სახელმწიფო ორგანო. მაგრამ შესაძლებელია ინკორპორაციული წესით კრებულები შეადგინონ სხვადასხვა დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა, დაწესებულებებმა და იურისპრუდენციის მეცნიერმა მუშაკებმა. ცხადია, ასეთი კრებულები არ ჩაითვლება ოფიციალურ ტექსტად.

კოდიფიკაცია ეწოდება ისეთ სისტემატიზაციას, რომლის დროსაც ხდება მოქმედი საკანონმდებლო მასალის არა მარტო გარეგანი, არამედ შინაგანი და არსებითი დამუშავება, რის შედეგად იქმნება ფაქტიურად ახალი და ერთიანი საკანონმდებლო აქტი — კოდექსი.

კოდიფიკაციას საფუძვლად უდევს დარგობრივი პრინციპი: ამა თუ იმ დარგთან დაკავშირებული საკანონმდებლო მასალა ჩამოყალიბდება ერთიან ლოგიკურ სისტემად, ამ დარგის ძირითადი ნორმების გამომხატველ ერთიან საკანონმდებლო აქტად, რომელსაც საკუთარი შინაგანი სტრუქტურა და პრინციპები გააჩნია. კოდიფიკაციის პროცესში ადგილი აქვს, ერთი მხრივ, სამართლის კონკრეტულ დარგში მოქმედი ნორმატიული აქტების გადასინჯვას, ზოგიერთი მათგანის შეცვლა-შესწორების ან მოძველებულთა გაუქმების, განმეორებათა და შეუსაბამობათა თავიდან აცილების მიზნით, ხოლო მეორე მხრივ, ახალი ნორმების დადგენას და კანონმდებლობაში არსებული ხარვეზის შევსებას.

ამჟამად საქართველოში მოქმედებენ სხვადასხვა კოდექსები: სამოქალაქო სამართლის კოდექსი, სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი, სისხლის სამართლის კოდექსი, სისხლის სამართლის საპრო-

ცესო კოდექსი, შრომის კანონთა კოდექსი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, საარჩევნო კოდექსი, საგადასახადო კოდექსი, საბაჟო კოდექსი, საჰაერო კოდექსი, სავაჭრო ზღვაოსნობის კოდექსი, კოდექსის მნიშვნელობის მქონე სარკინიგზო წესდება და სხვ. კოდექსების მიღება ხდება პარლამენტის შესაბამისი ორგანული კანონით, ისევე როგორც კოდექსში სათანადო ცვლილებების და დამატებების შესატანის შესახებ.

§5. ნორმატიული აქტების მოქმედება დროში, სივრცეში და პირთა წრის მიხედვით

ნორმატიული აქტების მოქმედება ყოველთვის შემოფარგლულია ამა თუ იმ დროის მონაკვეთით, განსაზღვრული ტერიტორიითა და ადამიანთა გარკვეული წრით. ნორმის შეფარდებისათვის აუცილებელია, რომ შეფარდების მომენტში ეს აქტი ძალაში იყოს, რომ იგი მოქმედებდეს მოცემულ ტერიტორიაზე და შეეხებოდეს ამა თუ იმ პირს. ამიტომ სამართლის თეორიაში, კერძოდ, სამართლის ნორმის შესახებ, პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე პრობლემად ითვლება საკითხები – ნორმის მოქმედებისა დროში, სივრცეში და პირთა წრის მიხედვით. განვიხილოთ ეს საკითხები ცალ-ცალკე.

ნორმატიული აქტის მოქმედება დროში განისაზღვრება მისი ძალაში შესვლისა და მოქმედების შეწყვეტის ფარგლებით. ნორმათა ძალაში შესვლის, ანუ მათი მოქმედების დაწყების საკითხში საერთო წესი ისაა, რომ უკეთეს თვით ნორმატიული აქტის ტექსტში მითითებულია მისი ძალაში შესვლის რაიმე თარიღი, ნორმა იწყებს მოქმედებას სწორედ აღნიშნული თარიღის დადგომისას. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ამგვარ მითითებას ნორმატიული აქტი არ შეიცავს, მისი ძალაში შესვლის საკითხი ერთნაირად არ წყდება სხვადასხვა სახის ნორმებისათვის. მაგალითად, ამჟამად მოქმედი წესის შესაბამისად, კანონები ძალაში შედიან გამოქვეყნებიდან მეთხუთმეტე დღეს.

სახელმწიფოს ყველა სხვა ორგანოს აქტებით დადგენილი

ნორმები ძალაში შედიან სათანადო ბეჭდვით ორგანოებში მათი გამოქვეყნებისთანავე. ხოლო საჭირო შემთხვევაში ნორმატიული აქტები შეიძლება გადაიცეს რადიოთი, ტელევიზიით ან ტელეგრაფით და უკვე ამის შემდეგ ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოებში გამოქვეყნებისთანავე დაიწყებენ მოქმედებას.

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის ცალკეულ დებულებათა გამოუქვეყნებლობა დასაშვებია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. მაგრამ დაუშვებელია იმ აქტის ან მისი ნაწილის გამოუქვეყნებლობა, რომელიც ზღუდავს ადამიანის უფლებებს ან ადგენს იურიდიულ პასუხისმგებლობას.

სამართლის ნორმები კარგავენ თავის ძალას, ანუ წყვეტენ მოქმედებას შემდეგ შემთხვევებში:

მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ (თუ ნორმა გარკვეული ვადით იყო გამოცემული და მისი მოქმედების ვადა გაგრძელებული არ იქნა);

უფლებამოსილი ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ ამა თუ იმ ნორმატიული აქტის ოფიციალურად გაუქმების შემდეგ;

როდესაც ნორმა პირდაპირ არ არის გაუქმებული, მაგრამ გამოცემულია ახალი ნორმა, რომელიც ახლებურად არეგულირებს იმავე ურთიერთობას, იმავე საკითხს, რასაც ძველი ნორმა ეხებოდა.

სამართლის ნორმა, ფაქტიურად, ძალადაკარგული შეიძლება იყოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი პირდაპირ ოფიციალურად არ არის გაუქმებული, მაგრამ იმდენად მოძველებულია, რომ არსებითად შეცვლილია ან სრულიად აღარ არსებობენ ის გარემოებანი, რომლებმაც თავის დროზე განაპირობეს მისი გამოცემა.

სამართლის ნორმის (კანონის) დროში მოქმედების საკითხთან დაკავშირებულია მისი უკუძალის (უკუმოქმედებითი ძალის) პრობლემა. ნორმის (კანონის) უკუძალა ეწოდება მისი მოქმედების გავრცელებას იმ ურთიერთობებსა და ფაქტებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მის გამოცემამდე და ძალაში შესვლამდე.

სამართლის ნორმების შეფარდებისას, როგორც წესი, კანონს (ისევე როგორც სხვა სახის ნორმატიულ აქტებს) უკუმოქმედებითი ძალა არა აქვს, ე.ი. მათი მოქმედება არ ვრცელდება იმ ფაქტებზე,

ურთიერთობებსა და გარემოებებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ამ აქტების გამოცემამდე. სხვანაირად რომ ვთქვათ, ნორმა შესაძლებელია შეეფარდოს მხოლოდ იმ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშვებიან მისი გამოცემის, მისი ძალაში შესვლის შემდეგ.

ამ საერთო წესიდან არსებობს გამონაკლისებიც, ე.ი. ზოგიერთ შემთხვევაში ნორმას შეიძლება მიეცეს უკუმოქმედებითი, ანუ უკუძალა:

ა) უკუძალა ენიჭება ყველა იმ ნორმატიულ აქტს, რომლის ტექსტში პირდაპირაა მითითებული მისი მოქმედების გავრცელების შესახებ ნორმის გამოცემამდე წარმოშობილ ურთიერთობებზე;

ბ) უკუძალა აქვს სისხლის სამართლის კანონს, თუ იგი ამსუბუქებს სასჯელს რაიმე დანაშაულისათვის ან საერთოდ გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ე.ი. დასასჯადად აღარ აცხადებს ისეთ ქმედებას, რომელიც მანამდე დანაშაულად ითვლებოდა. საწინააღმდეგო შემთხვევაში კი, ე.ი. როდესაც სისხლის სამართლის ახალი კანონი ამკაცრებს სასჯელს რაიმე ქმედებისათვის, ან კიდევ დანაშაულად აცხადებს ისეთ ქმედებას, რომელიც მანამდე სისხლის სამართლის წესით არ იდევნებოდა, — მას უკუძალა არა აქვს.

ეს წესი, ფაქტიურად, ადმინისტრაციულ და სხვა სახის სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის საკითხსაც ეხება.

ნორმატიული აქტის მოქმედება სივრცეში განისაზღვრება იმ ტერიტორიით, რომლის ფარგლებშიც მას აქვს სავალდებულო ძალა.

სამართლის ნორმების გამომხატველი აქტების მოქმედების ფარგლების დადგენისათვის, პირველ ყოვლისა, მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რომელი ორგანოს მიერ არიან ისინი გამოცემული. ცენტრალური ორგანოების მიერ მიღებული აქტები (პარლამენტის, პრეზიდენტის, მთავრობის, მინისტრების და ა.შ.) მოქმედებენ სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე; ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოთა აქტები მოქმედებენ ამ ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე; ხოლო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებანი — შესაბამისი ქალაქის, რაიონის, დაბის ან სოფლის ტერიტორიაზე.

სივრცეში ნორმის მოქმედების საკითხის სწორად გადაჭრისათვის ზუსტად უნდა განვსაზღვროთ, თუ რა გაგებით იხმარება სამართლის მეცნიერებაში ცნება „ტერიტორია“. მას მიეკუთვნება: ქვეყნის მთელი მიწის ტერიტორია (ხმელეთი), ტერიტორიული სანაპირო წყლები (ე.ი. გარკვეული სიგანის ზღვის ზოლი, რომელიც სანაპირო სახელმწიფოს ეკუთვნის), შინაგანი ნაციონალური წყლები (მდინარეები, არხები, შინაგანი ზღვები და ტბები, ხელოვნური წყალსაცავები და ა.შ.), საჰაერო სივრცე სახელმწიფოს მიწისა და წყლის ტერიტორიის ზევით, მიწისქვეშა სივრცე (მაღაროები, გვირაბები, ტრანსპორტი, საწყობები, საცავები და სხვ.) – სახელმწიფოს საზღვრების ფარგლებში; მსგავსი მნიშვნელობით უნდა იქნეს გაგებული ავტონომიური რესპუბლიკების და სხვა ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიაც. გარკვეული პირობების დაცვით, სივრცეში ნორმათა მოქმედების თვალსაზრისით, სახელმწიფოს ტერიტორიად ითვლება აგრეთვე მისი საელჩოს ტერიტორია უცხო სახელმწიფოში და ტერიტორია შისი სამხედრო ნაწილების განლაგებისა, რაც ადგილობრივი სახელმწიფოს თანხმობით ხდება.

სპეციფიკური თავისებურებები ახასიათებს ნორმის მოქმედებას სხვადასხვა გემებზე, ზომალდებზე. სახელდობრ, ამ საკითხთან დაკავშირებით ერთიმეორისაგან უნდა განვასხვავოთ სამხედრო გემები და ყველა სხვა სამოქალაქო (სამგზავრო, სავაჭრო, სატვირთო) არასამხედრო გემები, რომლებიც სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილად ითვლებიან. სამხედრო გემებზე მოქმედებს ამ სახელმწიფოს კანონები, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს ეს გემი, ე.ი. თავისი ქვეყნის ნავსადგურსა და ტერიტორიულ წყლებში, ღია ზღვაში თუ უცხო სახელმწიფოს ტერიტორიულ წყლებსა და ნავსადგურებში. ცხადია, რომ უკანასკნელ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, იგულისხმება ამ უცხო სახელმწიფოს თანხმობის არსებობა მის ტერიტორიულ წყლებსა და ნავსადგურებში სხვა ქვეყნის სამხედრო გემის შესვლაზე. რაც შეეხება არასამხედრო გემებს, ღია ზღვაში ყოფნისას მათზეც თავისი ქვეყნის კანონები მოქმედებს, მაგრამ უცხო სახელმწიფოთა ტერიტორიულ წყლებსა და ნავსადგურებში ასეთ გემებზე ვრცელდება სანაპირო სახელმწიფოს იურისდიქცია; ამ შემთხვევაში, თუ არასამხედრო გემზე ადგილი ექნა დანაშაულს, იგი ჩადენილად ჩაითვლება ადგილობრივი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

ამგვარი წესები საერთაშორისო შეთანხმებებით ყალიბდება და ისინი სახელმწიფოთა მიერ თანაზიარობის საფუძველზე სრულდება.

ნორმატიული აქტის მოქმედება პირთა წრის მიხედვით გულისხმობს – ადამიანთა რომელ ჯგუფს ან კატეგორიას ეხება ესა თუ ის აქტი. თითოეული ქვეყნის ნორმათა უმრავლესობის მოქმედება ვრცელდება არა მარტო მის მოქალაქეებზე, არამედ უცხოელებზეც და მოქალაქეობის არმქონე პირებზე, გარდა ზოგიერთი ნორმატიული აქტისა, რომლებიც თავისი შინაარსით მხოლოდ ამ სახელმწიფოს მოქალაქეებს შეიძლება შეეხებოდეს. მაგალითად, ნორმები სამხედრო ვალდებულების შესახებ, სამშობლოს ღალატისათვის პასუხისმგებლობის შესახებ და სხვ. ამავე დროს, მაგალითად, საქართველოს კანონები შეიძლება გავრცელდეს მის მოქალაქეებზე, რომლებიც საზღვარგარეთ ყოფნისას ჩაიდენენ დანაშაულს და არ იქნებიან დასჯილნი იმ სახელმწიფოს კანონებით.

უფრო დაწვრილებით საქართველოს მოქალაქეთა პასუხისმგებლობა საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულისათვის, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეთა პასუხისმგებლობა საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

ეს წესი არ ეხება იმ პირებს (საქართველოს მოქალაქეებს საზღვარგარეთ ან უცხოელებს საქართველოში), რომლებიც სარგებლობენ ე.წ. ექსტერიტორიულობით. ექსტერიტორიულობის უფლება იმას გულისხმობს, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოში მყოფი უცხოელის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება არ ექვემდებარება ამ სახელმწიფოს სასამართლო ორგანოთა განხილვას. ასეთი უფლებით სარგებლობენ უცხო სახელმწიფოთა მეთაურები სხვა სახელმწიფოში ოფიციალური ვიზიტით ყოფნისას, უცხო სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლები იმ სახელმწიფოში, სადაც ისინი არიან გაგზავნილები სამუშაოდ (ელჩები, საელჩოთა მრჩეველები და მდივნები, მათი ოჯახის წევრები და ზოგიერთი სხვა), აგრეთვე უცხო სახელმწიფოთა იმ სამხედრო ნაწილების მოსამსახურენი, რომლებიც მოცემულ სახელმწიფოში იმყოფებიან მოწვევით ან შეთანხმებით.

ექსტერიტორიულობის უფლების მქონე პირის დანაშაულობის საკითხის განხილვა ექვემდებარება მხოლოდ იმ სახელმწიფოს სასამართლოს,

რომლის მოქალაქესაც იგი წარმოადგენს. დიპლომატიურ წარმომადგენელთა ექსტერიტორიულობის უფლებას აგრეთვე უწოდებენ დ ი პ ლ ო მ ა ტ ი უ რ ი მ უ ნ ი ტ ე ტ ს . სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაზეც ასეთი პირის მიერ იქნება ჩადენილი დანაშაული, შეუძლია მეორე სახელმწიფოს მოსთხოვოს მისი დასჯა, ან მისთვის დიპლომატიური იმუნიტეტის მოხსნა, რათა თავისი კანონების საფუძველზე თვითონ გაასამართლოს და დასაჯოს იგი.

იმუნიტეტის განსაკუთრებული სახეა დეპუტატის ხელშეუხებლობა, რომლის შინაარსი ჩამოყალიბებულია საქართველოს კონსტიტუციაში: „პარლამენტის წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს...“ (მუხლი 52).

რაც შეეხება ქვეყნის შიგნით მოქალაქეთა სხვადასხვა წრის პირთა მიმართ გამოცემულ ნორმატიულ აქტებს, მათი საჭიროება განისაზღვრება იმით, რომ სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში სხვადასხვა უბანზე შრომისა და მოღვაწეობის პირობების თავისებურება საჭიროს ხდიან სპეციალური ნორმების დადგენას ამა თუ იმ პროფესიის მუშაკათთვის. ასეთია, მაგალითად, ნორმატიული აქტები, რომლებიც შეეხებიან: ახალგაზრდა სპეციალისტებს, მალაროთა მუშებს, რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკებს, მეცნიერ-მუშაკებს, მასწავლებლებს, ექიმებს და ა.შ.

სამართლის ნორმების მოქმედების ფარგლების, მათი რეალიზაციისა და ეფექტურობის განხილვასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი უზენაესი იურიდიული ძალის მქონე ქვეყნის წესებად კონსტიტუციური ნორმების აღიარების გამო, — მსჯელობის საკითხად იქცა მათი პ ი რ დ ა პ ი რ ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს შესაძლებლობა და საჭიროება. საქმე ისაა, რომ ბოლო დრომდე კონსტიტუციური ნორმების დახასიათებისას უპირველესად იმაზე ხდებოდა მითითება, რომ ისინი უმთავრესად დეფინიციური ხასიათისაა, ცნებებისა და პრინციპების ფორმითაა ჩამოყალიბებული, ხოლო მათი დაკონკრეტება ხდება შემდგომ კანონმდებლობასა და სხვა ნორმატიულ აქტებში.

ამჟამად კი, ყველა ცივილიზებულ და დემოკრატიულ ქვეყნებში

სხვადასხვა საკითხებისა და მოვლენების სამართლებრივი რეგულირების საჭიროების შემთხვევაში, თუ არ აღმოჩნდა უშუალოდ მათი დამაკონკრეტებელი ნორმატიული აქტი, — სასამართლოს შეუძლია დაეყრდნოს შესაბამის ზოგად კონსტიტუციურ ნორმას და არსებითად გადაწყვიტოს ეს საკითხი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ადამიანის უფლებების დაცვას. ასე მაგალითად, რუსეთის ფედერაციის ამჟამად მოქმედ /1993 წლის/ კონსტიტუციის მე-15 მუხლში მითითებულია, რომ მას აქვს პირდაპირი მოქმედება ამ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. სწორედ ასეთივე დასკვნა გამომდინარეობს საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მე-7-ე მუხლის შინაარსიდან, რომელშიც ჩაწერილია: „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით“.

მ მ რ ჰ ე თ ა ვ ი

სამართლებრივი ურთიერთობანი

§1. სამართლებრივი ურთიერთობის ცნება

საზოგადოებრივი ცხოვრება რთული და მრავალფეროვანია. იგი ხასიათდება სხვადასხვა მხარეებითა და ადამიანთა შორის ურთიერთობებით ოჯახსა და მეგობრებში, შრომასა და სწავლაში, საზოგადოებრივ და სამსახურებრივ საქმიანობაში. ეს საზოგადოებრივი ურთიერთობანი შეიძლება დაიყოს წარმოებით, ანუ ეკონომიკურ და იდეოლოგიურ ურთიერთობებად. იდეოლოგიურ ურთიერთობებს მიეკუთვნება სამართლებრივი, ანუ იურიდიული ურთიერთობებიც, რომლებსაც თავისი სპეციფიკური დამახასიათებელი ნიშნები გააჩნიათ.

სამართლებრივი ურთიერთობანი, სხვა იდეოლოგიური ურთიერთობების და ყველა ზედნაშენური მოვლენის მსგავსად, საბოლოო ანგარიშით, საზოგადოების ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ ი ბ ა ზ ი ს ი თ გ ა ნ ი ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ი ა ნ: ე.ი. წარმოებითი ურთიერთობების ხასიათზეა მნიშვნელოვნად დამოკიდებული ამა თუ იმ საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სამართლებრივი ურთიერთობების მთელი სისტემა. მაგრამ, თუ ზოგჯერ სამართლებრივი ურთიერთობანი თვით ეკონომიკურ ურთიერთობათა იურიდიულ გამოხატულებას წარმოადგენენ, სხვა შემთხვევაში ისინი არა ეკონომიკურ, არამედ სხვა სახის საზოგადოებრივ ურთიერთობებს გამოხატავენ.

მაგალითად, თითოეულ საზოგადოებაში წარმოების იარაღებსა და საშუალებებზე საკუთრების ურთიერთობა არის ამ საზოგადოებისათვის დამახასიათებელი წარმოებითი ურთიერთობების იურიდიული

გამოხატულება. ასევე, საქონლის გაცვლის ეკონომიკური ურთიერთობების იურიდიულ გამოხატულებას წარმოადგენს საქონლის მფლობელთა შორის დამყარებული სამართლებრივი ურთიერთობა, რაც ყიდვა-გაყიდვისა და სხვა სახის ხელშეკრულებებით ფორმდება.

რაც შეეხება იმ შემთხვევებს, როდესაც სამართლებრივ ურთიერთობათა შინაარსს შეადგენენ არა ეკონომიკური ურთიერთობანი, არამედ ადამიანთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის სხვა მხარეები, სხვა საზოგადოებრივი ურთიერთობანი, — მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ საოჯახო ურთიერთობანი, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მმართველობის ურთიერთობანი და ა.შ. ამრიგად, სამართლებრივი ურთიერთობები შეიძლება წარმოადგენდნენ როგორც ეკონომიკური, ისე სხვა საზოგადოებრივი ურთიერთობების ფორმას, მათ იურიდიულ გამოხატულებას.

სამართლებრივი ურთიერთობების სპეციფიკურობა ისაა, რომ ისინი სამართლის ნორმების საფუძველზე, მათი განხორციელების შედეგად წარმოიშობიან.

იურიდიულ ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული სამართლებრივ ურთიერთობებსა და სამართლის ნორმებს შორის დამოკიდებულების საკითხზე; ზოგიერთი იურისტი ამტკიცებს, რომ სამართლის ნორმები არეგულირებენ სამართლებრივ ურთიერთობებს, ხოლო ზოგი თვლის, რომ სამართლის ნორმა და სამართლებრივი ურთიერთობა ერთ მთლიანობას წარმოადგენენ, რომ სამართლებრივი ურთიერთობა — ესაა სამართლის ნორმა მის მოქმედებაში, მის განხორციელებაში.

იურიდიული მეცნიერების წარმომადგენელთა უმრავლესობა კი ასაბუთებს, რომ სამართლის ნორმები არეგულირებენ არა სამართლებრივ ურთიერთობებს, არამედ არსებულ, ფაქტობრივ საზოგადოებრივ ურთიერთობებს სამართლებრივი ურთიერთობების მეშვეობით. ამ პოზიციასთან ახლოა კიდევ ერთი თვალსაზრისი, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა, რომელიც ამ ურთიერთობას სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათს ანუ ფორმას აძლევს, წარმოადგენს სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთ წინამძღვარს, აუცილებელ წინაპირობას.

მიუხედავად აზრთა ამგვარი სხვადასხვაობისა და თეორიული ხასიათის დავისა, რომელიც ზოგჯერ წმინდა ფორმალურ ხასიათს ატარებს, არავინ არ უარყოფს, რომ სამართლებრივი ურთიერთობა არ შეიძლება არსებობდეს სამართლის ნორმის გარეშე და რომ ეს ურთიერთობანი მხოლოდ სამართლის ნორმის საფუძველზე, მისი განხორციელების შედეგად წარმოიშობიან.

სამართლებრივი ურთიერთობების შემდეგი სპეციფიკური თავისებურება ისაა, რომ მ ი ს ი მ ო ნ ა წ ი ლ ე ნ ი გ ა მ ო დ ი ა ნ ს ა მ ა რ თ ლ ი ს ნ ო რ მ ე ბ ი თ და დ გ ე ნ ი ლ უ ფ ლ ე ბ ა თ ა და მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა თ ა მ ა ტ ა რ ე ბ ლ ა დ. უფლებებისა და მოვალეობების დაწესებით სამართლის ნორმა ზემოქმედებას ახდენს ცალკეულ პირებზე და სწორედ ამ უფლება-მოვალეობათა არსებობის გამო, რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ, მყარდება იურიდიული, ანუ სამართლებრივი ურთიერთობა ცალკეულ პირთა შორის.

სამართლებრივი ურთიერთობის წარმოქმნისას სამართლის ნორმებით დადგენილი უფლებები და მოვალეობები ერთმანეთს შეესაბამებიან, შეესატყვისებიან, ე.ი. თითოეული მხარის უფლებას — განახორციელოს რაიმე მოქმედება ან მოსთხოვოს სხვას რაიმე მოქმედების შესრულება, როგორც წესი, შეესაბამება მეორე მხარის მოვალეობა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებისა. ამიტომ არის, რომ სამართლებრივ ურთიერთობას პირთა ორმხრივ ურთიერთკავშირად თვლიან. თუმცა ზოგიერთი მეცნიერ-იურისტი უარყოფს ამ შეხედულებას და თვლის, რომ სამართლებრივი ურთიერთობა პირთა სამხრთივი კავშირია, სახელდობრ, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეთა შორის და მათსა და სახელმწიფოს შორის. ასეთი დებულების არგუმენტაცია და დასაბუთება იმით, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები ყოველთვის უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ, არ არის დამაჯერებელი და არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ამ ურთიერთობაში სამხრთივი კავშირი დავინახოთ. ცხადია, რომ ყველა შემთხვევაში სამართლის ნორმის, უფლებისა და მოვალეობის უკან სახელმწიფო დგას, მაგრამ სამართლებრივი ურთიერთობა

მხოლოდ მის მონაწილეთა შორის მყარდება. სახელმწიფო, როგორც მმართველობის პოლიტიკური ორგანიზაცია, ადგენს სამართლის ნორმებს და ითვალისწინებს, რომ ამ ნორმებში გამოხატული უფლებები და მოვალეობები სამართლებრივი ურთიერთობების მეშვეობით განხორციელდება.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სხვა იდეოლოგიური ურთიერთობების მსგავსად, სამართლებრივი ურთიერთობები ნებითი ხასიათის არიან, მაგრამ საჭიროა დავაზუსტოთ, თუ რაში გამოიხატება ს ა მ ა რ თ ლ ე ბ რ ი ვ უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა თ ა ნ ე ბ ი თ ი ხ ა ს ი ა თ ი. მით უმეტეს, რომ იურიდიულ ლიტერატურაში არც ამ საკითხში არსებობს საყოველთაოდ აღიარებული საერთო შეხედულება.

პირველ ყოვლისა, სამართლებრივი ურთიერთობების ნებითი ხასიათი ისაა, რომ ეს ურთიერთობანი სახელმწიფოებრივი ნების გამოხატულებას წარმოადგენენ; ისინი წარმოიშობიან მხოლოდ სახელმწიფოებრივი ნების ზემოქმედების შედეგად, ვინაიდან სამართლებრივი ურთიერთობების საფუძველს შეადგენენ სამართლის ნორმები, რომლებშიც გამოხატულია მმართველი ფენის ნება.

სამართლებრივი ურთიერთობის ნებითი ხასიათის ამგვარ გაგებაზე არავის გამოუთქვამს აშკარად საწინააღმდეგო მოსაზრება. მაგრამ თუ ზოგიერთებს მხოლოდ აღნიშნული გარემოება მიაჩნიათ სამართლებრივი ურთიერთობის ნებითი ხასიათის მაჩვენებლად, დანარჩენები თვლიან, რომ ამით არ ამოიწურება სამართლებრივი ურთიერთობების, როგორც ნებითი ხასიათის ურთიერთობების დახასიათება.

იურისტ-თეორეტიკოსთა დიდი ნაწილი სამართლიანად აღიარებს, რომ იურიდიული ურთიერთობის ნებითი ხასიათი გაგებული უნდა იქნეს არა მარტო როგორც სახელმწიფოებრივი, სოციალური ნების გამოხატულება, არამედ როგორც ამ ურთიერთობის მონაწილეთა ინდივიდუალური ნების გამოვლინებაც; ეს ნიშნავს, რომ სამართლებრივი ურთიერთობანი, სანამ ისინი წარმოიშობიან, ადამიანთა შეგნებაში გაივლიან, გაიზარებიან, ხოლო ამ ურთიერთობათა განხორციელების პროცესშიც, ე.ი. უფლება-მოვალეობათა შესრულებისას, საჭიროა ადამიანთა შეგნებული მოქმედება, მათი ნების გამომჟღავნება, ნებითი ხასიათის აქტების შესრულება.

სამართლებრივი ურთიერთობების ნებით და შეგნებული ხასიათი იმას არ გულისხმობს, თითქოს ყოველგვარი სამართლებრივი ურთიერთობის ყველა მონაწილეს ყოველთვის შეგნებული აქვს ყველაფერი, რაც ამ ურთიერთობას შეეხება. პირიქით, ზოგჯერ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილემ შეიძლება არც კი იცოდეს თავისი უფლება ან მოვალეობა და ცდებოდეს კონკრეტული ურთიერთობის შინაარსის გაგებაში. უფრო მეტიც, არის შემთხვევები, როდესაც სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა ერთი ან ორივე მონაწილის ნების საწინააღმდეგოდ (მაგალითად, ზიანის მიყენებიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობაში), მაგრამ ყველა ამ შემთხვევაშიც, იმისათვის, რომ სამართლებრივი ურთიერთობა განხორციელდეს, ადამიანებმა უნდა შეასრულონ გარკვეული შეგნებული მოქმედებანი, ნებითი ხასიათის აქტები.

სამართლებრივი ურთიერთობის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დამახასიათებელი ნიშნების განხილვის საფუძველზე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ მისი განსაზღვრება, ანუ ზოგადი ცნება:

სამართლებრივი ურთიერთობა ეწოდება იდეოლოგიური ხასიათის საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომლის მონაწილეებს ერთიმეორის მიმართ გააჩნიათ სამართლის ნორმით განსაზღვრული უფლებანი და მოვალეობანი.

სამართლებრივი ურთიერთობების ღრმად შესწავლა და მათი როლის გარკვევა საზოგადოებრივ ცხოვრებაში შესაძლებელია მხოლოდ ამ ურთიერთობათა სტრუქტურის, შემადგენელი ელემენტების განხილვის შედეგად. ასეთ ელემენტებად ითვლება:

სამართლის სუბიექტი, უფლება და მოვალეობა, სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი.

§2. სამართლის სუბიექტები

სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე შეიძლება იყოს მხოლოდ სამართლის სუბიექტი, რომელიც სამართლის ნორმის საფუძველზე სარგებლობს გარკვეული უფლებებით ან უნდა შეასრულოს რაიმე მოვალეობანი.

ყოველ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში შეიძლება იყოს რამდენიმე სამართლის სუბიექტი, მაგრამ არა ნაკლებ ორისა, ვინაიდან ეს არის ურთიერთობა მხარეებს შორის, პირებს შორის და თუ მათი რიცხვი ორზე ნაკლებია, სამართლებრივ ურთიერთობას არ ექნება ადგილი.

სამართლებრივი ურთიერთობის თითოეულ მონაწილეს, სამართლის სუბიექტს, სამართლის ნორმით შესაძლებელია მინიჭებული ჰქონდეს მხოლოდ უფლება (ამ შემთხვევაში მეორე მონაწილეს დაკისრებული ექნება შესატყვისი მოვალეობა), ან კიდევ, მხოლოდ მოვალეობა (მეორე მონაწილის უფლების შესატყვისად). მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში სამართლის თითოეულ სუბიექტს სამართლებრივ ურთიერთობაში აქვს ერთდროულად გარკვეული უფლებები და გარკვეული მოვალეობებიც.

სამართლის სუბიექტის, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილის ცნების არსებობა დაკავშირებულია თვით სამართლის არსებობასთან, მაგრამ სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში, სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში ამ ცნებაში სხვადასხვა შინაარსი იყო ჩაქსოვილი. სახელდობრ, ყოველთვის ერთნაირი არ იყო სამართლის სუბიექტთა წრე, ვინაიდან განსხვავებანი წარმოებით ურთიერთობათა ტიპში განსაზღვრავდნენ სამართლის ნორმათა კლასობრივ ბუნებას. ხოლო იმისდა მიხედვით, თუ სამართლის რომელი ისტორიული ტიპი არსებობდა, წყდებოდა საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ შეიძლება ყოფილიყო სამართლის სუბიექტი.

მონათმფლობელები ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა - შ ი სამართლის სუბიექტად შეიძლებოდა ყოფილიყვნენ მხოლოდ თავისუფალი მოქალაქეები, პირველ ყოვლისა და უმთავრესად - მონათმფლობელები, აგრეთვე მათი გაერთიანებანი და ორგანიზაციები. მონები არ სარგებლობდნენ არავითარი უფლებებით და არც იურიდიული მოვალეობების მატარებელნი იყვნენ. მონა განიხილებოდა როგორც ნივთი, რომელსაც მონათმფლობელი თავისი შეხედულებისამებრ ეპყრობოდა, შეეძლო მოეკლა კიდევ იგი.

ფ ე ო დ ა ლ უ რ ი წ ე ს წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ი ს პირობებში სამართლის სუბიექტის უფლება-მოვალეობანი იმისდა მიხედვით განისაზღვრებოდა, თუ რომელ წოდებას ეკუთვნოდა იგი და რა ადგილი

ეკავა ფეოდალურ იერარქიულ სისტემაში. მსგავსად მონათმფლობელობისა, აქაც არ არსებობდა თუნდაც ფორმალური თანასწორობა. მართალია, ფეოდალური სამართალი მემამულეს უფლებას არ აძლევდა მოეკლა ყმა, მაგრამ ეს უკანასკნელი ეკონომიკურადაც და იურიდიულადაც დამოკიდებული იყო თავისი ბატონისაგან, რომელსაც შეეძლო მისი ყიდვა-გაყიდვა, გაცვლა და ა.შ.

ამრიგად, სამართლის სუბიექტის ცნება განსხვავებულად არის გაგებული სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში. ამავე დროს, როგორც დავინახეთ, სამართლის სუბიექტის ცნებას ზოგჯერ უფრო ვიწრო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პიროვნების, ადამიანის ცნებას ფეოდალურსა და განსაკუთრებით კი მონათმფლობელურ საზოგადოებაში, სადაც საზოგადოების წევრთა გარკვეული ნაწილი — მონები არ წარმოადგენენ სამართლის სუბიექტებს. ზოგიერთ შემთხვევაში კი სამართლის სუბიექტის ცნება უფრო ფართო გაგებითაა ცნობილი, ვიდრე პიროვნების ცნება, სახელდობრ, მაშინ, როდესაც სამართლის სუბიექტს წარმოადგენენ ადამიანთა გაერთიანებანი, ორგანიზაციები. ასეთი სახის სამართლის სუბიექტები არსებობენ ნებისმიერი საზოგადოებრივი წესწყობილების სახელმწიფოებში, რა თქმა უნდა, გარკვეული სპეციფიკური თავისებურებებით.

თანამედროვე საქართველოს პირობებში სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტებად შეიძლება იყვნენ: მოქალაქენი, აგრეთვე უცხოელები და მოქალაქეობის არმქონე პირები (გარკვეულ ფარგლებში), სახელმწიფო და მისი ორგანოები, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

მოქალაქე, როგორც სამართლის სუბიექტი, გამოდის მეტად მრავალრიცხოვან სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილედ. ეს ურთიერთობები, რომელშიც მოქალაქენი მონაწილეობენ, შეიძლება წარმოიშვას მოქალაქესა და მოქალაქეს შორის (მაგალითად, საოჯახო-საქორწინო სამართლებრივი ურთიერთობანი), მოქალაქესა და სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას შორის (მაგალითად, შრომითი სამართლებრივი ურთიერთობანი), მოქალაქესა და სახელმწიფო ორგანოს შორის (მაგალითად, საარჩევნო უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობანი), მოქალაქესა და საზოგადოებრივ ორგანიზაციას შორის.

მოქალაქეს, კონკრეტულ ადამიანს, რომელიც სამართლის სუბიექტს წარმოადგენს, ახასიათებს უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა.

უფლებაუნარიანობა ეწოდება პირის უნარს, ანუ იურიდიულ შესაძლებლობას, იქონიოს გარკვეული უფლებები და მოვალეობანი, ე.ი. იყოს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე. საქართველოს ყველა მოქალაქე სამართლის თანასწორუფლებიანი სუბიექტია და მათთვის თანაბრადაა დამახასიათებელი უფლებაუნარიანობა.

პიროვნების ე.წ. სამოქალაქო უფლებაუნარიანობა, ე.ი. შესაძლებლობა — იქონიოს სამოქალაქო ანუ ქონებრივი უფლებები და მოვალეობანი, წარმოიშობა მისი დაბადების მომენტში; ეს იმას ნიშნავს, რომ არასრულწლოვანს, ბავშვსაც შეიძლება ჰქონდეს ესა თუ ის ქონებრივი უფლება ან მოვალეობა. მაგალითად, მას აქვს უფლება გახდეს რომელიმე გარდაცვლილი ნათესავის ქონების მემკვიდრე. სამოქალაქო უფლებაუნარიანობით სარგებლობს ყველა მოქალაქე განურჩევლად ასაკისა, სქესისა, სარწმუნოებისა, სოციალური წარმოშობისა, რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა. სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე ადამიანს, რომელიც სამოქალაქო უფლებაუნარიანობით სარგებლობს, ფიზიკურ პირს უწოდებენ.

საქართველოს მოქალაქის უფლებაუნარიანობის ცნება სამოქალაქო უფლებაუნარიანობის ცნებაზე უფრო ფართოა და ქონებრივი უფლება-მოვალეობის გარდა შეიცავს უამრავ პოლიტიკურ, შრომითსა და პირად უფლებებს, ისევე როგორც მოვალეობებს. ასეთ სამართლებრივ ურთიერთობებში უფლებაუნარიანობა, როგორც წესი, შეზღუდულია უმთავრესად პიროვნების ასაკით, მაგალითად, არჩევნების დროს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება მოქალაქეთვის იწყება 18 წლის ასაკიდან, ისევე როგორც უფლება — არჩეულ იქნეს სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში, ხოლო რესპუბლიკის პარლამენტში — 25 წლის ასაკიდან. ასევე, გარკვეულ ასაკთანაა დაკავშირებული შრომის-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობა. ჩვენს ქვეყანაში შრომის ხელშეკრულების დადება შეუძლია პიროვნებას 16 წლის

ასაკიდან (რა თქმა უნდა, მოზარდთათვის სათანადო შეღავათების დაწესებით); ე.ი. ამ დროიდან აქვს მას შრომითი უფლებები და მოვალეობები და, როგორც სამართლის სუბიექტი, შეიძლება გახდეს შრომის-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით, სამუშაოზე შეიძლება მიიღონ ის პირები, რომლებსაც 15 წელი შეუსრულდათ, ხოლო საშუალო სასწავლებლების 14 წელს მიღწეული მოსწავლეები მშობლის თანხმობით – სწავლისაგან თავისუფალ დროს.

ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა ისპობა მის გარდაცვალებასთან ერთად. სამოქალაქო სამართალში უფლებაუნარიანობა შეწყვეტილად ითვლება აგრეთვე პიროვნების „უკვალოდ დაკარგვის“ შემთხვევაში. ასეთად კი, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ცხადია, დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, შეიძლება აღიარებულ იქნეს ფიზიკური პირი, რომლის ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის მანძილზე იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას.

საქართველოს მოქალაქეთა გარდა, საქართველოს ტერიტორიაზე გარკვეულ ფარგლებში უფლებაუნარიანობით სარგებლობენ და ამ ფარგლებში სამართლის სუბიექტებს წარმოადგენენ უ ც ხ ო ე ლ ე ბ ი ც და მოქალაქეობის არმქონე პირებიც. მათი სამოქალაქო, ქონებრივი ხასიათის უფლებაუნარიანობა ძირითადად ისეთივეა, როგორც საქართველოს მოქალაქეებისა და თითქმის არაფრით არაა შეზღუდული. რაც შეეხება უფლებაუნარიანობას უფრო ფართო გაგებით (პოლიტიკური, ზოგიერთი შრომითი, პირადი უფლებამოვალეობების უნარის თვალსაზრისით), – ამ მხრივ, ცხადია, ისინი საქართველოში არ შეიძლება იყვნენ გათანაბრებულნი ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებთან (მაგალითად, საარჩევნო უფლებებში, სამხედრო ვალდებულების მოხდაში და სხვ.).

სამართლის სუბიექტს, თითოეულ მოქალაქეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უფლებაუნარიანობის გარდა, ახასიათებს ქმედუნარიანობა.

ქმედუნარიანობა ეწოდება პირის უნარს თავისი ნებითა და მოქმედებით განახორციელოს მინიჭებული უფლებები და დაკისრებული მოვალეობები. უფლებაუნარიანობისაგან განსხვავებით ქმედუნარიანობა სრული

მოცულობით გააჩნია არა ყველა ადამიანს, არამედ მხოლოდ ისეთებს, რომლებსაც თავისი ასაკობრივი და გონებრივი მდგომარეობის გამო შესაძლებლობა აქვთ შეგნებულად შეაფასონ და განსაზღვრონ საკუთარი მოქმედების მნიშვნელობა და შედეგები.

ბავშვები 7 წლის ასაკამდე თუმცა უფლებაუნარიანი არიან, ე.ი. შესაძლებელია ჰქონდეთ უფლებები და მოვალეობები, მაგრამ მათ არ გააჩნიათ ქმედუნარიანობა, ე.ი. არ შეუძლიათ თვითონ, თავიანთი ნებითა და მოქმედებით განახორციელონ ეს უფლება-მოვალეობანი; ასეთ შემთხვევაში, როდესაც კანონით დადგენილი ასაკის მიუღწევლობის გამო სამართლის სუბიექტს არა აქვს ქმედუნარიანობა, ბავშვების უფლებებსა და მოვალეობებს განახორციელებენ მათი მშობლები და მეურვეები.

კანონით აგრეთვე დადგენილია ქმედუნარიანობის შეზღუდვა არასრულწლოვანთათვის 7-დან 18 წლამდე. ამ ასაკის პირები ნაწილობრივ ქმედუნარიანნი არიან, ე.ი. სარგებლობენ შ ე ზ ლ უ დ უ ლ ი ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ქ მ ე დ უ ნ ა რ ი ა ნ ო ბ ი თ; იურიდიული ხასიათის სხვადასხვა მოქმედებანი მათ მიერ უნდა სრულდებოდეს მშობლების, შვილად ამყვანთა, მეურვეების ან მზრუნველების თანხმობით, მაგრამ რიგ შემთხვევაში დამოუკიდებლადაც შეუძლიათ განახორციელონ თავიანთი უფლება-მოვალეობანი. სახელდობრ, დაღონ ან შეწყვიტონ შრომითი ხელშეკრულება, განკარგონ მიღებული ხელფასი, სტიპენდია და შემნახველ ბანკში თავიანთ სახელზე შეტანილი ანაბრები, აგრეთვე, ამავე ფარგლებში პასუხო აგონ იმ ზიანისათვის, რასაც სხვა პირებს მიაყენებენ.

18 წლის ასაკს მიღწეული ადამიანი, როგორც სრულწლოვანი მოქალაქე, სამართლის ქმედუნარიან სუბიექტს წარმოადგენს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში კანონით დაწესებული საფუძვლის არსებობისას სრულწლოვანი პირიც შეიძლება ცნობილ იქნეს არაქმედუნარიანად, სახელდობრ, მაშინ, თუ იგი სულით ავადმყოფი ან გონებასუსტია. ცხადია, ასეთი ადამიანები სარგებლობენ სამოქალაქო უფლებაუნარიანობით, ე.ი. გააჩნიათ ქონებრივი უფლებები და მოვალეობანი, მაგრამ საკუთარი ნებითა და მოქმედებით მათი განხორციელება არ შეუძლიათ. სულით ავადმყოფების ქონებრივ უფლება-მოვალეობებს მათ მაგიერ

ახორციელებენ ის პირები ან ორგანოები, რომლებსაც დაკისრებული აქვთ მათზე მზრუნველობა.

ყველა სხვა შემთხვევაში უფლებაუნარიანი სრულწლოვანი ადამიანი, ამავე დროს, ქმედუნარიანიცაა და წარმოადგენს სამართლის სუბიექტს, რომელსაც გააჩნია იურიდიული შესაძლებლობა — იქონიოს უფლება-მოვალეობანი და კიდევ აქვს უნარი საკუთარი ნებითა და მოქმედებით განახორციელოს ისინი.

გარდა მოქალაქეებისა — ფიზიკური პირებისა, სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილენი და, მამასადაამე, სამართლის სუბიექტები არიან სხვადასხვა გაერთიანებები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და ა.შ., მათი დანიშნულებისა და ამოცანების შესაბამისად, ამა თუ იმ საქმიანობის განხორციელების პროცესში. სამართლის ამგვარ სუბიექტებს მიკუთვნებული აქვთ შესაბამისი უფლებები და აკისრიათ გარკვეული მოვალეობანი. ისინი სხვადასხვა სახის სამართლებრივი ურთიერთობების (სახელმწიფო-სამართლებრივი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი, შრომის-სამართლებრივი და სხვ.) მონაწილეებად გამოდიან და სამართლის ნორმებით დადგენილ ფარგლებში ახორციელებენ უფლება-მოვალეობებს.

იურიდიული მეცნიერების წარმომადგენელთა უმრავლესობის საწინააღმდეგოდ, მათი ნაწილი იურიდიულ პირს უწოდებს სამართლის ყველა სუბიექტს (გარდა მოქალაქეებისა, ე.ი. ფიზიკური პირებისა), რომელნიც სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობენ, მათ შორის სახელმწიფოსაც მთლიანად. რა თქმა უნდა, კლასიფიკაციის სიმარტივის მიზნით, სამართლის ყველა სუბიექტის დაყოფა ფიზიკურ პირებად, ე.ი. მოქალაქეებად და იურიდიულ პირებად (დაწესებულებანი, ორგანიზაციები და სამართლის ყველა სხვა სუბიექტი), არ იქნებოდა დიდი შეცდომა. მაგრამ მოქმედ კანონმდებლობაში მხოლოდ სამოქალაქო სამართლის ნორმებშია მითითებული იურიდიულ პირზე, როგორც უმთავრესად ქონებრივი სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეზე; ამიტომ უფრო სწორი იქნება, თუ იურიდიული პირის ცნებაში სწორედ იმ სამეურნეო ხასიათის სახელმწიფო ან კოოპერაციულ დაწესებულება-ორგანიზაციებს ვიგულისხმებთ, რომლებიც სამოქალაქო სამართლის

დარგში გვხვდებიან, ე.ი. ქონებრივ-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტების სახით.

სამოქალაქო სამართლის კოდექსში შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული იურიდიული პირის ცნება: „იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთარი ქონების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ“. /მუხლი 24/.

თითოეულ იურიდიულ პირს აქვს უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა. იურიდიული პირების უფლებაუნარიანობას სპეციალური უფლებებანობა უწოდებენ, ვინაიდან მისი მოცულობა განისაზღვრება იმ კონკრეტული მიზნებითა და ამოცანებით, რომლებმაც განაპირობეს იურიდიული პირის შექმნა და რომლებიც განსაზღვრულია იურიდიული პირის წესდებით ან სპეციალური ნორმატიული აქტით.

იურიდიული პირის ქმედუნარიანობაც, ე.ი. უნარი თვითონ განახორციელოს მინიჭებული უფლება-მოვალეობანი, გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. იმის გამო, რომ იურიდიული პირი, როგორც ფიზიკურ პირთა გაერთიანება – დაწესებულება, ორგანიზაცია, თვითონ უშუალოდ ვერ იმოქმედებს და ვერ შეასრულებს ნებითი ხასიათის აქტებს, – მისი უფლება-მოვალეობების განხორციელება ხდება იმ ადამიანების მიერ, რომლებიც იურიდიული პირის ხელმძღვანელ ორგანოებს შეადგენენ (მმართველი, დირექტორი, გამგეობა და ა.შ.), აგრეთვე, სპეციალური თანამდებობის პირების – ამ ორგანიზაციათა იურისკონსულტების მიერ.

ფიზიკური პირებისაგან განსხვავებით, იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა განუყოფელია. თუ ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა ქმედუნარიანობაზე ადრე იწყება ან კიდევ უფლებაუნარიან ადამიანს შეიძლება არ ჰქონდეს ქმედუნარიანობა, იურიდიულ პირს უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა ერთდროულად ახასიათებს, თანაც მთელი იმ დროის განმავლობაში, სანამ იურიდიული პირი არსებობს.

სამართლის სუბიექტის უფლებაუნარიანობას და ქმედუნარიანობას, რომელთა შინაარსი და მოცულობა სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართლებრივი ნორმებით განისაზღვრება, ერთობლიობაში ს ა მ ა რ თ ა ლ ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ო ბ ა ს უწოდებენ. იგი თავდაპირველად, ამა თუ იმ სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილეების მხოლოდ პოტენციურ შესაძლებლობას წარმოადგენს კონკრეტული უფლებებისა და მოვალეობების შექმენისათვის, ხოლო რეალობად იქცევა შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობის დამყარებასთან დაკავშირებით.

§3. უფლება და მოვალეობა, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტები

სამართლებრივი ურთიერთობის ცნების განსაზღვრისას აღნიშნული იყო, რომ მის მონაწილეებს გააჩნიათ სამართლის ნორმით დადგენილი უფლებები და მოვალეობები და, რომ თითოეული მხარის უფლებას შეესაბამება მეორე მხარის მოვალეობა.

უფლება ეწოდება სამართლის სუბიექტის შესაძლებლობას სამართლის ნორმის საფუძველზე შეასრულოს გარკვეული მოქმედება, ან მოსთხოვოს სხვა პირს რაიმე მოქმედების შესრულება. იმდენად, რამდენადაც სუბიექტის ეს შესაძლებლობა სამართლის ნორმითაა განსაზღვრული, იგი სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი, გარანტირებული შესაძლებლობაა. უფლება ამგვარი გაგებით წარმოუდგენელია სამართლებრივი ურთიერთობის გარეშე, ვინაიდან მხოლოდ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში ხდება სუბიექტის უფლების რეალიზაცია და იქმნება სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის შესაძლებლობა.

აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ უფლება, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი ელემენტი, განსხვავდება უფლებაუნარიანობისაგან. უფლებაუნარიანობა, ე.ი. შესაძლებლობა, იქონიოს უფლებები (და მოვალეობებიც), სამართლის ყოველ

სუბიექტს გააჩნია, ხოლო უფლებას ეს უკანასკნელი იძენს კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის დამყარებისას. ამასთან, უფლების შესატყვისი მოვალეობის შესრულების მოთხოვნა შეიძლება მიმართული იყოს კონკრეტული პირების მიმართ ან პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ. მაგალითად, საკუთრების უფლებას ან საავტორო უფლებას შეესაბამება არა მარტო კონკრეტულ პირთა მოვალეობები, არამედ სამართლის ყველა სუბიექტის მოვალეობა — თავი შეიკავონ მესაკუთრის ან ავტორის უფლებების დარღვევისაგან და პატივი სცენ ამ უფლებებს.

მოვალეობა ეწოდება სამართლის სუბიექტის ისეთ სავალდებულო ქცევას (მოქმედებას ან მოქმედების აგანთავის შეკავებას), რომელიც მან უნდა შეასრულოს უფლებამოსილი პირის მოთხოვნით, სამართლის ნორმის საფუძველზე.

იურიდიული მოვალეობა, ისევე როგორც უფლება, სამართლებრივი ურთიერთობის შემადგენელი ელემენტია და უფლებასთან ერთად სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს შეადგენს.

სამართლებრივ ურთიერთობაში, მის მონაწილეთა უფლება და მოვალეობა, როგორც უკვე აღინიშნა, ერთიმეორის გარეშე არ არსებობენ და ერთიმეორეს განაპირობებენ. თუკი რომელიმე პირს წარმოეშვა უფლება, მაშასადამე, შესაბამისი მოვალეობა გაუჩნდა მეორე პირს. ეს გარემოება არ ნიშნავს იმას, თითქოს სამართლებრივ ურთიერთობაში ერთ მხარეს მხოლოდ უფლებები აქვს, ხოლო მეორე მხარეს მხოლოდ მოვალეობები. პირიქით, ასეთი მარტივი სახის ურთიერთობებს შედარებით ნაკლებად აქვს ადგილი; უმრავლეს შემთხვევაში კი სამართლის სუბიექტს მეორე სუბიექტის მიმართ, უფლებასთან ერთად, გააჩნია გარკვეული მოვალეობაც, რომელიც მეორე სუბიექტის უფლებას შეესაბამება. მაგალითად, ბინის ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე დამყარებულ სამართლებრივ ურთიერთობაში ერთ მხარეს, დამქირავებელს უფლება აქვს მოითხოვოს გამქირავებლისაგან საცხოვრებელი ფართობის გადაცემა, კაპიტალური რემონტის ჩატარება და სხვ.,

ხოლო მეორე მხრივ, იგი ვალდებულია დროულად გადაუხადოს გამქირავებელს ბინის ქირა, გაუფრთხილდეს საცხოვრებელ ბინას, ჩაატაროს მიმდინარე რემონტი და სხვ.

§4. სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი

სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტის საკითხი ერთ-ერთი ყველაზე რთული და სადავოა სამართლის თეორიის მეცნიერებაში. დავას და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, ჯერ ერთი, ის გარემოება, თუ რა წარმოადგენს ამ პრობლემის საგანს – სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი, სამართლის ობიექტი თუ უფლებამოვალეობის ობიექტი; გარდა ამისა – რა კატეგორიის მოვლენა შეადგენს სამართლებრივი ურთიერთობის (სამართლის თუ უფლებამოვალეობის) ობიექტს, დაბოლოს – რა სახის ობიექტები არსებობენ.

იურიდიულ მეცნიერებაში გავრცელებულია შეხედულება, რომლის მიხედვითაც სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტად ითვლება ყოველივე ის, რის გამოც იქმნება ეს ურთიერთობა, ხოლო ასეთ ობიექტებს, მათი აზრით, წარმოადგენენ ნივთები და სხვა მატერიალური სიკეთენი, აგრეთვე – არამატერიალური სიკეთენი (ავტორობა, ღირსება და სხვ.) და, გარდა ამისა, მოქმედება ან მოქმედებისგან თავის შეკავება.

სამართლებრივ ურთიერთობათა ობიექტის ამგვარი განსაზღვრა და კლასიფიკაცია შესაძლებლობას არ იძლევა ობიექტის ერთიანი და ზუსტი ცნების ჩამოყალიბებისათვის, ვინაიდან ობიექტების სახით გაერთიანებულია სრულიად სხვადასხვა კატეგორიის მოვლენები. ამიტომ მეცნიერ-იურისტების გარკვეული ნაწილის მიერ ეს კლასიფიკაცია ობიექტის ზოგად ცნებად არ არის ჩათვლილი.

თუ აღნიშნულ მოსაზრებას გავიზიარებთ, სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკურობის, მისი შინაარსისა და მონაწილეთა შემადგენლობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იქნება ასეთი ურთიერთობის ობიექტის შემდეგი ცნების დადგენა:

ს ა მ ა რ თ ლ ე ბ რ ი ვ ი უ რ თ ი ე რ თ ო ბ ი ს ო ბ ი ე ქ ტ ს წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს ს ა მ ა რ თ ლ ი ს ს უ ბ ი ე ქ ტ თ ა ი ს ე თ ი ქ ც ე ვ ა (მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ა ნ

უმოქმედობის სახით), რაზეც მიმართულ იქნა ეს ურთიერთობა.

როგორც ცნობილია, სამართლის ნორმის შემოქმედება ვრცელდება ადამიანთა ნებითი ხასიათის ქცევაზე და ამდენად ნორმის მოქმედების ობიექტია პირის ქცევა ზოგადად. ხოლო სამართლებრივი ურთიერთობის შემოქმედების ობიექტია უკვე კონკრეტული სუბიექტების ქცევა ნორმის საფუძველზე დამყარებულ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში. იმის გამო, რომ სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს შეადგენენ სუბიექტების უფლებები და მოვალეობები, ე.ი. შესაძლებლობა და ვალდებულება გარკვეული მოქმედების შესრულებისა, — სწორედ ეს მოქმედება (ან მოქმედებისაგან თავის შეკავება) წარმოადგენს სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტს.

რაც შეეხება ნივთებს, არამატერიალურ სიკეთეს და ა.შ. რომლებსაც ზოგჯერ ქცევის გარეგან ობიექტებს უწოდებენ, ისინი არ უნდა ჩაითვალოს სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტებად, გარდა შემოადინიშნულისა, იმიტომაც, რომ ნივთები ყველა ხაზის სამართლებრივ ურთიერთობაში არ არსებობენ. ხოლო ისეთ ურთიერთობებში, სადაც მხარეთა ქცევას — მოქმედებას თუ უმოქმედობას ადგილი აქვს ნივთის (ქონებრივი ხასიათის ურთიერთობებში), სულიერი შემოქმედების პროდუქტების (საავტორო და საგამომგონებლო უფლებიდან გამომდინარე ურთიერთობებში) თაობაზე, — ნივთები, სულიერი შემოქმედების პროდუქტები, არამატერიალური სიკეთენი და ა.შ. წარმოადგენენ მხოლოდ სუბიექტების უფლებათა (და შესაბამის მოვალეობათა) საგანს, ანუ, შეიძლება ითქვას, რომ ამ უფლება-მოვალეობის ობიექტს. მაგალითად. შენობის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობაში, შენობა შეადგენს მყიდველისა და გამყიდველის ქცევის, მათი გარკვეული მოქმედების საგანს, მათი უფლება-მოვალეობის ობიექტს, ხოლო თვით ამ სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტია ის ქცევა, ის მოქმედება, რაც უნდა აწარმოონ მისმა მონაწილეებმა შენობაზე საკუთრების უფლების ერთი პირისაგან მეორეზე გადაცემასთან დაკავშირებით.

§5. იურიდიული ფაქტები

სამართლებრივი ურთიერთობების სპეციფიკურობა, როგორც უკვე აღნიშნული იყო, მდგომარეობს იმაში, რომ ისინი სამართლის ნორმების საფუძველზე, მათი განხორციელების შედეგად წარმოიშობიან. მაგრამ სამართლის ნორმის არსებობა თავისთავად არ ქმნის კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობას კონკრეტული სუბიექტებით და მათი უფლება-მოვალეობებით.

ასეთი კონკრეტული ურთიერთობა შეიძლება დამყარდეს მხოლოდ თვით ნორმით გათვალისწინებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში, მაგრამ უკვე დამყარებული სამართლებრივი ურთიერთობების შეწყვეტა ან მათი შეცვლა დაკავშირებულია გარკვეულ გარემოებებზე, რომლებიც აგრეთვე ნორმით არიან გათვალისწინებულნი, ან ნორმის შინაარსით იგულისხმებიან.

ს ს ვ ა დ ა ს ს ვ ა გ ა რ ე მ ო ე ბ ე ბ ს, რ ო მ ე ლ თ ა
ა რ ს ე ბ ო ბ ა ს თ ა ნ და კ ა ვ შ ი რ ე ბ უ ლ ი ა ს ა მ ა
რ თ ლ ე ბ რ ი ვ ი უ რ თ ი ე რ თ ო ბ ი ს წ ა რ მ ო შ ო ბ ა,
შ ე ც ვ ლ ა ა ნ შ ე წ ყ ვ ე ტ ა, ი უ რ ი დ ი უ ლ ი ფ ა ქ
ტ ე ბ ი ე წ ო დ ე ბ ა.

იურიდიული ფაქტის გარეშე სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა შეუძლებელია. მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს იურიდიული ფაქტები სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის მიზეზებს წარმოადგენენ. ასეთ მიზეზებად, ანუ წყაროებად, როგორც ცნობილია, საბოლოო ანგარიშით, ითვლება საზოგადოების ცხოვრების მატერიალური პირობები და სხვა გარემოებები, რომლებიც განსაზღვრავენ საერთოდ სამართლისა და სამართლებრივი ნორმების შინაარსს.

სამართლის ნორმით რეგულირებული სამართლებრივი ურთიერთობა კონკრეტულ პირებს შორის ურთიერთობის სახით არ წარმოიშობა, სანამ არ დადგება ამ ნორმითვე განსაზღვრული რაიმე იურიდიული ფაქტი. მანამდე კი სამართლებრივი ურთიერთობა მხოლოდ შესაძლებელი მოვლენის, სუბიექტებს შორის შესაძლებელი ურთიერთდამოკიდებულების, მათი შესაძლებელი უფლება-მოვალეობების სახით არსებობს. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ იურიდიული

ფაქტი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის ერთგვარი წანამძღვარი, აუცილებელი წინაპირობაა. ხოლო თითოეული სახის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისათვის აუცილებელი ფაქტორივი გარემოებები, ანუ იურიდიული ფაქტები სამართლის ნორმის ჰიპოთეზაშია განსაზღვრული ისეთი სიტყვებით და ცნებებით, როგორიცაა, მაგალითად: ჩადენილი პირველად, განმეორებით, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, აუცილებელი მოგერიებით ან უკიდურესი აუცილებლობით.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ამა თუ იმ გარემოებას თავისთავად კი არ ახასიათებს იურიდიული ფაქტის თვისებები, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც კონკრეტულ შემთხვევაში სამართლის ნორმა თვლის მათ იურიდიულ ფაქტებად. ამიტომ ხშირია შემთხვევა, როდესაც ერთი და იგივე ფაქტორივი გარემოება რომელიმე სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისათვის იურიდიული ფაქტის როლს ასრულებს, ხოლო მეორე ურთიერთობისათვის ამავე ფაქტს არავითარი იურიდიული მნიშვნელობა არა აქვს.

იურიდიული ფაქტის ცნება მოიცავს უამრავ საზოგადოებრივ და ბუნების მოვლენებს, სხვადასხვა სახის გარემოებებს, რომელთა კლასიფიკაცია ამა თუ იმ ნიშნის საფუძველზე წარმოებს. მაგალითად, ნებელობითი ნიშნით, იურიდიული შედეგების ნიშნით, სამართლის ცალკეული დარგისადმი დამოკიდებულების ნიშნით და სხვ., მაგრამ ყველაზე უფრო დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს იურიდიული ფაქტების კლასიფიკაციას ნებელობითი ნიშნის საფუძველზე, ე.ი. იმისდა მიხედვით, მათი დადგომა დამოკიდებულია ადამიანის ნებაზე თუ მისი ნებისაგან დამოუკიდებელია.

ისეთ იურიდიულ ფაქტებს, რომლებიც ადამიანების ნების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად წარმოიშობიან, ხდომილებანი ეწოდებათ. ხოლო ისეთი იურიდიული ფაქტები, რომელთა წარმოშობა ადამიანის ნებაზეა დამოკიდებული, მოქმედებად ითვლება.

ხ დ ო მ ი ლ ე ბ ა, საერთოდ, ბუნების მოვლენები და ბუნებრივი პროცესებია, რომლებსაც მაშინ მიეცემა იურიდიული

მნიშვნელობა, როდესაც ისინი გარკვეულ გავლენას ახდენენ სამართლის ნორმებით რეგულირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე. იურიდიული ფაქტის მნიშვნელობით ხდომილებას შეიძლება წარმოადგენდეს ადამიანის დაბადება, მისი ბუნებრივი სიკვდილი, ავადმყოფობა, განსაზღვრული ასაკის მიღწევა, დროის გარკვეული ვადა, სტიქიური ძალა (წყალდიდობა, ხანძარი, მეხის დაცემა, მიწისძვრა და ა.შ.). მაგალითად, თუ ხანძრის, მეხის დაცემის ან სხვა სტიქიური უბედურების შედეგად დაიღუპა დაზღვეული ნაგებობა, ეს გარემოება, როგორც იურიდიული ფაქტი, გამოიწვევს სათანადო ნორმებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას ნაგებობის მესაკუთრესა და დამზღვევ ორგანოებს შორის; დროის გარკვეული მონაკვეთის (ხანდაზმულობის ვადის) გასვლის შემდეგ დაინტერესებულ პირს ეკარგება სასამართლოში სარჩელის წარდგენის უფლება; პიროვნების გარდაცვალების შემდეგ მის ახლო ნათესავებს წარმოეშობათ მემკვიდრეობის უფლება და ა.შ.

შოქმედება (უფრო ზუსტად, იურიდიული მოქმედება) ნებისმიერი აქტის, ადამიანის შეგნებული ქცევაა, რომელიც საზოგადოებრივ და არა ბუნებრივ მოვლენათა რიგს მიეკუთვნება. იურიდიული მოქმედებანი, როგორც იურიდიული ფაქტების ერთ-ერთი სახე, თავის მხრივ, რამდენიმე ჯგუფად იყოფა.

პირველ ყოვლისა, ერთიმეორისაგან განასხვავებენ მართლზომიერ და არამართლზომიერ მოქმედებას.

მართლზომიერად ჩაითვლება ისეთი იურიდიული მოქმედება, რომელიც სამართლის ნორმის მოთხოვნას შეესაბამება და მოქმედ ნორმებს არ ეწინააღმდეგება. ამიტომ, კანონის საფუძველზე დადებული ყოველი გარიგება, ხელშეკრულება, მართლზომიერ იურიდიულ მოქმედებას წარმოადგენს და იურიდიული ფაქტის როლს ასრულებს. არამართლზომიერად, ანუ მართლსაწინააღმდეგოდ ჩაითვლება ისეთი მოქმედება, რომელიც არღვევს სამართლის ნორმას და ნორმების საფუძველზე დადგენილ მართლწესრიგს. ამ უკანასკნელი სახის ქმედებანი თავისი შინაარსით სამართლის დარღვევას წარმოადგენენ და, როგორც ცნობილია, იყოფიან სისხლის-სამართლებრივ, ადმინისტრაციულ, დისციპლინურ და სამოქალაქო-სამართლებრივ დარღვევებად. ყოველი ასეთი არამა-

რთლზომიერი მოქმედებანიც იურიდიულ ფაქტებს წარმოადგენენ.

ნებელობითი ნიშნის გარდა, როგორც უკვე აღინიშნა, იურიდიული ფაქტების კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს მათი იურიდიული შედეგების მიხედვით. ამ ნიშნის საფუძველზე იურიდიული ფაქტები იყოფა სამ ჯგუფად: გარემოებანი, რომლებიც იწვევენ სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას; გარემოებანი, რომლებიც იწვევენ სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტას და გარემოებანი, რომლებიც იწვევენ სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლას (ეს შეცვლა შეიძლება შეეხებოდეს როგორც ურთიერთობის მონაწილეებს, ასევე მათი უფლებებისა და მოვალეობების შინაარსს).

რა თქმა უნდა, შედეგების მიხედვით, იურიდიული ფაქტების კლასიფიკაცია შედარებით მარტივია და არ წარმოადგენს თეორიულ პრობლემას, მაგრამ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს; მით უმეტეს, რომ ერთმა და იმავე გარემოებამ შეიძლება გამოიწვიოს ერთი სახის ურთიერთობის წარმოშობა, მეორე სახის ურთიერთობის შეცვლა და მესამე სახის ურთიერთობის შეწყვეტა.

ამრიგად, თითოეული იურიდიული ფაქტი, რა სახისაც არ უნდა იყოს იგი, იწვევს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას, მაგრამ ხშირად სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისათვის საჭიროა არა ერთი, არამედ ერთდროულად რამდენიმე იურიდიული ფაქტის არსებობა. ამ ფაქტების ერთობლიობას სამართლის ლიტერატურაში უწოდებენ ფაქტობრივ შემადგენლობას, ხოლო თითოეულ იურიდიულ ფაქტს, რომელსაც იგი შეიცავს – ფაქტობრივი შემადგენლობის ელემენტებს. მაგალითად, მოქალაქესა და საპენსიო განყოფილებას შორის, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მოხუცებულობის გამო პენსიის მიღების თაობაზე გარკვეული ურთიერთობის წარმოშობისათვის, ფაქტობრივი შემადგენლობის შემდეგი ელემენტები უნდა არსებობდეს: პიროვნებამ უნდა მიაღწიოს გარკვეულ ასაკს, ჰქონდეს სათანადო შრომითი სტაჟი, განცხადებით მიმართოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოს და სხვ.

აღსანიშნავია, და მოყვანილი მაგალითებიდანაც ჩანს, რომ ფაქტობრივი შემადგენლობა შეიძლება შეიცავდეს ერთდროულად

სხვადასხვა სახის იურიდიულ ფაქტს (ე.ი.ხდომილებასაც და მოქმედებასაც), სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა კი მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზე იქნება ნორმით გათვალისწინებული ფაქტობრივი შემაღგენლობის ყველა ელემენტი, ე.ი. ყველა იურიდიული ფაქტი.

მ ე ც ხ რ ე თ ა ვ ი

სამართლის სისტემა

§ 1. სამართლის სისტემის ცნება და პრინციპები

ყოველი ქვეყნის, ყოველი ისტორიული ტიპის სხვადასხვა სახელმწიფოში მოქმედი სამართალი შეიცავს უამრავ სამართლებრივ ნორმებს, ე.ი. ადამიანთა სავალდებულო ქცევის წესებს. ეს ნორმები შეეხებიან და არეგულირებენ სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ ურთიერთობებს და, მამასადამე, მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავისი შინაარსით. სხვადასხვაგვარია აგრეთვე ის ფორმები, რომლებშიც გამოხატულია სამართლებრივი ნორმები; მაგრამ მიუხედავად ამგვარი განსხვავებისა, ნებისმიერი ისტორიული ტიპის თითოეულ სახელმწიფოში მოქმედ სამართლებრივ ნორმებს ახასიათებს გარკვეულ ურთიერთკავშირი და ერთიანობა, ურთიერთგანპირობებულობა და შეთანხმებულობა, საერთო საფუძველი და ძირითადი პრინციპები. ეს აიხსნება ყოველი ქვეყნის ერთიანი ეკონომიკური ბაზისით, კონკრეტული გაბატონებული კლასის ან გაბატონებული ფენის ნება-სურვილით, აგრეთვე სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა და სახელმწიფო წყობილების არსებული ფორმებით. სამართლის მოქმედი ნორმები კი, და, მამასადამე, მთლიანად მათი კრებადობა — ამა თუ იმ ქვეყნის სამართალი, შეადგენენ განსაზღვრულ სისტემას, რომელიც აგებულია გარკვეული პრინციპების საფუძველზე და რომელსაც მისთვის დამახასიათებელი შინაგანი სტრუქტურა გააჩნია. სამართლის სისტემისათვის დამახასიათებელია არა მარტო იურიდიულ ნორმათა შინაგანი ერთიანობა და ურთიერთშეთანხმებულობა. იმის გამო, რომ ყოველ სახელმწიფოში სამართლის მიერ რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობანი მეტად მრავალფეროვანი და ერთმანეთისაგან განსხვა-

გებულა, სამართლის ნორმებიც, მიუხედავად მათი შინაგანი ერთიანობისა და საერთო პრინციპებზე დაყრდნობისა, მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან და სამართლის საერთო სისტემაში სხვადასხვა ადგილი უკავიათ.

სწორედ ამიტომ, ყოველი სახელმწიფოს სამართლის სისტემა გულისხმობს, თავისი სოციალური ბუნებით და სახელმძღვანელო პრინციპების თვალსაზრისით, ერთიანი სამართლის დაყოფას ცალკეულ შემადგენელ ნაწილებად — სამართლის დარგებად და იურიდიულ ინსტიტუტებად.

სამართლის დარგი ეწოდება თითოეულ ქვეყანაში მოქმედ იმ იურიდიულ ნორმათა გარკვეულ ჯგუფს რომლებიც არეგულირებენ საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთ განსაზღვრულ სფეროს

სამართლის ცალკეული დარგის არსებობისათვის აუცილებელია, რომ ამ დარგში შემავალი ნორმებით რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობანი შეეხებოდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ რომელიმე მხარეს და შეადგენდნენ ურთიერთობათა ისეთ სპეციფიკურ კომპლექსს, რომელიც თავისი შინაარსით განსხვავდება საზოგადოებრივი ურთიერთობების სხვა კომპლექსებისაგან, სხვა სფეროებისაგან. მაგალითად, იმის შესაბამისად, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეს შეეხებიან და ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, საფინანსო, საოჯახო, ადმინისტრაციული და სხვა საზოგადოებრივი ურთიერთობანი, — მათი მარეგულირებელი იურიდიული ნორმები შეადგენენ ცალ-ცალკე დარგებს: საფინანსო სამართლის, საოჯახო სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის და ა.შ.

სამართლის სისტემის დანიშნულებაა სწორედ სამართლის ყოველ დარგში შემავალი ნორმებისა და, მაშასადამე, ამ ნორმებით რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროს განსაზღვრა, თითოეული დარგის გამიჯვნა სამართლის სხვა დარგებისაგან და ამ დარგებთან მისი ურთიერთკავშირის დადგენა. მაგრამ სამართლის დარგის შიგნით არსებობს იურიდიულ ნორმათა გარკვეული დიფერენციაცია და დაყოფა უფრო მცირე ნაწილებად.

ჯგუფებად, რომლებიც არეგულირებენ ამ ურთიერთობათა უფრო ვიწრო, ერთგვაროვან სახეებს. სამართლის ამგვარი ნორმები შეადგენენ ე.წ. იურიდიულ, ანუ სამართლებრივ ინსტიტუტებს.

ამრიგად, სამართლებრივი ინსტიტუტი ეწოდება ისეთი იურიდიული ნორმების ერთობლიობას რომლებიც სამართლის ამათუიმ დარგის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ და არეგულირებენ საზოგადოებრივი ურთიერთობის ცალკეული სფეროს ერთ კონკრეტულ მხარეს ერთგვაროვან და ორგანულად ერთმანეთთან დაკავშირებულ ურთიერთობებს ასე, მაგალითად, სახელმწიფო სამართლის დარგი მოიცავს საარჩევნო სისტემის, მოქალაქეთა უფლებებისა და მოვალეობების, პოლიტიკური თავშესაფრის უფლებისა და სხვა ინსტიტუტებს; საოჯახო სამართლის დარგი — ქორწინებისა და განქორწინების, შვილად აყვანის, მეურვეობის, მზრუნველობისა და სხვა ინსტიტუტებს; სამოქალაქო სამართლის დარგი — საკუთრების, მემკვიდრეობის, ვალდებულების უზრუნველყოფისა და სხვა ინსტიტუტებს.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, სამართლის სისტემა არ ნიშნავს ერთ სახელმწიფოში მოქმედ ყველა იურიდიულ ნორმათა უბრალო კრებადობას და მექანიკურ შეერთებას. პირიქით, იგი გულისხმობს გარკვეული პრინციპების საფუძველზე ნორმათა დაყოფას და დანაწილებას ცალკეულ დარგებად, ინსტიტუტებად, ამ დარგებისა და ინსტიტუტების განსაზღვრული წესის მიხედვით დაჯგუფებას და დალაგებას, თითოეული დარგისათვის თავისი ადგილის მიჩენას მოცემული სახელმწიფოს სამართლებრივ ნორმათა მთელ ერთობლიობაში.

ამრიგად, სამართლის სისტემის შესახებ ყოველივე ზემონათქვამიდან გამომდინარე, შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს მისი ზოგადი ცნება:

სამართლის სისტემა ეწოდება თითოეული ქვეყნის სამართლის შინაგან სტრუქტურას რაც საზოგადოების ეკონომიკური წესწყობილებითაა განპირობებული და გამოიხატება საერთო

პრინციპების საფუძველზე ერთიანობაში მყოფი იურიდიული ნორმების დაჯგუფებაში სამართლის დარგებად და ინსტიტუტებად ამ დარგებისა და ინსტიტუტების ერთმანეთისაგან გამიჯვნაში და მათ შორის ურთიერთკავშირის დადგენაში

სამართლის საკუთარი სისტემა დამახასიათებელია ყოველი ქვეყნისა და ყოველი დროის სამართლისათვის, მიუხედავად იმისა, თუ განვითარების რა საფეხურზე იმყოფება ესა თუ ის სახელმწიფო, როგორია მისი სამართლის წყაროები, რამდენად დამუშავებულია სამართლის ნორმები და სრულყოფილია მათი გამოხატულების ფორმები.

ყოველ კონკრეტულ სახელმწიფოში სამართლის დამოუკიდებელი სისტემის არსებობა, როგორც უკვე აღნიშნული იყო, კი არ გამოირიცხავს, არამედ, პირიქით, გულისხმობს, რომ თითოეული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის შიგნით ყველა ქვეყნის სამართლებრივ სისტემებს შორის საკმაოდ მნიშვნელოვანი მსგავსებაა, და რომ ისინი ერთსა და იმავე ძირითად პრინციპებზეა აგებული. ეს მსგავსება განპირობებულია საერთო ეკონომიკური საფუძვლით, საკუთრების ერთი და იმავე ფორმის არსებობით და, გარდა ამისა, სამართლის ერთი და იმავე კლასობრივი ბუნებით. ამდენად, სამართლის ყოველი ისტორიული ტიპისათვის დამახასიათებელია საერთო ეკონომიკური საფუძვლითა და საზოგადოებრივი წყობის შინაარსით განპირობებული სამართლებრივი სისტემების გარკვეული მსგავსება და საერთო ძირითადი პრინციპები, განსხვავებული სხვა ისტორიული ტიპის სახელმწიფოთა სამართლებრივი სისტემებისაგან.

ბურჟუაზიულ იურისპრუდენციაში თავიდანვე აღიარებული იყო და ამჟამადაც მიღებულია სამართლის დაყოფა ორ დიდ ნაწილად — საჯარო და კერძო სამართლად. ამგვარი დაყოფა პირველად შემოღებულ იქნა ჯერ კიდევ ძველი რომის იურისტების მიერ. მაგალითად, ცნობილი რომაელი იურისტი ულპიანე, რომელიც მოღვაწეობდა ჩვენი წელთაღრიცხვით III საუკუნის დასაწყისში, ასაბუთებდა, რომ საჯარო სამართალს მიეკუთვნება ის ნორმები, რომლებიც სახელმწიფოს ინტერესებს გამოხატავენ, ხოლო კერძო

სამართალს — ნორმები, რომლებიც კერძო პირთა ინტერესებს იცავენ. ე.ი. საჯარო სამართალში ნაგულისხმევი იყო ის ნორმები, რომლებიც არეგულირებდნენ ურთიერთობებს სახელმწიფოს ორგანოთა შორის ან სახელმწიფო ორგანოებსა და მოქალაქეებს შორის ხელისუფლების განხორციელებისა და მმართველობის პროცესში; კერძო სამართალში კი იგულისხმებოდა ნორმები, რომლებიც არეგულირებდნენ მოქალაქეთა შორის უმთავრესად ქონებრივი ხასიათის ურთიერთობებს, კერძო საკუთრების უფლების განხორციელებასთან დაკავშირებით.

სამართლის დანაწილება, საჯაროდ და კერძოდ, იმდენად მისაღები აღმოჩნდა მომდევნო ეპოქების სახელმწიფოთა მმართველი კლასებისათვის, რომ იგი გადატანილ იქნა ბურჟუაზიულ იურისპრუდენციამდე.

მართალია, ბურჟუაზიულ იურისტებს შორის (როგორც სხვადასხვა დროის, ისე ერთი და იმავე პერიოდის) არ არსებობდა ერთსულოვნება სამართლის ამგვარი დაყოფის დასაბუთებისა და გამიჯვნის საფუძვლების დადგენაში, მაგრამ ძირითადად ყველა მათგანი იზიარებდა იმ დებულებას, რომ სახელმწიფოს ინტერესი საჯარო სამართლის სფეროს შეადგენს, რომლის საპირისპირო — კერძო სამართლის სფეროს ცალკეულ პირთა ინტერესები შეადგენს.

მამასადამე, სწორედ კერძო საკუთრება საწარმოო საშუალებებსა და იარაღებზე შეადგენს საფუძველს კერძო სამართლის შექმნისა და გამოყოფისათვის ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. რაც შეეხება ე.წ. საჯარო სამართალს, მისი ნორმები შეეხება სახელმწიფოს საქმიანობას და, ერთი შეხედვით, თითქოს სცილდება კერძო პირთა, ცალკეულ მესაკუთრეთა ინტერესებს. მაგრამ სინამდვილეში, ვინაიდან ბურჟუაზიული სახელმწიფო გარკვეული ორგანიზაციული ფორმაა, რომლის მეშვეობითად კაპიტალისტები უზრუნველყოფენ ურთიერთინტერესებისა და საკუთრების დაცვას, — საჯარო სამართალიც, საბოლოო ანგარიშით, ისევ კერძო მესაკუთრეთა სამართალს წარმოადგენს, მათ ინტერესებს იცავს, მათი საკუთრების უფლების განხორციელებას უზრუნველყოფს. საჯარო სამართალში გამოხატულებას პოულობს კერძო მესაკუთრეთა საერთო ინტერესები.

კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების იმპერიალიზმამდე პერიოდში ბურჟუაზიული იურისტების არგუმენტაცია სამართლის კერძოდ და საჯაროდ დაყოფის დასასაბუთებლად შედარებით მარტივი იყო. ვინაიდან სახელმწიფო ნაკლებად ერეოდა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში. კერძო მესაკუთრეთა, მოქალაქეთა „თავისუფალი“ ეკონომიკური ხასიათის ურთიერთობათა მარეგულირებელი ნორმები ცხადდებოდა კერძო სამართლად, მაგალითად, ნორმები, რომლებიც აწესებენ „ხელშეკრულებათა თავისუფლებას“, კერძო საკუთრების ფლობისა და განკარგვის თავისუფლებას, მესაკუთრის უფლებას თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს საკუთრება და ა.შ. ხოლო კაპიტალისტურ საზოგადოებაში გაბატონებული ფენისათვის სასურველი წესრიგისა და წესების დაცვის ნორმებს, მათ შორის, სახელმწიფოებრივი ღონისძიებებით საკუთრების დაცვის უზრუნველყოფელ ნორმებს, საჯარო სამართალს მიაკუთვნებდნენ, რომელიც, მათივე მტკიცებით, მთელი საზოგადოების ინტერესებს გამოხატავდა.

თანამედროვე ეპოქაში, როდესაც წარმოების საშუალებები მსხვილი მონოპოლიებისა და მესაკუთრეთა სხვადასხვა გაერთიანებების ხელშია, ხოლო ისინი სულ უფრო ფართოდ იყენებენ სახელმწიფოს თავიანთი კერძომესაკუთრული ინტერესების განსახორციელებლად, საჯარო და კერძო სამართალს შორის ზღვარი რამდენადმე იშლება და მკვეთრად გამიჯნული და დაპირისპირებული არ არის; მაგრამ რიგ შემთხვევებში მაინც რჩება განსხვავება იმ ნორმებს შორის, რომლებიც ცალკეულ მესაკუთრეთა კერძო ინტერესებს შეეხებიან (კერძო სამართალი), და იმ ნორმებს შორის, რომლებიც მმართველ ფენად ორგანიზებული კაპიტალისტების საერთო ინტერესებს გამოხატავენ (საჯარო სამართალი).

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველი პერიოდიდანვე სრულიად მიუღებლად იქნა ჩათვლილი ე.წ. „სოციალისტურ“ საზოგადოებაში სამართლის დაყოფა საჯარო და კერძო სამართლად იმის გამო, რომ ლიკვიდირებულ იქნა კერძო საკუთრება და მასთან ერთად, თითქოს ადგილი აღარ ჰქონდა წინააღმდეგობებს ცალკეული ინდივიდისა და საზოგადოების, სახელმწიფოს ინტერესებს შორის. ასეთი მიდგომა საკითხისადმი დასაბუთებული და გავრცელებული იყო იურიდიულ მეც-

ნიერებაშიც, მაგრამ სრული საფუძვლით შეიძლება აღინიშნოს, რომ ამჟამად საბაზრო ეკონომიკის განვითარების, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში, როდესაც კერძო საკუთრება ჩვენს საზოგადოებაში აღიარებულია და დაკანონებულია, როგორც საკუთრების ერთ-ერთი თანასწორუფლებიანი ფორმა, — იურიდიულ მეცნიერებაში ახლებური მიდგომა შემუშავდა საჯაროდ და კერძო სამართლის საკითხებზე. წარმოიშვა უკიდურესი აუცილებლობა სამართლის დაცოფისა და, შესაბამისად, სამართლებრივი ნორმების გამიჯვნისა და საჯარო და კერძო სამართლის ნორმებად. სწორედ ასეთი კლასიფიკაცია გახდა ყველაზე უფრო ფართო და ძირითადი, განსაკუთრებით, ერთის მხრივ, სამოქალაქო კანონმდებლობის სრულყოფისა და სამოქალაქო კოდექსის მიღებასთან, მეორეს მხრივ კი, ახალი კონსტიტუციის მიღებასთან და ადმინისტრაციული კანონმდებლობის სრულყოფასთან დაკავშირებით.

ამ კლასიფიკაციის პრინციპებიდან გამომდინარე საჯარო სამართლის დარგებს მიაკუთვნებენ: კონსტიტუციურ /სახელმწიფო/ სამართალს, სისხლის სამართალს, პროცესუალურ სამართალს, რომლებიც არეგულირებენ საზოგადოებრივი ცხოვრების სახელმწიფოებრივი რეგულირების სფეროს და სხვა; კერძო სამართლის დარგებად კი ითვლებიან: სამოქალაქო სამართალი, სანივთო /ქონებრივი/ სამართალი, ვალდებულებითი სამართალი, ინტელექტუალური /საავტორო/ სამართალი, საოჯახო სამართალი, სამემკვიდრეო სამართალი, შრომის სამართალი და სხვა, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო საკუთრების არსებობასთან და არეგულირებენ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ადამიანთა დამოუკიდებელ ავტონომიურ, სამეწარმეო საქმიანობას.

აღსანიშნავია, რომ კერძო სამართლის ცნება შემოვიდა და მისი შინაარსის დამუშავება პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველად დაიწყო რუსეთის მეცნიერულ და პრაქტიკულ იურისპრუდენციაში. ეს პროცესი ჩვენშიაც სწრაფად განვითარდა, განსაკუთრებით, საქართველოს ახალი კონსტიტუციის, სამოქალაქო კანონმდებლობის, პირველ ყოვლისა, სამოქალაქო კოდექსის შემუშავებასთან და მიღებასთან დაკავშირებით. ამასთან ერთად კი საჭიროა დადგინდეს — თანამედროვე პირობებში რა აქვს

დადებული საფუძვლად სამართლის სისტემის აგებას, რით განისაზღვრება სამართლის სისტემის თავისებური სტრუქტურა, როგორი კრიტერიუმებია გამოყენებული სამართლის დაყოფისათვის დარგებად და მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნისათვის.

ამ საკითხის ირგვლივ ძირითადად ორი მოსაზრება შეიძლება არსებობდეს. ერთის მიხედვით, ცალკეულ დარგებად სამართლის დაყოფას და, მაშასადამე, სამართლის სისტემას საფუძვლად უნდა დაედოს ს ა მ ა რ თ ლ ე ბ რ ი ვ ი რ ე გ უ ლ ი რ ე ბ ი ს მ ე თ ო დ ი, ე.ი. საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს იმის მიხედვით, თუ რა ხერხებით და რა წესით, როგორ ხდება სამართლებრივი ნორმების მიერ სათანადო საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირება. მეორე მოსაზრება კი გულისხმობს, რომ სამართლის კლასიფიკაცია დარგებად უნდა ხდებოდეს და სამართლის სისტემას საფუძვლად უნდა დაედოს ს ა მ ა რ თ ლ ე ბ რ ი ვ ი რ ე გ უ ლ ი რ ე ბ ი ს ს ა გ ა ნ ი. ე.ი. საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს იმის მიხედვით, თუ რომელ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რა შინაარსისა და რა ხასიათის ურთიერთობებს არეგულირებენ ესა თუ ის სამართლებრივი ნორმები.

აღსანიშნავია, რომ ლიტერატურაში ამ საკითხზე გამოთქმული იყო სხვა მოსაზრებებიც; სახელდობრ ის, რომ სამართლის დარგების საკლასიფიკაციო ნიშნად უნდა ჩაითვალოს როგორც სამართლებრივი რეგულირების საგანი, ასევე სამართლებრივი რეგულირების მეთოდიც, ან კიდევ, რომ სამართლის დარგების კლასიფიკაციისათვის ძირითადი და გადამწყვეტი კრიტერიუმია სამართლებრივი რეგულირების საგანი, ხოლო რეგულირების მეთოდს საგულისხმო, მაგრამ მაინც დაქვემდებარებული მნიშვნელობა აქვს.

იმისათვის, რომ მოყვანილი მოსაზრებების სრულყოფილებაზე ვიმსჯელოთ და სამართლის დარგების საკლასიფიკაციო ნიშნის შესახებ სწორი დასკვნები გავაკეთოთ, მოკლედ უნდა შევჩერდეთ იმ საკითხებზე, თუ რას წარმოადგენს ან რით ხასიათდება სამართლებრივი რეგულირების საგანი და როგორია ან როგორი შეიძლება იყოს სამართლებრივი რეგულირების მეთოდები.

საზოგადოებაში სამართლებრივი რეგულირების საგანს წარმოადგენს ის ურთიერთობანი, რომელთა მოწესრიგება ხდება სამართლის ნორმების მეშვეობით. ეს ურთიერთობები მეტად მრავალგვაროვანია

– პოლიტიკური და ადმინისტრაციული, სამეურნეო, შრომითი და ქონებრივი, საოჯახო-საქორწინო ხასიათისა და ა.შ. ისინი საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ სფეროებს მიეკუთვნებიან და ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა მხარეებთან არიან დაკავშირებული.

ამავე საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლის ნორმების მეშვეობით მოწესრიგება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სხვადასხვა წესით, განსხვავებული საშუალებებით წარმოებს, ე.ი. სამართლებრივი რეგულირების მეთოდები სხვადასხვანაირია. ამ თვალსაზრისით, სამართლებრივი რეგულირების მეთოდები შეიძლება ერთიმეორისაგან განსხვავდებოდეს სუბიექტების ურთიერთდამოკიდებულების ხასიათით; მაგალითად, თვითონ ადგენენ კანონით დაწესებულ ფარგლებში თავიანთი უფლება-მოვალეობების შინაარსს („მხარეთა თანასწორობა“, „ავტონომია“), თუ ერთ-ერთი მხარე უწესებს მეორეს მოქმედებისა და ქცევის შინაარსს („მბრძანებლობა და დაქვემდებარება“). სხვადასხვა ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების მეთოდებს შორის განსხვავება შეიძლება გამოიხატოს აგრეთვე მხარეთა უფლებების დაცვისა და მოვალეობების შესრულების უზრუნველყოფის გზების თავისებურებაში (დისციპლინური, ადმინისტრაციული, სისხლის-სამართლებრივი წესით) და ა.შ.

საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების ორივე პრინციპის განხილვის შედეგად ნათელი ხდება, რომ სამართლის სისტემის აგებისა და ცალკეულ დარგებად მისი დაყოფის საფუძვლად უნდა ჩაითვალოს სამართლებრივი რეგულირების საგანი; ხოლო რაც შეეხება სამართლებრივი რეგულირების მეთოდს, მას დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლის სისტემის მეცნიერული ანალიზისა და თითოეულ დარგში თუ ინსტიტუტში შემავალი ნორმების და მათ მიერ რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობების თავისებურებათა გარკვევაში, მაგრამ სამართლის სისტემის ძირითად საკლასიფიკაციო ნიშნად იგი არ გამოდგება. სხვა რომ არაფერი ითქვას, საკმარისია იმის აღნიშვნაც, რომ ერთი და იმავე დარგისათვის შეიძლება დამახასიათებელი იყოს სამართლებრივი რეგულირების სხვადასხვა მეთოდები; ან კიდევ, ერთი რომელიმე მეთოდი გამოყენებული იყოს სამართლის სხვადასხვა დარგში.

სამართლებრივი რეგულირების მეთოდების ცოდნა და გათვალის-
წინება აუცილებელია სამართლის დარგების დახასიათებისათვის,
მაგრამ სამართლის სისტემის აგების საფუძველი სამართლებრივი
რეგულირების საგანია.

სამართლის სისტემასთან დაკავშირებულია კიდევ ერთი იურიდიული
ცნება — კ ა ნ ო მ დ ე ბ ლ ო ბ ი ს ს ი ს ტ ე მ ა . მათ შორის საერთო
ისაა, რომ ორივეს მიზანი და დანიშნულებაა საზოგადოებრივი ურთ-
იერთობის გარკვეული სფეროს რეგულირების უზრუნველყოფა. განსხ-
ვავება კი ისაა, რომ სამართლის სისტემის შინაარსი შეიცავს: დარგებს,
ნორმებს, ინსტიტუტებს, კანონმდებლობის სისტემა კი: კანონებს, სხვა
ნორმატიულ აქტებს, მათ ცალკეულ თავებსა და მუხლებს. დარგები
კანონმდებლობისა ც არსებობს, მაგრამ თითოეული მათგანი მოიაზრება
შესაბამისი სამართლის დარგის საფუძველზე. აქედან გამომდინარეობს,
რომ სამართლის სისტემა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე კანონმდებლო-
ბის სისტემა.

§2. სამართლის დარგები

სამართლის დარგს, როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული,
შეადგენს იმ ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც არეგულირებენ
საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ რომელიმე მხარეს, საზოგადოებრივ
ურთიერთობათა გარკვეულ სფეროს. სახელმწიფოში მოქმედი
სამართლის ნორმების დაჯგუფება დარგებად იმისდა მიხედვით ხდება,
თუ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რომელ მხარეებს აწესრიგებენ
ისინი.

ტრადიციულად, მოქმედი სამართლის სისტემა შემდეგ დარგებად
იყოფა: სახელმწიფო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი,
საფინანსო სამართალი, მიწის სამართალი, სამოქალაქო სამართალი,
შრომის სამართალი, საოჯახო სამართალი, სისხლის სამართალი,
პროცესუალური სამართალი. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანის
თავისებურებანი ცალ-ცალკე.

სახელმწიფო სამართალი (კონსტიტუციური სამართალი) სამართ-
ლის მთელი სისტემის წამყვანი და უმნიშვნელოვანესი დარგია, ვინაიდან

მისი შემადგენელი ნორმები უშუალოდ არიან დაკავშირებულნი სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებასთან. სახელმწიფო სამართლის ნორმები განსაზღვრავენ ქვეყნის საზოგადოებრივი წეს-წყობილებისა და პოლიტიკის საფუძვლებს, ეროვნულ-სახელმწიფო წყობილების საკითხებს, მოქალაქეობის უმთავრეს დებულებებს, მოქალაქეთა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, აგრეთვე მათ უმთავრეს მოვალეობებს, ადგენენ საარჩევნო სისტემის, სახელმწიფო ორგანოთა სტრუქტურის, მათი ორგანიზაციისა და საქმიანობის პრინციპებს.

რაც შეეხება სამართლის ამ დარგის ორმაგ სახელწოდებას, უნდა აღინიშნოს შემდეგი: თუკი ამ საკითხს ღრმად ჩავწვდებით, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო სამართალი რამდენადმე უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე კონსტიტუციური სამართალი, განსაკუთრებით, როცა საუბარია სახელმწიფო სამართალზე და კონსტიტუციურ სამართალზე, როგორც სამეცნიერო დარგებზე ან სასწავლო დისციპლინებზე.

კონსტიტუციური სამართლის რეგულირების საგანს შეადგენს არა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ვიწრო სფერო, არამედ მისი ზემოქმედება ვრცელდება საზოგადოების არსებობისა და განვითარების უმნიშვნელოვანეს პროცესებზე, საზოგადოების წევრთა ურთიერთობის უმთავრეს მხარეებზე, სახელმწიფო საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე. ამიტომ არის, რომ სახელმწიფო სამართლის ნორმები თავის გამოხატულებას პოულობენ, პირველ ყოვლისა, ქვეყნის ძირითად კანონში – კონსტიტუციაში. სახელმწიფო სამართლის ძირითად წყაროს კონსტიტუცია შეადგენს. გარდა ამისა, ამ დარგის წყაროებად შეიძლება ჩაითვალოს ზოგიერთი სხვა კანონებიც, სახელმწიფოთა უმაღლესი თანამდებობის პირების ბრძანებულებები, აგრეთვე ხელისუფლებისა და მმართველობის სხვა ორგანოთა ნორმატიული აქტები.

თანამედროვე საქართველოს სახელმწიფო-სამართლებრივი ნორმები და სახელმწიფო სამართლის წყაროები ამ საერთო ნიშნების მიხედვით უნდა იქნეს კლასიფიცირებული. სახელმწიფო სამართლის ძირითად წყაროებად ჩაითვლება საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია, სხვა მნიშვნელოვანი კანონები და სახელმწიფო ორგანოების ამჟამად მოქმედი ზოგიერთი აქტი. მაგალითად, 1993 წლის 25 მარტის კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“,

1995 წლის 1 სექტემბრის კანონები „საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ და „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“, 1996 წლის 15 მაისის კანონი „რეფერენდუმის შესახებ“, 1996 წლის 29 სექტემბრის კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“. 1997 წლის 17 სექტემბრის კანონი „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“, საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წლის 17 ოქტომბრის სხდომაზე მიღებული „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი“, 2001 წლის 28 აგვისტოს მიღებული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და 2003 წლის 2 აგვისტოს კანონი ამ კოდექსში „ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ და სხვ.

სახელმწიფო სამართლის ნორმების შინაარსიდან ჩანს, რომ ისინი და, მაშასადამე, მთლიანად სახელმწიფო სამართალი, როგორც სამართლის ერთ-ერთი დარგი, არეგულირებენ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მეტად მრავალფეროვან და ფართო სფეროს – ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო – ს ა მ ა რ თ ლ ე ბ რ ი ვ უ რ თ ი ე რ თ ო ბ ე ბ ს. ეს ურთიერთობები წარმოიშობიან ქვეყანაში სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებასთან და მოქალაქეების მიერ თავიანთი უფლებების რეალიზაციასთან და მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით. მათი მონაწილენი, ე.ი. სახელმწიფო-სამართლებრივ ურთიერთობებში სამართლის სუბიექტები შეიძლება იყვნენ: თვით სახელმწიფო მთლიანად, ავტონომიური რესპუბლიკები, როგორც გარკვეული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ქვეყნის მოქალაქეები. ისევე როგორც სამართლის სხვა დარგები, სახელმწიფო სამართალიც შედგება სხვადასხვა სამართლებრივი ინსტიტუტებისაგან, ე.ი. ნორმათა უფრო ვიწრო ჯგუფისაგან, რომლებიც ურთიერთობათა ცალკეულ სახეებს, ან ამა თუ იმ კონკრეტულ სახელმწიფო-სამართლებრივ ურთიერთობას აწესრიგებენ. ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა მ ა რ თ ლ ი ს ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ე ბ ი ა, მაგალითად, მოქალაქეობის, მოქალაქეთა ძირითადი უფლებებისა და მოვალეობების, საარჩევნო უფლების ინსტიტუტები, პრეზიდენტის ინსტიტუტი, საქართველოს

სახალხო დამცველის ინსტიტუტი და მრავალი სხვა.

ადმინისტრაციული სამართალი თავისი ნორმებით არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა იმ სფეროს, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოს ორგანოების აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობასთან, ქვეყანაში სახელმწიფო მმართველობის განხორციელებასთან.¹

ადმინისტრაციული საქმიანობა, რომელიც სახელმწიფო მმართველობის პროცესში ხორციელდება, გულისხმობს სახელმწიფოს წინაშე მდგარი ამოცანებისა და მისი ფუნქციების შესრულების პრაქტიკულ ორგანიზაციას მოქმედი კანონების საფუძველზე და მათ შესასრულებლად. ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი უ ლ - ს ა მ ა რ თ ლ ე ბ რ ი ვ ი უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა ნ ი, რომლებსაც ადმინისტრაციული სამართლის ნორმები არეგულირებენ, წარმოიშობიან სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა აღმასრულებელ-განმკარგულებელი საქმიანობის პროცესში. ასეთი ორგანოებია: საქართველოს მთავრობა და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა კაბინეტები, საქართველოსა და ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროები, მმართველობის ადგილობრივი ორგანოები, მათი განყოფილებები და სამმართველოები. ამ ორგანოების ჩამოყალიბებასა და აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოშობილი ურთიერთობის სპეციფიკურობა ისაა, რომ მათი ერთ-ერთი მონაწილე, ე.ი. სამართლის ერთ-ერთი სუბიექტი ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში ყოველთვის არის მმართველობის სახელმწიფო ორგანო.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობათა მარეგულირებელი ნორმები და მთლიანად ადმინისტრაციული სამართალი განსაზღვრავენ აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების შექმნისა და ლიკვიდაციის წესებს, მათი უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის ფარგლებს, მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, აგრეთვე მოქალაქეთა უფლება-მოვალეობებს ამ ორგანოთა მიერ თავიანთი ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებით.

ადმინისტრაციული სამართლის ძირითადი წყაროებია: საქართვე-

¹ იხ. ვ. ლ ო რ ი ა. საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, თბილისი, 2002.

ლოსა და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები, საქართველოსა და ავტონომიური რესპუბლიკების კანონები, ზოგიერთი კოდექსი: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი /მიღებულია 1999 წლის 25 ივნისს/, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი /მიღებულია 1999 წლის 23 ივლისს/, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი /მიღებულია 1984 წლის 21 დეკემბერს/.

ადმინისტრაციული სამართლის ცალკეული ინსტიტუტებია, მაგალითად, სახელმწიფო სამსახურის ინსტიტუტი, ადმინისტრაციული გადაცდომის ინსტიტუტი, ადმინისტრაციული სახდელის ინსტიტუტი, საგარეო საქმეთა დარგში მმართველობის ინსტიტუტი, კავშირგაბმულობის დარგში მმართველობის ინსტიტუტი, განათლების დარგში მმართველობის ინსტიტუტი და სხვ.

საფინანსო სამართალი, როგორც სამართლის ერთ-ერთი დამოუკიდებელი დარგი, მეტად მჭიდროდაა დაკავშირებული სახელმწიფო სამართალთან და, განსაკუთრებით, ადმინისტრაციულ სამართალთან. მისი ნორმები არეგულირებენ იმ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობიან სახელმწიფოსა და მისი ორგანოების საფინანსო საქმიანობის განხორციელების პროცესში.

ამ მრავალფეროვანი საფინანსო ურთიერთობების მონაწილენი შეიძლება იყვნენ და ამ ურთიერთობებში ს ა მ ა რ თ ლ ი ს ს უ ბ ი ე ქ ტ ე ბ ა დ გამოდიოდნენ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოები, სახელმწიფო მმართველობის ორგანოები, სპეციალური საფინანსო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სხვა იურიდიული პირები, აგრეთვე, ცალკეული მოქალაქენი.

საფინანსო-სამართლებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი და ამ ურთიერთობების მონაწილეთა უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი ნორმები გამოხატულებას პოულობენ სათანადო ნორმატიულ აქტებში. ამგვარ აქტებს, ე.ი. საფინანსო სამართლის წყაროებს წარმოადგენენ, პირველ ყოვლისა, კონსტიტუცია და სხვა კანონები, განსაკუთრებით კანონები ყოველწლიური ბიუჯეტების შესახებ; გარდა ამისა, საფინანსო სამართლის წყაროებია პრეზიდენტის ნორმა-

ტიული ბრძანებულებები, მინისტრების ბრძანებები და ინსტრუქციები, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებანი საფინანსო საქმიანობის საკითხებზე მათთვის დაწესებული კომპეტენციის ფარგლებში.

საფინანსო სამართლის ნორმების ცალკეული ჯგუფები შეადგენენ საფინანსო სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტებს. ასე მაგალითად, მნიშვნელოვანი ს ა ფ ი ნ ა ნ ს ო - ს ა მ ა რ თ ლ ე ბ რ ი ვ ი ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ე ბ ი ა: სახელმწიფო ბიუჯეტის ინსტიტუტი, სახელმწიფო გადასახადების ინსტიტუტი, სახელმწიფო ბაჟის ინსტიტუტი, აგრეთვე, სახელმწიფო სესხის ინსტიტუტი, ქონებისა და სიცოცხლის დაზღვევის ინსტიტუტი, დაკრედიტების ინსტიტუტი და სხვ.

სამოქალაქო სამართალი არის სამართლის დარგი, რომლის ნორმები არეგულირებენ უმთავრესად ქონებრივ ურთიერთობებს და არაქონებრივი ხასიათის ზოგიერთ პირად ურთიერთობებს საზოგადოებაში.

ქონებრივი ხასიათის ურთიერთობანი ისეთი ურთიერთობებია, რომლებიც ეკონომიკური შინაარსით ხასიათდებიან და დაკავშირებულნი არიან წარმოების საშუალებების საკუთრებასთან. სამართლის ნორმებით რეგულირებული ამგვარი ურთიერთობები, ე.ი. სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობები შეიძლება დამყარდეს: ჯერ ერთი, სხვადასხვა ორგანიზაციას შორის (როგორც სახელმწიფო ორგანიზაციებს, ასევე კოოპერაციულ და სხვა იურიდიულ პირებს შორის); გარდა ამისა, ქონებრივი ხასიათის ურთიერთობები მყარდება ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს შორის და უშუალოდ ცალკეულ მოქალაქეებს შორისაც.

არაქონებრივი ხასიათის პირადი ურთიერთობანი, რომლებიც აგრეთვე სამოქალაქო სამართლის რეგულირების საგანს შეადგენენ, უშუალოდ არიან დაკავშირებულნი სამართლის სუბიექტის პიროვნებასთან. მაგალითად, ურთიერთობანი დაკავშირებული მოქალაქის სახელის უფლებასთან, მის ღირსებასთან, ლიტერატურის, მეცნიერების ან ხელოვნების ნაწარმოებზე ავტორობის უფლებასთან, გამოგონებაზე ავტორობის უფლებასთან და სხვ. გარდა მოქალაქეებისა, ზოგიერთ, შედარებით

იშვიათ შემთხვევებში, პირად არაქონებრივ ურთიერთობაში სამართლის სუბიექტად შეიძლება გამოდიოდნენ ორგანიზაციებიც, მაგალითად, საწარმოო მარკისა და სასაქონლო ნიშნის უფლებასთან დაკავშირებით ან გამოგონებაზე ავტორობის უფლების გამო.

სამოქალაქო სამართლის ნორმების რეგულირების საგანს შეადგენენ აგრეთვე საბინაო, საავტორო, საგამომგონებლო, სამემკვიდრეო სამართლის საკითხები და ზოგიერთი ურთიერთობანი საგარეო ვაჭრობის დარგში.

სამოქალაქო სამართლის ნორმებით რეგულირებული ქონებრივი ურთიერთობების მონაწილენი ერთმანეთის მიმართ გამოდიან როგორც თანასწორუფლებიანი პირები, რომელთა უფლებებს შეესაბამება მეორე მხარის მოვალეობანი და პირიქით. სწორედ ამით განსხვავდება სამოქალაქო სამართალი, მაგალითად, ადმინისტრაციული სამართლისაგან, რომლის რეგულირების საგანს ზოგჯერ ქონებრივი ხასიათის ურთიერთობანი შეადგენენ, მაგრამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში ერთ-ერთ მხარედ ყოველთვის ხელისუფლების ფუნქციებით აღჭურვილი სახელმწიფო ორგანოა, რომლის მიმართ მეორე მხარე თანასწორი უფლებამოსილებით არ სარგებლობს.

ისევე როგორც სამართლის ზემოთ დასახელებული დარგებისათვის, კონსტიტუციასთან ერთად, სამოქალაქო სამართლის წყაროებს წარმოადგენენ ცალკეული კანონები, რომლებიც არეგულირებენ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებს. მაგრამ საკანონმდებლო აქტებიდან, სამოქალაქო სამართლის ყველაზე უფრო ვრცელ და სპეციალურ წყაროს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსი, რომელიც მიღებულია 1997 წლის 26 ივნისს, ხოლო ძალაში შევიდა იმავე წლის 25 ნოემბრიდან.

სამოქალაქო სამართალი, როგორც დამოუკიდებელი დარგი, თავის მხრივ უამრავ იურიდიულ ინსტიტუტს შეიცავს, რომელთაგანაც თითოეული არეგულირებს სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობათა ერთ რომელიმე სახეს ან მსგავს ურთიერთობებს. ასეთი ინსტიტუტებია, მაგალითად, იურიდიული პირის ინსტიტუტი, გარიგების ინსტიტუტი, წარმომადგენლობის ინსტიტუტი, სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტი, საკუთრების

უფლების ინსტიტუტი საერთოდ და საკუთრების ცალკეულ ფორმათა ინსტიტუტები.

საოჯახო სამართალი არის სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი, რომელიც თავისი ნორმებით არეგულირებს საოჯახო-საქორწინო ურთიერთობებს საზოგადოებაში. ეს ურთიერთობანი დაკავშირებულია, პირველ ყოვლისა, ქორწინებასთან (ურთიერთობა მეუღლეებს შორის), ნათესაობასთან (ურთიერთობა მშობლებსა და შვილებს შორის, აღმავალი და დაღმავალი ხაზით ნათესაეებს — შვილებს, შვილიშვილებს, მშობლებს, ბებიებსა და ბაბუებს შორის, გვერდითი ხაზით ნათესაეებს — ძმებსა და დებს შორის), შვილად აყვანასთან, მეურვეობასა და მზრუნველობასთან, აგრეთვე აღსაზრდელად ბავშვების აყვანასთან და სხვ.

საოჯახო სამართალს გარკვეული სიახლოვე ახასიათებს სამოქალაქო სამართალთან და ზოგჯერ მას სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ ინსტიტუტს უწოდებენ, რამდენადაც მთელი რიგი ს ა ო ჯ ა ხ ო — ს ა ქ ო რ წ ი ნ ო უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა ნ ი დაკავშირებულია ქონებრივ ურთიერთობებთან (მაგალითად, სამემკვიდრეო და საალიმენტო ურთიერთობანი). კონსტიტუციისა და სხვა კანონების, აგრეთვე ზოგიერთი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გარდა, საოჯახო სამართლის ძირითად იურიდიულ წყაროს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, სახელდობრ, მთლიანად მისი მეხუთე წიგნი.

შრომის სამართალი, როგორც ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში შემავალი ერთ-ერთი დარგი, თავისი ნორმებით აწესრიგებს საქართველოში მცხოვრებ მუშაკთა საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან შრომით ურთიერთობებს, სახელდობრ, ისეთებს, როგორიცაა: შრომის ხელშეკრულება (კონტრაქტები), კოლექტიური ხელშეკრულებანი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, შრომის ხელფასი, სოციალური დაზღვევა, შრომის დისციპლინა, შრომის დაცვა და ა.შ. შრომის სამართლის ნორმებით მოწესრიგებულია აგრეთვე ისეთი ურთიერთობანი, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია და გამომდინარეობენ შრომითი ურთიერთობებიდან; მაგალითად, მოხუცებულობაში, ავადმყოფობის ან ინვალიდობის შემთხვევაში მატერიალური უზრუნველყოფის ურთი-

ერთობანი, შრომითი დავეების განხილვის, პროფორგანიზაციებსა და ადმინისტრაციას შორის ურთიერთობანი და ა.შ. ზოგიერთ შემთხვევაში, შრომის სამართლის ნორმები ვრცელდება კოოპერაციული, სხვა საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციების მუშაკებზე. მაგალითად, ნორმები საწარმოო სანიტარიის, შრომის ჰიგიენის, უსაფრთხოების ტექნიკის, ქალებისა და მოზარდთა შრომის დაცვის საკითხებზე.

შრომის სამართლის წყაროებია: საქართველოს კონსტიტუცია და შრომის კანონთა კოდექსი, რომელიც მიღებულ იქნა ჯერ კიდევ 1973 წელს, მაგრამ საქართველოს პარლამენტის მიერ 1999 წელს მიღებული კანონით მასში შეტანილ იქნა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა შრომის კანონთა ახალი კოდექსის პროექტის შემუშავებისათვის. გარდა ამისა, სამართლის ამ დარგის წყაროებად შეიძლება ჩაითვალოს შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებით გამოყენებული სხვა საკანონმდებლო აქტების და ის საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელთა მონაწილეც არის საქართველო.

სისხლის სამართალი, როგორც სამართლის ერთ-ერთი დარგი, წარმოადგენს ისეთი ნორმების ერთიანობას, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ რა ითვლება დანაშაულად, ე.ი. საზოგადოებრივად საშიშ ქმედებად და რა სასჯელი უნდა იქნეს შეფარდებული დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ.

სისხლის სამართალი და მისი ნორმები ორ ძირითად ნაწილად იყოფა. ე.წ. ზოგად ნაწილში შედის ის ნორმები, რომლებშიც ჩამოყალიბებულია ზოგადი პრინციპები და დებულებანი დანაშაულისა და სასჯელის შესახებ, რითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ საგამოძიებო, სასამართლო და პროკურატურის ორგანოები კონკრეტული სისხლის-სამართლებრივი საქმეების განხილვისას. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ინსტიტუტებია, მაგალითად, აუცილებელი მოგერიების და უკიდურესი აუცილებლობის, თანამონაწილეობის, პირობითი მსჯავრის, ვადამდე ადრე განთავისუფლების, ნასამართლობის და სხვა ინსტიტუტები.

ზოგადი ნაწილისაგან განსხვავებით, სისხლის სამართლის ე.წ. კერძო ანუ განსაკუთრებულ ნაწილს შეადგენენ ის ნორმები, რომლებშიც მოცემულია დანაშაულის ცალკეული სახეები

და განსაზღვრულია კონკრეტული სასჯელები, რომლებიც უნდა შეეფარდოს ამა თუ იმ დანაშაულის ჩამდენ პირებს. სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის ნორმები დაჯგუფებულია უმთავრესად დანაშაულებრივი ხელყოფის ობიექტების მიხედვით: დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ; ეკონომიკური დანაშაული; დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ; დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ; დანაშაული სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ; დანაშაული სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ; დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ.¹

სისხლის სამართლის ნორმათა თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ ისინი ადგენენ მოქალაქეთა ვალდებულებებს – არ ჩაიდინონ ისეთი ქმედებანი, რაც დანაშაულად არის გამოცხადებული. მაგრამ სხვა დარგების ნორმებისაგან განსხვავებით, სისხლის სამართლის ნორმები არ შეიცავენ დაწესებულ ვალდებულებათა, ე.ი. სათანადო აკრძალვათა შესაბამის, შესატყვის უფლებებს. ამიტომ სისხლის სამართლის ნორმების არსებობა და მოქმედება თავისთავად არ წარმოშობს სამართლებრივ ურთიერთობებს. ასეთი ურთიერთობა იქმნება მხოლოდ დანაშაულის ჩადენის, ე.ი. ნორმის დარღვევის შემდეგ, როდესაც სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილ სახელმწიფო ორგანოებს (პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო) უფლება აქვთ (და მოვალენიც არიან) განახორციელონ ღონისძიებანი დამნაშავე პირის მიმართ საჭირო ზომების მისაღებად.

სისხლის სამართლის წყაროები, ე.ი. იურიდიული ფორმები, რომლებშიც გამოხატულებას პოულობენ სისხლის სამართლის ნორმები, კონსტიტუციაში ჩაწერილი ზოგადი დებულებების და სხვა საკანონმდებლო ზოგიერთი აქტის გარდა, ძირითადად მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსებში. საქართველოს რესპუბლიკაში დიდხანს მოქმედებს 1960 წელს მიღებული სისხლის სამართლის კოდექსი, ცხადია, მასში შეტანილი მრავალრიცხოვანი ცვლილებებითა და დამატებებით. 1999 წლის 22 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო სისხლის სამართლის ახალი კოდექსი,

¹ ი. ზ. წულაია, სისხლის სამართალი /კვრძო ნაწილი/, ტ.1, თბილისი, 2003 წ.

რომელიც ძალაში შევიდა 2000 წლის 1 ივნისიდან და მასშიც უკვე შეტანილია მნიშვნელოვანი ცვლილებანი და დამატებანი.

საპროცესო სამართალი წარმოადგენს იმ ნორმების კრებადობას, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეყანაში მართლმსაჯულების განხორციელების წესებს. როგორც ცნობილია, მართლმსაჯულება ხორციელდება სისხლის სამართლის საქმეებისა და სამოქალაქო სამართლის საქმეების წარმოებისა და განხილვის გზით, ამიტომ საპროცესო სამართალიც ორ ნაწილად იყოფა – სისხლის სამართლის პროცესის ნორმებად და სამოქალაქო სამართლის პროცესის ნორმებად.

სისხლის სამართლის საპროცესო ნორმები განსაზღვრულია მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების, პროკურატურისა და სასამართლოს საქმიანობა სისხლის სამართლის საქმეთა გამოკვლევისა და განხილვის დროს, დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ კანონით დადგენილი სასჯელის ზომების შეფარდებისა ან უდანაშაულო პირთა გამართლების მიზნით.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო ნორმები განსაზღვრულია უმთავრესად სასამართლო ორგანოების საქმიანობა, აგრეთვე სამოქალაქო სამართლის პროცესის მონაწილეთა (მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირები) უფლება-მოვალეობანი, პროკურორის მონაწილეობა სამოქალაქო პროცესში და ა.შ. სამოქალაქო-პროცესუალურ სამართალში შედის აგრეთვე სანოტარო და საარბიტრაჟო ორგანოების საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმები.

სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო ნორმების უმთავრესი წყაროა საქართველოს საპროცესო კოდექსები: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მიღებულია 1998 წლის 20 თებერვალს, სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი – 1997 წლის 14 ნოემბერს, ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი – 1999 წლის 23 ივლისს. ამ კოდექსშიც უკვე შეტანილია და კიდევ შესატანია მთელი რიგი ცვლილებები და დამატებები, რომელთა საჭიროება განაპირობა ჩვენი ქვეყნის განვითარების მოთხოვნილებათა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების ცვალებადობამ.

ასეთია სამართლის ზოგიერთი დარგის მოკლე დახასიათება.

რაც შეეხება *საერთაშორისო სამართალს*, იგი არ შედის ცალკეული რომელიმე ქვეყნის სამართლის სისტემაში.¹

საერთაშორისო სამართალი წარმოადგენს სამართლის განსაკუთრებულ და თავისებურ სისტემას. მისი ნორმები იქმნებიან სხვადასხვა სახელმწიფოთა შეთანხმების შედეგად, გამოხატულებას პოულობენ უმთავრესად საერთაშორისო ხელშეკრულებებში, პაქტებში, კონვენციებში და აწესრიგებენ ურთიერთობებს ქვეყნებს შორის მათი თანამშრომლობის, ზოგჯერ კი დაპირისპირებულობისა და ბრძოლის პროცესში.

საერთაშორისო სამართლის წყაროებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, რომლის დებულებებისა და პრინციპების განხორციელებით დაინტერესებულია ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი და სახელმწიფო; აგრეთვე – სახელმწიფოთა შორის დადებულ ხელშეკრულებებსა და ცალკეული ქვეყნების ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების მიერ მიღებულ აქტებს სხვა ქვეყნებთან დამოკიდებულებისა და ურთიერთობის საკითხებზე.

ამ თემის შესწავლის დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის სისტემის საკითხი განსხვავდება *იურიდიულ მეცნიერებათა სისტემის* საკითხისაგან, რომ ამ ცნებების შინაარსი ერთმანეთს არ ემთხვევა, თუმცა მათ შორის საკმაოდ მჭიდრო კავშირი არსებობს.

სამართლის სისტემა, როგორც უკვე დავინახეთ, მოქმედი იურიდიული ნორმების ერთობლიობას და მათ შორის გამიჯვნას ასახავს, რაც განპირობებულია საზოგადოებრივი წესწყობილების ხასიათით და სახელმწიფო წყობის თავისებურებებით. ზოლო იურიდიულ მეცნიერებათა სისტემა ყალიბდება სათანადო თეორიული ცოდნით აღჭურვილი ადამიანების მიერ სამართლის და ასევე სახელმწიფოს საკითხების შესწავლის შედეგად. ამიტომ, გარდა ამ განსხვავებისა, იურიდიულ მეცნიერებათა სისტემის ცნება უფრო ფართოა, ვიდრე სამართლის სისტემის ცნება.

¹ იხ. ლ. ა. ლ. ე. ქ. ს. ი. ძ. ე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2001.

იურიდიული მეცნიერებანი, სახელდობრ, ისინი, რომლებიც უმთავრესად საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებს სწავლობენ, თავიანთი საგნის მიხედვით, სხვადასხვა დარგებად იყოფიან. ამ დარგებს რამდენიმე ჯგუფად ყოფენ;

იურიდიულ მეცნიერებათა დარგებში ერთ ჯგუფს შეადგენენ ზოგადმეთოდოლოგიური და ისტორიული ხასიათის დისციპლინები: სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია (მათ შორის საქართველოსა და საზღვარგარეთული ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია), პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია, რომის სამოქალაქო სამართლის ისტორია, რომლებსაც არ შეესაბამება თვით სამართლის (როგორც ნორმათა გარკვეული ერთობლიობის) რომელიმე დარგი.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნებიან ე.წ. სპეციალური დარგობრივი იურიდიული მეცნიერებანი, რომლებიც შეისწავლიან საქართველოს სამართლის სისტემის კონკრეტულ დარგებს (მაგალითად, სახელმწიფო სამართალს, ადმინისტრაციულ, სამოქალაქო, სისხლის სამართალს და ა.შ.), ამ დარგების ისტორიულ განვითარებას და სხვა ქვეყნების სამართლის მსგავსი დარგებისაგან განსხვავებას. სპეციალურ სამართლებრივ მეცნიერებათა ეს სისტემა შეესაბამება მოქმედი სამართლის სისტემას, ხოლო ცალკეული დარგობრივი იურიდიული მეცნიერების შესწავლის საგანს წარმოადგენს სამართლის იმავე სახელწოდების დარგი, ამ დარგის შემადგენელი სამართლებრივი ნორმები. ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართალთან, როგორც იურიდიული მეცნიერების დარგთან დაკავშირებულია და, შეიძლება ითქვას, მის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს კრიმინოლოგია, რომელიც შეისწავლის დანაშაულობას, როგორც გარკვეულ სოციალურ მოვლენას, მის მიზეზებს და დამნაშავის პიროვნებას, შეიმუშავებს დანაშაულობის თავიდან აცილების ღონისძიებებს.

იურიდიულ მეცნიერებათა შემდეგ ჯგუფს შეადგენენ ისეთი დარგები, რომლებიც, ძირითადად, უშუალოდ სამართლებრივ ნორმებს კი არ შეისწავლიან, არამედ საბუნებისმეტყველო, ეკონომიკურ და ტექნიკურ მეცნიერებათა მონაცემების გამოყენებით ემსახურებიან

მართლმსაჯულების განხორციელებას, სათანადო სახელმწიფო ორგანოების მიერ ამა თუ იმ საქმის გარკვევისას ფაქტობრივ გარემოებათა დადგენას. ასეთი დარგებია: კრიმინალისტიკა, სასამართლო მედიცინა, სასამართლო ფსიქიატრია, სასამართლო სტატისტიკა, სასამართლო ფსიქოლოგია.

საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში შედიან ისეთი დარგებიც, რომლებიც შეისწავლიან სხვა ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართალს (მაგალითად, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი და სხვ.), აგრეთვე სახელმწიფოთა საერთაშორისო ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმებს (საერთაშორისო სამართლის მეცნიერება.)

სწორედ სამართლის დარგებისა და იურიდიულ მეცნიერებათა დარგების შესწავლას ემსახურება შესაბამისი სასწავლო კურსები, სასწავლო დისციპლინები, რომლებიც უმაღლეს სასწავლებელთა გეგმებითა და პროგრამებითაა გათვალისწინებული.

შინაარსი

შესავალი: სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის საგანი და მეთოდი	3
პ ი რ ვ ე ლ ი თ ა ვ ი. სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა	
§1. პირველყოფილი თემური წესწყობილება და მისი რღვევა ..	17
§2. სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა	24
§3. ბურჟუაზიამდელი და ბურჟუაზიული თეორიები სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის შესახებ	31
მ ე ო რ ე თ ა ვ ი. სახელმწიფოს არსი	
§1. სახელმწიფოს ცნება და მისი დამახასიათებელი ნიშნები	39
§2. სახელმწიფოს ისტორიული ტიპი და სახელმწიფოს ფორმა	45
§3. სახელმწიფოს ფუნქციები და სახელმწიფოს მექანიზმი	55
§4. სახელმწიფო და დემოკრატია	58
მ ე ს ა მ ე თ ა ვ ი. სამართლის არსი	
§1. სამართლის ცნება	64
§2. სამართალი, ზნეობა და ჩვეულება	71
§3. ბურჟუაზიული ეპოქის ტრადიციული თეორიები სამართლის არსის შესახებ	75
მ ე ო თ ხ ე თ ა ვ ი. სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიული ტიპები	
§1. მონათმფლობელური სახელმწიფო და სამართალი	84
§2. ფეოდალური სახელმწიფო და სამართალი	94
§3. კაპიტალისტური სახელმწიფო და სამართალი	103
§4. კოლონიური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებული ქვეყნების სახელმწიფო და სამართალი	114
მ ე ხ უ თ ე თ ა ვ ი. საქართველოს სახელმწიფო და სამართალი	
§1. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსია საბჭოთა რუსეთის მიერ	118

§2. საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური ფორმა, ფუნქციები და სახელმწიფოებრივი მექანიზმი 1921 წლის კონსტიტუციის მიხედვით	121
§3. საქართველოს კონსტიტუციური განვითარება, სახელმწიფოებრივი ფუნქციები და მექანიზმი საბჭოთა ხელისუფლების პირობებში	125
§4. თანამედროვე საქართველოს სახელმწიფო და სამართალი	133
§5. კანონიერება და მართლწესრიგი სამართლებრივ სახელმწიფოში	142
§6. სამართლის დარღვევა და იურიდიული პასუხისმგებლობა	144

მ ე ე ქ ვ ს ე თ ა ვ ი. სამართლის ნორმები

§1. სამართლის ნორმის ცნება და სამართლის ნორმათა სახეები	149
§2. სამართლის ნორმის სტრუქტურა	155
§3. სამართლის ნორმათა შეფარდება	165

მ ე შ ვ ი დ ე თ ა ვ ი. სამართლის წყაროები

§1. სამართლის წყაროს ცნება	178
§2. კანონი და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები როგორც სამართლის წყარო	181
§3. სახელმწიფოს მიერ სანქციონირებული ჩვეულება, საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტები, ხელშეკრულება, როგორც სამართლის წყაროები	190
§4. ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია	193
§5. ნორმატიული აქტების მოქმედება დროში, სივრცეში და პირთა წრის მიხედვით.	195

მ ე რ ვ ე თ ა ვ ი. სამართლებრივი ურთიერთობანი

§1. სამართლებრივი ურთიერთობის ცნება	202
§2. სამართლის სუბიექტები	206
§3. უფლება და მოვალეობა, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტები	214
§4. სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი	216
§5. იურიდიული ფაქტები	218

მ ე ც ხ რ ე თ ა ვ ი. სამართლის სისტემა

§1. სამართლის სისტემის ცნება და პრინციპები	223
§2. სამართლის დარგები	232